

# ავტორის სტილი დაცულია

იგანე ჯაგახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

## თამარ ლუტიძე

აგრობიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმი  
საქართველოში

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ლეილა ლუდუშაური  
ასოცირებული პროფესორი

## შინაარსი

შესავალი .....	3
თავი 1. აგრობიზნესის ფუნქციონირების ეკონომიკური ასპექტები.....	9
თავი 2. სახელმწიფოს როლი აგრობიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის საქმეში. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შედეგები და პერსპექტივები.....	21
2.1. სახელმწიფოს მნიშვნელობა აგრარული სექტორის განვითარებისათვის.....	21
2.2. აგრობიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის სახელმწიფო პროექტები და მათი ანალიზი.....	26
2.3. ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება და მისი მნიშვნელობა აგრობიზნესის ხელშეწყობისათვის.....	57
2.4. ევროკავშირის გამოცდილება აგრარული სექტორის მხარდაჭერაში .....	66
თავი 3. აგრობიზნესის დაკრედიტების თანამედროვე სისტემა.....	81
3.1. აგრობიზნესის საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი საქართველოში .....	81
3.2. აგრობიზნესის დაკრედიტების პროექტები, მათი დანერგვისა და განხორციელების შედეგები.....	90
თავი 4. აგრარული სექტორის დაზღვევის სპეციფიკა და განვითარების ტენდენციები საქართველოში .....	110
4.1. აგრარულ სექტორში არსებული რისკები და აგროდაზღვევის არსი.....	110
4.2. აგროდაზღვევის პრობლემები და მათი გადაჭრის ძირითადი მიმართულებები საქართველოში .....	123
4.3. ევროკავშირის გამოცდილება აგრარული სექტორის დაზღვევის მხარდაჭერაში .....	137
თავი 5. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისა და ფუნქციონირების საკანონმდებლო ასპექტები.....	143
5.1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სპეციფიკა და მნიშვნელობა აგრობიზნესის ხელშეწყობისათვის.....	143
5.2. საგადასახადო და საკანონმდებლო ბაზა.....	152
5.3. ევროკავშირის წევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილება სასოფლო- სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მიმართულებით .....	167
დასკვნები და რეკომენდაციები .....	180
გამოყენებული ლიტერატურა.....	192
დანართი.....	200

## შესავალი

თემის აქტუალობა. მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემა გლობალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება და მისი წარმატებით გადაწყვეტა ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

აგრარულ სექტორს უძველესი პერიოდიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფო დონეზე და მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მიმართულება (მოდელი) შეიქმნა: 1) რესურსების მოხმარების; 2) კონსერვაციული; 3) ლოკაციის; 4) დიფუზიის; 5) მაღალი ანაზღაურების და 6) სტიმულირების. თითოეული მათგანი განსხვავებულ პირობებსა და მიღგომებს ქმნიდა აგრარული სექტორისადმი, თუმცა, სახელმწიფოს როლი ყოველთვის გადამწყვეტი იყო. განსაკუთრებით ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილებას, საკუთრებისა თუ ფლობის ფორმების განსაზღვრას და ასევე, ეროვნული ბაზრის პროტექციონისტული დაცვის მეთოდებს.

მეცნიერ-ეკონომისტებიც დიდ ყურადღებას ამახვილებდნენ აგრარული სექტორის განვითარებასა და მის განმსაზღვრელ პოლიტიკაზე. კლასიკოსები (ა. სმიტი, დ. რიკარდო) აგრარული სექტორის განვითარების ძირითად ფაქტორად კაპიტალს მიიჩნევდნენ - ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვითა და შრომითი პროცესების სრულყოფით სექტორში ნაყოფიერების გადიდების შესაძლებლობით. აქევე უნდა შევეხოთ ფიზიკურატების ეკონომიკურ მოძღვრებასაც, რომლებიც თვლიდნენ, რომ სიმდიდრე არ იქმნება მიმოქცევაში, იგი იქმნება წარმოებაში და მის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა (ფრანსუა კუნე).

განვითარების მაკროეკონომიკურ თეორიებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრარული სექტორის ტრანსფორმირებასა და განვითარებას. ამ მიმართულებით გამოყოფენ: ზრდის სტადიების თეორიებს (ლისტი, მარქსი); დუალისტური ეკონომიკის მოდელებს; სტრუქტურული ტრანსფორმაციის თეორიებს; დამოკიდებულების თეორიას.

კოლტ როსტოუმ მეოცე საუკუნის 60-იან წლებში ეკონომიკური ზრდის ეტაპების მოდელი განიხილა, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური ზრდა 5 ეტაპს გადის: 1) ტრადიციული საზოგადოება - **Traditional society**; 2) გარდამავალი სტადია - **Preconditions for take-off**; 3) ნახტომის სტადია - **Take-off**; 4) სიმწიფისკენ მოძრაობა - **Drive to maturity** და 5) მასობრივი მოხმარების სტადია - **Age of High mass consumption**. თეორიის თანახმად ყველა ქვეყანას სხვადასხვა სტადიაზე ყოფნის სხვადასხვა პერიოდი სჭირდება, თუმცა პირველი სტადიიდან ბოლო სტადიამდე გადასასვლელად

შუალედურ გარდამავალ სტადიებში უნდა განისაზღვროს რამდენიმე სექტორი, რომელიც ზრდის საშუალებას მისცემს ქვეყანას და ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორი იქნება. გარდამავალ ეტაპზე ეს არის აგრარული სექტორი, ხოლო განვითარებულ სტადიაზე მრეწველობა იკავებს მოწინავე პოზიციებს. მცირდება აგრარული სექტორის წილი, თუმცა, ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის მთავარ მამოძრავებელ ძალად რჩება.

ქართველ მეცნიერთა დიდი ნაწილი (დ. ბაიდაური, ნ. სამჭკუაშვილი, ზ. ბერიძე, ლ. გაგვიშვილი) გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე ორიენტირება თანამედროვე ინდუსტრიის უგულებელყოფის შემთხვევაში განაპირობებს ქვეყნის ჩამორჩენას, ასევე, არც მხოლოდ მრეწველობის პრიორიტეტულად შეფასება არის მართებული და აუცილებელია დარგებს შორის ბალანსის დაცვა, რადგან ეს ორი ურთიერთშემავსებელი სექტორია და ერთად ქმნის ქვეყნის ხერხემალს. მეცნიერები გადამწყვეტ როდს სექტორის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის სახელმწიფოს ანიჭებენ და ასაბუთებენ მის აუცილებელ მონაწილეობას აგრარული სექტორის ფინანსური უზრუნველყოფის (საკრედიტო, სადაზღვევო დაცვის) საქმეში.

მეცნიერთა ნაწილი განიხილავს თანამედროვე მსოფლიოში გამოკვეთილ ბაზრის ორ ტიპს, რომელთაც პირობითად უწოდებენ ლიბერალურ-ამერიკულ და სოციალურ-ევროპულს და მიიჩნევენ, რომ საქართველოს ლიბერალურ-ამერიკული მოდელის უკიდურეს ფორმაზე გადასვლა დაიწყო ყოველგვარი მოსამზადებელი სამუშაოს გარეშე. თავისთვალი, მოცემულმა ყველა სექტორზე იქონია გავლენა, მათ შორის აგრარულ სექტორზეც (მაგალითად, გიგლა გაბაიძე). მეცნიერები გამორიცხავენ ტრანსფორმაციის დინებაზე მიშვებას და რეფორმის სწორად განხორციელების მთავარ პასუხისმგებლად მთავრობას ასახელებენ.

საქართველო აგრარული ქვეყანაა, თუმცა დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს სოფლის მეურნეობას საამაყო პერიოდი ნამდვილად არ უდგას. დაუმუშავებელი სახნავ-სათესი მიწები საკმაოდ დიდ ფართობს იკავებს. ქვეყნის არსებული სასურსათო პოტენციალი, რომელსაც ექსპერტების შეფასებით 8-10 მლნ. ადამიანის გამოკვება შეუძლია, სანახევროდაც არ არის გამოყენებული. საქართველოს დასაქმებული მოსახლეობის 40%-ზე მეტი მოდის აგრარულ სექტორზე, მაშინ როცა აგრარული სექტორის წილი ბოლო მონაცემებით ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 9.3%-ს შეადგენს და უზრუნველყოფს მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის 20%-მდე. მოსახლეობის მოთხოვნის

დანარჩენი წილი 80%-ზე მეტის დაკმაყოფილება კი ხორციელდება იმპორტირებული ხშირად გაურკვეველი წარმოების სურსათით. ისეთი გეოგრაფიული მდებარეობა, როგორიც საქართველოს აქვს, მემცნარეობა-მეცხოველეობის განვითარების მშვენიერ შანსს იძლევა, თუმცა, ამ შესაძლებლობას ქვეყანა მხოლოდ სწორი მიღებომით თუ გამოიყენებს.

როგორც ვხედავთ, არაერთი მეცნიერი აგრარულ სექტორს ქვეყნის განვითარების რელსებზე დაყენების მნიშვნელოვან ამოსავალ წერტილად განიხილავს, მაგრამ სექტორს არ შეუძლია ეს თვითდინებით განახორციელოს, ამისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მიზანმიმართული პოლიტიკა და სწორად გათვალისწინებული სტრატეგია.

საქართველოში აგრარული სექტორის განვითარების არასაკმარისი ტემპები უამრავ ობიექტურ თუ სუბიექტურ სიძნეელესთანაა დაკავშირებული. შექმნილი ვითარების უმთავრესი განმაპირობებელი ფაქტორი არის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემები. მოცემული სექტორის დაფინანსება-დაკრედიტების პრობლემები და პერსპექტივები დღეისათვის წარმოადგენს როგორც სოფლის მეურნეობისათვის, ასევე მთლიანად ეკონომიკის, დასაქმებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხსა და აქტუალურ თემას.

ამასთან ერთად, როგორც მსოფლიოს რიგ განვითარებად ქვეყანაში, ისე საქართველოში ჯერ-ჯერობით კვლავაც სერიოზულ პრობლემად რჩება აგრარული სექტორის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი. სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობებს პრობლემის აქტუალურობა და სადისერტაციო თემის შერჩევა.

**კვლევის მიზანია საქართველოს აგრარული სექტორის ფინანსური უზრუნველყოფის თანამედროვე მექანიზმის შესწავლა-გაანალიზება და მისი განვითარების ძირითადი ტენდენციების ჩამოყალიბება ევროკავშირის გამოცდილების გაზიარების საფუძველზე.**

#### **კვლევის ძირითადი ამოცანებია:**

- აგრარული სექტორის ფუნქციონირების ეკონომიკურ-სამართლებრივი ასპექტების განხილვა;
- საქართველოსათვის აგრარული სექტორის მნიშვნელობის შეფასება და მისი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში სახელმწიფოს როლის გამოკვეთა;
- ევროკავშირისა და ყოფილი სოციალისტური ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და გაანალიზება;

- ევროკავშირის გამოცდილებისა და საქართველოს არსებული მდგომარეობის ურთიერთშედარების საფუძველზე ფინანსური უზრუნველყოფის სისტემის განვითარების პერსპექტივებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება;
  - საქართველოს აგრარული სექტორის განვითარებისთვის ფინანსური უზრუნველყოფის სისტემის პრობლემების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის ძირითადი მიმართულებების შემუშავება.
  - აგროდაზღვევის ფუნქციონირების ეკონომიკურ-სამართლებრივი ასპექტების განხილვა;
  - საქართველოსათვის აგროდაზღვევის მნიშვნელობის შეფასება და მისი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში სახელმწიფოს როლის გამოკვეთა;
  - ევროკავშირისა და ყოფილი სოციალისტური ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და გაანალიზება აგროდაზღვევის მიმართულებით;
  - ევროკავშირის გამოცდილებისა და საქართველოს არსებული მდგომარეობის ურთიერთშედარების საფუძველზე აგროდაზღვევის სისტემის განვითარების პერსპექტივებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება;
  - გარდამავალ პერიოდში აგროდაზღვევის სისტემის განვითარებისთვის პრობლემების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის ძირითადი მიმართულებების შემუშავება;
  - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუნქციონირების არსის განხილვა და ევროკავშირის პოსტ-სოციალისტური ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე საქართველოსთვის მათი მნიშვნელობის შეფასება და ძირითადი საფრთხეების გამოვლენა.
- აგლეგის ობიექტია საქართველოს აგრარული სექტორის ფინანსური უზრუნველყოფის თანამედროვე მექანიზმი.**

**ნაშრომის სიახლე.** ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

- დასაბუთებულია აგრარული სექტორის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხებში სახელმწიფოს მხარდაჭერის აუცილებლობა; საქართველოსა და ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების აგრარული სექტორის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილია ფინანსური უზრუნველყოფის სისტემის განვითარების ერთნაირი დადებითი ტენდენციები და პრობლემები. კერძოდ: წყვილური რეგრესიის მოდელის მიხედვით, რომელიც საბიუჯეტო დაფინანსებასა და აგრარული სექტორის მთლიან გამოშვებას შორის ფუნქციურ

დამოკიდებულებას ასახავს, გვაქვს შემდეგი შედეგი: 1) თუ სახელმწიფოს მიერ საბიუჯეტო დაფინანსება არ განხორციელდება აგრარულ სექტორში, აგრარულ სექტორს კვლავაც შეუძლია თვითდინებით ფუნქციონირება და მისი მთლიანი გამოშვება იქნება თითქმის ორჯერ ნაკლები დღევანდელ მაჩვენებელთან შედარებით, 2) საბიუჯეტო დაფინანსების 1 ლარით ზრდის შემთხვევაში ნაზრდი 5.311-ს შეადგენს, ანუ აგრარული სექტორის მთლიანი გამოშვება ყოველ წადებულ 1 ლარზე 5.311 ლარით გაიზრდება, 3) თავისთავად ისმის კითხვა, თუ რატომ წარმოადგენს ზემოაღნიშნული ნაზრდი 5.311-ს და არა 8-ის ან 10-ის ტოლ მაჩვენებელს, პასუხი საბიუჯეტო ასიგნებებისა და ფინანსური უზრუნველყოფის მიმართულებების პროპორციებში დევს. ნაშრომში ჩატარებული კვლევა ევროკავშირის ძველი და ახალი წევრი ქვეყნების აგრარული სექტორის საბიუჯეტო დაფინანსების განხილვისა და მათი განვითარების დისკროპორციების გამოვლენის საფუძველზე, აღნიშნული მოვლენის ახსნის საშუალებას იძლევა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კი შემოთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოს აგრარული სექტორის ფინანსური უზრუნველყოფის სისტემის ევროკავშირის ქვეყნების აგრარული სექტორების ანალოგიურ სისტემასთან დაახლოების კუთხით და გამახვილებულია კურადღება ამ პრობლემების შემაფერხებელ ფაქტორებზე, სახელდობრ, ფერმერთა სადაზღვევო კულტურის დონეზე, ტექნილოგიური ცოდნის სიმწირესა და მისი ამაღლების დონისძიებების საშუალებებზე;

- საქართველოს აგროდაზღვევის მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე, სადაზღვევო ტარიფის დიფერენცირებულად დათვლისთვის, რეგიონების მიხედვით, პიდრომეტეოროლოგიური რისკების დონის შესაბამისად, წარმოდგენილია ინდექსის გამოყენების შესაძლებლობა და ეფექტიანობა. ინდიკიდულური სადაზღვევო ტარიფის უკეთ განსაზღვრისათვის კი შემოთავაზებულია პროგრამულ უზრუნველყოფაში სხვადასხვა ინფორმაციის გაერთიანებისა და გენერირების შესაძლებლობა;
- განხილულია სასოფლო-სამეურნეო კომპერატივების მნიშვნელობა აგრარული სექტორის განვითარებისათვის, ევროკავშირის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების გამოცდილების მაგალითზე, გამოვლენილია კომპერატივების ფუნქციონირების პრობლემები და შემუშავებულია მათი დაძლევის ოპტიმალური გზები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური თეორიის, საბაზრო ეკონომიკის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების, სურსათით უზრუნველყოფისა და ფერმერული მეურნეობების ფინანსური პრობლემებისადმი ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ მიძღვნილი სამეცნიერო გამოკვლევები და პრაქტიკული ხასიათის მეცნიერული შრომები. კვლევის მეთოდოლოგიას წარმოადგენს კვლევის ლოგიკური, ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდები და შედარებითი ანალიზი.

ნაშრომი ეყრდნობა აგრარულ საკითხებზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებს, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამის მასალებს, სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ მეთოდურ მითითებებსა და რეკომენდაციებს. აგრეთვე, სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციასა და ოფიციალური ვებ-გვერდების მასალებს.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.** სადოქტორო ნაშრომის კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციები კარგ სამსახურს გაუწევს ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების მუშაკებს აგრარულ სექტორთან დაკავშირებით აქტუალური საკითხების გადაწყვეტისას.

კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია საუნივერსიტეტო სწავლებისა და კვლევების სხვადასხვა საფეხურებზე. სადოქტორო ნაშრომში ასახული შედეგები საინტერესო და საყურადღებოა ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერი და პრაქტიკონი მუშაკებისათვის, რათა გააღმავონ და გააფართოვონ კვლევა ამ მიმართულებით.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** სადოქტორო ნაშრომი მოიცავს 199 გვერდს და შედგება შესავალის, ხუთი თავის, თორმეტი ქვეთავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართი (55 გვ.).

## თავი 1. აგრობიზნესის ფუნქციონირების ეკონომიკური ასპექტები

### აგრარული სექტორის თავისებურებები და რესურსები

აგრარული სექტორი ეკონომიკის განსაკუთრებული დარგია და მისი განვითარება გარკვეულ გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული. იგი ძველი დროიდან მოყოლებული კაცობრიობის საკვებით უზრუნველყოფის სამსახურშია. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანები იყვნენ დაკავებულნი, შრომის იარაღების დახვეწა-განვითარების პალობაზე ვითარდებოდა და იზრდებოდა მოცემულ სფეროში მიღწევები და პროდუქციის წარმოება. მოცემული საქმიანობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით არის გავრცელებული და განვითარების განსხვავებულ ფაზაში იმყოფება. ბევრ ქვეყანაში აგრარული სექტორი და მისი განვითარება ქვეყნის სტრატეგიულ პრიორიტეტად არის აღიარებული და მნიშვნელოვანი უურადღება ეთმობა მის განვითარებასა და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხებს. საქართველოს დღევანდელი აგრარული სექტორი პირობითად შეიძლება დაიყოს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ დარგად:<sup>1</sup>

1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება;
2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება;
3. სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაცია;
4. სოფლის მეურნეობის მომსახურება;
5. აგროტურიზმი.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება იყოფა მემცენარეობის პროდუქციის წარმოებად და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებად.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება მოიცავს წისქვილებს, ღვინის ქარსნებს, კონცენტრატების მწარმოებელ ქარსნებსა და ა.შ.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაცია - წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გარკვეული ნაწილი ნედლი სახით მიეწოდება ბაზარს. ბაზარზე მოხვედრამდე ხორციელდება პროდუქციის შესაბამისი დამუშავება, დახარისხება, დაფასოება და შეფუთვა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის

<sup>1</sup> აგრობიზნესი, საოჯახო ბიზნესის შესაძლებლობები. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. სახელმძღვანელო „ქალი და ბიზნესი“, თბ., 2009, გვ. 74.

გარკვეული სახეობა მოითხოვს სპეციალური წესით შენახვას მაცივრებში და ხშირ შემთხვევებში სპეციალური ტრანსპორტით ტრანსპორტირებას.

**სოფლის მეურნეობის მომსახურება** - სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება საკმაოდ რთული, შრომატევადი და მრავალფეროვანი პროცესია, მოითხოვს დამხმარე სამუშაოებს, რამაც აუცილებელი გახადა მთელი რიგი დამხმარე დარგების ჩამოყალიბება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების უზრუნველსაყოფად. მაგალითად, მემცენარეობა პირველ რიგში მოითხოვს მიწის დამუშავებას (მოხვნა, მოსწორება), მემცენარეობის პროდუქციის წარმოებისათვის, ასევე, აუცილებელია თესლების და სარგავი მასალის შესყიდვა სპეციალური ორგანიზაციებიდან, მეცხოველეობაში კი სანაშენე პირუტყვის შესყიდვა ან ხელოვნური დათესვლის მომსახურების ყიდვა, ასევე, ყიდულობენ ზოოვეგმომსახურებას, კომბინირებულ საკვებს, სასუქებს, შეამქიმიკატებს, ტარასა და სხვა დამხმარე მასალებს.<sup>2</sup>

რაც შეეხება აგროტურიზმს, ეს ცნება ბოლო რამდენიმე წელია გახდა ცნობილი ქართული აგრობიზნესისათვის და გარკვეულწილად დაიწყო ფეხის მოკიდება კახეთის რეგიონსა და სვანეთში. აგროტურიზმი განისაზღვრება როგორც ფერმის ან ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო, სამებადეო ან აგრობიზნესის ოპერაციებით დაკავებული ობიექტის მონახულება საგანმანათლებლო, გასართობი ან მის საქმიანობასა და ოპერაციებში აქტიური ჩართვის მიზნით.<sup>3</sup>

**აგროსამრეწველო კომპლექსი.** სოფლის მეურნეობაში კოოპერაციასთან ერთად ვითარდება აგრარული დარგების ვერტიკალური კავშირებიც მრეწველობასთან. ეს პროცესები ურთიერთგანპირობებულია და ავსებენ ერთმანეთს. ვერტიკალური ინტეგრაცია და კოოპერირება ხელს უწყობს გადამამუშავებელი ქარხნების ნედლეულით თანაბარ დატვირთვას წლის განმავლობაში, ფინანსური და შრომითი რესურსების მანევრირებით გამოყენებას. მათში სრულად და უკეთესად გამოიყენება წარმოების საშუალებები, უზრუნველყოფილია მყარი საფინანსო მდგომარეობა და მცირდება სატრანსპორტო ხარჯები.

სოფლის მეურნეობის მრეწველობასთან ინტეგრირების ძირითად ფორმებს თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენენ აგროსამრეწველო საწარმოები და აგროსამრეწველო გაერთიანებები. ამ უკანასკნელებში გაერთიანებულია სასოფლო-

<sup>2</sup> აგრობიზნესი, საოჯახო ბიზნესის შესაძლებლობები. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. სახელმძღვანელო „ქადი და ბიზნესი“, თბ., 2009, გვ. 75.

<sup>3</sup> <http://www.kyagr.com/marketing/agritourism.html>

სამეურნეო ნედლეულის მწარმოებლები და მისი გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმოები კოოპერაციის საწყისებზე.

დღევანდელ პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ეროვნული ეკონომიკის რიგ სხვა დარგებზე, ომდებიც სოფლის მეურნეობას აწვდიან ტექნიკას, ტრაქტორებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, საწვავ-საცხ მასალებს, შეამქიმიკატებსა და სხვა. ამის გარდა, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან საბოლოო პროდუქციის (სურსათის) მიღებაში დიდ როლს ასრულებენ მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა: კვების (გადამამუშავებელი), მსუბუქი, საფეიქრო და სხვა. ჩამოთვლილი დარგების გარკვეულწილად გამოცალკევებით სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით მოხდა ერთიანი აგროსამრეწველო კომპლექსის (ასკ) ჩამოყალიბება, რომელთა მონაწილენიც ერთმანეთთან ორგანულ კავშირში იმყოფებიან და ორიენტირებულნი არიან ერთი საბოლოო მიზნის - ქვეყნის მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უზრუნველყოფის მიღწევისაგენ. ასეთ პირობით ერთობლიობას საზღვარგარეთ აგრობიზნესს უწოდებენ.

ტერმინი “აგრობიზნესი” პირველად პარვარდში შეიმუშავეს 1955 წელს.<sup>4</sup> 1956 წელს ჯონ დევისის წიგნში “სოფლის მეურნეობიდან აგრობიზნესამდე” და 1957 წლის რეი გოლდბერგისა და ჯონ დევისის ერთობლივ ნამუშევარში “აგრობიზნესის კონცეფცია” პირველად გამოჩნდა ტერმინი<sup>5</sup>, რამაც სრულიად ახალი პარადიგმა და ახალი ხედვები შექმნა სოფლის მეურნეობის როგორც აგრობიზნესის განხილვის თვალსაზისით.

კონცეფცია მეტწილად წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის საქმიანობაში მჭიდრო ურთიერთკავშირში მყოფი სუბიექტებისა და ობიექტების: მომწოდებლების, მიმწოდებლების, მომსახურების მიმწოდებლების, გადამამუშავებელი მრეწველობის, განაწილების სისტემების, ფინანსური ინსტიტუტებისა და მომსმარებლების, ინტეგრაციის მცდელობას. იგი აერთიანებდა ფერმაში წარმოებული პროდუქტების გადამუშავებასა და განაწილებაში ჩართული ყველა ოპერაციის ჯამურ თანხას: წარმოების ოპერაციებთან, შენახვასთან, გადამუშავებასთან, ტრანსპორტირებასა და მათგან დამზადებული ნივთების გაყიდვასთან დაკავშირებულ ღირებულებებს.

<sup>4</sup> Neves Marcos F. - The Future of Food Business The Facts, The Impacts and The Acts, (2nd Edition), New Jersey, 2014, p. 21.

<sup>5</sup> [http://www.is.mendelu.cz/eknihovna/opory/zobraz\\_cast.pl?cast=66579](http://www.is.mendelu.cz/eknihovna/opory/zobraz_cast.pl?cast=66579)

აგრობიზნესში ამა თუ იმ დარგის ჩართვის მკვეთრად გამოკვეთილი საზღვარი არ არსებობს, რადგან ის ეროვნული ეკონომიკის სხვა დარგებთანაც არანაკლებ არის დაკავშირებული. აგრობიზნესის, როგორც ერთი მთლიანი სისტემის, ფორმირება საქართველოში დაიწყო გასული საუკუნის 70-იან წლებიდან, როცა შეიქმნა მატერიალურ-ტექნიკური, სამეცნიერო-თეორიული და სოციალურ-ეკონომიკური წინამდღვრები.<sup>6</sup>

აგრობიზნესის კლასიკური განმარტების მიხედვით, იგი აერთიანებს შემდეგ მიმართულებებს:<sup>7</sup>

1. სოფლის მეურნეობისა და სურსათის მრეწველობის საწარმოო საშუალებების მიწოდების სექტორი (სპეციალიზირებული საინჟინრო მრეწველობის, ქიმიის, ენერგეტიკისა და სხვა),
2. სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოება,
3. კვების მრეწველობის,
4. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მომსახურება (მიწოდება, შეძენა, მოვლა, გაუმჯობესება და სათესლე წარმოება, მეცხოველეობა, გამოყენებითი კვლევა, განათლება, კონსულტაციები და ა.შ.),
5. სურსათის წარმოება და სხვა გადამამუშავებელი მრეწველობა,
6. სასურსათო ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება.

თანამედროვე პირობებში, როდესაც გენეტიკური და ბიოლოგიური კვლევების გავლენა წინასწარ წარმოების ფაზაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა, სონკასა და პუდსონის (1999), განსაზღვრების მიხედვით, აგრობიზნესი წარმოადგენს პირდაპირი და საპირისპირო კავშირების სერიას, რომელიც სხვა მდგრენელებთან ერთად აერთიანებს - “კვლევას, გენეტიკურ და სათესლე მასალის მწარმოებელ ფირმებსა და სხვა ბიოლოგიური მასალების მომწოდებლებს”.

აგრობიზნესი იყოფა სამ ძირითად სფეროდ: 1) დარგები, რომლებიც ამარაგებენ მას საწარმოო საშუალებებით და რომლებიც დასაქმებულნი არიან სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური მომსახურებით; 2) თვით სოფლის მეურნეობა და 3) დარგები და საწარმოები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის დამზადებას, გადამუშავებას, მომხმარებლებამდე მიტანასა და გასაღებას.

<sup>6</sup> გადაჭრორია მ., ლაჭეფჰიანი თ. აგრარული წარმოება და საქართველო. ქურ. “ბიზნესი და ქანონმდებლობა”, თბ., მაისი 2010, №17, გვ. 57.

<sup>7</sup> [http://www.is.mendelu.cz/eknihovna/opory/zobraz\\_cast.pl?cast=66579](http://www.is.mendelu.cz/eknihovna/opory/zobraz_cast.pl?cast=66579)

პირველი სფეროს წილად მოდის მთლიანად წარმოებული პროდუქციის 15%, მეორე სფერო (თვით სოფლის მეურნეობა) აწარმოებს საბოლოო პროდუქციის თითქმის 48%-ს. მესამე სფეროს წილად მოდის წარმოებული საბოლოო პროდუქციის მოცულობის 37%. ქვეყნის მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის დონე ბევრად არის დამოკიდებული აგრობიზნესის მესამე სფეროს მდგომარეობაზე და განვითარებაზე. საბაზო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში სასურსათო კომპლექსში, ისე როგორც მთელ ეროვნულ ეკონომიკაში, ჯერ გაიზარდა კრიზისული მოვლენები, შემდეგ კი (1995 წლიდან) დაიწყო მისი რეაბილიტაცია, თუმცა ჯერჯერობით აგრარულ რეფორმამდელ დონემდე ბევრი გვიპლია.

აგრობიზნესის საბოლოო პროდუქციის ღირებულება ყალიბდება სოფლის მეურნეობაში შექმნილ სუფთა პროდუქტის მასას დამატებული გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის სუფთა პროდუქტის ნაწილი და პლუს მიმოქცევის, ტრანსპორტის დანახარჯები. მთელი აგრობიზნესის ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებელია სასურსათო და არასასურსათო საქონლის რაოდენობა, რომლებიც მიღებულია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.<sup>8</sup> აგრობიზნესის ეფექტიანობის ამაღლებისათვის საჭიროა მასში შემავალ ყველა დარგს შორის პროპორციული და დაბალანსებული განვითარების უზრუნველყოფა, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, შრომის პირობების გაუმჯობესება.

წარმოებული საბოლოო პროდუქციის სახეთა მიხედვით აგრობიზნესი იყოფა ცალკეულ პროდუქტიულ ქვეკომპლექსებად. მაგალითად, როგორიცაა: მეჩაიერის, მეციტრუსეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მეცხოველეობისა და სხვა. თითოეულ მათგანს აქვს თავისი სპეციფიკა და თავისებურებები.<sup>9</sup> ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ხანდახან ძნელიც კი ხდება მათი გამოცალებება. პროდუქტიული ქვეკომპლექსები განსაზღვრავენ კონკრეტული რეგიონის საწარმოო მიმართულებას (სპეციალიზაციას). მაგალითად, სამეგრელოში და გურიაში - მეჩაიერისა; აჭარაში - მეციტრუსეობა, მეჩაიერისა და სხვა.

**აგრარული სექტორის თავისებურებებიდან უპირველესად შეგვიძლია გამოვყოთ:**<sup>10</sup>

<sup>8</sup> ვადაჭვორია მ., ლაჭევანი თ. აგრარული წარმოება და საქართველო. ქურ. “ბიზნესი და კანონმდებლობა”, თბ., მაისი 2010, №17, გვ. 58.

<sup>9</sup> იხ. იქვე.

<sup>10</sup> ავბეწვაშვილი თ. მევენახეობის დარგის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის საკითხები საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში. დისერტაცია, თბ., 2003, გვ. 16.

**1.** სოფლის მეურნეობის წარმოების სირთულე, რაზეც გავლენას ახდენს ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორები. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, ჯერ კიდევ საბაზრო ეკონომიკის გარდამავალი ეტაპებისათვის დამახასიათებელი საკუთრების ფორმები და მათზე აშენებულ საწარმოთა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმები. სახელმწიფო საწარმოებმა პრივატიზება განიცადეს და გვაქვს: კოოპერატივები, ფირმები, ფერმები, სააქციო საზოგადოებები, კორპორაციული გაერთიანებები, კომპანიები და ა.შ. სახელმწიფო და საბაზრო ეკონომიკის საწარმოები ავითარებენ შეთანაწყობილ წარმოებას თავისუფალი კონკურენციის ბაზაზე, თუმცა, სოფლად დამთავრდა მიწებისა და საწარმოო საშუალებათა პრივატიზების პროცესი. დარგობრივი სტრუქტურის სირთულის მხრივ, განსაკუთრებული განსხვავებაა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებათა შორის. ცალკეულ საწარმოებს ახასიათებთ გარკვეული თავისებურებანი, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო დარგები სტრუქტურისა და ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედების მხრივ, უფრო რთული და მრავალფეროვანია;

**2.** სოფლის მეურნეობის წარმოებას სეზონურობა ახასიათებს, რაც წარმოების თავისებურებებითაა განპირობებული. სასოფლო-სამეურნეო სამუშაო პერიოდი სოფელში უფრო მოკლეა, ვიდრე წარმოების პერიოდი. წარმოების ციკლი ხანგრძლივია და პროდუქციის მიღება ხდება მეორე წელს (მაგ. საშემოდგომოდ დათესილი ხორბალი);

**3.** სოფლის მეურნეობაში მიღებული მზა პროდუქტი წარმოადგენს მომავალ მასალას, მაგალითად, მიღებული ხორბლიდან გამოყოფილი თესლი წარმოადგენს მასალას, რომელიც გამოიყენება კვლავწარმოებისათვის;

**4.** სოფლის მეურნეობას გააჩნია თავისებურება ტექნოლოგიური პროცესების მიხედვითაც. პროდუქტი იქმნება წარმოების პროცესში, რაც დაკავშირებულია ბუნებრივ და კლიმატურ პირობებთან. ის არ წარმოადგენს ერთბაშად გარდაქმნის პროდუქტს, როგორც მრეწველობაში ხდება;

**5.** სოფლის მეურნეობაში ზემოქმედების ობიექტია მიწა, რომელიც დაკავშირებულია არა გარდაქმნასთან, არამედ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან. მიწა წარმოადგენს ცოცხალ ორგანიზმს და იგი განსაკუთრებული სახის საწარმოო საშუალებაა;

**6.** ქვეყნის ცალკეული ზონის ბუნებრივ-სამეურნეო თავისებურებების გათალისწინების აუცილებლობა. საქართველოს ტერიტორიის ვერტიკალურ-ზონალური განლაგება განაპირობებს მისი ბუნებრივი პირობების დიდ

მრავალფეროვნებას. ქვეყნის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია მაღალი მთებითა და დრმა ხეობებით, ასევე მდინარეების საკმაოდ დიდი რაოდენობითა და მათში არსებული ჭარბი წყლის რესურსით. მთებს მთელი ქვეყნის ტერიტორიის 53.6% უკავია, მთისწინებს – 33.4%, ხოლო დაბლობებს - მხოლოდ 13%.<sup>11</sup>

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განლაგებისა და სპეციალიზაციის საკითხების დამუშავებისას განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ქვეყნის ცალკეული ზონის ბუნებრივ-სამეურნეო თავისებურებები. ამ თვალსაზრისით, საქართველოს აგრობიზნესის ტერიტორიულ-ორგანიზაციული დაგეგმარების შედეგად, ქვეყნის ტერიტორია დაყოფილია სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ზონებად, ბუნებრივი პირობების ძირითადი მონაცემების გათვალისწინებით, ესენია: 1) ფიზიკურ-გეოგრაფიული; 2) ჰიდროლოგიური; 3) კლიმატური; 4) აგროკლიმატური; 5) ნიადაგების აგროსაწარმოო მონაცემების; 6) კულტურულ მცენარეთა და ტყის საფარის მონაცემების გათვალისწინებით. შესაბამისად, საქართველოს ტერიტორია დაყოფილია სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის 11 ზონად და ცალკეულ რეგიონში აგრარული სექტორის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრა შესაბამისი ზონების გათვალისწინებით ხორციელდება (იხ. დანართი №1).<sup>12</sup>

7. აგროსერვისის სისტემით უზრუნველყოფის აუცილებლობა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი კერძო სექტორის საქმიანობა ვერ იქნება ეფექტური კვალიფიციური აგროსერვისის გარეშე. კერძო ფერმერული მეურნეობების კვალიფიციური აგროსერვისით უზრუნველყოფა გულისხმობა: მიწათმოქმედების სისტემის, ზოოტექნიკურ-ვეტერინალური, მელიორაციული და აგრეთვე მექანიზირებული სამუშაოების ორგანიზებას.

აგრარულ სექტორში გამოყენებული რესურსები მრავალი სახისაა და ხუთ გატეგორიად შეგვიძლია დაგვოთ:<sup>13</sup>

ა) ბუნებრივი რესურსები. ეს არის ის საფუძველი, რომელზედაც წარმოების პროცესია დაფუძნებული. აქ, უპირველეს ყოვლისა, შედის მიწა და სარწყავი წყალი;

<sup>11</sup> ავტორიზებული თ. მეცნახეობის დარგის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის საკითხები საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში. დისერტაცია, თბ., 2003, გვ. 16.

<sup>12</sup> იხ. იქვე.

<sup>13</sup> მახარაშვილი ჯ. აგრობიზნესის რესურსული პოტენციალის ეფექტური გამოყენების პრობლემები და ამაღლების გზები საგარეუბნო მეურნეობის მაგალითზე. დისერტაცია, თბ., 2011, გვ. 11.

- ბ) ბიოლოგიური რესურსები.** მასში შედის მცენარეთა და ცხოველთა მთელი სამყარო, რომელიც, თავის მხრივ, მრავალ ჯგუფს, გვარს, სახესა და ჯიშს მოიცავს - უხევმოსავლიანი სახეები და მაღალ პროდუქტიული ჯიშები, მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის შესაძლებლობები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის მიღწევის დონე, ქიმიურ საშუალებათა მარაგები, ბიოლოგიური მეთოდების და ბიოენერგიის გამომუშავების საშუალებები და სხვა.
- გ) შრომითი რესურსები.** სოფლის მეურნეობა წარმოებაში ძირითადი სამუშაო ძალის გამოყენების საშუალებას წარმოადგენს.
- დ) წარმოების ძირითადი საშუალებები.** ეს არის შრომის საშუალებებიც და შრომის საგანიც. მასში გაერთიანებულია შენობა-ნაგებობები, ძრავები, მოწყობილობები, დანადგარები, მრავალწლიანი ნარგავები, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, ფრინველი და ფუტკარი.
- ე) წარმოების საბრუნავი საშუალებები.** ამ რესურსში გაერთიანებულია წარმოების შეწყვეტილი ციკლის უზრუნველსაყოფად საჭირო საშუალებები, რომლებიც ერთი ციკლის განმავლობაში ახლად შექმნილი პროდუქციის წარმოებაში ღებულობს მონაწილეობას. მასში შედის ყველა სახის ნედლეული, სამშენებლო მასალები, თესლი, სარგავი მასალა, საწვავ-საცხები, მინერალური სასუქები და ა.შ.
- ვ) საწარმოო პოტენციალი.** მის ქვეშ იგულისხმება რთული სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, რომელიც მოიცავს ეკონომიკური და რესურსული პოტენციალის საქონლისა და მომსახურების სფეროებში აქტიურად ჩაბმულ ნაწილს. სოფლის მეურნეობაში რესურსული პოტენციალის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს მიწა, ხოლო ეკონომიკურის - მასზე გაწეული კაპიტალდაბანდებები, რაც ზრდის ნიადაგის ნაყოფიერებას და შესაბამისად, პროდუქციის სიუხვესაც. ორივე სახე ურთიერთდაკავშირებული რესურსების ერთობლიობად განიხილება, რომელთა გამოყენებითაც მიიღწევა სამეურნეო შედეგი.<sup>14</sup>

### **აგრობიზნესის ფუნქციონირების ზოგადი ტენდენციები და პრობლემები საქართველოში**


საქართველო, სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, მრავალფეროვანი ბუნებრივ-სამეურნეო პირობებიდან გამომდინარე, მეტად რთული ამოცანების გადაწყვეტის წინაშე დგას. ქვეყნის არსებული

<sup>14</sup> მახარაშვილი ჯ. აგრობიზნესის რესურსული პოტენციალის ეფექტური გამოყენების პრობლემები და ამაღლების გზები საგარეუბნო მეურნეობის მაგალითზე. დისერტაცია, თბ., 2011, გვ. 11.

სასურსათო პოტენციალი, რომელსაც ექსპერტების შეფასებით 8-10 მლნ. ადამიანის გამოკვება შეუძლია, სანახევროდაც არ არის გამოყენებული.

საქართველოს დასაქმებული (იგულისხმება თვითდასაქმებული) მოსახლეობის 50% მოდის აგრარულ სექტორზე, მაშინ როცა აგრარული სექტორის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 10%-ს არ აღემატება და უზრუნველყოფს მოსახლეობის ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის 20%-მდე (**იხ. დანართები №6-7**). 2013 წლიდან სახელმწიფომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სტრატეგიების შემუშავება დაიწყო და შესაბამისი პროექტების განხორციელებასაც შეუწყო ხელი, შედეგი ცალსახად დადგებითი ტენდენციებით არ ხასიათდება. მიუხედავად გაწეული ძალისხმევისა, მთლიან შიდა პროდუქტში სექტორის წილი მაინც შემცირებით გამოირჩევა (2014 წელს მოცემულმა მაჩვენებელმა 9.2% შეადგინა, 2015 9.2% იყო - იხ. გრაფიკი №1).

#### გრაფიკი №1. საქართველოს სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში (%)<sup>15</sup>



საქართველოს აგრარული სექტორი დიდი რაოდენობით შინამეურნეობებს მოიცავს (2016 წლის აღწერის შედეგად ქვეყანაში დაფიქსირდა 642.2 ათასი მეურნეობა, მათ შორის 640 ათასი შინამეურნეობა და 2.2 ათასი – იურიდიული

<sup>15</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

პირი).<sup>16</sup> ისინი, საარსებო საშუალების უზრუნველსაყოფად, გარკვეულწილად დამოკიდებული არიან მცირე და დანაწევრებულ მიწის ნაკვეთებზე. მათ ბაზართან შეზღუდული წვდომა, შეზღუდული რესურსები და ზრდის შეზღუდული პოტენციალი აქვთ. მთავრობასთან ერთად მათ ეხმარებიან დონორი ორგანიზაციები, თუმცა, თანამედროვე გლობლური კრიზისი, ფასების თანმდევი სწრაფი ზრდით და სხვა შედეგებით, ნათლად მიუთითებს აგრარული/სასოფლო თემების დაუცველობაზე, რაც, თავის მხრივ, აგრარული პოლიტიკის ჩამოყალიბების განმტკიცებას მოითხოვს.

საქართველოს აგრარული სექტორის “განვითარების – ტრანფორმაციის” პერიოდი დამოუკიდებლობის შემდგომ შეიძლება სამ ფაზად დაიყოს: 1) 1990 წლიდან 2003 წლამდე; 2) 2003 წლიდან – 2013 წლამდე; 3) 2013 წლიდან – დღემდე. 1990 წლიდან სოფლის მეურნეობის პროდუქცია და მისი წილი მშპ-ში უწყვეტად მცირდებოდა, ხოლო თვითდასაქმებულად კლასიფიცირებულთა რაოდენობა - იზრდებოდა. 1990 წლებიდან 2003 წლამდე პერიოდში, მიუხედავად ბევრი წინააღმდეგობისა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულმა ადამიანებმა თვითორგანიზების საშუალებით შეძლეს სექტორის შენარჩუნება. მიუხედავად ამისა, დარგის ფუნქცია ძირითადად არა კომერციაზე არამედ თვითკმარობაზე იყო ორიენტირებული. 2004 წლიდან ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდგომ მიღგომა საკმაოდ შეიცვალა ეკონომიკური პოლიტიკისადმი და სრულიად განსხვავებულ “ლიბერტარიანულ” პარადიგმაზე გადავიდა. მოცემულმა, თავისთავად, განაპირობა აგრარული სექტორის დინებაზე მიშვება, რაც მალე აისახა სექტორის დაცემასა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუარესებაში. 2008 წლიდან მთავრობამ გამოიჩინა ინიციატივა სოფლის მეურნეობაზე ზრუნვისთვის, 2010-2012 წლებში აგრარულმა სექტორმა პრიორიტეტულობის ფუნქცია შეიძინა, თუმცა არც ამას მოჰყოლია ქმედითი და ეფექტიანი ნაბიჯები<sup>17</sup>.

საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ არსებულმა ყველა ხელისუფლებამ არასწორად განხორციელებული პოლიტიკის შედეგად ხელი შეუწყო აგროსამრეწველო კომპლექსის სრულ მოშდას. სწორედ ამ პერიოდში მოუფიქრებელმა და არათანმიმდევრულმა პოლიტიკამ და ღონისძიებებმა აგრარულ სექტორში გამოიწვია მრავალი პრობლემის წარმოშობა:

<sup>16</sup> [http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/population/Census%20Release\\_GEO\\_2016.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/Census%20Release_GEO_2016.pdf)

<sup>17</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. ფონდი “ლიბერალური აკადემია თბილისი”, თბ., 2012, გვ. 5.

1. 1991-1995 წლებში დატაცებული იქნა ათასობით სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის ტექნიკა.<sup>18</sup>

2. არასწორად განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზება. 1990-იან წლებში განხორციელებული პრივატიზაციის პროცესის შედეგად დაახლოებით 1 მილიონი ჰა მიწა მრავალ მცირე ზომის ნაკვეთად დაიყო, რამაც მიწის ინტენსიური ფრაგმენტაცია გამოიწვია.

3. საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი ძალიან მცირეა. 2011-2015 წლებში განხორციელებული მთლიანი უცხოური ინვესტიციებიდან აგრარულ სექტორში განხორციელებული ინვესტიციები 3%-ს არ გასცდენია, რაც ძალიან ცოტაა მოცემული სექტორის პერსპექტივების გათვალისწინებით (იხ. დანართები №3-5-9).

4. პრაქტიკულად მოიშალა სოფლის მეურნების პროდუქციის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესები; აგროსერვისის სისტემა; აგროკომპლექსის სამეცნიერო-კვლევითი სისტემა; სადაზღვევო სისტემა და ა.შ.

5. ბოლო წლებში კერძო ფერმერების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების მხოლოდ 15-20% მუშავდება. ფერმერთა უმრავლესობა ვერ ახერხებს მიწის ნაკვეთების დამუშავებას უსახსრობის გამო.

6. პროდუქციის რეალიზაციის პრობლემები. საზღვარგარეთიდან იმპორტირებულ იაფფასიან უხარისხო პროდუქციას ადგილობრივი მეურნეობები ხშირს შემთხვევაში ვერ უწევენ კონკურენციას. ყოველივე ამის გამო, ისინი პრაქტიკულად აწარმოებენ ყველაფერს, რაც მხოლოდ თვითუზრუნველყოფისათვის ესაჭიროებათ.

7. მოსახლეობის დენადობა. სოფლის მეურნეობაში მომხდარმა სოციალურმა გარდაქმნებმა და ტექნიკურმა პროგრესმა, შეამცირა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა, მაგრამ გამოიკვეთა მეორე უკიდურესობას. გამოთავისუფლებულებმა დაიწყეს გადადენა ეროვნული მეურნეობების სხვა დარგებში და დღეისათვის, სოფლად მამაკაცთა ყველაზე აქტიური ნაწილი (20-დან 40 წლამდე) შეადგენს მხოლოდ 5,1%-ს. ამიტომ სახეზეა შესაბამის პერსონალის სიმცირე.<sup>19</sup>

8. დღეისათვის საქართველოში კერძო ფერმერების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების ფართობები ძირითადად მერყეობს 1-დან 2 ჰა-მდე და ამ

<sup>18</sup> <http://temo-axaliblogi.blogspot.com/2011/11/blog-post.html>

<sup>19</sup> იხ. იქვე.

ფართობებზე მოყვანილი მარცვლეული არარენტაბელურია და დაბალი ხარისხისაა, რადგანაც ასეთ მცირე ფართობებზე თესლბრუნვას ვერ ახორციელებენ. გაჩნდა ახალი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ნიადაგის გამოფიტვასა და ეროვნიასთან.

**9.** იქვეთება უმნიშვნელოვანესი პრობლემა - ფერმერთა კვალიფიკაციის საკითხი. ფერმერთა უმრავლესობას არ გააჩნია საბაზრო პრინციპით მუშაობისათვის სათანადო ცოდნა და გამოცდილება. არ ხდება მათი სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება. ფერმერები არ იცნობენ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას. არ იცნობენ და ვერ ერკვევიან უახლეს ტექნოლოგიებში, ნაკლები წარმოდგენა აქვთ მარკეტინგის, მეურნეობის მმართველობით და ორგანიზაციულ საკითხებზე. სოფლებში დიდია კვალიფიციური აგრონომების, ვეტექიმების, ზოოტექნიკოსების, ინჟინერ-მექანიზატორების და სხვა სპეციალობის კადრებზე მოთხოვნილება.

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში 2013 წლამდე სოფლის მეურნეობის სექტორი მთავრობას მიტოვებული პქონდა, რაც განსხვავდება ჩაურევლობის პოლიტიკისაგან, ხოლო ეკონომიკის სტრატეგიულ პრიორიტეტად იგი მხოლოდ სიტყვიერად პქონდა გამოცხადებული. 2013 წელს შემუშავდა სახელმწიფოს ახალი სტრატეგია აგრარული პოლიტიკის მიმართულებით. წარმოდგენილი იყო მრავალი ახალი საკანონმდებლო ინიციატივა და ამასთან ერთად, ამავე წელს ბიუჯეტით სოფლის მეურნეობის დაფინანსება 61.8%-ით გაიზრდა (იხ. ცხრილი №1).

#### ცხრილი №1. საქართველოს აგრარული სექტორის საბიუჯეტო დაფინანსება<sup>20</sup>

წელი	2010	2011	2012	2013	2014	2015
დაფინანსების ოდენობა (მლნ. ლარი)	31	85	228	227	266	314

<sup>20</sup> წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

**თავი 2. სახელმწიფოს როლი აგრობიზნესის ფინანსური  
უზრუნველყოფის საქმეში. ეკონომიკურთან ასოცირების  
ხელშეკრულების შედეგები და პერსპექტივები**

## **2.1. სახელმწიფოს მნიშვნელობა აგრარული სექტორის განვითარებისათვის**

აგრარული სექტორის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარების საკითხში და სახელმწიფოს როლი. აგრარული სექტორის სახელმწიფოს მხარდაჭერის აუცილებლობის შეფასებისათვის ცალსახად აუცილებელია ამ საკითხისადმი მეცნიერ-მკვლევართა დამოკიდებულებებისა და რეკომენდაციების განხილვა, რაც საშუალებას მოგვცემს საკითხის უკეთ გააზრების წინაპირობები შევქმნათ. პირველ რიგში გადასაწყვეტია თავად სექტორის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის საკითხებში, ხოლო შემდგომ სახელმწიფოს როლის ჩამოყალიბება.

აგრარულ სექტორს უძველესი პერიოდიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფო დონეზე და მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მიმართულება (მოდელი) შეიქმნა: 1) რესურსების მოხმარების; 2) კონსერვაციული; 3) ლოკაციის; 4) დიფუზიის; 5) მაღალი ანაზღაურების და 6) სტიმულირების.<sup>21</sup> თითოეული მათგანი განსხვავებულ პირობებსა და მიღგომებს ქმნიდა აგრარული სექტორისადმი, თუმცა სახელმწიფოს როლი ყოველთვის გადამწყვეტი იყო. განსაკუთრებით ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილებას, საკუთრებისა თუ ფლობის ფორმების განსაზღვრას და ასევე, ეროვნული ბაზრის პროტექციონისტული დაცვის მეთოდებს.

მეცნიერ-ეკონომისტებიც დიდ ყურადღებას ამახვილებდნენ აგრარული სექტორის განვითარებასა და მის განმსაზღვრელ პოლიტიკაზე. კლასიკოსები (ა. სმიტი, დ. რიკარდო) აგრარული სექტორის განვითარების ძირითად ფაქტორად კაპიტალს მიიჩნევდნენ - ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვითა

<sup>21</sup> RUTTAN VERNON W.–Lectures on Technical and Institutional Change In Agricultural Development with comments by Syed Nawab Haider Naqvi, PAKISTAN INSTITUTE OF DEVELOPMENT ECONOMICS, ISLAMABAD, 1987, p. 14.

და შრომითი პროცესების სრულყოფით სექტორში შესაძლებელია ნაცოფიერების გადიდება.

განვითარების მაკროეკონომიკურ თეორიებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრარული სექტორის ტრანსფორმირებასა და განვითარებას. ამ მიმართულებით გამოყოფენ: ზრდის სტადიების თეორიებს (ლისტი, მარქსი); დუალისტური ეკონომიკის მოდელებს; სტრუქტურული ტრანსფორმაციის თეორიებს; დამოკიდებულების თეორიას.<sup>22</sup>

ვოლტ როსტოუმ მეოცე საუკუნის 60-იან წლებში ეკონომიკური ზრდის ეტაპების მოდელი განიხილა, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური ზრდა 5 ეტაპს გადის: 1) ტრადიციული საზოგადოება - **Traditional society**; 2) გარდამავალი სტადია - **Preconditions for take-off**; 3) ნახტომის სტადია - **Take-off**; 4) სიმწიფისკენ მოძრაობა - **Drive to maturity** და 5) მასობრივი მოხმარების სტადია - **Age of High mass consumption**.<sup>23</sup> თეორიის თანახმად ყვალა ქვეყანას სხვადასხვა სტადიაზე ყოფნის სხვადასხვა პერიოდი სჭირდება, თუმცა პირველი სტადიიდან ბოლო სტადიამდე გადასასვლელად შუალედურ გარდამავალ სტადიებში უნდა განისაზღვროს რამდენიმე სექტორი, რომელიც ზრდის საშუალებას მისცემს ქვეყანას და ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორი იქნება. გარდამავალ ეტაპზე ეს არის აგრარული სექტორი, ხოლო განვითარებულ სტადიაზე მრეწველობა იკავებს მოწინავე პოზიციებს. მცირდება აგრარული სექტორის წილი, თუმცა ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის მთავარ მამოძრავებელ ძალად რჩება.

ფონდმა “ლიბერალური აკადემია თბილისი” 2012 წელს განახორციელა კვლევა და გამოსცა “საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი”, რომელშიც მიმოხილულია სასოფლო-სამეურნეო დარგის ეკონომიკური როლის პონცეფციები საქართველოსთვის აგრარული სექტორის მნიშვნელობის განსაზღვრის მიზნით. კვლევა აყენებს საკითხს აგრობიზნესის განვითარების პოტენციალისა და მისი შეფარდებითი საგაჭრო უპირატესობის გამოყენების შესაძლებლობების შესახებ, ასევე, რა როლი შეიძლება დაეკისროს მას ქვეყანაში სიდარიბის დაძლევის საქმეში და რა რესურსების ჩადება იქნება ამისათვის აუცილებელი. კვლევა განიხილავს კლასიკური თეორიის წარმომადგენლების (ადამ სმიტი) შეხედულებებს ეკონომიკურ ზრდასთან

<sup>22</sup> Ruttan Vernon W. - Growth Stage Theories and Agricultural Development Policy, THE ECONOMIC WEEKLY, Vol. 17, Issue No. 32, 07 Aug, 1965, p. 1.

<sup>23</sup> Rostow Walt W. - The Stages of Economic Growth: A Non - Communist Manifesto, Third Edition, Cambridge University Press, 1990, p. 4.

მიმართებით, რომელიც წარმოადგენს პროცესს და მოითხოვს წარმოების ფაქტორების გადანაწილებას დაბალი შრომის მწარმოებლურობით გამორჩეული ტრადიციული სოფლის მეურნეობის სექტორიდან მაღალტექნიკოლოგიურ სექტორებში. უურადლება გამახვილებულია რობერტ მალთუსის წინააღმდეგობრივ შეხედულებაზე, რომელიც სოფლის მეურნეობას კლებადი მწარმოებლურობის სფეროდ მიიჩნევდა მიწის შეზღუდული რაოდენობისა და სამუშაო ძალის ზრდის პროპორციების ურთიერთშეთანწყობის შემთხვევაში. თუმცადა, შეიძლება ითქვას, რომ მოცემული არ გამართლდა - მოგვიანებით ტექნიკოლოგიების განვითარებამ დარგში სამუშაო ძალის გარევეული პროპორციებით გამოდევნას შეუწყო ხელი და პროდუქტიულობის ზრდის შანსებიც გაჩნდა.

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების საკითხის განხილვა სხვა დარგებისგან დამოუკიდებლად არავითარ შემთხვევაში არ უნდა ხორციელდებოდეს. სოფლის მეურნეობა გადაჯაჭვულია მრეწველობასთან. სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნიკოლოგიების დანერგვა, მანქანა-იარაღებით უზრუნველყოფა ზრდის საერთო პროდუქტიულობასა და შემოსავლებს. კლვევაში განხილულია სხვადასხვა მიდგომები მცირე და მსხვილი ფერმერული მეურნეობების პროდუქტიულობის შესახებ და ხდება დაშვება მცირე ფერმერული მეურნეობების პროდუქტიულობის ზრდისა იმ შემთხვევაში თუ ისინი შეძლებენ კოოპერირებას. ასევე, დასაბუთებულია სოფლის მეურნეობის სფეროს განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს მსგავსი ქვეყნებისათვის, სადაც კონცენტრაცია მცირე ფერმერების ძალიან დიდია, უმუშევრობა დომინირებს და აქვთ მცირე დივერსიფიკაცია და საექსპორტო შესაძლებლობები. მოცემული კი აგრარული სექტორის ხელშეწყობის საქმეში სახელმწიფო როლის მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

აქვე უნდა შევეხოთ ფიზიკურატების ეკონომიკურ მოძღვრებასაც, რომლებიც თვლიდნენ, რომ სიმდიდრე არ იქმნება მიმოქცევაში, იგი იქმნება წარმოებაში და მის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა (ფრანსუა კენე). ფრანსუა კენე მე-18 საუკუნის საფრანგეთის საზოგადოებას მწარმოებელ და უნაყოფო კლასებად ჰყოფდა. პირველს მიაკუთვნებდა სასოფლო-სამეურნეო მუშებსა და ფერმერებს, რომლებიც წმინდა პროდუქტს ქმნიდნენ, ხოლო უნაყოფო კლასში აერთიანებდა მეურნეობის სხვა დარგში დასაქმებულთ.

თავისთავად უნდა გავითვალისწინოთ ქართველი მეცნიერების მიდგომები აგრარული სექტორის განვითარებაში სახელმწიფოს როლის აუცილებლობასთან დაკავშირებით. მეცნიერთა დიდი ნაწილი (დ. ბაიდაური, ნ. სამგამუშვილი, ზ. ბერიძე,

**ლ. გაგვიშვილი)** გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე ორიენტირება თანამედროვე ინდუსტრიის უგულებელყოფის შემთხვევაში განაპირობებს ქვეყნის ჩამორჩენას, ასევე, არც მხოლოდ მრეწველობის პრიორიტეტულად შეფასება არის მართებული და აუცილებელია დარგებს შორის ბალანსის დაცვა, რადგან ეს ორი ურთიერთშემავსებელი სექტორია და ერთად ქმნის ქვეყნის ხერხემალს. მეცნიერები გადამწყვეტ როლს სექტორის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის სახელმწიფოს ანიჭებენ და ასაბუთებენ მის აუცილებელ მონაწილეობას აგრარული სექტორის ფინანსური უზრუნველყოფის (საკრედიტო, სადაზღვევო დაცვის) საქმეში.

**მეცნიერი გიგლა გაბაიძე** სადისერტაციო ნაშრომში “მეურნეობის ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ფუნქციონირებისა და მართვის სრულყოფის გზები აგრარულ სექტორში (აჭარის არ-ის მაგალითზე)” (2008) განიხილავს თანამედროვე მსოფლიოში გამოკვეთილ ბაზრის ორ ტიპს, რომელთაც პირობითად უწოდებს ლიბერალურ-ამერიკულ და სოციალურ-ევროპულს და მიიჩნევს, რომ საქართველოს ლიბერალურ-ამერიკული მოდელის უკიდურეს ფორმაზე გადასვლა დაიწყო ყოველგვარი მოსამზადებელი სამუშაოს გარეშე. თავისთავად მოცემულმა, ყველა სექტორზე იქონია გავლენა, მათ შორის აგრარულ სექტორზეც მეცნიერი გამორიცხავს ტრანსფორმაციის დინებაზე მიშვებას და რეფორმის სწორად განხორციელების მთავარ პასუხისმგებლად მთავრობას ასახელებს.

მეცნიერთა ნაწილი (ლ. გეგენავა, თ. ლაჭევეპიანი, ლ. შოშიაშვილი) განიხილავს ექსპერტების მიერ შემოთავაზებულ აგრარული სექტორის განვითარების სამ ძირითად მიმართულებას:

1. სურსათის მოთხოვნილების სამამულო წარმოების პროდუქციით დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული პოლიტიკა;
2. სურსათზე მოთხოვნილების იმპორტული პროდუქციით დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული პოლიტიკა;
3. შერეული (სურსათზე მოთხოვნილების როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე, იმპორტული პროდუქციით დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული) პოლიტიკა.

გარდავალ ეტაპზე აქცენტს აკეთებს შერეული პოლიტიკის მიღებაზე, ხოლო სამომავლო პერსპექტივაში განიხილავს მოთხოვნილების სამამულო წარმოების პროდუქციით დაკმაყოფილების შესაძლებლობებს კონკურენტული უპირატესობის მოპოვების მეშვეობით. მეცნიერები სრულიად გამორიცხავენ

უკიდურესი პოლიტიკის არჩევას, რაც მთლიანად სურსათზე იმპორტდამოკიდებულს გახდის ქვეყანას. ჩვენი აზრით ქვეყანას ნამდვილად აქვს შესაძლებლობა საკუთარი რესურსებით თვითუზრუნველყოფის წერტილს მიაღწიოს და გახდეს ექსპორტიორი სექტორში.

2012 წელს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ ევროპის კომისიის დაფინანსებით განხორციელდა სექტორის კვლევა. მოცემულ კვლევაში ყურადღება გამახვილებული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის კრახზე, რამაც განაპირობა სავარგულების საერთო ოდენობის 43%-ით შემცირება, ასევე, ერთ ჰექტარზე შემცირდა საშუალო პროდუქტის რაოდენობაც. მიუხედავად მშპ-ში სექტორის წილის შემცირებისა, ორგანიზაცია მას კვლავაც გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყანაში სიღარების დაძლევის მიმართულებით და გამოყოფს ძირითად პრობლემებს ამ მიმართულებით: ძირითად კაპიტალდაბანდებათა შემცირება, რუსეთის ემბარგო, მსოფლიო ეკონომიკის რეცესია, კრედიტებზე შეზღუდული მისაწვდომობა, სოფლის მეურნეობაში სათანადო კვლევითი, საგანმანათლებლო და სასწავლო სისტემების არარსებობა; საირიგაციო სისტემებისა და სხვა ინფრასტრუქტურის სავალალო მდგომარეობა, შინაური პირუტყვის ფართოდ გავრცელებული დავადებები. ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს ხარისხსა და ცოდნაზე, როგორც ყველაზე დიდ პრობლემაზე სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.<sup>24</sup>

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ სამთავრობო პოლიტიკა მკვეთრად განსხვავებულია წინა მთავრობის მიდგომებისაგან მოცემულ სექტორში, რამაც განაპირობა ბევრი ზემოთ აღნიშნული პრობლემური პუნქტის თანამედროვე პირობებში აღმოფხვდა ან შემცირება. თუმცადა, მნიშვნელოვანი პრობლემები, მაგალითად, რომელიც უკავშირდება ხარისხს, ცოდნასა და ტექნოლოგიებს კვალავც რჩება და მნიშვნელოვან სამუშაოებს მოითხოვს ამ მიმართულებით.

როგორც ვხედავთ, არაერთი მეცნიერი აგრარულ სექტორს ქვეყნის განვითარების რელსებზე დაყენების მნიშვნელოვან ამოსავალ წერტილად განიხილავს, მაგრამ სექტორს არ შეუძლია ეს თვითდინებით განახორციელოს, ამისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მიზანმიმართული პოლიტიკა და სწორად გათვალისწინებული სტრატეგია.

<sup>24</sup> [http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/Georgia\\_Assesment\\_FINAL\\_GEO\\_GEO.pdf](http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/Georgia_Assesment_FINAL_GEO_GEO.pdf)

## **2.2. აგრობიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის სახელმწიფო პროექტები და მათი ანალიზი**

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2012 წლიდან ახალი მთავრობის პირობებში განხორციელდა აგრარული სექტორის მიმართულებით პოლიტიკის ცვლილება, შემუშავდა არაერთი ხელშემწყობი პროექტი და დაიგეგმა ფინანსური უზრუნველყოფის რამდენიმე პროგრამა. მოხდა აგრარული სექტორის მიმართულებით საბიუჯეტო ასიგნებების ზრდა. ექსპერტების მიერ აღნიშნული ნაბიჯები დადებითად იქნა შეფასებული სექტორის განვითარების მიმართულებით. თავისთავად, მნიშვნელოვანია არა მარტო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, არამედ გატარებული ღონისძიებების შედეგების შეფასება, რათა მოხდეს შემდგომ ეტაპებზე გარემოებიდან გამომდინარე შესაბამისი ცვლილებების დროული ინიცირება და რეალიზება.

კონკრეტულ შემთხვევაში გვინდა მცირედით მიმოვიხილოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული რამდენიმე პროექტი და მათი შედეგები. რაც დაგვეხმარება გარკვეული კავშირ-ურთიერთობა გამოვავლინოთ ქმედებასა და შედეგების ასახვას აგრარული სექტორის ზრდის მიმართულებით. უშალოდ დაკრედიტების პროექტებს შინაარსობრივ დონეზე კი მე-3 თავში განვიხილავთ დეტალურად.

2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით ფაქტიურად გამოიყო სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის (კოდი 37 00) 227 მლნ. ლარი, შეგვიძლია გამოვყოდ მსხვილი კატეგორიები ამ მიმართულებით. სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციაზე (კოდი 37 01 03) დაიხარჯა 61 მლნ. ლარი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის დონისძიებებზე (კოდი 37 01 05) 227 ათასი ლარი, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტზე (37 01 07) – 6.5 მლნ. ლარი, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსებაზე (კოდი 37 01 11) – 22.4 მლნ. ლარი. ჯამურად სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაზე მიმართული იყო 174.9 მლნ ლარი.<sup>25</sup>

2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ზემოთ მოყვანილი კოდების მიხედვით ასიგნებებს შემდეგი მოცულობები ჰქონდა: საერთო ჯამში ასიგნებებმა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის შეადგინა 256.7 მლნ. ლარი. აქედან სამელიორაციო

<sup>25</sup> საქართველოს კანონი “საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ”, საქართველოს პარლამენტი, ქუთაისი, 12.12.2014, თავი VI, მუხლი 15.

სისტემების მოდერნიზაციაზე გამოყოფილი იქმ 50 მლნ. ლარი. სასოფლო-სამეურნეო კოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებებზე 801 ათასი ლარი, შედავათიანი აგროკრედიტის პროექტზე 42.8 მლნ. ლარი, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსებაზე 0 ლარი. აღნიშნულ წელს ასიგნებების გამოყოფა დამატებით მოხდა მცირემიშიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებებზე 50 მლნ. ლარის ოდენობით. ამავე წელსვე დაიწყო აგროდაზღვევის პროექტი, რომლის უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის გამოიყო 10 მლნ. ლარი. ჯამში ასიგნებებმა სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამებისათვის 198 მლნ. ლარი შეადგინა.

2015 წლისათვის საბიუჯეტო პროექტი აღნიშნული (მთლიანად სოფლის მეურნეობის) მიმართულებით ითვალისწინებდა ასიგნებებს 265.5 მლნ. ლარის ოდენობით. გეგმა შემდგენაირად იქნა გაწერილი: სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია - 67.1 მლნ. ლარი. სასოფლო-სამეურნეო კოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები - 3.3 მლნ. ლარი, შედავათიანი აგროკრედიტის პროექტი - 30 მლნ. ლარი, მცირემიშიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები - 50 მლნ. ლარის ოდენობით. აგროდაზღვევის პროექტი - 10 მლნ. ლარი. ჯამში ასიგნებებმა სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამებისათვის 208 მლნ. ლარი შეადგინა გეგმით.<sup>26</sup>

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის თანახმად 2015 წლის ასიგნებების ფაქტიურმა მაჩვენებლებმა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის 314 მლნ. ლარი შეადგინა, აქედან შედავათიანი აგროკრედიტის პროექტზე ფაქტიურად 34.5 მლნ. ლარი გამოიყო.<sup>27</sup> აგროდაზღვევაზე რეალურად ასიგნებების მოცულობამ 4.7 მლნ. ლარი შედგინა, დანერგე მომავალი - 1.8 მლნ. ლარი, მცირემიშიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებებზე - 46 მლნ. ლარი, სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებზე - 70 მლნ. ლარი, სასოფლო-სამეურნეო კოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები - 2.5 მლნ. ლარი. ჯამში 2015 წელს ერთიან აგროპროექტზე 146 მლნ. ლარი გამოიყო და დაიხარჯა. აღნიშნული კანონით განსაზღვრულია 2016 წლისა და 2017 წლის გეგმა ასიგნებებისთვის (**იხ. ცხრილი №2**).

<sup>26</sup> საქართველოს კანონი “საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ”, საქართველოს პარლამენტი, ქუთაისი, 12.12.2014, თავი VI, მუხლი 15.

<sup>27</sup> საქართველოს კანონი “საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ”, საქართველოს პარლამენტი, ქუთაისი, 14.12.2016, თავი VI, მუხლი 15.

**ცხრილი №2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით (მლნ. ლარი)<sup>28</sup>**

დასახელება	ფაქტი 2015	გეგმა 2016	გეგმა 2017
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	314	321	258
ერთიანი აგროპროექტი	146	138	95
შეღავათიანი აგროკრედიტები	35	41	47
აგროდაზღვევის უზრუნველყოფის დონისძიებები	5	9	7
პროგრამა დანერგე მომავალი	1.8	5	7
მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო პროგრამა	46	48	0
სასოფლო-სამურნეო კოოპერატივების პროგრამა	2.5	7.2	4.9
სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია	70	91.5	78

აქვე უნდა შევეხოთ საბიუჯეტო უწყებების მიერ პროგრამებს/ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილების მასშტაბურობისა და სისმირის საკითხებს, რაც ბიუჯეტის ფორმირების პროცესში არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზებზე მიუთითებს.<sup>29</sup> მაგალითად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში (37 00) 2015 წლის 8 თვის მდგომარეობით განხორციელდა 22 ხარჯთაღრიცხვის ცვლილება, რომელთა ჯამურმა თანხამ 5,441 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, პროგრამებსა და ქვეპროგრამებს შორის გადანაწილებული თანხის ოდენობამ 4,573 ათასი ლარი შეადგინა. ასევე, პრობლემას წარმოადგენს ასიგნებების აუთვისებლობის საკითხი, რაც, თავისთავად, ხაზს უსვამს სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში არსებულ ხარვეზებს.

მაგალითად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (37 00) ასიგნებების თავდაპირველი გეგმა 292,900 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, თუმცა, ბიუჯეტის კანონის ცვლილების შედეგად 267,450 ათას ლარამდე შემცირდა.

<sup>28</sup> წყარო: საქართველოს კანონი ”საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ”, საქართველოს პარლამენტი, ქუთაისი, 14.12.2016, თავი VI, მუხლი 15.

<sup>29</sup> მოხსენება საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, თბ., 2015, გვ. 10.

8 თვის მდგომარეობით სამინისტროს მიერ გახარჯული ფულადი სახსრების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო და 9 თვის დაზუსტებული გეგმის 84.4% შეადგინა. თუმცა, ზოგიერთი ქვეპროგრამა მაინც დაბალი ათვისების ტენდენციით ხასიათდებოდა. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის დონისმიებების“ ქვეპროგრამის (37 01 05) ასიგნებები 4,320 ათასი ლარიდან 3,280 ათას ლარამდე შემცირდა, მიუხედავად ამისა, 8 თვის საკასო ხარჯი 1,127 ათას ლარს შეადგენს, რაც 9 თვის დაზუსტებული გეგმის 53.6%-ს და წლიური გეგმის 34.4%-ს უტოლდებოდა. ასევე, „აგროსექტორის ხელშეწყობა/განვითარების“ ქვეპროგრამის (37 01 12) ასიგნებები ბიუჯეტის კანონის ცვლილების შედეგად 34,100 ათასი ლარიდან 17,650 ათას ლარამდე შემცირდა, მაშინ როდესაც, 8 თვის მდგომარეობით, ათვისებული ასიგნებების ოდენობამ 4,955 ათასი ლარი და 9 თვის გეგმის 38.6% შეადგინა (იხ. დანართი №10).<sup>30</sup>

გასათვალისწინებელია, რომ ზემოთ აღნიშნული ქვეპროგრამების მიხედვით ასიგნებების ზრდა დაიგეგმა, მიუხედავად წინა წლის გეგმის შეუსრულებლობისა ან ჩამორჩენისა (იხ. ცხრილი №3). ასევე, გასათვალისწინებელია 2014 წლის პერიოდი როდესაც აღნიშნული პროგრამების მიხედვით ასევე არ მოხდა გამოყოფილი ასიგნებების სრული ხარჯვა, თუმცა, შემდგომი წლის ბიუჯეტში ასიგნებების ზრდა იქნა გათვალისწინებული. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის დონისმიებების“ ქვეპროგრამის ფარგლებში 2014 წლის განმავლობაში ათვისებული იქნა 802 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმური მაჩვენებლის 67%-ს შეადგენს. 2015 წელს 8 თვის მდგომარეობით აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გაწეულმა საკასო ხარჯმა 1,127 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2015 წლის ბიუჯეტის კანონით (ცვლილება) განსაზღვრული წლიური გეგმის მხოლოდ 34.4%-ია.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, 2016 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნების ოდენობა 120.7%-ით გაიზრდა და 7,240 ათასი ლარი შეადგინა (იხ. ცხრილი №3);<sup>31</sup> ასევე, 2016 წლის 22 დეკემბერს მთავრობამ მოახდინა საბიუჯეტო ასიგნებების ცვლილება - აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში დარჩენილი 1.3 მლნ. ლარი მიმართულ იქნა ქვეპროგრამის „შედაგათიანი აგროკრედიტების“ დასაფინანსებლად.<sup>32</sup>

<sup>30</sup> მოხსენება საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, თბ., 2015, გვ. 81.

<sup>31</sup> დასკვნა „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, თბ., 2016, გვ. 23.

<sup>32</sup> საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 დეკემბერის განკარგულება №2610 “შედაგათიანი აგროკრედიტის დასაფინანსებლად გასატარებული დონისმიების შესახებ”, თბ., 2016.

ცხრილი №3. 2015 წელს დაბალი ასიგნებების მქონე პროგრამები/ქვეპროგრამები, რომელთა ასიგნებები გაიზარდა საქართველოს 2016 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით<sup>33</sup>

ორგანიზაციონური კოდი	დასახელება	2015 წლის გეგმა (ცვლილება)	8 თვის ათვისება (გეგმასთან)	2016 წლის კანონის პროექტი	გეგმის %-დი ზრდა
37 01 05	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები	3,280	34.40%	7,240	120.70%
37 01 10	აგროსექტორის ხელშეწყობა/განვითარება	17,650	28.10%	28,500	61.50%

თავისთავად უნდა მიმოვინდოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტები და მათი შედეგები ფინანსური უზრუნველყოფის საკითხში.

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტები და მათი შედეგები:**

- „შედავათიანი აგროკრედიტის პროექტი“. პროექტი 2013 წელს დაიწყო და დღესაც წარმატებით ხორციელდება. პროექტის მიმდინარეობის პარალელურად, მუდმივად ხორციელდება ახალი კომპონენტების დამუშავება და უპვე არსებულის სრულყოფა. თავდაპირველად გამოიკვეთა პროექტის სამი კომპონენტი: 1. უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისთვის - 0%-ად; 2. შედავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის - არაუმეტეს 8%-ით (საბრუნავი საშუალებებისა და მარაგების შესყიდვის დაფინანსება მოკლე ვადით); 3. შედავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის არაუმეტეს 3%-ით (ძირითადი საშუალებებისა და ტექნოლოგიების დაფინანსება ხანგრძლივი პერიოდით).<sup>34</sup>

2013 წელსვე პროექტის მიმდინარეობის პროცესში მოხდა პროექტისათვის რამდენიმე კომპონენტის დამატება: 4. შედავათიანი აგროლიზინგი - არაუმეტეს 3%-ით; 5. შედავათიანი აგროკრედიტი ყურძნის გადამამუშავებელი კომპანიებისათვის; 6. შედავათიანი აგროკრედიტი ციტრუსის ექსპორტითი და გადამამუშავებელი

<sup>33</sup> წერო: მოხსენება საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

<sup>34</sup> <http://eugeorgia.info/ka/article/198/shegavatiani-agrokreditis-proeqti-minidinare-welsac-gagrdzeldeba>

კომპანიებისათვის; 7. შედავათიანი აგროკრედიტი თანმხედრი გრანტით დაფინანსებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის.

შედავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაცემული სესხები. 2013 წლის მდგომარეობით, პირველი კომპონენტის ფარგლებში 2,686 ბენეფიციარზე სულ გაცემულია 1,106,817 ლარის ოდენობის სასაქონლო განვადება. მე-2 კომპონენტში 5,685 ბენეფიციარზე სულ გაცემულია 111,873,523 ლარის ოდენობის კრედიტი, ხოლო მე-3 კომპონენტში 366 ბენეფიციარზე სულ გაიცა 42,843,283 აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი (იხ. დანართები №15-16-17-18). საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით აგროკრედიტების ჯამურმა პორტფელმა შემდეგი მოცულობები შეადგინა: 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: 59 მლნ. ლარი; 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: 154 მლნ. ლარი; სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემებით აგროკრედიტების ჯამურმა პორტფელმა შემდეგი მოცულობები შეადგინა: 2013 წლის 27 მარტი - 0 ლარი; 2014 წელი, 4 აპრილი - 287 მლნ. ლარი.<sup>35</sup>

იურიდიული სტატუსის მიხედვით მე-2 კომპონენტის ბენეფიციართა უმრავლესობა არამეწარმე ფიზიკური პირია - სულ 5,197, ხოლო მეწარმე ფიზიკური პირები (ინდ. მეწარმეები) და იურიდიული პირები ჯამში შეადგენენ 488-ს. დაფინანსებული დარგებიდან ყველაზე მეტი სესხი გაცემულია მესაქონლეობაზე, მეცხვარეობაზე, სასაობურე მეურნეობებსა და მარცვლეულის წარმოებაზე.<sup>36</sup>


2014 წელს მოცემული პროექტის ფარგლებში გაიცა 18,333 კრედიტი 480,416,394 ლარის ოდენობით (იხ. გრაფიკი №2). სულ 2013-2014 წლებში ჯამურად გაცემული კრედიტების საერთო თანხამ 722,766,960 ლარი შეადგინა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაიხსნა 89 ახალი საწარმო. პროექტის ფარგლებში პროცენტის თანადაფინანსების სახით 2013-2014 წლებში სულ სააგენტოს მიერ გადახდილია 33,415,703 ლარი, მათ შორის, 2014 წელს გადახდილია 29,292,587 ლარი.<sup>37</sup> მე-2 და მე-3 კომპონენტებით სულ ისარგებლა 21,611 ბენეფიციარმა ჯამში 561,131,794 ლარის ოდენობის სესხით. აქედან ყველაზე მეტი ბენეფიციარი (9,646) წარმოდგენილი იყო კახეთის რეგიონიდან, რომლებმაც ჯამურად აიღეს 271,062,156 ლარის სესხი.

<sup>35</sup> წლიური ანგარიში 2013 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2014, გვ. 7.

<sup>36</sup> იხ. იქნა გვ. 9.

<sup>37</sup> წლიური ანგარიში 2014 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2015, გვ. 28.

გრაფიკი №2. საქართველოში “შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის” მიხედვით საბიუჯეტო ასიგნენებისა და გაცემული სესხების დინამიკა ლარში 2013-2016 წლებში<sup>38</sup>



2014 წლის მონაცემებით, აგროსასურსათო სექტორში სულ მოქმედებს 3,733 საწარმო, მათგან 1,507 საწარმო განთავსებული იყო თბილისში (მთლიანად საწარმოებში ზომის მიხედვით მცირე საწარმოები 3,206 ერთეული 86%-ს შეადგენენ, საშუალო ზომის საწარმოები – 321 ერთეული 8.6%-ს, ხოლო მსხვილი საწარმოები 202 ერთეული – 5.4%-ს). 2015 წელს ადნიშნული მაჩვენებელი 4,131 საწარმომდე გაიზარდა (მათ შორის, 1,541 საწარმო განთავსებული იყო თბილისში).<sup>39</sup> ზომის მიხედვით მათგან 86.1% წარმოადგენდა მცირე საწარმოს, საშუალო ზომის საწარმოების წილმა შეადგინა 7.6% და მსხვილი საწარმოების წილმა – 6.2%.

<sup>38</sup> გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების საფუძველზე, ლარისა და ლოდარის გაცვლითი კურსი სოფლის მიერთებულია მაჩვენებელი - 2.5.

<sup>39</sup> წლიური ანგარიში 2015 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2016, გვ. 14.

ფუნქციურად საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილის საქმიანობას აგროსასურსათო პროდუქციის გადამუშავება წარმოადგენს – 82.3%, დანარჩენის 17.7%-ის საქმიანობას პირველადი წარმოება წარმოადგენს, მათ შორის 87% მცირე საწარმოა. თავისთავად, აღნიშნული ორი ტენდენცია, მცირე საწარმოების მრავალრიცხოვნობა და პირველადი გადამუშავების მიმართულებით მომუშავე საწარმოების მცირე რაოდენობა გარკვეული ანალიზის გაკეთების საფუძველს გვაძლევს – აგრარულ სექტორში მომუშავე/ფუნქციონირებადი მეწარმეების უმეტესობას წვრილი ფერმერული მეურნეობები შეადგენენ, გადამამუშავებელი საწარმოებისათვის ნედლეულის მიმწოდებელი პირველადი წარმოების საწარმოებია, კონკრეტულ შემთხვევაში კი უკანასკნელს ისევ და ისევ მცირე საწარმოები წარმოადგენენ (86.6%), რომელთა ბრუნვა და შექმნილი დირებულება ვერ იქნება იმ ოდენობის, რომ გადამამუშავებელი საწარმოების მოთხოვნა დააკმაყოფილოს. რაც განაპირობებს ერთი მხრივ წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის იმპორტის აუცილებლობას, მეორე მხრივ კი - სურსათის იმპორტზე დამოკიდებულებას.

ზემოთ აღნიშნული საკითხი მეორე პრობლემის სათავეს წარმოადგენს – უცხოური ვალუტის გადინების პრობლემას. თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის სასურსათო ხარჯების წილს მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში (იხ. დანართი №2), რომელიც 2015 წელს 44%-ს შეადგენდა, ასევე, სურსათის მიმართულებით იმპორტ-გქსპორტის თანაფარდობას (სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015 წლის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 611.9 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, საქართველოში იმპორტირებულია 1.1 მლრდ. აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია),<sup>40</sup> ცხადია დავინახავთ, რომ აუცილებელია იმპორტდამოკიდებულებისა და ვალუტის გადინების შესამცირებლად აგრარულ სექტორში გადამამუშავებელი მიმართულების ზრდასთან ერთად პირველადი წარმოების ზრდა.

2015 წელს პროექტის ფარგლებში გაიცა 186,731,375 ლარის და 58,607,572 დოლარის, სესხი და ლიზინგი, სულ 3,986 სესხი. 2013-2015 წლებში პროექტის ფარგლებში 9 ბენეფიციარზე გაიცა აგროლიზინგი 918,465 დოლარის ოდენობით. საბრუნავ საშუალებებზე 373,486,317 ლარი და 17,439,897 დოლარი, ხოლო, ძირითად საშუალებებზე 312,671,987 ლარი და 144,726,458 დოლარი.

---

<sup>40</sup> წლიური ანგარიში 2015 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2016, გვ. 15.

2016 წელს კვების მრეწველობაში შემცირება შეინიშნება – 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით წარმოება 104 მლნ. ლარით შემცირდა.<sup>41</sup> მშპ-ში პროცენტული წილის მიხედვით მთლიანი აგრარული სექტორის წილი 2015 წლის მაჩვენებელზეა შენარჩუნებული 15.8%, ფაქტიურად ზრდა ამ მხრივ არ შეინიშნება. თუ აგროსექტორის შემადგენლობის გამოშვების მაჩვენებლებს დეტალურად განვიხილავთ, შევნიშნავთ, რომ კატეგორია “ხილის, კაკლის, სასმელებისა და სუნელ-სანელებლების წარმოებისათვის საჭირო კულტურების მოყვანა” შემცირება ფიქსირდება 104 მლნ-ით, ასევე, “ბოსტნეულის მოყვანა, სპეციალიზებული მებაღეობა და სანერგე პროდუქციის წარმოება” ამ კატეგორიაში გამოშვება 27 მლნ. ლარით შემცირდა (გასათვალისწინებელია, რომ 2015 წლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა პროგრამა “დანარგე მომავალი”, რომელიც ითვალისწინებს მრავალწლოვანი ბაღებისა და სანერგე მეურნეობების თანადაფინანსებას. თუმცა, ეს პროგრამა გრძელვადიან ზრდაზე აკეთებს აქცენტებს მებაღეობის ნაწილში, შედეგების შეფასება მოკლევადიან პერიოდში არ იქნება გამართლებული, განსხვავებით სანერგე მეურნეობებისა, რომლის მიხედვითაც რეალური ზრდა არ გამოიხატება ჯერჯერობით). ზრდა დაფიქსირდა მეცხოველეობის მიმართულებით 358 მლნ. ლარი, მარცვლოვანი კულტურების კატეგორიაში 7 მლნ. და სასოფლო-სამეურნეო მომსახურების კატეგორიაში 55 მლნ. ლარი. ცალსახაა, მემცენარეობის მიმართულებით გამოშვება მცრიდება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აგროდაზღვევის ხელშეწყობის აუცილებლობასა და სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი ათვისების მნიშვნელობას.

რაც შეეხება შედავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 2016 წელს გაცემულ კრედიტებს, შემდეგი სურათია: სულ გაიცა 1,891 სესხი და ლიზინგი, მათ შორის: 1,056 სესხი - 73,663,191 ლარის ოდენობით, 835 სესხი - 52,379,899 დოლარის ოდენობით. სესხების უმეტესი რაოდენობა გაცემულია შემდეგ დარგებში: მესაქონლეობა (10,000-ზე მეტი), მეცხვარეობა (3,500-მდე), მემცენარეობა (2,100-მდე).<sup>42</sup> რაც კიდევ ერთ ფაქტორს გამოჰყოფს აგრარული სექტორის გამოშვებაში ცვლილებების დინამიკის შესაფასებლად – მემცენარეობა მცირდება, მეცხოველეობის გამოშვება კი პირიქით - 358 მლნ. ლარით იზრდება.

**2. აწარმოე საქართველოში - აგრონაწილი.** 2014 წლიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის

<sup>41</sup> წლიური ანგარიში 2016 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ობ., 2017, გვ. 11.

<sup>42</sup> იბ. იქვე, გვ. 22.

სამინისტრომ ერთობლივი ინიციატივით წამოიწყეს ახალი სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განხორციელება. პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში მეწარმეობის განვითარებას, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობას, ამასთანავე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებისა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მეშვეობით. პროგრამა მოიცავს სამ კომპონენტს: ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას, ფიზიკური ინფრასტრუქტურის გადაცემასა და საკონსულტაციო მომსახურებას.

„აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში ასევე ხორციელდება მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა რაც მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას - მეწარმეების დაფინანსებისა და ცოდნის ამაღლების გზით. პროგრამას ახორციელებს სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო კონტრაქტორი არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით. კონკურსის პირობებში გამოვლენილ საუკეთესო ბიზნეს იდეის ავტორებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ სპეციალური ტრენინგი, შეადგინონ პროფესიონალური ბიზნეს-გეგმა და კონკურსის წესით მოიპოვონ თანადაფინანსება (5,000 ლარამდე 1 მეწარმე, 10,000 ლარამდე 2 მეწარმე, 15,000 ლარამდე 3 მეწარმე) მის განსახორციელებლად. თანადაფინანსების მოპოვების შემთხვევაში მეწარმეს მოეთხოვება თანადაფინანსების სულ მცირე 20%-ის ოდენობის ფულადი თანამონაწილეების ბიზნესში.

აგროსექტორის ხელშეწყობის მიმართულებით აღნიშნული პროგრამის შედეგები ასე გამოიყურება: 2014 წელს გაფორმდა 9 შეთანხმება. დამტკიცებული სესხების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა 14,670,000 აშშ დოლარი. დამტკიცებული პროექტების დარგობრივი დივერსიფიკაცია შემდგენაირად გამოიყურება: 2-2 საწარმო სასათბურე მეურნეობასა და ოევზის ფქვილის და ზეთის წარმოებაში, თითო-თითო საწარმო სახორცე ქათმის წარმოებაში, რძის წარმოებაში, ჩაის დაფასოებაში, სოკოს წარმოებასა და სამაცივრე/სასაწყობე მეურნეობაში.<sup>43</sup> 2014-2015 წლებში დაფინანსდა 5 ახალი საწარმო.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით 2013-2016 წლებში, საქართველოს მასშტაბით გაიხსნა 154 ახალი და გაფართოვდა 700 საწარმო. სრულმა

<sup>43</sup> წლიური ანგარიში 2015 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2016, გვ. 22.

ინგესტიციამ შეადგინა 125,338,908 აშშ დოლარი, საიდანაც ბენეფიციარის მიერ გაწეული ინგესტიციის ოდენობა - 66,914,197 აშშ დოლარს შეადგენს, შეღავათიანი აგროკრედიტით მიღებული დაფინანსება - 54,340,193 აშშ დოლარს, ხოლო გრანტი - 4,084,518 აშშ დოლარს.<sup>44</sup>

**3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება.** პროექტი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი ახალი საწარმოების შექმნით დაინტერესებული კომპანიებისათვის (მათ შორის კოოპერატივებისათვის) ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას. ფინანსური დახმარება ითვალისწინებს შეღავათიან აგროკრედიტს ან ლიზინგს და თანმხვედრ გრანტს, ხოლო ტექნიკური - დახმარებას ბიზნეს-გეგმის შედგენაში, დანადგარების მოძიებასა და შერჩევაში, პერსონალის მომზადებაში, ნედლეულის პოტენციურ მომწოდებლებთან კომუნიკაციაში და ა.შ.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში პროექტის დაწყებიდან 2016 წლის ჩათვლით სულ 34-მა ბენეფიციარმა ისარგებლდა. აქედან გადამამუშავებელმა საწარმოებმა (სულ 31 ერთეული) 19,865,757 აშშ დოლარის საინვესტიციო პროექტის ფარგლებში პროგრამის თანადაფინანსება 7,212,669 აშშ დოლარის ოდენობით მიიღეს. 2016 წელს შემნახველ საწარმოთა კომპონენტის ფარგლებში დამტკიცდა 3 პროექტი, ჯამური საინვესტიციო ღირებულებით 1,759,058 აშშ დოლარი. სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 689,468 დოლარი.<sup>45</sup>

**4. „მცირებიშიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“.** პროგრამა თავიდან სამწლიან პერიოდს მოიცავდა და მთელი ქვეყნის მასშტაბით 800 ათას ბენეფიციარზე იყო გათვლილი. პროგრამა მეოთხე წელსაც გაგრძელდა. 2013 წელს სახელმწიფო მონაწილეობა იყო განსაკუთრებით მაღალი - სახელმწიფოს მხრიდან უფრო დიდი თანხა დაიხარჯა, ვიდრე გლეხებისა და ფერმერებისგან. 2014 წელს სახელმწიფოსა და გლეხების მონაწილეობა გათანაბრდა. მოცემული პროექტის ბენეფიციარები არიან ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ 1.25 ჰექტრის ჩათვლით ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. ფერმერები ამ პროექტის ფარგლებში სარგებლობენ ორი სახის ბარათით: 1) მიწის მოსახნავი ბარათითა და 2) „ლიბერთი“ ბანკის აგრობარათით. ბანკი ბენეფიციარს უფასოდ გადასცემს აგრობარათს, რომლის გამოიყენებაც შეუძლია ხვნა-თესვისთვის და

<sup>44</sup> წლიური ანგარიში 2016 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2017, გვ. 30.

<sup>45</sup> იბ. იქვე, გვ. 27.

საბანკო ოპერაციებისთვის. სასუქის, პესტიციდებისა და სათესლე მასალის შეძენა მხოლოდ საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში ჩართულ მაღაზიებშია შესაძლებელი.

2013 წელს პროექტის ფარგლებში მოიხს 207,322 პა მიწის ფართობი.<sup>46</sup> 710,385 ბენეფიციარმა მიიღო 195,545,543 ლარის დირებულების სასოფლო-სამეურნეო ბარათი (კომბინირებული და ნომინალური).

2014 წელს 757,145 ბენეფიციარმა ისარგებლა 51,895,536 ლარის დირებულების სასოფლო-სამეურნეო საქონლითა და 18,059,387 ლარის დირებულების ხვის სამუშაოების მომსახურებით. სულ პროექტის ფარგლებში მოიხს 220,466 პა ფართობის მიწა.<sup>47</sup> 2015 წელს პროექტის ფარგლებში დამუშავდა 225,200 პა მიწის ფართობი. 767,018 ბენეფიციარმა მიიღო ჯამში 48,368,778 ლარის სარგებელი.<sup>48</sup> ანალოგიურად 2016 წელს დამუშავდა 222,753 პა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი და 50,777,652 ლარის დირებულების სარგებელი მიიღო 772,626 ბენეფიციარმა.<sup>49</sup>

ასევე, სს „საპარტნიორო ფონდი“ არის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი რომელიც დაარსდა 2011 წელს და ახორციელებს ინვესტიციების წახალისებას საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.). ფონდის პორტფელშია რამდენიმე პროექტი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, რომელთა ჯამური დირებულება აღემატება 1 მლრდ. აშშ დოლარს. ფონდისთვის მნიშვნელოვანი სექტორებია: ენერგეტიკა, აგრობიზნესი, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა.<sup>50</sup> ფონდი კაპიტალის 50%-ით აფინანსებს სოფლის მეურნეობის სექტორში წარმოდგენილ იმ პროექტებს, რომელთა საერთო საინვესტიციო მოცულობაც არის მინიმუმ 5 მლნ. ლარი, ხოლო სხვა სექტორებში ეს ნიშნული მინიმუმ 30 მლნ. ლარია.

აღნიშნული ფონდის მიერ განხორციელდა რამდენიმე პროექტის მხარდაჭერა აგრობიზნესის მიმართულებით, მათ შორის: 1) სასათბურე მეურნეობა - „იმერეთი გრინერი“ სამტრედიის რაიონიში 4.6 მილიონდოლარიანი საინვესტიციო მოცულობით 2016 წელს, 2) ლურჯი მოცვის პლანტაცია და გადამამუშავებელი საწარმო - Vanrik

<sup>46</sup> წლიური ანგარიში 2013 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2014, გვ. 2.

<sup>47</sup> წლიური ანგარიში 2014 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2015, გვ. 30.

<sup>48</sup> წლიური ანგარიში 2015 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2016, გვ. 28.

<sup>49</sup> წლიური ანგარიში 2016 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2017, გვ. 31.

<sup>50</sup> [http://www.fund.ge/geo/who\\_we\\_are/4](http://www.fund.ge/geo/who_we_are/4)

Agro ოზურგეთის რაიონში 6.7 მილიონდოლარიანი საინვესტიციო მოცულობით 2015 წელს, 3) მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობა - კალანდა ქვემო ქართლში 5 მილიონდოლარიანი საინვესტიციო მოცულობით 2013 წელს. უკანასკნელ კომპანიას "საქართველოს ბანკმა" 4.4 მილიონი დოლარი, ხოლო "საპარტნიორო ფონდმა" 1.3 მილიონი დოლარი გამოუყო. ბიზნესი წარმატებული გამოდგა, რის შედეგადაც "კალანდამ" ფონდისგან წილის გამოსყიდვა შეძლო, თუმცა, ზუსტად ერთი წლის შემდეგ კლასიკური დორის ცხელებამ 10 ათასი სული დორი გაანადგურა. კომპანიის მატერიალურმა ზარალმა 2 მილიონ ლარს გადააჭარბა.<sup>51</sup>

აქვე უნდა შევეხოთ იმ პროგრამებს, რომლებსაც საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები ახორიციელებენ საქართველოში აგრარული სექტორის განვითარების მიმართულებით. პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ევროკავშირის 2012 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცს: "ENPARD საქართველოს" პროგრამას (52 მილიონი ევრო). პროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაზრდა და სოფლის განვითარება. იგი ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებას, მცირე ფერმერთა ასოციაციების განმტკიცებასა და ქვეყანაში სურსათის უვნებლობის სისტემის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის თვალსაზრისით.

არაერთი პროექტი დაინერგა და განხორციელდა რეგიონალური განვითარებისა და ფერმერული მეურნეობების ხელშეწყობისათვის საქართველოს მთავრობის პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან. მათ შორის შეგვიძლია განვიხილოთ "რეგიონალური განვითარების ასოციაციის" RDA-ს მიერ განხორციელებული პროექტები, რომლებსაც BP-დაფინანსების ქვეშ ახორციელებდა. "ადგილობრივი განვითარების ინიციატივა", მოწოდებული იყო ბაქო-თბილის-ჯეიპანის მილსადენის გასწვრივ არსებულ დასახლებებში ეკონომიკური და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობისაკენ. პროექტი აქცენტს აკეთებდა სასოფლო-სამეურნეო მომსახურების გაფართოებაზე მიზნობრივი ოჯახების შემოსავლების გაზრდის მიზნით. პროექტმა მოიცვა 2010-2012 წლები და მისმა მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 1,865,081 აშშ დოლარი.<sup>52</sup> პროექტი 2012 წლის მაისიდან კვლავ გაგრძელდა 2015 წლამდე და ბიუჯეტმა შეადგინა 1,585,962 აშშ დოლარი. 2015 წლის ივნისიდან ასოციაციამ კიდევ მოიპოვა მოცემული პროექტის გაგრძელების უფლება 2018 წლის ივნისამდე, რომელიც უფრო მეტად არის

<sup>51</sup> <https://bpn.ge/biznesi/13955-meghoreobis-ferma-qkalandaq-meore-sicockhles-itsyebs.html?lang=ka-GE>

<sup>52</sup> <http://www.rda.org.ge>

ორიენტირებული ინფრასტრუქტურის თანადაფინანსებაზე, ფერმერებისათვის ტრენინგების ჩატარებისა და დაფინანსების გამოყოფაზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი (USAID/REAP), რომელსაც აფინანსებს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო და ახორციელებს (CNFA) გამიზნულია სოფლად სამუშაო ადგილების შექმნისა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდისთვის, ასევე ინიცირებას უკეთებს აგრობიზნესში ინვესტიციების მოზიდვისა და ტექნიკური დახმარების გაწევას. პროექტი აგრობიზნესში ქალთა ჩართვისკენ არის მოწოდებული და მიზნად ისახავს გენდერული ბალანსის დაცვის ხელშეწყობასა და წახალისებას. პროექტს ახორციელებს ექსპორტის განვითარების ასოციაცია (EDA) საქართველოს ფერმერთა ასოციასთან (GFA) და რეგიონალური განვითარების ასოციაციასთან (RDA) ერთად.

2000 წლიდან საქართველოში მუშაობა დაიწყო მერსი ქორპსმა, რომლის მიზანია სტაბილური და დაცული ოემების შექმნა რეგიონში, რათა ზემოქმედება მოახდინოს სიდარიბის დაძლევაზე. ამჟამად ორგანიზაცია რამდენიმე პროექტს ახორციელებს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია “ფერმერთა კოოპერატივების გაძლიერება საქართველოს სოფლის მუნიციპალიტეტებში”. აღნიშნული პროექტი ფინანსდება “ENPARD საქართველოს” ფარგლებში.

ENPARD საქართველოს დაფინანსების ფარგლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების გაზრდისათვის ტექნიკურ დახმარებას უწევს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO). მოცემული ორგანიზაცია წლების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში დაგროვებულ გამოცდილებას უზიარებს სამინისტროს პოლიტიკის ფორმირების, ეფექტიანი კანონმდებლის შექმნის, დაგეგმვის, სტრატეგიების მომზადების დროსა და სხვა. აღნიშნული პროექტისთვის 2 მლნ. ევრო იქნა გათვალისწინებული და მოიცავდა 36 თვეს 2013 წლის მაისიდან 2016 წლის აპრილამდე.

ასევე, ამ მიმართულებით მუშაობენ შემდეგი ორგანიზაციები: აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და სხვა (იხ. დანართები №20-21).

### **სახელმწიფო პროგრამის შედეგების ანალიზი**

დასაქმება. სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულად კლასიფიცირებულთა რაოდენობა ფაქტობრივად მნიშვნელოვნად არ შეცვლილა - 52.1% 2000 წელს და 53.1% 2011 წელს. 2015 წლის მოცემული მაჩვენებელი 42.6%-ს შეადგენს. სოფლის

მეურნეობა გადარჩენის მნიშვნელოვანი საშუალებაა სოფლის მოსახლეობისთვის. ამ სექტორში დასაქმებულად პვალიფიცირებულთა შორის 95% წვრილი ფერმერია, რომლებსაც, ჩვეულებრივ, 12 კა მიწის ნაკვეთი აქვთ და 2 ძროხა ჰყავთ. ასეთი ოჯახები, მირითადად, მიეკუთვნებიან საარსებო საშუალებების მქონეთა ან ნაწილობრივ მქონეთა კატეგორიას.


2014 წლის აგვისტოში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ჩატარდა მიმდინარე პროექტის ფარგლებში („მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“) შესრულებული სამუშაოების კვლევა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა პროდუქციის წარმოების მიზნობრიობა: კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპოდენტების 77.6%-თვის პროდუქციის წარმოების მიზანი იყო საკუთარი მოხმარება, ხოლო 22.4%-ისათვის წარმოების მიზნი პროდუქციის რეალიზება წარმოადგენდა.<sup>53</sup>

შრომის ანაზღაურების მიხედვით თუ კი 1999 წელს საშუალო თვიური შემოსავალი 26.5 ლარი იყო, 2011 წელს - 392 ლარი, 2014 წელს კი 500 ლარი შეადგინა.<sup>54</sup> თავისთავად ამ მაჩვენებლის ასე ცალმხრივად გათვალისწინება არასწორი იქნება, აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ინფლაციის ტემპებზე და სხვა სექტორში დასაქმებულების ხელფასზეც. 2011 წელს მსგავსი დონის ანაზღაურება იყო განათლებისა და სასტუმრო-რესტორნების სექტორში, დანარჩენ სექტორებში ხელფასი 1.5-2-ჯერ აღემატებოდა მოცემულ სექტორში საშუალო თვიურ ხელფასს (იხ. გრაფიკი №3). 2014 წელს სიტუაცია 2011 წლის მსგავსია - მოცემული სექტორის შემოსავლის კუთხით არ იძლევა უპირატესობას სხვა სექტორებთან მიმართებით. 2015 წელს საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი განისაზღვრა 900.4 ლარით, ზრდის მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებით 10%-ით დაფიქსირდა. ამავე პერიოდში, სოფლის მეურნეობაში დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასმა 578 ლარი შეადგინა, ხოლო ზრდის მაჩვენებელმა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან მიმართებით 14.6% აჩვენა. აღნიშნული მაჩვენებელი სექტორების მიხედვით აღემატება მხოლოდ სასტუმრო/რესტორნებისა და განათლების სექტორის მაჩვენებლებს. უკანასკნელი მათგანი 483 ლარით განისაზღვრა, რაც განათლების სფეროს ცალკეულ პრობლემაზე უსვამს ხაზს, რაც როგორც აგრარული სექტორისთვის, ასევე, მთლიანად ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ბაზისის შემქმნელია გრძელვადიანი განვითარებისა და განათლების დონის ზრდის თვალსაზრისით.

<sup>53</sup> წლიური ანგარიში 2014 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2015, გვ. 31.

<sup>54</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=148&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo)

გრაფიკი №3. საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეობების მიხედვით (ლარი)<sup>55</sup>




თევზჭერა, მეთევზეობის მიმართულებით აბსოლუტურ მაჩვენებლებში უკეთესი სიტუაცია იკვეთება, თუმცა ზრდის პროცენტული მაჩვენებელი დინამიკაში არც ისე სახარბიელოა, ზოგ წელს კლების მნიშვნელოვანი მახასიათებლით გამოირჩევა, მაგალითად: 2013 წელს 51%-იანი ზრდის შემდგომა 2014 წელს კლება დაფიქსირდა 14%, რასაც 2015 წელს ისევ ზრდა მოჰყვა. 20%-იანი კლება ფიქსირდება 2011 წელსაც. აღნიშნული მაჩვენებლების ცვლილება ვარიაციის გარკვეული ტენდენციის საფუძველია რაც სექტორის არასტაბილურობაზე მიუთითებს.

**გამოშვება.** სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში მნიშვნელოვნად მცირდება (25%-დან 1999 წელს, 9.3%-მდე 2016 წელს წინასწარი მონაცემებით). სოფლის მეურნეობის გამოშვების (მემცნარეობა, მეცხოველეობა, მეტყველეობა, ნადირობა და მეთევზეობა, სასოფლო-სამეურნეო მომსახურება) თვალსაზრისით ზრდა შეინიშნება, 2011 წელს მაჩვენებელმა 2,878 მლნ. ლარი შეადგინა. 2012 წელს მთლიანმა

<sup>55</sup> გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

გამოშვებამ შეადგინა 3,019 მლნ. ლარი და 2011 წლის მაჩვენებელთან მიმართებით 5%-იანი ზრდა დაფიქსირდა. 2013 წელს 3,3394 მლნ ლარი იყო გამოშვება, ზრდა დაფიქსირდა 12.4% წინა წელთან შედარებით. 2014 წელს მაჩვენებელმა 3,583 მლნ. ლარს მიაღწია, ზრდამ წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით შეადგინა 5.6%. 2015 წლის მონაცემებით გამოშვებამ შეადგინა 3,873 მლნ. ლარი, რაც 2014 წლის მაჩვენებლთან მიმართებით 8%-ით არის მეტი.<sup>56</sup> მოცემული მაჩვენებლის ზრდის ტენდენციის შეფასებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გააქტიურება 2013 წლიდან, რამაც განაპირობა 5-დან 12%-იან ზრდაზე ასვლა, თუმცა, შემდგომ წლებში ზრდა ასეთი მასშტაბური არ არის, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა (იხ. გრაფიკი №4).

#### გრაფიკი №4. საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება და წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2007-2015 წლებში<sup>57</sup>



სოფლის მეურნეობის სექტორის ტენდენციების შეფასებისას მხოლოდ აბსოლუტური მაჩვენებლები ვერ მოგვცემს სურათის დანახვის საშუალებას, ამისათვის აუცილებელია მთლიან შიდა პროდუქტში წილის მაჩვენებლის განსაზღვრაც.

<sup>56</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=148&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo)

<sup>57</sup> გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძვლზე.

როგორც ზევით აღვნიშნეთ სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში მუდმივად მცირდება 90-იანი წლებიდან მოყოლებული. ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2010 წელს - 8.4% (წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 11%-იანი შემცირებით) და 2012 წელს - 8.6%. 2013 წელს დაწყებულმა სამთავრობო პროგრამამ უდაოდ ზეგავლენა იქონია აგრარული სექტორის წილზე მთლიან შიდა პროდუქტში. ზრდამ 9% შეადგინა 9.4%-იანი წილით. თუმცა 2014 და 2015 წლებში სამწუხაროდ კვლავ კლების ტენდენცია შეინიშნება. კლებამ ამ ორ წელში 1% შეადგინა

თავისთავად, უნდა განვიხილოთ ეპონომიკური ზრდის ტენდენციებთან მიმართებით აგრარული სექტორის მაჩვენებლების შედარების ფაქტორები. აქ უნდა გამოვყოთ კორელაციის მაჩვენებელი. რამდენად ახდენს გავლენას ეპონომიკური ზრდა, მთლიანი შიდა პროდუქტის აბსოლუტური მაჩვენებლის ზრდა და საბიუჯეტო დაფინანსება აგრარული სექტორის პარამეტრების ჩამოყალიბებაზე. კორელაციამ 2007-2015 წლის მონაცემებით საბიუჯეტო დაფინანსების მაჩვენებელსა და სოფლის მეურნეობის გამოშვებას შორის 0.93 შეადგინა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და ხაზს უსვამს მაღალ ურთიერთკავშირსა და საბიუჯეტო დაფინანსების მნიშვნელობას სოფლის მეურნეობისათვის. ასევე, კორელაცია სოფლის მეურნეობის გამოშვებასა და მშპ-ს მაჩვენებელს შორის 0.98-ით განისაზღვრა, ხოლო, მშპ-სა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსებას შორის 0.86 შეადგინა.<sup>58</sup> აღნიშნული მძლავრი ურთიერთკავშირის მაჩვენებლია, რაც მნიშვნელოვანია და აუცილებლად ყურადსაღები.

საბიუჯეტო დაფინანსების მაჩვენებელსა და სოფლის მეურნეობის გამოშვებას შორის ურთიერთკავშირის უკეთ დასანახად წარმოვადგინოთ წყვილური წრფივი რეგრესიის თეორიული მოდელი (განტოლება):  $Y = \alpha + \beta X + u$  (1). სადაც, დამოკიდებული ცვლადი  $Y$  – სოფლის მეურნეობის გამოშვებას წარმოადგენს;  $X$  – კი საბიუჯეტო დაფინანსების მაჩვენებელია;  $\alpha$  და  $\beta$  უცნობი არაშემთხვევითი პარამეტრებია; ხოლო  $u$  შემთხვევითი შემადგენელი. ზემოაღნიშნული განტოლება ორ ნაწილად იყოფა: არაშემთხვევითი შემადგენლისა ( $\alpha + \beta X$ ) და შემთხვევითი შემადგენლის სახით  $u$ , რომელსაც შემთხვევითი გადახრა შეგვიძლია ვუწოდოთ (რადგან  $Y$  ფაქტორზე – აგრარული სექტორის გამოშვებაზე, მრავალი სხვა ფაქტორი

<sup>58</sup> მაჩვენებლებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი გაზომილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.

ახდენს გავლენას  $X$  საბიუჯეტო დაფინანსების ფაქტორის გარდა, რომელთა გათვალისწინებაც არ ხორციელდება კონკრეტულ შემთხვევაში, ასევე, გაზომვის შეცდომები და სხვა ნიუანსები იწვევს საშედეგო მაჩვენებელზე გავლენას).

ჩვენი ამოცანა ამ შემთხვევაში განტოლების აგებას გულისხმობს  $\alpha$  და  $\beta$  უცნობი პარამეტრების განსაზღვრის გზით. რადგან კონკრეტულ შემთხვევაში ვიღებთ 2007-2015 წლების მონაცემებს  $X$  და  $Y$  ცვლადებისთვის, განტოლების პარამეტრების შეფასება შერჩევითი მონაცემების საფუძველზე უნდა მოვახდინოთ. კონკრეტულ შემთხვევაში კი გვაქვს შემდეგი მონაცემები  $X$  და  $Y$  ცვლადებისთვის (იხ. ცხრილი №4). აღნიშნული მონაცემების საკოორდინაციო სიბრტყეზე გადატანისას და გარკვეული წესით წრფის გავლებისას, ვიღებთ შემდეგი სახის ემპირიულ ფუნქციას (შერჩევით განტოლებას) (იხ. გრაფიკი №5):  $\hat{Y} = a + bX$  (2).


თავისთავად, მოცემული ფუნქციით (2) განსაზღვრული დამოკიდებული ცვლადის  $\hat{Y}_i$  მნიშვნელობები შეიძლება განსხვავდებოდეს დაკვირვების შედეგად მიღებული  $Y_i$  ფაქტიური მნიშვნელობებისაგან, ამიტომ სხვაობას დაკვირვების ყოველი წერტილისთვის  $\hat{Y}$  და  $Y_i$  ფაქტიურ და შეფასებულ მნიშვნელობებს შორის  $e_i$ -ით აღვნიშნავთ -  $e_i = Y_i - \hat{Y}$  რაც წარმოადგენს (1) განტოლების შემთხვევითი  $u_i$  წევრის მნიშვნელობის შეფასებას და ვუწოდებთ ნარჩენობით წევრს. აღნიშნული წევრის გათვალისწინებით ვიღებთ (2) განტოლების შემდეგ სახეს -  $Y = a + bX + e$  (3), რომელიც  $x$  - სა და  $y$  - ს შორის არსებული წრფივი დამოკიდებულების საუკეთესო აპროქსიმაცია იქნება. უმცირეს კვადრატო მეთოდით კი შევძლებთ განტოლების  $a$  და  $b$  პარამეტრების განსაზღვრას (იხ. ცხრილი №5):  $b = \frac{\text{Cov}(x,y)}{\text{Var}(x)}$  (4) და  $a = \bar{y} - b\bar{x}$  (4).

#### ცხრილი №4. $X$ და $Y$ ცვლადების შესაბამისი მაჩვენებლები<sup>59</sup>

მაჩვენებელი	წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
	$i$	1	2	3	4	5	6	7	8	9
სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნებები - ფაქტიური მაჩვენებელი (მდნ. ლარი)	$X_i$	111	71	75	31	85	228	227	266	314
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება (მიმდინარე ფასებში, მდნ. ლარი)	$Y_i$	2250	2202	2072	2241	2674	2807	3210	3387	3667

<sup>59</sup> ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

გრაფიკი №5.  $X$  და  $Y$  ცვლადების შესაბამისი წრფივი ფუნქციის გრაფიკი<sup>60</sup>



ცხრილი №5.  $X$  და  $Y$  ცვლადების შესაბამისი მაჩვენებლები<sup>61</sup>

Nº	მაჩვენებელი	Nº	მაჩვენებელი	
1	$\sum_{i=1}^9 X_i$	1408	$Cov(x,y)$	49427.2963
2	$\sum_{i=1}^9 Y_i$	24510	$Var(x)$	9307.135802
3	$\sum_{i=1}^9 X_i^2$	304038	$b$	5.311
4	$\sum_{i=1}^9 X_i Y_i$	4279299	$a$	1892.5

<sup>60</sup> გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ სტატისტიკური პროგრამის SPSS Statistics დახმარებით.

<sup>61</sup> ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ გამოთვლების შესაბამისად.

გამოთვლების შესაბამისად გვექნება შემდეგი სახის ფუნქცია  $\hat{y} = 1892.5 + 5.311x$  (5), ნარჩენობითი წევრის გათვალისწინებით კი რეგრესიის შეფასებული მოდელი:  $y = 1892.5 + 5.311x + e$  (6).

$a$  და  $b$  კოეფიციენტების სიზუსტის დასადგენად უნდა განისაზღვროს, რომ მათ გააჩნიათ მინიმალური დისპერსიები  $\alpha$  და  $\beta$ -ს წრფივ გადაუდგილებელ შეფასებებს შორის, რაც დამოკიდებულია  $u$  მაჩვენებლის დისპერსიაზე. რადგან უკანასკნელი მხოლოდ ოქორიულ სიდიდეს წარმოდგენს, თავად  $u$  მაჩვენებლის არადაკვირვებადობის გამო, გამოვიყენოთ მისი შეფასება – ნარჩენობითი წევრის სახით.  $e_i = Y_i - \hat{Y}$  ასევე,  $e_i = y_i - a - bx_i$ , და მისი კორექტირებული დისპერსია  $S_{e^2} = \sum_{i=1}^n e_i^2$   $a$  და  $b$  კოეფიციენტების სიზუსტის მახასიათებლების – სტანდარტული შეცდომების –  $S_{b^2}$ -სა და  $S_{a^2}$ -ის განსასაზღვრად გამოყენებადი მაჩვენებლებია.  $S_{b^2} = \frac{S_{e^2}}{nVar(x)}$  (7) და  $S_{a^2} = \frac{S_{e^2}}{n} * \left(1 + \frac{\bar{x}^2}{Var(x)}\right)$  (8) საიდანაც გვექნება შემდეგი მაჩვენებლები (იხ. ცხრილები №6-7) და რეგრესიის შერჩეული განტოლება შემდეგ სახეს მიიღებს:  $\hat{y} = \frac{1892.5}{(145.51)} + \frac{5.311}{(0.79)} x$  (9).

### ცხრილი №6. $Y_i$ და $e_i$ ცვლადების შესაბამისი მაჩვენებლები<sup>62</sup>

მაჩვენებელი სიმბო/ №	$i$	1	2	3	4	5	6	7	8	9
	$Y_i$	2250	2202	2072	2241	2674	2807	3210	3387	3667
9	$\bar{Y}$	2723								
10	$(Y_i - \bar{Y})$	-473	-521	-651	-482	-49	84	487	664	944
11	$(Y_i - \bar{Y})^2$	224044	271788	424235	232645	2434	7000	236844	440453	890507
12	$\hat{Y}$	2482	2270	2291	2057	2344	3103	3098	3305	3560
13	$e_i$	-232	-68	-219	184	330	-296	112	82	107
14	$e_{i^2}$	53820	4565	47877	33806	108957	87819	12537	6700	11436

<sup>62</sup> ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ გამოთვლების შესაბამისად.

## ცხრილი №7. ცვლადების სტანდარტული შეცდომების შესაბამისი მაჩვენებლები<sup>63</sup>

Nº	მაჩვენებელი	მნიშვნელობა
15	$S_{e^2}$	52502.20
16	$S_{b^2}$	0.63
17	$S_{a^2}$	21174.07
18	$S_b$	0.79
19	$S_a$	145.51

აღნიშნული მიღებული მოდელის ვარგისიანობის დასადგენად გამოვიყენოთ შემდეგი სამი გზა: 1) რეგრესიის კოეფიციენტების მნიშვნელოვნების შეფასება და მათთვის ნდობის ინტერვალის აგება; 2) დისპერსიის ანალიზი და 3) კორელაციის შერჩევითი კოეფიციენტის მნიშვნელობის შეფასება.

პირველი მათგანის განსახორციელებლად დაგვჭირდება გარკვეული დაშვება და ჰიპოთეზის წამოყენება, რომ  $a$  და  $b$   $S_e$ -სგან სტატისტიკურად დამოუკიდებელია და წარმოვადგინოთ ნორმირებული შემთხვევითი სიდიდეები  $t_b \sim (n - 2)$  და  $t_a \sim (n - 2)$  სტუდენტის განაწილებას დაქვემდებარებული  $(n - 2)$  თავისუფლების ხარისხით. გამოვიყენოთ შემდეგი ფორმულები:  $t_b = b/S_b$  და  $t_a = b/S_a$ . განვიხილოთ ჰიპოთეზა  $H_0$ , როდესაც  $b$ -ს შესაბამის თეორიული მნიშვნელობა  $\beta = \beta_0 = 0$  და  $H_1: \beta \neq 0$ . ასევე, ანალოგიურად ჰიპოთეზა განვიხილოთ  $a$  კოეფიციენტისთვისაც, სადაც  $H_0: \alpha = 0$  და  $H_1: \alpha \neq 0$ . შესაბამისი გათვლების წარმოებით ვიღებთ ცხრილ №8-ში ნაჩვენებ მაჩვენებლებს. რადგან  $n = 9$ , ხოლო მნიშვნელოვნების დონისთვის ვიღებთ 5%-იან და 1%-იან დონეებს, სტუდენტის განაწილების ცხრილიდან შეგვიძლია მოვნახოთ შესაბამისი  $t_{\beta}$  თავისუფლების  $n - 2 = 7$  ხარისხისთვის (იხ. ცხრილი №8). გათვლების შედეგად ორივე შემთხვევაში ვიღებთ, რომ  $|t_b| > t_{\beta}$  და  $|t_a| > t_{\beta}$  და, შესაბამისად, ორივე ნულოვანი ჰიპოთეზა უარყოფილია  $\beta = \beta_0$  - სთვისაც და  $\alpha$ -სთვისაც და ორივე კოეფიციენტისთვის მიღებული შეფასებები მართებულია კონკრეტული რეგრესული განტოლებისთვის. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 95%-იანი ნდობის ინტერვალი  $\beta$ -სთვის იქნება  $3.45 < \beta > 7.18$ , 99%-იანი ნდობის ინტერვალი  $2.55 < \beta > 8.08$ , ხოლო 95%-იანი ნდობის ინტერვალი  $\alpha$ -ის იქნება  $1549.1 < \alpha > 2235.9$ .

<sup>63</sup> ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ გამოთვლების შესაბამისად.

და 99%-იანი ნდობის ინტერვალი 1383.22 <  $\alpha$  > 2401.8. აღნიშნული ინტერვალებისათვის კი ჩვენს მიერ მიღებული კოეფიციენტების შეფასებები სრულიად თავსებადია.

### ცხრილი №8. $a$ და $b$ ცვლადების შესაბამისი მაჩვენებლები<sup>64</sup>

Nº	მაჩვენებელი	მნიშვნელობა	მნიშვნელოვნების დონე
20	$t_b$	6.72	
21	$t_{\beta\sigma}$	2.36	5%
22	$t_a$	13.01	
23	$t_{\beta\sigma}$	3.50	1%

შემდგომ ეტაპზე მოვახდინოთ თავად მოდელის მნიშვნელოვნების შეფასება დისპერსიული ანალიზის საფუძველზე და გამოვიყენოთ ფორმულა  $Q = Q_R + Q_E$  (10). სადაც  $Q = \sum_1^9 (Y_i - \bar{Y})^2$  – შედეგობრივი ცვლადის დაკვირვების მნიშვნელობების საშუალოს ირგვლივ მთლიანი გაფანტულობის მაჩვენებელია და შედგება ორი ნაწილისგან:  $Q_R = \sum_1^9 (\hat{Y}_i - \bar{Y})^2$  – რეგრესიის მოდელით ახსნილ გაფანტულობათა ჯამისა და  $Q_E = \sum_1^9 (Y_i - \hat{Y}_i)^2$  – რეგრესიის მოდელით აუხსნელი გაფანტულობათა ჯამისაგან. შედეგობრივი ცვლადის მთლიან გაფანტულობაში რეგრესიით ახსნილი გაფანტულობის წილის გამოსახატავად შეგვიძლია გამოვიყენოთ შერჩევითი დეტერმინაციის კოეფიციენტი:  $R^2 = 1 - Q_E / Q$  (12). მოცემული მაჩვენებელი რაც უფრო ახლოს არის 1-თან მით უფრო იზრდება რეგრესიის მოდელის ხარისხი. შესაბამისი გამოთვლების შედეგად კი გვაქვს შემდეგი მაჩვენებლები (იხ. ცხრილი №9).  $R^2$  საკმაოდ ახლოს არის 1-თან, რაც, თავისთავად, მოდელის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, თუმცა, მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება დეტერმინაციის კოეფიციენტის შესაბამისი გათვლები. საჭიროა აღნიშნული კოეფიციენტის მნიშვნელოვნების საკითხის დადგენაც, რაც შესაძლებელია  $F$  ფიშერის განაწილების მქონე შემთხვევითი სიდიდის დახმარებით. ამისათვის გაყალიბებთ ნულოვან ჰიპოთეზას  $H_0 = R^2 = 0$  და განვიხილავთ, ასევე,  $H_1 = R^2 > 0$  ჰიპოთეზას. ვიყენებთ  $F = (n - 2) * R^2 / (1 - R^2)$  ფორმულას და განვსაზღვრავთ  $F_{\beta\sigma}$ -ს ფიშერის განაწილების

<sup>64</sup> ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ გამოთვლების შესაბამისად.

ცხრილიდან მნიშვნელოვნების  $\delta$  დონით 0.05 და თავისუფლების  $H_1 = 1$  და  $H_2 = 7$  ხარისხებით. შესაბამისი გათვლებით  $F$  მაჩვენებელი 45 მივიღეთ, რაც  $F_{\beta\beta}$ -ს საგრძნობლად აღემატება. ასევე,  $R^2$  მნიშვნელოვნად აღემატება  $R_{\beta\beta}$ -ს (იხ. ცხრილი №9), შესაბამისად, შეგვიძლია უარვყოთ პიპოთეზა  $H_0 = R^2 = 0$ , რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ  $R^2$ -ს დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც არ შეიძლება გამოწვეული იყოს შემთხვევითობით და ადასტურებს რეგრესიის მოდელის შესაბამის ხარისხს.

შესამე ეტაპზე განვახორციელოთ კორელაციის გამოთვლა  $x$  და  $y$  მაჩვენებელს შორის. ჩვენს შემთხვევაში  $r_{yx}=0.93$ -ს შეადგენს და წარმოადგენს შერჩევით კოეფიციენტს  $\rho_{yx}$  თეორიული კოეფიციენტისთვის. შერჩევითი კოეფიციენტის მნიშვნელოვნების დასადგენად დაგვჭირდება ნულოვანი პიპოთეზის  $\rho_{yx} = 0$  ტესტირება. რისთვისაც ვიყენებოთ სტიუდენტის განაწილების ცხრილით  $t_{\beta\beta}$  განსაზღვრას, რაც უკვე ცხრილ №8-ში მოცემულია მნიშვნელოვნების 5%-იანი დონისთვის და თავისუფლების ხარისხით - 7. ასევე, დაგვჭირდება  $t_r$ -ის გამოთვლა  $t_{\beta\beta}$ -სთან შესადარებლად. თუ  $t_r$ -ს მოდული აღემატება  $t_{\beta\beta}$ -ის მნიშვნელობას, მაშინ კორელაციის კოეფიციენტი და რეგრესიის მოდელი მნიშვნელოვანია.  $t_r$ -შემდეგი ფორმულით შეგვიძლია გამოვითვალოთ  $t_r = (r_{yx} * \sqrt{n-2}) / \sqrt{1-r_{yx}^2} = 6.71$ , რაც მეტია  $t_{\beta\beta}$ -ის მნიშვნელობაზე და გულისხმობს მოდელის სანდოობას.

#### ცხრილი №9. დეტერმინაციის კოეფიციენტის შესაბამისი მაჩვენებლები<sup>65</sup>

№	მაჩვენებელი	
24	$R^2$	0.87
25	$F$	45.00
26	$H_1$	1.00
27	$H_2$	7.00
28	$\delta$	0.05
29	$F_{\beta\beta}$	5.59
30	$R_{\beta\beta}$	0.44

<sup>65</sup> ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ გამოთვლების შესაბამისად.

მას შემდეგ რაც განვიხილეთ მოდელის ვარგისიანობის საკითხი, შეგვიძლია შევეხოთ მოდელის მაჩვენებლების ახსნას. α პარმეტრი გამოხატავს შედეგობრივი ტიპის მნიშვნელობას, როდესაც  $x = 0$ , ანუ როდესაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსება 0-ის ტოლია, აგრარული სექტორის გამოშვება 1892.5 მლნ ლარს შეადგენს. აღნიშნული განპირობებული, თავისთავად, სხვა ფაქტორებით რომელიც ამხსნელ ცვლადზე ზემოქმედებენ, როგორიც შეიძლება იყოს საინვესტიციო გარემო, კერძო ბიზნესის დაინტერესება აღნიშნულ სექტორში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე თუ სხვა. რაც შეეხება  $b$  პარამეტრს, იგი გამოხატავს შედეგობრივი ცვლადის მოსალოდნელი მნიშვნელობის ნაზრდს  $x$ -ის ერთი ერთეულით ცვლილებისას. შედეგად კი, მოდელით შეგვიძლია განვსაზღვროთ - საბიუჯეტო დაფინანსების ერთი მილიონი ლარით გაზრდა, სოფლის მეურნეობის მთლიანი გამოშვების 5.311 მილიონიან ზრდას იწვევს და დადებით კაგშირურთიერობაში იმყოფება. თუმცა, აუცილებლად უნდა მიექცეს საბიუჯეტო დაფინანსების ზრდისას საბიუჯეტო პროგრამებს შორის სახსრების გადანაწილების საკითხს - დაფინანსება აუცილებლად უნდა იქნას მიმართებული გრძელვადიან აქტივებზე, ცოდნასა და ტექნოლოგიაზე. აღნიშნული პროპორციის დაბალანსების შემთხვევაში შესაძლებელია  $b$  პარამეტრის მაჩვენებლის ზრდა და საბიუჯეტო სახსრების ერთი ერთეულით გაზრდის შემთხვევაში საშედეგო მაჩვენებლის (სოფლის მეურნეობის გამოშვება) მოსალოდნელი ნაზრდი გაცილებით მეტი იქნება.

ერთწლიანი კულტურების წარმოება და ნათესი ფართობი. თუ ჩვენ მოვახდენთ ორი მაჩვენებლის მონაცემების განზოგადებას 2011-2015 წლების ჭრილში, შეგვიძლია გამოვკვეთოთ გარკვეული ტენდენციები: 1) 2011-2012 წლებში მცირდება ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების რაოდენობა 2%-ით და გამოშვება 3.4%-ით. 2012-2013 წლებში იზრდება ნათესი ფართობების მოცულობა თითქმის 20%-ით, გამოშვება კი 18.6%-ით. 2014 წელს 1.9%-ით გაიზარდა ნათესი ფართობების მოცულობა, მაგრამ გამოშვება 15%-ით შემცირდა. 2015 წელს ნათესი ფართობი 7.23%-ით შემცირდა, ხოლო გამოშვება 15.3%-ით. კორელაცია ამ ორ მაჩვენებელს შორის საკმაოდ სუსტია და 0.2 შეადგინა, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოდ შემდეგი, ნათესი ფართობების ზრდა ან შემცირება პირდაპირპროპორციულად არ განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვებაში ცვლილებებს; 2) მიუხედავად სახელმწიფო დაფინანსებისა და მხარდაჭერის ზრდისა შედეგი სულ სხვა მივიღეთ, ეფექტი ძირითადად მომენტალურად აისახა 2013 წლის შედეგებზე, მაგრამ არა შემდგომ წლებში, მოცემული ფაქტორი მეორე არსებითი საკითხის გამოყოფის

საშუალებას გვაძლევს – მხოლოდ სახელმწიფოს დაფინანსების ზრდა ან სუბსიდირება ვერ უზრუნველყოფს რამდენიმეწლიან პერიოდში გრძელვადიან ზრდას. ზრდა უნდა შეეხებოდეს ინფრასტრუქტურული და ადამიანური კაპიტალის განვითარების საკითხებს, სხვა შემთხვევაში დაფინანსება გაღებული კონკრეტულ წელს მხოლოდ კონკრეტული წლის შედეგებში აისახება. თუ ჩვენ გრძელვადიანი ზრდა და აგრარული სექტორის ხელშეწყობა გვჭირდება, აქ მეტი უპირატესობა უნდა მიენიჭოს აგრარული მიმართულებით ცოდნის განახლებასა და ახალი კადრების გადამზადებას, ასევე, თანამედროვე ინფრასტრუქტურის დანერგვას წარმოებაში, რადგან ნათესების ზრდა ვერ უზრუნველყოფს შესაბამის შედეგებს, პლუს ამას ემატება თავად სექტორის რისკიანობა ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, რაც ხშირ შემთხვევაში მთლიანი მოსავლის დაკარგვასთან არის დაკავშირებული.

ანალოგიურად, მრავალწლიანი კულტურების მოსავლის თვალსაზრისით სიტუაცია ერთწლიანი კულტურების მსგავსია. საგულისხმოა, რომ 2015 წლის თებერვლიდან დაიყო სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროექტი „დანერგე მომავალი“, რომელიც საბიუჯეტო დაფინანსებით ითვალისწინებს მრავალწლიანი კულტურების გაშენებისა და სანერგე მეურნეობების ჩამოყალიბება-განვითარებას. მოცემული პროექტით ერთ ბენეფიციარს შეუძლია მიიღოს მაქსიმუმ 100,000 ლარის თანადაფინანსება და ამასთანავე, საფალდებულოა მეურნეობის გაძლიერების აუცილებელი ცოდნის ასათვისებლად სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში ჩართვა, რაც ხელშეკრულების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. 2015 წელს მოცემული პროექტი თრ ეტაპად ჩატარდა, პირველ ეტაპზე გამოვლინდა 14 ბენეფიციარი, რომელმაც ჯამურად მიიღო 575,889 ლარის დაფინანსება. 89.63 ჰექტარ მიწის ფართობზე გაშენდა 84,3 ჰა ვაშლის კულტურა, 1 ჰა-ატამი, 3.09 ჰა ქლიავი, 1,2 ჰა ბალი. 2015 წლის სექტემბერში მოცემული პროექტის მეორე ეტაპი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც დეკემბრამდე 76 პროექტი დამტკიცდა.<sup>66</sup>

**მეცხოველეობა.** მეცხოველეობას საკმაოდ მნიშვნელოვანი წილი უჭირავს აგროსექტორის მთლიან გამოშვებაში, 2006-2013 წლებში მთლიანი გამოშვების 50%-ზე მეტი ეკავა, 2014-2015 წლებში კი 48 და 49 პროცენტულ პუნქტზე ჩამოვიდა. ზოგად დინამიკაში 2006-2011 წლებში ამ მიმართულებით კლება შეინიშნებოდა. სულადობრივი მატების თვალსაზრისით პრობლემები შეინიშნება მეღორეობის

<sup>66</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=427&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo)

განვითარების კუთხით. რაც შეეხება მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებას (ხორცის, კვერცხისა და რძის წარმოება) 2011-2012 წლები შენელების პერიოდებით ხასიათდებოდა.

**დამატებული ღირებულება.** დამატებული ღირებულების კუთხით სექტორებში პირველ ადგილზეა „გაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი“, რომელიც 2,981.8 მლნ. ლარს ქმნის, 2011 წელს მოცემული კატეგორია 2,127 მლნ. ლარით მეორე ადგილს იკავებდა მრეწველობის შემდეგ „მრეწველობის“ კატეგორია 2014 წელს 2,753.8 მლნ. ლარით მეორე ადგილზეა. რაც შეეხება „სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობასა“ და „თევზჭერა, მეთევზეობას“ ჯამურად 2011 წელს 68.8 მლნ. ლარით და 2014 წელს 117.8 მლნ. ლარით ბოლო ადგილზე იმყოფებიან. მთლიანად დამატებულ ღირებულებაში ამ ორმა კატეგორიამ 2011 წელს 0.74%, ხოლო 2014 წელს 0.92% შეადგინა. 2015 წელს აგრარული სექტორის აღნიშნული მაჩვენებელი 138 მლნ. ლარს გაუტოლდა და შეადგინა მთლიანი დამატებული ღირებულების 0.93%.<sup>67</sup> აღნიშნული მაჩვენებელი აგრარულ სექტორში ზრდის თვალსაზრისით პრობლემატურად უნდა შეფასდეს.

**ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციები.** ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების განხილვისას ბიზნეს სექტორის მთლიან ჭრილში ანალიზი არაცალსახა სურათს გვაძლევს. 2007 წლიდან 2009 წლის ჩათვლით განხორციელებული ინვესტიციები 0.4 მილიარდი ლარით შემცირდა. ზრდა დაფიქსირდა 2010 წელს 2009 წლის მაჩვენებელთან მიმართებით 45.5% და შეადგინა 3,200 მლნ. ლარი. სოფლის მეურნეობაში ამ მხრივ ინვესტიციებმა მთლიანი ინვესტიციების 1.85% შეადგინა სულ 59.2 მლნ. ლარი. თუმცა, შემდგომ წელს 2011-ში ისევ შემცირდა მთლიანი ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში 2,500 მლნ. ლარამდე. სოფლის მეურნეობაში ამ მხრივ 75%-იანი ზრდა დაფიქსირდა და 103.9 მლნ. ლარი შეადგინა. 2012 წელს სულ ფიქსირებულ აქტივებში განხორციელდა 3,245 მლნ. ლარის ინვესტიცია, მათ შორის სოფლის მეურნეობის სექტორში 164 მლნ. ლარი და წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით ნახტომისებურად 58%-ით გაიზარდა. 2013 წელს ინვესტირებული იქნა ფიქსირებულ აქტივებში ჯამურად 3,900 მლნ. ლარი, სოფლის მეურნეობის მიმართულებით 153.6 მლნ. ლარი. 2014 წელს 8%-ით შემცირდა მთლიანი ინვესტიციები და 3,600 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო სოფლის

<sup>67</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=211&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo)

მეურნეობის მიმართულებით განხორციელდა 114.4 მლნ. ლარი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებით 25.5%-ით შემცირდა.<sup>68</sup> 2015 წელს ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში 21%-ით გაიზარდა, ხოლო სოფლის მეურნეობაში 28%-ით შემცირდა და 82.3 მლნ. ლარი შეადგინა. თავისთავად, მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობის დაფინანსების პროექტები მოიცავს ძირითადი საშუალებების მიხედვით დაფინანსება-დაკრედიტების ხელშეწყობას, ხოლო სოფლის მეურნეობის მიმართულებით ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების მაჩვენებელი საგრძნობლად მცირდება 2013 წლიდან მოყოლებული, აღნიშნული ტენდენცია ორმაგად ცუდ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ აგრარული სექტორის გრძელვადიანი განვითარებისათვის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კვლევის შედეგად 2014 წელს საქართველოში 77 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა. სასაკლაოების უმრავლესობა (50.6%) ნაწილობრივ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით, 39.0% აღჭურვილია სრულად, ხოლო 10.4% არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით. სასაკლაოების 71.1% არ სარგებლობს სესხით, ხოლო 28.9%-ს აღებული აქვთ სესხი სხვადასხვა მიზნით: 90.9% - ძირითადი კაპიტალის შეძენისთვის, 4.5%-ს საბრუნავი კაპიტალისათვის და 4.5%-ს როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი კაპიტალისათვის. სასაკლაოების 33.8% თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას კონკურენტუნარიანობაზე შესაბამისი ტექნოლოგიის უქონლობა ახდენს. სასაკლაოების 18.2% მნიშვნელოვან ფაქტორად მომსახურებაზე დაბალ მოთხოვნას ასახელებს, 13.0% - ფინანსურ რესურსებზე სუსტ ხელმისაწვდომობას და 35% სხვადასხვა ფაქტორს ასახელებს.

ანალოგიურად საქსტატმა გამოიკვლია სამაცივრე მეურნეობები. 2014 წელს საქართველოში 57 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა. მოცემული სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2014 წლის განმავლობაში შესყიდულია 6.5 ათასი ტონა პროდუქცია და გაყიდულია 13.2 მლნ. ლარის ღირებულების პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში უდიდესი ნაწილი (70.6%) იყო იმპორტირებული. სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან 27.8% უცხოურ ბაზარზე იქნა რეალიზებული.<sup>69</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს რომ, სამაცივრე მეურნეობების 49% თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილია ნაწილობრივ, 33.3% სრულად, ხოლო 17.6% საერთოდ

<sup>68</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=427&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo)

<sup>69</sup> ი. იქვე.

არ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით. სესხით სარგებლობს სამაცივრე მეურნეობების მხოლოდ 52.7%. აქედან უმრავლესობას (69.0%) სესხი აღებული აქვს ძირითადი კაპიტალისთვის, 20.7%-ს საბრუნავი კაპიტალისათვის, ხოლო 10.3%-ს როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი კაპიტალისათვის.

აუცილებელია ყურადღების გამახვილება პრობლემებისადმი მათ დამოკიდებულებაზე. ბიზნესმენთა 26.4% თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას კონკურენტუნარიანობაზე მომსახურებაზე დაბალი მოთხოვნა ახდენს. 20.8% მნიშვნელოვან ფაქტორად მოწყობილობის და ტექნოლოგიის უქონლობას ასახელებს, 15.1%-ის აზრით კონკურენტუნარიანობაზე ყველაზე მეტად გავლენას ახდენს კომუნალური გადასახადების სიდიდე, 11.3% მთავარ მიზეზად ფინანსურ რესურსებზე სუსტ ხელმისაწვდომობას მიიჩნევს და 26.4% სხვადასხვა ფაქტორს ასახელებს.

საქსტატმა ასევე შეისწავლა ელევატორების მდგომარეობა. 2014 წელს საქართველოში 40 ელევატორი ფუნქციონირებდა და მომსახურება გაეწია 3361 მომხმარებელს. 2014 წლის განმავლობაში ელევატორებში შენახული იყო 134.2 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 62.1%-ს წარმოადგენდა ხორბალი, 21,6%-ს სიმინდი და სხვა. ელევატორების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2014 წლის განმავლობაში შესყიდული იყო 103.7 ათასი ტონა პროდუქცია, რომელიც თითქმის მთლიანად იმპორტირებული იყო და პროდუქციის 35.6% უცხოურ ბაზარზე იქნა რეალიზებული.

გამოკვლეული ელევატორების 27.5% თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილია სრულად, 15% - ნაწლობრივ, ხოლო 57.5% საერთოდ არ არის აღჭურვილი. სესხით სარგებლობს ელევატორების 47.5%. აქედან 36.8%-ს სესხი აღებული აქვს ძირითადი კაპიტალისთვის, 52.6%-ს საბრუნავი კაპიტალისათვის, ხოლო 10.5%-ს როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი კაპიტალისათვის.<sup>70</sup> მოცემული მიმართულებით ბიზნესმენების პრობლემებისადმი დამოკიდებულება შემდეგი ხარისხებით რანჟირდება. ელევატორების 51.3% თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას კონკურენტუნარიანობაზე შესაბამისი მოწყობილობის/ტექნოლოგიის უქონლობა ახდენს. 17.9% მნიშვნელოვან ფაქტორად კომუნალური გადასახადების სიდიდეს ასახელებს, 15.4%-ის აზრით კონკურენტუნარიანობაზე ყველაზე მეტად

<sup>70</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=427&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo)

გავლენას ახდენს ფინანსურ რესურსებზე სუსტი ხელმისაწვდომობა და 15.4% სხვადასხვა ფაქტორს ასახელებს.

როგორც მოცემული კალევიდან ჩანს ყველაზე დიდი პრობლემა სამივე მიმართულებით თანამედროვე ტექნოლოგიისა და აღუჭურვილობის არ ქონაა, რაც განპირობებულია ფინანსების უქონლობით. უმეტესობა მათგანს აღებული აქვს სესხი ტექნოლოგიური და კაპიტალური გადაიარაღებისთვის. სამაცივრე მეურნეობა და ელევატორი 70-80%-ით გამოიყენება იმპორტირებული პროდუქტისთვის, შემდგომ კი 20-30%-ის რეალიზება ხდება უცხოურ ბაზრებზე. მოცემული კვლავ ხაზს უსვამს საქართველოს სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემებს და ხელშეწყობის აუცილებლობას არა მარტო ფინანსური კუთხით, არამედ ტექნოლოგიური და საგანმანათლებლო სისტემების შექმნით.

**სასურსათო უზრუნველყოფა.** რაც შეეხება სასურსათო უზრუნველყოფას, მაგალითად, ხორბლის წარმოების თვალსაზრისით სურათი შემდეგია - ადგილობრივი წარმოების იმპორტან თანაფარდობა წლების განმავლობაში არასახარბიელოა, იმპორტირებული ხორბლის რაოდენობა ადგილობრივ წარმოებაზე 7-ჯერ მეტი იყო 2011 წელს. 2012 წელს 12-ჯერ აღემატებოდა იმპორტი ადგილობრივ წარმოებს. 2013 წელს 9-ჯერ, ხოლო 2014 წელს 13-ჯერ. ოცემული, მოგეხსენებათ, საქართველოს ხორბალზე იმპორტდამოკიდებულებას უსვამს ხაზს. რაც შეეხება სიმინდით უზრუნველყოფას, 10%-ის ფარგლებშია იმპორტის მოცულობა, ხოლო დანარჩენი ადგილობრივი წარმოებით არის უზრუნველყოფილი. კარტოფილის წარმოების მხრივაც საქართველო თვითუზრუნველყოფას ახერხებს და ექსპორტზე გააქვს მოყვანილი კარტოფილის ძალიან მცირე რაოდენობა.

ბოსტნეულის შემთხვევაში ადგილობრივი წარმოება 2-ჯერ აღემატება იმპორტირებულს, 2011 წელს ადგილობრივად წარმოებული იყო 186 ათასი ტონა, იმპორტირებული იყო 76 ათასი ტონა და მოხდა 7 ათასი ტონის ექსპორტი, შემდგომ წლებში, ყველაზე დიდი მატება დაფიქსირდა 2013 წელს 205 ათასი ტონა ადგილობრივი წარმოების, 79 ათასი ტონა იმპორტი, შესაბამისად, ექსპორტმა შეადგინა 11 ათასი ტონა. მიუხედავად წარმოების ზრდისა, ექსპორტის მხრივ სისუსტე შეინიშნება. უპირატესობა ადგილობრივი წარმოების მხრივ გვაქვს ყურძნის შემთხვევაში, სადაც 100-ეულობით ტონას შეადგენს, ხოლო იმპორტი წლების განმავლობაში ათას ტონას არ გასცდენია. ექსპორტი 30-60 ათას ტონამდე მერყეობს.

ხორცით უზრუნველყოფის თვალსაზრისით ვითარება შემდეგია, ადგილობრივი წარმოება მთლიანი რესურსების 40-42%-ს შეადგენს, დანარჩენი მოცულობა

იმპორტირებულია. ექსპორტის თვალსაზრისით, ბოლო წლების განმავლობაში 1.2 ათას ტონას არ გასცდენია. რმის პროდუქტების შემთხვევაში ადგილობრივი წარმოება 90%-ს იკავებს (600 ათასი ტონა), შესაბამისად იმპორტი 10%-ია, მაგრამ საექსპორტოდ 8 ათას ტონაზე მეტი არ გადის. კვერცხით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, იმპორტი 5%-ს შეადგენს დანარჩენი 95% ადგილობრივი წარმოებით მიღებულ რესურს უკავია, თუმცა, საექსპორტოდ ბოლო წლებში 4 ათას ტონაზე მეტი არ გატანილა ქვეყნიდან. მონაცემების ურთიერთშეჯერების შედეგად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი - საქართველო სურსათის წარმოების თვალსაზისით ძირითადად თვითმოსმარების მოთხოვნის დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს, მისი წარმოების ძირითადი კატეგორიები ან უშუალოდ მწარმოებელ შინამეურნეობებს ხმარდება ან ადგილობრივი ბაზრებით არის გაჯერებული. ზოგიერთი კატეგორიის შემთხვევაში იმპორტს საკმაოდ დიდი წილი უკავია, მაგალითად, ხორბლისა და ხორცის შემთხვევაში ნახევრად ან თითქმის იმპორტირებულ პროდუქციაზეა დამოკიდებული მოსახლეობა. ხორცის ძირითად კატეგორიაში თუ მთლიანი რესურსის მხოლოდ 40%-ია იმპორტირებული, მოცემული კატეგორიის ქვეპატეგორია - ფრინველის ხორცი, 80%-ზე მეტი იმპორტირებულია. ასევე, დორის ხორცის ბაზრის 50%-ზე მეტი იმპორტით არის გაჯერებული. სიმინდის, კარტოფილისა და ბოსნეულის ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ყურძნის შემთხვევაში კი საექსპორტო შესაძლებლობების მეტნაკლებად გამოყენებაც ხორციელდება.

## **2.3. ეგროპასთან ასოცირების ხელშეკრულება და მისი მნიშვნელობა აგრობიზნესის ხელშეწყობისათვის**

საქართველომ 2014 წელს ევროკავშირთან გააფორმა ასოცირების ხელშეკრულება. თუმცა, აქეთ უნდა შევეხოთ მცირე ისტორიულ მიმოხილვას საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობის შესახებ. ევროგაერთიანებამ 1992 წელს ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, რის შემდეგაც საქართველომ სხვადასხვა შეთანხმებებისა და პრეფერენციების მიღების საშუალებით შეძლო ესარგებლა ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (Generalized Scheme of Preferences, (GSP)). საქართველომ დაიწყო კანონმდებლობის პარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. მიზანს, ცალსახად, დასავლური დირებულებების გაზიარება და ევროკავშირის სისტემასთან მიახლოვება წარმოადგენდა. 2010 წელს, ბრიუსელში, ზოგად საკითხთა საბჭომ დაამტკიცა ევროკომისიის მიერ წარდგენილი მანდატი ასოცირების შეთანხმების თაობაზე საქართველოსთან მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით და შედეგად დაიწყო მოლაპარაკებები ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე (რომელიც მოიცავს "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას" (DCFTA)).<sup>71</sup>

2014 წლის 27 ივნისს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმებას, რომლის რატიფიცირებას მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტმა. ამავე წელსვე დამტკიცდა სამოქმედო გეგმა. 2016 წლის 1 ივლისს, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში.

აღნიშნული ხელშეკრულება მიზნად ისახავს მხარეთა შორის თანამშრომლობის ჩარჩო-პირობების შექმნას, ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოვებას ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან<sup>72</sup> და სამართლებრივად სავალდებულოა. დოკუმენტი პირობითად სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს და მოიცავს: პოლიტიკურ თანამშრომლობას, დარგობრივ თანამშრომლობასა

<sup>71</sup> <http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/cooperation>

<sup>72</sup> „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გზამჯგუფი (ხშირად დასტური კითხვები), თებერვალი 2014, გვ. 5. - <http://www.parliament.ge/uploads/other/22/22585.pdf>

და დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DC FTA) შესახებ შეთანხმებას.<sup>73</sup>

შეთანხმება ვრცელდება შემდეგ საკითხებზე: 1) საერთო ევროპული ფასეულობები, 2) საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, 3) მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება, 4) დარგობრივი პოლიტიკის მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა, 5) ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DC FTA) ჩამოყალიბება გულისხმობს სატარიფო და არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორიც არის პროდუქციის უსაფრთხოება, სურსათის უვნებლობა, საბაჟო საკითხები, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და სხვა. აღნიშნული სივრცის ჩამოყალიბება დადებითად იმოქმედებს: ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებაზე; საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და უცხოური ინვესტიციების ზრდაზე; ქვეყნის მდგრად განვითარებაზე; ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებაზე და სხვა.

ასოცირების შეთანხმებაზე მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით, რაც გულისხმობს ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირებისას ქართული წარმოშობის უველა პროდუქტის (გარდა ნიორისა, რომელზეც იმოქმედებს რაოდენობრივი შეზღუდვა), საბაჟო ტარიფისგან გათავისუფლებას.

შეთანხმების პირობებში საბაჟო სფეროში კანონმდებლობის დაახლოება გულისხმობს საქართველოს საბაჟო რეგულაციების ევროკავშირის არსებულ რეგულაციებთან მიახლოვებას, რაც, თავისთავად, განაპირობებს საქართველოსა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ექსპორტ/იმპორტის პროცედურების გამარტივებასა და გამჭვირვალე გარემოს შექმნას.

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სისტემის ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად დახვეწა განაპირობებს ქართული პროდუქციის ხარისხის, სანდოობის ზარდასა და ექსპორტის მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

<sup>73</sup> „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გზამჯლევი (ხშირად დასმული კითხვები), ოქტომბერი 2014, გვ. 4. - <http://www.parliament.ge/uploads/other/22/22585.pdf>

ზემოთ აღნიშნულ ცვლილებების ინიცირებისა და დაახლოების სტრატეგიის განსახორციელებლად ევროპავშირის მხარდაჭერით ქართული მხარე ახორციელებს რიგი ღონისძიებების ინიცირებასა და აღსრულებას. ევროპავშირის მხრიდან დახმარება მოიცავს როგორც ტექნიკურ, ასევე, ფინანსურ დახმარებას ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის.

DCFTA-იდ შედეგების ანალიზისათვის აუცილებელია ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე და მას შემდეგ ექსპორტ-იმპორტის ჭრილში მონაცემების ურთიერთშედარება.

თუ გადავხდავთ 2010-2016 წლებში საქართველოდან ექსპორტის მაჩვენებლებს ქვეყნების ჯგუფების მიხედვით (**იხ. დანართი №13**) შევამჩნევთ, რომ ექსპორტის ზრდა ხასიათდება ხშირი ცვალებადობით. 2010 წელს წინა წელთან შედარებით მთლიანი ექსპორტის ზრდამ 48%-შეადგინა, ხოლო ევროპავშირის ქვეყნებთან მიმართებით 30%. 2011 წელს საერთო მაჩვენებლის ზრდა 30%-ით დაფიქსირდა, ევროპავშირთან მიმართებით კი 37%. 2012 წელს საერთო მაჩვენებლის ზრდა 9%-ით განისაზღვრა, ხოლო ევროპავშირთან მიმართებით პირიქით - 17%-იანი კლება დაფიქსირდა. ევროპავშირთან მიმართებით გამორჩეული წელი იყო 2013 წელი, ზრდამ 72% შეადგინა.<sup>74</sup> 2014-2015 წლებში ექსპორტის საერთო მაჩვენებლის პროცენტული ცვლილება მინუს ნიშნით განისაზღვრა. ევროპავშირთან მიმართებით დადებითი მაჩვენებელი შეადგინა, მხოლოდ 3 პროცენტული მაჩვენებელი. 2016 წელს ევროპავშირის მაჩვენებელი 11%-იანი შემცირებით ხასიათდება.

მთლიან ექსპორტში ევროპავშირის წილის გათვალისწინებით უკეთესი ტენდენცია შეინიშნება ბოლო პერიოდში 2010-2012 წლების 20%-ზე დაბალი მაჩვენებლების შემდგომ. 2013 წელს ევროპავშირის წილმა ექსპორტში 21% შეადგინა, 2014 წელს - 22%, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2015 წელს დაფიქსირდა 29%. აღნიშნული დადებითად შეიძლება შეფასდეს. თუმცა, საერთო სურათი, ერთი შეხედვით, არც ისე სახარბიელოა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ. აქევე უნდა აღინიშნოს, რომ თავისთავად, ხელშეკრულების ხელმოწერა ვერ გამოიწვევდა ასე მოკლევადიან პერიოდში მაღალი ზრდის მაჩვენებლის დაფიქსირებას. იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან ბევრი ნორმატიული თუ საკანონმდებლო საკითხია გადასაწყვეტი ევროპავშირის მოთხოვნებთან მისადაგებისათვის. თუმცად, კლების ამგვარი ტენდენცია, თავისთავად, კიდევ უფრო

<sup>74</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=133&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo)

მეტად უსვამს ხაზს საგარეო სავაჭრო პოლიტიკისა და ევროკავშირის ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვების პრობლემებს.

2016 წელს, სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მაღნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა, 312 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 15 პროცენტი შეადგინა. თხილის ექსპორტი 179 მლნ. აშშ დოლარს და შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 9 პროცენტს უდრიდა.<sup>75</sup>

2011-2013 წლებში უმსხვილესი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით საკვებ პროდუქტებსა და სასმელებს ექსპორტის მიმართულებით მნიშვნელოვანი ზრდა ახასიათებდა. 2013 წელს ზრდამ 50% შეადგინა. თუმცა, 2014 წლიდან ზრდის მაჩვენებელი 7%-ზე ჩამოვიდა, ხოლო 2015 წელს მინუს ნიშნით - 27% შეადგინა. აღნიშნული საკმაოდ უარყოფითი ტენდენციის მატარებელია აღნიშნული კატეგორიისათვის. 2016 წლის მონაცემებით ზრდა 12%-ს შეადგენს, რა თქმა უნდა, აღნიშნული ციფრი ვერნაირად ვერ მივა 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან, რაც ძალიან სამწუხაროა.

2014 ექსპორტის თვალსაზრისით ყველაზე მსხვილ პარტნიორებს საქართველოსთვის რუსეთი და უკრაინა წარმოადგენდნენ შესაბამისი 30% და 27%-ით მთლიან ექსპორტში. ევროკავშირიდან გერმანია 7% და იტალია 6%-იანი წილით.

2015 წელს 2014 წელთან შედარებით, როგორც აღინიშნა, ექსპორტი საგრძნობლად შემცირდა, მათ შორის აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის შემცირებამ 27%-ლი მაჩვენებლი შეადგინა. აღნიშნული სასაქონლო კატეგორიის წილი მთლიან ექსპორტში 28%-ით განისაზღვრა და ევროკავშირის მიმართულებით სულ 208 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. სულ ქვეყნების მიხედვით საექსპორტო ურთიერთობის მიხედვით ევროკავშირის წილმა 34% შეადგინა, მას მოჰყვება რუსეთი 20%-ით და უკრაინა და აზერბაიჯანი 7-7 პროცენტული მაჩვენებლით.<sup>76</sup> თავისოვად, ზრდა საკმაოდ მასშტაბურია ევროკავშირის სასარგებლოდ, რაც ცალსახად, დადებითად უნდა შეფასდეს.

2016 წელს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდამ წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 12%-ს გადააჭარბა და მთლიანი ექსპორტის 33% შეადგინა. ქვეყნების მიხედვით ევროკავშირის წილმა 32% შეადგინა, მეორე ადგილზეა რუსეთი 20%-ული წილით და მესამეზე უკრაინა 15%-ით. ევროკავშირში

<sup>75</sup> [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/bop/FTrade\\_12\\_2016\\_GEO-with%20cover.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FTrade_12_2016_GEO-with%20cover.pdf)

<sup>76</sup> წლიური ანგარიში 2015 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2016, გვ. 15.

ჯამში 2016 წელს ექსპორტირებულმა აგროსასურსათო პროდუქციამ 221 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.<sup>77</sup>

რაც შეეხება, იმპორტის მაჩვენებლის კუთხით ევროკავშირთან მიმართებით ზრდისა და აბსოლუტური მაჩვენებლების დინამიკას საკმაოდ ვარირებს წლების განმავლობაში. 2010-2016 წლებში იმპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2014 წელს 8,602 მლნ. აშშ დოლარი, აქედან ევროკავშირიდან იმპორტმა შეადგინა 2,372 მლნ. აშშ დოლარი. დინამიკაში 29%-იანი კლებით გამოირჩეოდა 2009 წელი, 2013 წელს, ზრდამ 0% შეადგინა, 2014 წელს მხოლოდ - 7%. 2015 წელს კი 15%-ით შემცირდა. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტის ზრდის მაჩვენებელს, 2009 წელს 24%-იანი კლება განიცადა, 2010-2012 ზრდის ტენდენციებით სასიათდებოდა, აქედან 2011 წელს ზრდამ 40%-იც კი შეადგინა. შემდგომ წლებში საკმაოდ ცვალებადი ტენდენცია შენარჩუნდა პერიოდულად კლებისა და შემცირების სტადიებით. მაგალითად, 2015 წელს კლებამ 15% შეადგინა (იხ. დანართი №14).

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2016 წელს სამკურნალო საშუალებები იყო, რომლის იმპორტმა 2,892 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 29 პროცენტი შეადგინა. აქედან, C ჰეპატიტის მედიკამენტების იმპორტი 2,619 მლნ. აშშ დოლარია. მეორე ადგილზე იმყოფებოდა ნავთობის და ნავთობ პროდუქტების სასაქონლო ჯგუფი 619 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 6 პროცენტი იყო. მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა 473 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 5 პროცენტი).<sup>78</sup>

საკეთი პროდუქტებისა და სასამეცნიერო მსხვილი სასაქონლო ჯგუფის მიხედვით იმპორტის კუთხით ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა 2011 წელს 23%. კლების ყველაზე მაღალი მაჩვენებლი იყო ამ მხრივ 2015 წელს - 15%. მთლიანი იმპორტის ჭრილში წილობრივი მაჩვენებლის კუთხით აღნიშნულ კატეგორიას საშუალოდ 15% უჭირავს. ხოლო ექსპორტში 20-30%, თუმცა წლების განმავლობაში ბალანსი იმპორტირებულ და ექსპორტირებულ სასაქონლო კატეგორიაში უარყოფითია იმპორტის სასარგებლოდ. პროცენტულად 2010 წელს იმპორტი ექსპორტს 150%-ით აღემატებოდა. თუმცა, ბოლო წლებში სიტუაცია ექსპორტის სასარგებლოდ იცვლება 2013 წლიდან იმპორტი 49%-ით აღემატება მხოლოდ, 2016 წელს კი - 35%-ით.

<sup>77</sup> წლიური ანგარიში 2016 – საქართველოს ხოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2017, გვ. 16.

<sup>78</sup> [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/bop/FTrade\\_\\_12\\_2016\\_GEO-with%20cover.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FTrade__12_2016_GEO-with%20cover.pdf)

აგროსასურსათო პროდუქციის წილმა 2014 წელს მთლიან ექსპორტში 15.2%-ს შეადგინდა 1.3 მლრდ. დოლარით. ძირითადი სასაქონლო კატეგორიები ამ მიმართულებით იყო ხორბალი (12%) და შინაური ფრინველის ხორცი (6%). ქვეყნების მიხედვით ყველაზე მსხვილი პარტნიორი იყო რუსეთი 30%-ით, მეორე ადგილს იკავებდა უკრაინა 21%-ით და მესამე ადგილს – თურქეთი 20%-ით. ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან 2%-ზე მეტი მხოლოდ გერმანიას ეკავა 8 პროცენტული მაჩვენებლით.<sup>79</sup> აღნიშნული წილობრივი განაწილება ნამდვილად არასასარბიელო იყო საქართველოსთვის. იგი ფაქტიურად რუსეთზე იყო დამოკიდებული და თუ გავითვალისწინებთ რუსეთან არსებულ პოლიტ-ეკონომიკურ სიტუაციასა და ბოლო დროს განვითარებულ ურთიერთობებს, ცალსახად, უარყოფითად უნდა შეფასდეს აღნიშნული.

2015 წელს იმპორტირებული იქნა 1.1 მლრდ. აშშ დოლარის დირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რამაც ქვეყნის მთლიან იმპორტში 14.3% შეადგენა. ყველაზე მსხვილ საქონელს ამ შემთხვევაში ისევ ხორბალი (11%), თამბაქო (9%), და შინაური ფრინველის ხორცი (5%) წარმოადგენდა.<sup>80</sup> იმპორტის მიხედვით სავაჭრო პარტნიორებიდან ყველაზე მსხვილ პარტნიორს ისევ რუსეთი წარმოადგენდა 24%-ით, მას მოჰყვება ევროკავშირი 22%-ით და უკაინა 21%-ით. ევროკავშირის მაჩვენებლის ზრდა საკმაოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს, თუმცა რუსეთზე დამოკიდებულება კვლავ აქტუალურია.

2016 წლის მონაცემებით ქვეყნის მთლიან იმპორტში აგროსასურსათო პროდუქციის ხვედრითმა წილმა 14.7%-ს შეადგინა.<sup>81</sup> ყველაზე მსხვილ პარტნიორს იმპორტის თვალსაზრისით ისევ რუსეთი, ევროკავშირი და უკრაინა წარმოადგენდნენ შესაბამისი წილებით: 24%, 22% და 21%-ით.

თავისთავად, უნდა შევეხოთ იმ ღონისძიებებს, რაც მთავრობამ გაატარა აგროსექტორის ხელშეწყობისათვის ასოცირების ჩარჩო-ხელშეკრულების პირობებში. აუცილებლად უნდა შევეხოთ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშსაც და რა განხორციელდა 2014-2016 წლებში ასოცირების ხელშეკრულების ჯრილში ევროკავშირთან მიახლოვების კუთხით.

<sup>79</sup> წლიური ანგარიში 2014 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2015, გვ. 26.

<sup>80</sup> წლიური ანგარიში 2015 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2016, გვ. 26.

<sup>81</sup> წლიური ანგარიში 2016 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2017, გვ. 15.

2014 წელს შემუშავდა „ცალკეული საშიში ქიმიკატების და პესტიციდების იმპორტისა და ექსპორტის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელსაც ახორციელებდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტისა და ევროკავშირის დაფინანსების მეშვეობით.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა ევროკავშირის დახმარების 2014 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 5 საფინანსო შეთანხმების შესაბამისი დოკუმენტები. აქედან, ხელი მოეწერა ერთ საფინანსო შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის განვითარების 40 მილიონიან პროექტზე (ENPARD I) 12 მილიონი ევროს დამატებას. დარჩენილი 4 საფინანსო შეთანხმების ხელმოწერა დაიგეგმა 2015 წლისთვის.<sup>82</sup> კონსულტაციების საფუძველზე სამინისტროებთან შეთანხმდა ევროკავშირის დახმარების 2015 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ოთხ პრიორიტეტს მათ შორის სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამას (ENPARD II) სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (50 მლნ. ევრო).

2015 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის ესტონური ცენტრის ორგანიზებით, ესტონეთის რესპუბლიკის ქ. ტალინში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს, ასევე შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები იმყოფებოდნენ სასწავლო ვიზიტით სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის საკითხებთან დაკავშირებით.

ამავე წელს „ევროკავშირთან დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ (DCFTA) შესაბამისად, შემუშავდა საკანონმდებლო დაახლოების სია და გაუგზავნა ევროკავშირს. მიღებულია შემდგვი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები: საქართველოს მთავრობის დადგენილება „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ლონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №55 დადგენილება „ცხოველური წარმოშობის სურსათის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 იანვრის №8 დადგენილება „საერთაშორისო გადაზიდვებისას ტვირთის

<sup>82</sup> ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს მორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, თბ., 2015, გვ. 238.

ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ შეტყობინების წესის დამტკიცების თაობაზე“; და სხვა.<sup>83</sup>

2016 წელს სოფლის მეურნეობის პროექტების სააგენტოს (APMA) ტრეინინგების განყოფილების მიერ ჩატარდა 2 ტრეინინგი კოოპერატივებისთვის: 1. ზუგდიდში: 50-60 წარმომადგენელი; 2. ახალციხეში: 50-60 წარმომადგენელი.

ტრეინინგის ფარგლებში განხილულ იქნა სურსათის ეროვნული სააგენტოს საკანონმდებლო მოთხოვნები, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის შესახებ საკითხები, სურსათის (თაფლის) ევროკავშირში ექსპორტის შესაძლებლობა. კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მხრიდან მოხდა მეპაიეთა ინფორმირება ახალი პროგრამის შესახებ; სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის თანამშრომლებმა მსმენელებს მიაწოდა ინფორმაცია ფუტკრის მოვლის პიგიენურ ნორმებთან, ნარჩენი ნივთიერებების კონტროლთან, ფუტკრის დაავადების მართვის მეთოდებთან დაკავშირებით; სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მხრიდან წარმოდგენილი იყო თემები ფუტკრის მოვლა-პატრონობის, აგროტურებისა და თაფლის გასაღების შესახებ; APMA-ს მხრიდან მეპაიებს მიეწოდათ რეკომენდაციები მეფუტკრეთა მხარდაჭერისათვის საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.

ამოქმედდა რამის ტექნიკური რეგლამენტის ნორმა 2016 წლის პირველი აგვისტოდან და რამის შემცვლელი პროდუქციის დასახელებაში „მსგავსის“ და „ებრის“ გამოყენების აკრძალვას ითვალისწინებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიამ მიიღო საერთაშორისო აკრედიტაცია. შემდეგ სფეროებში: მცენარეთა მაგნე ორგანიზმების დიაგნოსტიკა: I. მიკრობიოლოგია, II. მიკოლოგია, III. ენტომოლოგია, IV. პელმინთოლოგია, V. ვირუსოლოგია, VI. GMO-ს დადგენა, VII. პერსოლოგია, VIII. საოქსლე მასალის გამოცდა; სურსათისა და ცხოველის საკვების მიკრობიოლოგია; სურსათისა და წყლის ქიმია.

გაფორმდა მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)

<sup>83</sup> ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, თბ., 2016, გვ. 280.

<sup>84</sup> ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ცხრა თვის ანგარიში, თბ., 2016, გვ. 158-160.

„სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტს“ (REAP) შორის. შეთანხმება ცხოველთა სასაკლაოებში საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების HACCP-ის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით მხარდაჭერას და მათთვის საკონსულტაციო ტრენინგების ჩატარებას ითვალისწინებს. ასევე, გაფორმდა მეორე მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო პროგრამების განხორციელებას გადამამუშავებელ საწარმოთა თანადაფინანსების პროექტით დაფინანსებულ ახალ გახსნილ საწარმოებში სურსათის უკნებლობის მართვის საერთაშორისო სტანდარტებისა და სისტემების დანერგვის მიზნით (ACCP და ISO 22000:2005).

საქართველოს საბაჟოს სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ეკროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მომზადდა საბაჟო კოდექსის სამუშაო ვერსია. მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს დოკუმენტის განხილვა, როგორც სახელმწიფო უწყებების, ასევე, კერძო სექტორის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან.

ეოვალიგე ზემოაღნიშნულის განხორციელება საქართველოს მთავრობის მიერ საქმაოდ დადებითად უნდა შეფასდეს, ასევე, მთავარია ამ ეოვალიგეს შესაბამისი გრძელვადიანი ეფექტი პქნდეს სოფლის მეურნეობის მიმართულებით ზრდის მაჩვენებლების წახალისებაზე.

საბოლოო ჯამში ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლებით ტენდენცია დადებითად უნდა შეფასდეს, აშკარაა 2014 წლის შემდგომ ეკროკავშირის მიმართულებით როგორც იმპორტის, ასევე, ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა. განსაკურებით ეს აღსანიშნავია აგროსასურსათო პროდუქციის მიმართულებით. ტენდენციის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ეკროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის ფაქტორია. თუმცა, მხოლოდ ხელშეკრულების ხელმოწერა ცალსახად არ ნიშნავს ბარიერების შემცირებასა და მოხსნას. გასაკეთებელი და დასახვენი ბევრი არასატარიფო მარეგულირებელი ნორმატივია, თუნდაც ფიტოსანიტარული და ვეტერინარიული რეგულაციები. აღნიშნული საკითხების ცვლილების დაგეგმვის, სტრატეგიის გაწერისა და აღსრულების პროცესში საქართველომ საქმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. შედეგიც ნელ-ნელა აისახა სავაჭრო ბალანსზე და ბალანსის ორივე მხარეზე სავაჭრო პარტნიორების პროცენტული წილების მნიშვნელოვანი ცვლილებებით გამოიხატა.

## 2.4. ევროპავშირის გამოცდილება აგრარული სექტორის მხარდაჭერაში

ევროპავშირში 1962 წელს შემუშავებული იქნა საყოველთაო აგრარული პოლიტიკა - common agricultural policy (CAP), რომელიც მიზნად ისახავს: 1) აგრარული სექტორის პროდუქტიულობის ზრდასა და მომხმარებელისათვის სურსათის ხელმისაწვდომობას მისაღებ ფასად; 2) ფერმერებისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას; 3) სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას; 4) სოფლის ცხოველმყოფელობის შენარჩუნებას ევროპავშირის ფარგლებში (იგულისმება სოფლებში მოსახლეობის დაკავება და მისი დაცლისგან დაცვის პირობების შექმნა). მოცემული პოლიტიკა საერთოა ყველა წევრი ქვეყნისთვის და ადმინისტრირება და საფინანსო უზრუნველყოფა ხორციელდება ევროპავშირის დონეზე, პროექტები ფინანსდება ევროპავშირის წლიური ბიუჯეტიდან. მოცემული პოლიტიკის მეშვეობით ევროპავშირის 28 წევრ ქვეყანაში 12 მილიონი ფერმერი საქმიანობს, ხოლო 4 მილიონი ადამიანი დასაქმებულია სასურსათო სექტორში.

მოცემულმა პოლიტიკამ 1962 წლიდან დღემდე რამდენმჯერმე განიცადა სახეცვლილება:<sup>85</sup> 1) 1962 წელი – პოლიტიკის შექმნა; 2) პოლიტიკა საკუთარი წარმატების მსხვერპლი ხდება – ფერმები იმდენად პროდუქტიულები გახდნენ, რომ საბაზრო მოთხოვნაზე მიწოდების სიჭარბე შეიქმნა, რამაც “სასურსათო მთების” ფორმირება განაპირობა. შესაბამისად, ევროპავშირს მოუწია რამდენიმე დონისძიების შემუშავება, რათა საბაზრო წონასწორობის დაცვისთვის ხელი შეეწყო; 3) პოლიტიკა სახეცვლილებას განიცდის საბაზრო მხარდაჭერიდან საწარმოო მხარდაჭერისკენ. საფასო მხარდაჭერის მასშტაბი მცირდება ფერმერებისათვის პირდაპირი დახმარების გაწევის სასარგებლოდ. პოლიტიკა მიმართულია წაახალისოს ფერმერები გარემოსადმი მეგობრული დამოკიდებულების შესანარჩუნებლად; 4) 2013 წლის რეფორმით პოლიტიკა უზრუნველყოფს ფერმერთა შემოსავლის მხარდაჭერას. კავშირი სუბსიდირებასა და წარმოებას შორის აღარ არსებობს. ფერმერები იღებენ საშემოსავლო დახმარებას იმის მიხედვით, თუ როგორ უვლიან მიწებს, ზრუნავენ გარემოზე, ცხოველთა კეთილდღეობასა და სასურსათო სტანდარტების დაცვაზე; 5) 2013 წლის მორიგი რეფორმა მოწოდებულია სექტორის კონკურენტუნარიანობის

<sup>85</sup> THE EUROPEAN UNION EXPLAINED A partnership between Europe and farmers Agriculture – “The EU’s common agricultural policy (CAP): for our food, for our countryside, for our environment”, EUROPEAN COMMISSION, Publications Office of the European Union, Luxembourg, 2014, p. 5.

გაზრდისაკენ, რათა ხელი შეუწყოს სექტორის მდგრადობას, ინოვაციების, სამუშაო ადგილებისა და სასოფლო რეგიონის განვითარების მისაღწევად.

პოლიტიკას სამი განზომილება გააჩნია: ბაზრის მხარდაჭერა, ფინანსური დახმარება და სოფლის მეურნეობის განვითარება. სასოფლო სექტორისთვის სამივე მიმართულების სისტემური მოქმედება არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ძირითადი შედეგის მისაღებად. ბაზრის მხარდაჭერა და ფინანსური დახმარება ევროკავშირის ბიუჯეტიდან ფინანსდება, რაც შეეხება სოფლის განვითარების მიმართულებას, ის დაფუძნებულია მრავალწლიან პროგრამებზე და წევრი ქვეყნების თანადაფინანსებით ხორციელდება. მოცემული მიმართულებით მთლიანად ევროკავშირი თავისი ბიუჯეტის 38%-ს ხარჯავს (დაახლოებით 59 მილიარდ ევროს),<sup>86</sup> რასაც ბევრი მოწინააღმდეგ და კრიტიკოსი ჰყავს. თუმცადა, საერთოდ სექტორზე ევროკავშირის ბიუჯეტიდან და წევრი ქვეყნებიდან მიმართული საჯარო თანხების ჯამის შედარებით საერთო საზოგადოებრივ დანახარჯებთან, რაც ევროკავშირში მთლიანად ხორციელდება, ძალიან მცირეა. საბოლოო ჯამში ამგვარი შედარებით აგრობიზნესის დაფინანსებაზე საჯარო ფინანსების 1% მოდის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის დაფინანსება ბოლო 30 წლის განმავლობაში მკვეთრად შემცირდა, თუ აქამდე ევროკავშირის ბიუჯეტის 75% ხმარდებოდა მხოლოდ ამ სექტორს, ამჟამად მისი დაფინანსება 40%-მდეა შემცირებული. თუ იმ ფაქტორსაც გავითვალისწინებთ, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ევროკავშირს 18 ახალი წევრი შემოემატა და შესაბამისად, გაიზრდა ფერმერთა რაოდენობა, დაფინანსება კი უცვლელი დარჩა, მოცემულმა თავისთვად განაპირობა ერთეულ ფერმერზე გამოყოფილი დაფინანსების შემცირება (მოცემული ყველაზე მეტად ახალ წევრ ქვეყნებს შეეხოთ).

ყველაზე დიდი პრობლემა სოფლის მეურნეობაში, რასაც ევროკავშირი ხედავს, ეს არის მომუშავეთა ასაკის ზრდა და ახალგაზრდების ნაკლები ჩართულობა ამ მიმართულებით. პრობლემის ძირი, გრძელვადიანი ხედვით რომ შევაფასოთ, მდგომარეობს შემდეგში – სექტორში 35 წელზე ქვემოთ მომუშავეთა მხოლოდ 6%-ია დასაქმებული, ყველაზე დიდი წილი უკავია 50 და 66 წლის ზევით მომუშავე ფერმერებს (50%-ზე მეტ), რაც პრობლემას ქმნის ცოდნის გადაცემის კუთხით. თუ დღეს ასეთი სიტუაციაა, მომავალში ამ სექტორში მუშაობის ნაკლები ინტერესი ექნება ახალგაზრდობას, შესაბამისად, ძველი თაობიდან ახალ თაობაზე

<sup>86</sup> EU agriculture spending – Focused on results, European Commission, Brussels, 2015, p. 2.

ფუნდამენტური აგროცოდნის გადაცემის შანსები იკლებს, რაც ქმნის სოფლების დაცლის საშიშროებას უახლოეს პერიოდში.

აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ აგრარულ სექტორში მიღებული შემოსავლები საკმაოდ დაბალია და სხვა სექტორში მიღებული შემოსავლების 40%-ს შეადგენს. მთლიანად სექტორი ქმნის 47 მილიონ სამუშაო ადგილს, მთლიანი დამატებითი ლირებულების 1.7%-სა და მშპ-ს 7%-ს.<sup>87</sup> ასევე, ევროკავშირის საშუალო ოჯახი სურსათზე საკუთარი თვიური შემოსავლის 15%-ს ხარჯავს, რაც საკმაოდ განსხვავდება ქართული რეალობისგან (40%-ზე მეტს შეადგენს საქართველოს პირობებში მოცემული მაჩვენებელი). 1962 წელს მოცემული პროპორცია ევროკავშირში 2-ჯერ მეტს შეადგენდა. რაც შეეხება სასურსათო მიწოდების ჯაჭვს იგი 2010 წლის მონაცემებით შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 12 მლნ. ფერმერი, 250,000 სურსათის გადამამუშავებელი, 200,000 ბითუმად მოვაჭრე, 500,000 საცალოდ მოვაჭრე.

ევროკავშირი ფერმერებს ეხმარება ჩამოაყალიბონ გასაღების ორგანიზაციები, შექმნან კოოპერაციები კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, მოახდინონ სპეციალიზება გარკვეული სახის წარმოებაზე (მაგ, ორგანული ფერმერობა), შექმნან საერთო ფონდები და სადაზღვევო სქემები, რაც მათ საშუალებას მისცემს შეინარჩუნონ სტაბილურობა საბაზო მერყეობის დროს. აგროსექტორის განვითარებისათვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა თანამედროვე ინოვაციების დანერგვა და სამეცნიერო კვლევების ინიცირება, რათა ფერმერმა მცირე რესურსების პირობებში უზრუნველყოს მეტი შედეგის მიღება.

ევროკავშირი ყველაზე მსხვილი იმპორტიორია მსოფლიოში სურსათის კუთხით, ყოველ წელიწადს საშუალოდ 60 მილიარდი ევროს ლირებულების პროდუქტის იმპორტირება ხორციელდება. ასევე მისი საერთო ექსპორტის 7%-ს შეადგენს აგროპროდუქტები. 2010 წლამდე სურსათის საერთაშორისო ვაჭრობის მიმართულებით ევროკავშირი მეტის იმპორტირებას ახორციელებდა ვიდრე ექსპორტირებას, მიუხედავად სასურსათო პროდუქციის ექსპორტის სუბსიდირებისა. 2010 წლიდან დღემდე ევროკავშირის ექსპორტი ამ მიმართულებით გაიზარდა, მთლიან იმპორტს გადააჭარბა და შეიქმნა დადებითი საგაჭრო ბალანსი. მთელი 50-წლიანი პოლიტიკის მანძილზე ევროკავშირმა ბოლო 5 წლიან პერიოდში შეძლო ექსპორტის ასეთი მძლავრი ზრდა. სწორედ ამ პერიოდში შეწყვიტა ექსპორტის

<sup>87</sup> EU agriculture spending – Focused on results, European Commission, Brussels, 2015. p. 4.

სუბსიდირება და პირდაპირი დახმარების მოცულობა საგრძნობლად შეამცირა (თითქმის 8-ჯერ).

როგორც აღვნიშნეთ, ევროკავშირის პოლიტიკა სამი მიმართულებისგან შედგება, რომლებიც შემდეგნაირად ნაწილდებიან 2 ძირითად სვეტში - "first pillar" – აერთიანებს პირდაპირ გადახდებსა და საბაზრო დონისძიებებს; "the second pillar"- მოიცავს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. მოცემული მიმართულებები სხვადასხვა ფონდიდან ფინანსდება – პირველი მათგანი დაფინანსებას იდებს ევროპის სასოფლო-სამეურნეო საგარანტიო ფონდიდან - The European Agricultural Guarantee Fund (EAGF), მეორე მათგანი ფინანსდება სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სასოფლო-სამეურნეო ფონდიდან (the European Agricultural Fund for Rural Development (EAFRD), რომელიც დაახლოებით 100 მილიარდ ევროს შეადგენს 2014-2020 წლებისათვის და 28 წევრი ქვეყანა სხვადასხვა თანხებს იდებს ფონდიდან, მოცემულს ემატება 61 მილიარდი ევროს დანამატი თავად წევრი ქვეყნების ბიუჯეტებიდან. დღეისათვის 118 განვითარების პროექტია ინიცირებული 28 ქვეყანაში თითოეულის საჭიროებიდან გამომდინარე. ყველაზე მეტი პროექტი ხორციელდება ესპანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში - ერთად აღებული 72 პროექტი (სწორედ ეს ქვეყნები არიან მდლავრი წამყვანი აგროპროდუქტების გამოშვების თვალსაზრისით და ისინი იდებენ ყველაზე მეტ დაფინანსებას მთლიანი ბიუჯეტიდან).

პროცენტულად ამ სამ მიმართულებაზე CAP-ის ბიუჯეტი შემდეგნაირად ნაწილდება: 1) პირდაპირი გადახდები - 70%, 2) საბაზრო დონისძიებები - 10%, 3) სოფლის განვითარება – 20% (**იხ. ცხრილი №10**).

2010 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა განვითარების სტრატეგია “ევროპა 2020”, რომელიც ორიენტირებას აკეთებს ნათელ, მდგრად და ინკლუზიურ ზრდაზე. პირველი მათგანი Smart growth - მოწოდებულია ეკონომიკის ზრდაზე ცოდნისა და ინოვაციების ხელშეწყობით. მეორე Sustainable growth - აქცენტს აკეთებს რესუსრების ეფექტიან გამოყენებაზე, უფრო მწვანე და კონკურენტულ ეკონომიკაზე. მესამე Inclusive growth - ხელი შეუწყოს მაღალ დასაქმებას სოციალური და ტერიტორიული ერთიანობის მეშვეობით. ამავე დოკუმენტში გამოყოფილი იქნა ევროკავშირის სისუსტეები და საფრთხეები: 1) ზრდის დაბალი მაჩვენებელი სხვა პარტნიორ ქვეყნებთან შედარებით, რაც განპირობებული იყო სხვადასხვა ბიზნეს სექტორში ნაკლები ინვესტიციებით კვლევებსა და განვითარებაში, ინფორმაციისა და ტექნოლოგიების შეუსაბამო გამოყენებითა და საბაზრო ბარიერებით; 2)

დემოგრაფიული დაბერების დაჩქარებით; 3) საერთაშორისო ბაზარზე მოთამაშე ქვეყნები ინვესტირებას ინოვაციებსა და ტექნოლოგიებში ახდენენ, რაც ეკონომიკური მწარმოებლებისათვის წინააღმდეგობაც არის და გამოწვევაც.<sup>88</sup>

ზემოთ აღნიშნულმა გარკვეულწილად განაპირობა CAP-ის სრულიად ახალ რელსებზე გადასვლა და ფოკუსირება აგრარულ სექტორში ინოვაციებზე, ცოდნის გადაცემასა და ტექნოლოგიების მასშტაბურობაზე, ასევე ახალგაზრდების ჩართულობის გაძლიერებაზე ამ მიმართულებით.

**ცხრილი №10. ეკონომიკურის ერთიანი აგრარული პოლიტიკის შესაბამისი ხარჯების სტრუქტურა 2014 წლისთვის<sup>89</sup>**

ეკონომიკურის აგრარული პოლიტიკის შესაბამისი ხარჯები 2014 წლისთვის (1000 ევრო)	
პირდაპირი გადახდები	41 659 679
საბაზო ღონისძიებები	2 478 675
სოფლის განვითარება	5 264 723
<b>სულ</b>	<b>49 403 077</b>

### შედეგების ანალიზი

**რეგიონების განაწილება.** “ძირითადად სასოფლო რეგიონს” მთელი ეკონომიკურის ტერიტორიის 52% უკავია მოსახლეობის 23%-ით. 2010 წელს მოცემულმა რეგიონმა მთლიანი დამატებული ღირებულების 16% შექმნა და დასაქმებულთა - 21%. რაც შეეხება EU12-სა და EU15-ს შორის განსხვავებას, ტერიტორიებისა და მოსახლეობის განაწილების თვალსაზრისით, პირველ მათგანში “ძირითადად სასოფლო რეგიონი” წარმოადგენს ტერიტორიის 57%-ს და მოსახლეობის 40%-ით არის დასახლებული, ხოლო მეორე მათგანს უჭირავს ტერიტორიის 50% და დასახლებულია მთლიანი მოსახლეობის 18%. დამატებითი ღირებულების შექმნისა და დასაქმების მიხედვით EU12-მა მთლიანი დამატებული ღირებულის 29% შექმნა და დასაქმებული იყო მთლიანად დასაქმებულთა 36%. ხოლო EU15-მა შესაბამისად უზრუნველყო 14% და 17% (იხ. დანართები №22-23-24-25).

<sup>88</sup> COMMUNICATION FROM THE COMMISSION EUROPE 2020 A strategy for smart, sustainable and inclusive growth; EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2010. p. 9.

<sup>89</sup> წყარო: [http://ec.europa.eu/agriculture/statistics/factsheets/pdf/eu\\_en.pdf](http://ec.europa.eu/agriculture/statistics/factsheets/pdf/eu_en.pdf)

ესტონეთში, ირლანდიაში (98.7%), საბერძნეთში, პორტუგალიასა და ფინეთში მთელი ტერიტორიის 80% უკავია ძირითადად სასოფლო რეგიონს. ამის საპირისპიროდ, პოლანდიის მხოლოდ 2.1%-ია სოფლის რეგიონად კლასიფიცირებული. მოცემულ რეგიონებში მოსახლეობის განაწილების მიხედვით ირლანდია იკავებს პირველ ადგილს 73%-ით, სლოვაკეთი, ესტონეთი და უნგრეთი, შესაბამისად 50.3%, 48.1%-ითა და 46.9%-ით შემდეგ ადგილებს იკავებენ. მოსახლეობის მაღიან მცირე ნაწილი ცხოვრობს სასოფლო რეგიონში პოლანდიასა (0.6%) და გაერთიანებულ სამეფოში (2.9%). ეკონომიკური აქტივობა გამოსახული მთლიანი დამატებითი დირებულების წილის მიხედვით საკმაოდ დაბალია პოლანდიის, გაერთიანებული სამეფოსა და ბელგიის სასოფლო რეგიონებში (7%-ზე ნაკლები). მოცემული მაჩვენებლის მიხედვით შემდეგ ქვეყნებში ასეთი სურათია: ირლანდია – 57.8%, სლოვაკეთი - 39.7%, სლოვენია – 36.3%, ავსტრია - 35.3%. რაც შეეხება დასაქმებას სასოფლო რეგიონებში სურათი შემდეგ სახეს იღებს: ირლანდია – 66.3%, სლოვაკეთი - 43.9%, რუმინეთი – 41.8%, ესტონეთი – 43.2%, ბელგია – 6.7%, პოლანდია – 0.6%, გაერთიანებული სამეფო – 2.8%.

**სიდარიბის განაკვეთი.** 2014 წელს ევროკავშირის მთლიანი მოსახლეობის 24.4% (127.7 მილიონი ადამიანი) იყო სიდარიბის რისკის წინაშე. მოცემული მაჩვენებელი წევრი ქვეყნების მიხედვით ვარირებს და ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა რუმინეთში (40.2%), ბულგარეთში (40.1%), საბერძნეთსა (36%) და ლატვიაში<sup>90</sup>. ყველაზე მინიმალურ დონეზე მოცემული მაჩვენებელი აღინიშნა შემდეგ ქვეყნებში: ჩეხეთის რესპუბლიკა – 14.8%, პოლანდია – 16.5% და შვედეთი - 16.9%. რაც შეეხება რეგიონების მიხედვით ამ მაჩვენებლის განაწილებას ყველაზე მაღალი იყო მეჩერად დასახლებულ რეგიონებში ანუ სოფლად – 27.1%.

**უმუშევრობის განაკვეთი.** მოცემულმა განაკვეთმა პიგს მიაღწია 2013 წელს და შეადგინა სამუშაო ძალის 10.8% (24.8 მილიონი ადამიანი).<sup>91</sup> 2014 წელს მოცემული მაჩვენებელი 10.2%-მდე შემცირდა. აქედან აბსოლუტურ მაჩვენებელში 6.4 მლნ. უმუშევარი ადამიანი ცხოვრობდა სოფლად, 7.5 მლნ - შუალედურ რეგიონებში, ხოლო 10.8 მლნ - მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (ურბანულ რეგიონებში).

**ეკონომიკური აქტივობის სტრუქტურა.** ევროკავშირის წამყვანი ეკონომიკური სექტორია მომსახურების სფერო, რომლის მთლიან დამატებულ დირებულებაში შექმნილი წილი 2014 წელს შეადგენდა 73.9%-ს. 2014 წელს სასოფლო

<sup>90</sup> CAP CONTEXT INDICATORS 2014-2020 9. POVERTY RATE, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2015, p. 3.

<sup>91</sup> CAP CONTEXT INDICATORS – 2015 update, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2015, p. 29.

რეგიონებისათვის მოცემულ სექტორს მთლიან დამატებულ ღირებულებაში 64.9% ეჭირა, მაშინ როცა მეორად სექტორს (სამთო მრეწველობა და გადამუშავება) 30.7% ეჭირა, ხოლო პირველად სექტორს (სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა) მხოლოდ 4.5%. EU15-სა და EU13-ის მიხედვით მოცემული მაჩვენებელი (პირველადი სექტორის წილი) სოფლის ერთოორად განსხვავდება. თუ კი პირველი მათგანი დამატებითი ღირებულების მიხედვით პირველად წარმოებაში 4%-ს ქმნის, მეორე მათგანის კონტრიბუცია 7%-ს შეადგენს.

**დასაქმების სტრუქტურა.** სოფლის მეურნეობის რესურსები პოტენციალის უმნიშვნელოვანესი ელემენტია შრომითი რესურსები და ძირითადად სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონე განსაზღვრავს სხვა ფაქტორების გამოყენების ეფექტიანობასა და საერთო საქმიანობის შედეგებს. 2014 წელს სამუშაო ძალის 73.1% დასაქმებული იყო მომსახურების სფეროში. მეორად სექტორში დასაქმებული იყო 21.9% და 5% პირველად სექტორში. ყველაზე მაღალი დასაქმების მაჩვენებელი პირველად სექტორში დაფიქსირდა რუმინეთსა (29.4%) და ბულგარეთში (19.4%). 2%-ზე ნაკლები იყო ამ მიმართულებით დასაქმება გერმანიაში, მალტაში, გაერთიანებულ სამეფოში და სხვა. მეორად სექტორში, რომელიც სურსათის წარმოებასაც მოიცავს, 30%-ზე მაღალი იყო ჩეხეთის რესპუბლიკაში, სლოვაკეთსა და პოლონეთში; 15%-ზე დაბალი იყო პოლანდიასა და საბერძნეთში.

უშუალოდ სოფლის მეურნეობაში 2014 წელს დასაქმებული იყო 9.5 მილიონი ადამიანი, რომელიც მთელი ევროკავშირის დასაქმებულთა 4.4%-ს წარმოადგენს. რუმინეთსა და პოლონეთში აგროსექტორში დასაქმებულთა 40% მოდიოდა. 2009-2014 წლებში დასაქმების მაჩვენებელი სოფლის მეურნეობაში საგრძნობლად შემცირდა დაახლოებით 1 მილიონი დასაქმებულით. შემცირების ტენდენციები საგრძნობლად გამოჩნდა EU13-ში, ხოლო EU15-ში ზრდის მიმართულება შეინიშნებოდა.

სასურსათო ინდუსტრიაში 2014 წელს დასაქმებული იყო 5 მილიონი ადამიანი, ევროკავშირში მთლიანად დასაქმებულთა 2.3%. აქედან გერმანიაში ყველაზე დიდი წილი მოდიოდა დასაქმებულთა (0.9 მილიონი ადამიანი – 20%). გერმანიასთან ერთად, იტალია, საფრანგეთი და ესპანეთი ამ მიმართულებით დასაქმებულთა 60%-ს მოიცავდნენ.<sup>92</sup>

რაც შეეხება ფერმების სტრუქტურას დასაქმების თვალსაზრისით, აქ ყურადღება გასათვალისწინებელია საოჯახო და არასაოჯახო სამუშაო ძალაზე.

<sup>92</sup> CAP CONTEXT INDICATORS 2014-2020 13. EMPLOYMENT BY ECONOMIC ACTIVITY, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2015, p. 2.

ევროკავშირის სოფლის მეურნეობაში დომინირებს საოჯახო მეურნეობები, რომლებშიც ოჯახის წევრები წარმოადგენენ ძირითად სამუშაო ძალას. გასათვალისწინებელია, ასევე, ბიზნესის სეზონურობაც, უმეტესად ოჯახის წევრები დასაქმებულნია არიან არა მთელი წლით და სრული განაკვეთით, არამედ სეზონურად. ხშირ შემთხვევაში ოჯახის წევრებზე არ გაიცემა ხელფასი და ისინი საკუთარი შრომის ანაზღაურებას საერთო მოგებაში წილის სახით იდებენ. სლოვენია, რუმინეთი, პოლონეთი, ირლანდია და იტალია გამოირჩევიან საოჯახო მეურნეობის საკმაოდ დიდი კონცენტრაციით მთლიანად სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობაში. ამის საპირისპიროდ, ჩეხეთის რესპუბლიკასა და სლოვაკეთში საოჯახო ფერმებში დასაქმებულთა შორის ოჯახის წევრი მთლიანად დასაქმებულთა 5%-ზე ნაკლებია.

ასაკი საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია სამუშაო ძალისა და ფერმერული მეურნეობის მენეჯერის შეფასების თვალსაზრისით. მოცემული სექტორი გამოირჩევა ასაკობრივი დაბერებისადმი მიდრეკილებით, ფერმერთა 55% 55 წელზე მეტისაა და 35 წელს ქვემოთ მხოლოდ 6.9%-ს გააჩნია ამ სექტორში ბიზნესი. ყველაზე დიდი ტენდენცია დაბერებისაკენ მიდრეკილების აღინიშნება პორტუგალიასა და კვიპროსში (70%-ზე მეტი), ხოლო საპირისპირო ტენდენცია აღინიშნება ავსტრიასა და პოლონეთში (30%-ზე ნაკლები).

**სწავლება და ტრენინგი.** 2013 წელს ევროკავშირში ფერმერთა 8.5%-მა გაიარა სრული ტრენინგები. ფერმერთა 69.8%-მა საკუთარი ცოდნა პრაქტიკული გამოცდილებიდან შეიძინა.<sup>93</sup> უშუალოდ ქვეყნების დონეზე ტრენინგების სრული ციკლი გავლილი აქვთ ფერმერთა შემდეგ პროცენტს: ლუქსემბურგი (50%), ჩეხეთის რესპუბლიკა (34.6%), საფრანგეთი (29.3%), ლატვია (28.4%), პოლონეთი (27.6%) და ავსტრია (27.2%). რაც შეეხება პრაქტიკულ ცოდნას, ყველაზე მეტად ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებშია გაურცელებული, EU13-ში ფერმერების დაახლოებით 80.7%-ს არ აქვს გავლილი ტრენინგები.

პრაქტიკული და თეორიული ცოდნის მიღების ტენდენცია საკმაოდ განსხვავებულია ასაკობრივ ჭრილშიც, მთლიანი ტრენინგების ციკლი ევროკავშირის ახალგაზრდა ფერმერების 19.9%-ს აქვს გავლილი, განსაკუთრებით დიდია ეს მაჩვენებელი წამყვან წევრებში. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, კი პირიქით, პრაქტიკული გამოცდილება არის წამყვანი ახალგაზრდა ფერმერებში (რუმინეთი

<sup>93</sup> CAP CONTEXT INDICATORS – 2015 update, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2015, p. 106.

93.1%). პრაქტიკული გამოცდილება ასევე მნიშვნელოვან წილს იკავებს 55 წელს ზევით ასაკობრივ ჯგუფში, რუმინეთსა და ბულგარეთში მოცემული ასაკობრივი ჯგუფის ფერმერების 90%-ს არ აქვს გავლილი არანაირი ტრენინგი. თავისთავად, მოცემული განაპირობებს თანამედროვე ახალი ცოდნის სიმწირეს და ცოდნის გადაცემის პრობლემებს აგრარულ სექტორში და იწვევს პროდუქტიულობის შემცირებას. იმ ქვეყნებში, რომლებშიც ინიცირებულია ტრენინგების სრული ციკლი და ფერმერებიც აქტიურად იძენენ ახალ ცოდნას, პროდუქტიულობა გაცილებით მაღალია.

**პროდუქტიულობა.** შრომის პროდუქტიულობა. მოცემული მაჩვენებელი გამოითვლება მთლიანი დამატებითი დირებულების გაყოფით დასაქმებულობა რაოდენობასთან. 2014 წლისათვის ევროკავშირის შრომის პროდუქტიულობამ მიაღწია 52,040 ევროს ერთ პერსონაზე. ყველაზე მაღალი პროდუქტიულობა დაფიქსირდა მეორად სექტორში (ინდუსტრია), მეორე ადგილი დაიკავა მომსახურების სექტორმა, ხოლო პირველადი სექტორი (სოფლის მეურნეობა) მესამე ადგილზეა და შეადგინა 17,581 ევრო ერთ დასაქმებულზე. მთელი ევროკავშირის მასშტაბით პირველადი წარმოების სექტორი ყველაზე დაბალპროდუქტიულია, აქ განსაკუთრებით გამოიყოფა EU13, მათ შორის რუმინეთსა და ბულგარეთში 3 000 ევრო მოდის ერთ დასაქმებულზე. ყველაზე მაღალი პროდუქტიულობის მაჩვენებელი ამ მიმართულებით გააჩნია პოლანდიას, დანიასა და შვედეთს – 49,000 ევრო დასაქმებულზე (იხ. დანართი №26).

სურსათის ინდუსტრიაში შრომის პროდუქტიულობის მაჩვენებელმა 2013 წელს მთლიანად ევროკავშირში შეადგინა 50,239 ევრო ერთ დასაქმებულზე, EU15-ის მიხედვით მოცემული მაჩვენებელი იყო 62,625 ევრო ერთ დასამქებულზე, ხოლო EU13-ის მიხედვით 15,431 ევრო.<sup>94</sup> ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ირლანდიასა (160,996 ევრო/დასაქმებული) და პოლანდიაში (107,331 ევრო/დასაქმებული), ყველაზე დაბალი კი – ბულგარეთში (10,957 ევრო/დასაქმებული), ლატვიასა (18,484 ევრო/დასაქმებული) და უნგრეთში (18,289 ევრო/დასაქმებული).

ყველა ფაქტორის პროდუქტიულობა - Total factor productivity (TFP) განსაზღვრავს აგრარული სექტორის მუშაობის ეკონიმიკას და გვიჩვენებს აგრარული სექტორი რამდენად ეფექტიანად იყენებს მის ხელთ არსებულ რესურსებს რათა მოახდინოს

<sup>94</sup> CAP CONTEXT INDICATORS – 2015 update, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2015, p. 71.

ყველა აქტივის ჩართვა პროდუქციის საწარმოებლად. ხშირ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოცემული არ არის უშუალოდ ბიზნესმენზე დამოკიდებული, რადგან ბუნებრივ-კლიმატური პირობები და დაავადებები არ არის მართვადი ფაქტორები. 2012-2014 ყველაზე დიდი ცვლილება პროდუქტიულობის თვალსაზრისით მიმდინარეობდა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, ტენდენცია საკმაოდ დადგებითია საერთო ჯამში. გამორჩეული ამ მხრივ რუმინეთი იყო, რომლის პროდუქტიულობის ყოველწლიური ზრდა 4.5%-ს შეადგენდა 2005-2014 წლებში, ხოლო 2012-2014 წლებში საერთო ნახტომმა 27.4% აჩვენა. ამავე პერიოდში საკმაოდ დიდი ზრდის ტენდენციები აჩვენეს ბელგიაში (25%), უნგრეთში (19.5%), ბულგარეთში (17.6%) და სლოვაკეთში (16.3%). წამყვან ქვეყნებში კი ტენდენცია საპირისპირო მიმართულებით ვითარდებოდა – გერმანიაში 4.7%-ით შემცირდა პროდუქტიულობა, ხოლო ფინეთში – 4.7%-ით (იხ. დანართი №27).

**მთლიანი ძირითადი კაპიტალის ფორმირება - Gross Fixed Capital Formation (GFCF),** განსაზღვრავს სექტორის მომავალ კონკურენტუნარიანობას და გვიჩვენებს მთლიანი დამატებული ღირებულების რა წილის ინვესტირება ხდება მოხმარების ნაცვლად. 2013 წელს სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტირებული იქნა 58 მილიარდი ევრო, სოფლის მეურნეობის მთლიანი დამატებული ღირებულების 30%, აქედან 90%-ის (52.2 მილიარდი ევრო) ინვესტირება განხორციელდა წამყვან ქვეყნებში (საფრანგეთი, გერმანია, იტალია).<sup>95</sup> ინვესტირების ყველაზე დაბალი მაჩვენებელები ფიქსირდება ახალ წევრ ქვეყნებში, განსაკუთრებით ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში (იხ. დანართი №34).

**აგრობიზნესის სტრუქტურა.** ყველა ქვეყანაში განსხვავებულია ფერმების განაწილების სტრუქტურა, ზოგიერთ ქვეყანაში აგრარულ სექტორში რამდენიმე დიდი ფერმა ოპერირებს და ათვისებული აქვს დიდი სასოფლო-სამეურნეო მიწა, ზოგიერთში პირიქით - სექტორი მოიცავს ძალიან ბევრ მცირე ფერმას, და მიწებიც საკმაოდ ფრაგმენტირებულია. შესაბამისად, დასაქმებულთა რაოდენობაც განსხვავებულია ფირმების მიხედვით. 2013 წელს ყველაზე ბევრი ფერმა და დასაქმებული იყო რუმინეთში (33% მთლიანი ფერმების და ამ მიმართულებით მთლიანი დასაქმების 16%), პოლონეთში (ფერმების 12%, დასაქმების 20%) და იტალია (ფერმების 9% და დასაქმების 8%). ახალ წევრ ქვეყნებში მთელი ფერმების 60%-ია გაბნეული, მაშინ როცა ისინი ევროკავშირში მთლიანად დამუშავებული მიწების

<sup>95</sup> CAP CONTEXT INDICATORS 2014-2020 28. GROSS FIXED CAPITAL FORMATION IN AGRICULTURE, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2015, p. 1.

30%-ს ფლობენ მხოლოდ. დამუშავებული მიწების სიდიდის მიხედვით პირველია საფრანგეთი (16% მთლიანად ევროკავშირში დამუშავებული მიწების), ესპანეთი (13%) და გაერთიანებული სამეფო (10%). EU15-სა და EU13-ში დასაქმებულთა რაოდენობა თითქმის თანაბრად არის განაწილებული, მაგრამ დამუშავებული მიწის ფართობით და ფერმების ზომით პირველი მათგანი უცილობლად ლიდერობს.

**სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენება.** 2013 წელს ევროკავშირში მთლიანად დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო მიწა (utilised agricultural area (UAA)) მოიცავდა 174 მილიონ ჰექტარს. აქედან საფრანგეთი იყო უველაზე მსხვილი არეალის მფლობელი (28 მლნ. ჰა - 16% მთლიანი ტერიტორიის). მთლიანი დამუშავებული ტერიტორიის 71% მდებარეობს ძირითადი 15 წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, დანარჩენი 29% კი - ახალი წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე. მთელი დამუშავებული ტერიტორიიდან 60% გამოყენებულია სახნავ-სათესად, 34% - მუდმივი საძოვრებისა და მდელოებისათვის, ხოლო 6% - მრავალწლიანი ნარგავებისათვის.

**საირიგაციო სისტემა.** 2013 წელს საირიგაციო სისტემა მოწყობილი იყო 10.3 მილიონ ჰექტარზე, რაც მოიცავდა მთლიანი დამუშავებული მიწების 5.8%-ს.<sup>96</sup> ევროკავშირის ახალ და ძველ წევრებს შორის საკმაოდ უთანაბროა მოცემული სისტემის განაწილების სტრუქტურა. მთელი საირიგაციო სისტემის 95% (9.7 მლნ. ჰა.) მოდის ძველ წევრებზე, განსაკუთრებით სამხრეთ ევროპის ქვეყნებზე (იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და საბერძნეთი – ჯამში 87% საირიგაციო სისტემის მქონე მთელი დამუშავებული მიწებისა). ახალ წევრებში საირიგაციო სისტემები დამუშავებული მიწის მხოლოდ 1%-ს მოიცავს. 2007-2013 წლებში მოცემული მიმართულებით საკმაოდ დიდი ცვლილებები განხორციელდა: შეგვიძლია გამოვყოთ: უნგრეთი (საირიგაციო სისტემების 61.1%-იანი ზრდა), ლიბერა (+60%), სლოვენია (+56.8%) და ბულგარეთი (+35.8%). როგორც ვხედავთ 2007 წლამდე უველაზე დიდი პრობლემა ამ მხრივ ჰქონდათ ევროკავშირის ახალ წევრ კოფილ სოციალისტურ ქვეყნებს და მათ განვითარებისა და ზრდის გაცილებით უფრო მეტი შანსები შეექმნათ აუთვისებელი დიდი ტერიტორიებიდან გამომდინარე, რაც განპირობებული იყო გარდამავალი ეტაპით, ძველი ეკონომიკური წყობილების მოშლით, გამუდმებული კრიზისებითა და სხვა. ამ მიმართულებით ზრდას ან კლებას ასევე დიდ წილად განაპირობებს თითოეული წევრი ქვეყნის პრეფერენციები და მოთხოვნები ჩაერთოს სოფლის მეურნეობის სექტორში, ასევე უველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი,

<sup>96</sup> CAP CONTEXT INDICATORS – 2015 update, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2015, p. 89.

მიუხედავად დიდი სურვილისა, არის ფინანსური უზრუნველყოფა, რაც გადარამავალი ეტაპის (ტრანფორმირებადი) მქონე ქვეყნებისთვის დიდი ფუფუნება იყო. ევროკავშირში ინტეგრაციის შემდგომ, საერთო სამოქმედო აგრარულ პოლიტიკასთან მორგების მიზნით სხვადასხვა სტრუქტურულმა ცვლილებებმა, ასევე დაფინანსებამ ევროკომისიის ბიუჯეტიდან განაპირობა მსგავსი მასშტაბური ზრდა.

**მეცხოველეობა.** ევროკავშირში 130 მილიონი სული ცხოველია (Livestock units - LSU), აქედან 82% EU15-ში, საფრანგეთში კი ყველაზე მეტი რაოდენობა დაახლოებით 21.8 მილიონი. რაც შეეხება მეცხოველეობის სიმჭიდროვეს, რომელიც გამოითვლება პირუტყვის სულადობის ფარდობით მიწის არეალთან, ყველაზე მაღალი იყო პოლანდიაში (3.5 LSU/ჸა) და შემდეგ მალტაში. ყველაზე დაბალი იყო ბატლიის ქვეყნებში (0.3 LSU/ჸა), სლოვაკეთსა (0.3 LSU/ჸა) და ბულგარეთში (0.2 LSU/ჸა). აქედან შევეხოთ ფერმების კლასიფიკაციას ზომის მიხედვით (იგულისმება ფერმაში პირუტყვის სულადობის რაოდენობა), ევროკავშირში ფერმების კლასიფიკაცია ხორციელდება რამდენიმე კატეგორიად, ესენია: 1) 5-მდე ერთეული პირუტყვი, 2) 5-9.9 ერთეული, 3) 10-14.9 ერთეული, 4) 15-19.9 ერთეული, 5) 20-49.9 ერთეული, 6) 50-99.9 ერთეული, 7) 100-499.9 ერთეული და 8) 500-ზე მეტი. მოცემული კლასიფიკაციით ყველაზე მეტი მცირე ფერმა (რომელშიც 5 სულზე ნაკლებია) არსებობს EU13-ში (59.7%), როდესაც EU15-ში, მოცემული მაჩვენებლი 14.4%-ს შეადგენს. ბულგარეთში მაგალითად მთელი ფერმების 60.7% 5 სულზე ნაკლებ პირუტყვს ფლობს, ხორცატიაში კი ეს კონცენტრაცია 59.1%-ს შეადგენს.<sup>97</sup> ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ახალ წევრებში ბევრი წვრილი ფერმერის არსებობას და აუცილებლობას მათი კოოპერირებისათვის (რაც ასე დამახასიათებელია საქართველოსათვისაც). ყველაზე მსხვილი ფერმები (100-499.9 ერთეული) განაწილებულია ბელგიაში, პოლანდიაში, გაერთიანებულ სამეფოსა და ლუქსემბურგში (თითოეულ ში 20%-ზე მეტი). თავისთავად ეს ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში მასშტაბის ეკონომიურობაზეც მიუთითებს. ხაზი უნდა გაესვას პროდუქტიულობის საკითხებაც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, პროდუქტიულობა სწორედ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებშია დაბალი, რაც არამარტო ტექნოლოგიისა და ცოდნის სიმწირით არის განპირობებული, არამედ ძალიან ბევრი მცირე ზომის ფერმის არსებობით და დიდი დანაწევრებით, რაც მოითხოვს უფრო მეტად კოოპერირებას.

<sup>97</sup> CAP CONTEXT INDICATORS – 2015 update, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2015, p. 93.

როგორც ვხედავთ, ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში (ძირითადად ყოფილი სოციალისტური ქვეყნები) დაბალია აგრარული სექტორის პროდუქტიულობა (როგორც შრომის, ასევე სხვა ფაქტორების მიხედვით), მაღალიან ბევრი წვრილი საოჯახო ფერმაა, რომელიც ამუშავებს მაღალ ფრაგმენტირებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, ჰყავს მაღალ ცოტა დასაქმებული (5 პერსონაზე ნაკლები) და პირუტყვი (5 ერთეულზე ნაკლები). მოცემული ერთი მხრივ განპირობებულია გარდამავალ ეტაპზე ძველი სისტემის მოშლით, ეკონომიკური კრიზისებით, პოლიტიკური არასტაბილურობით. ასევე, ამას ემატება ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სიმწირე, აგრარულ სექტორში მომუშავეთა და უშუალოდ ფერმერთა არასათანადო დონეზე გადამზადების ტენდენციები. თავისთავად ამ ქვეყნებს გაცილებითი დიდი ზრდის პოტენციალი აქვთ უკვე განვითარებულ წამყვან ქვეყნებთან შედარებით, რაც საჭიროებს მეტ ფინანსურ უზრუნველყოფას. ახალი წევრებისთვის ევროკავშირში ინტეგრაცია, თავისთავად, გახდა წინაპირობაც და განმსაზღვრელიც ამ სექტორის წინ წამოწევისა და ხელშეწყობისათვის, რაც განპირობებულია და გარანტირებულია ევროკომისის სამოქმედო სტრატეგიით “ევროპა 2020” და ერთიანი აგრარული პოლიტიკით “CAP”. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მოცემული ქვეყნები ინტეგრაციის შემდგომ სრულიად სხვა პროპორციით იღებენ დაფინანსებას ევროკავშირის ბიუჯეტიდან ვიდრე მანამდე წამყვანი წევრი ქვეყნები იღებდნენ. სექტორში ინვესტიციების ოდენობაც საკმაოდ მცირეა ამ ქვეყნებში, რაც ზრდის პოტენციალის გამოყენების შანსებს ამცირებს.

აქვე უნდა შევეხოთ ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისათვის მოსალოდნელ შედეგებს სექტორის ტექნიკურ-ტექნოლოგიური გადაიარაღების შემთხვევაში. როგორც გნახეთ, სექტორში დასაქმებულთა დიდი წილი მოდის ახალ წევრ ქვეყნებში და ისინი შედარებით დაბალპროდუქტიულები არიან, რაც განპირობებულია ნაკლები ინვესტიციით და კაპიტალშეიარაღების დაბალი დონით. მასშტაბური ინვესტიციისა და დაფინანსების პირობებში ტექნოლოგიასა და აღჭურვილობას შეუძლია გამოდეგნოს სექტორიდან სამუშაო მაღალ, რაც გამოიწვევს უმუშევართა რიგების ზრდასა და სოფლებიდან ქალაქისკენ დენადობას.

ბევრ პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში, ასევე ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, სხვადასხვა მაჩვენებლისა და ინდიკატორის შეფასების კუთხით სიტუაცია საქართველოს მსგავსია. შედარებისათვის ავიღეთ აღნიშნული ქვეყნები, რადგან ყველაზე ახლოს დგანან ჩვენს ქვეყანასთან და ათვლის წერტილი დაახლოებით ერთნაირია მათთვის, ზოგიერთ მათგანში, ისევე როგორც საქართველოში, საბჭოთა

კავშირის დაშლის შემდგომ მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები, სამოქალაქო ომი და დაპირისპირება; ზოგიერთი მათგანი უკიდურესი სიდარიბის ზღვარზე იმყოფებოდა 90-იანები წლების ბოლოს და რაც მთავარია, უკელა მათგანი იყო ერთიანი სივრცის, ერთიანი ეკონომიკური სისტემის ნაწილი - გეგმიურად მართული ეკონომიკური სისტემის. თუმცა, განვითარებისა და ერთიან ეკონომიკურ-ეკონომიკურ სივრცეში მოსახვედრად თითოეულმა არათუ მსგავსი, არამედ განსხვავებული გზა გაიარა, განსხვავებული სარეფორმო სტრატეგია შეიმუშავა და დღეს ისინი უკვე წარმოადგენენ ეკონომიკურის წევრ ქვეყნებს. სწორედ ამიტომ, აუცილებელია მოცემული ქვეყნების გამოცდილების განხილვა და მათი საქართველოსთან მისადაგების შემთხვევაში საქართველოსთან ადაპტაცია და არა პირდაპირი იმპლემენტაცია, რასაც ძალიან ხშირად „ინსტიტუციურ ხაფანგში“ შეჰყავს ქვეყანა ან იწვევს „ინსტიტუციურ დისფუნქციას“.

მაგალითად, ბულგარეთი და რუმინეთი უდარიბეს ქვეყნებს წარმოადგენდნენ გარდამავალი ეტაპის დასაწყისში. მეორე მხრივ, სლოვენიამ დიდი უპირატესობა მოიპოვა ეკონომიკურ დასავლურ ნაწილთან სიახლოვით. მიუხედავად სხვაობისა შეიძლება გამოვკვეთოთ საერთო მიმართულებები. ახლად არჩეულ დემოკრატიულ მთავრობას მოუწია ახალი და სრულიად განსხვავებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარემოს ჩამოყალიბება, მოცემულმა ზოგიერთ ქვეყნაში საკმად დიდი დრო მოითხოვა სხვადასხვა არსებითი ფაქტორის გამო (თუნდაც საომარი სიტუაციის გავლენით).

პირველ რიგში, შედარების გასაკეთებლად აუცილებელია იმ ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების გამოვლენა, რომელიც კიდევ ერთხელ დაგვანახებს საქართველოსა და ამ ქვეყნების ერთიან ჭრილში განხილვის შესაძლებლობას. მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ით და ეკონომიკური ზრდით. უკელა ქვეყანა ეკონომიკის ზრდის ნები ტემპით ხასიათდებოდა. 2000 წლიდან მოყოლებული დადებითი ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე 2007-2008 წლებში მოცემული მიმართულებით აშკარა გარდნა დაფიქსირდა უკელა ქვეყანაში. თუმცადა, 2009 წლიდან მათ კვლავ შეძლეს ამ მიმართულებით ზრდის დაფიქსირება, მაგრამ კრიზისამდე პერიოდის მაჩვენებელს გერ მიუახლოვდნენ. ანალოგიურად, საქართველოში გარდნა შეინიშნებოდა 2007-2008 წლებში რიგი ფინანსური კრიზისის და რიგი 2008 წლის საომარი ვითარებით გამოწვეული ფაქტორების გამო. ზრდა 2009 წლიდან დაიწყო, თუმცა 2007 წლის მაჩვენებელს ჯერ გერ გაუტოლდდა (იხ. დანართი №35).

აქვე აუცილებელია შევეხოთ ევროკავშირის წევრ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებსა (EU13) და დასავლურ ნაწილს (EU15) შორის კონვერგენციის საკითხს. 2009 წელს ევროკავშირის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დიდია კორელაცია ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით. ასევე, კონვერგენციაც დადგებითი ასპექტებით ვთარდება, ხოლო მთლიანად სრული დაახლოებისათვის ქვეყნებს 8-დან 33 წლამდე დასჭირდებათ (**იხ. დანართი №36**).<sup>98</sup> ყველაზე დიდი პერიოდი ესაჭიროებათ ბულგარეთს, რუმინეთსა და პოლონეთს, რომლებთანაც საქართველოს ინდიკატორები ერთი-ორად ახლოს დგას და ეს მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მათი გამოცდილების გასათვალისწინებლად.

---

<sup>98</sup> Rapacki Ryszard and Próchnia Mariusz - The EU Enlargement and Economic Growth In the CEE New Member Countries, European Commission, Brussels, 2009, p. 3.

## **თავი 3. აგრობიზნესის დაკრედიტების თანამედროვე სისტემა**

### **3.1. აგრობიზნესის საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი საქართველოში**

საქართველოში აგრარულის სექტორის ფორმირება და განვითარება დიდი ხანი საკმაოდ არახელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა და შეზღუდული იყო სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დაფინანსების შესაძლებლობანი. საკუთარი სახსრებით კი ფერმერული მეურნეობების მაღალი მატერიალურ-ტექნიკური დონით უზრუნველყოფა ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. საქართველოში განხორციელებულმა აგრარულმა რეფორმებმა ცხადყო, რომ დღემდე ჯერ კიდევ დიდი ხარვეზები იყო ფერმერთა დაფინასება-დაკრედიტების სფეროში, ქვეყანაში არ არსებობდა ეფექტიანი დარგობრივი საკრედიტო პოლიტიკა.

აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება თავისთავად მაღალრისკიანი საქმიანობაა და ამდენად მისი დაკრედიტებაც მაღალ რისკთანაა დაკავშირებული. ამასთან, ფერმერთა დაკრედიტების მაღალ რისკს განაპირობებს ისიც, თუ ქვეყანაში არ არსებობს ქმედითი სადაზღვევო სისტემა.

აგრარული სექტორის ძირითად დამფინანსებლად ისევ წვრილი და საშუალო ფერმერული მეურნეობები გვევლინება, რომლებიც თავიანთი მცირე დანაზოგების რეინვესტირებით ახდენენ თვითდაფინანსებას, რომელიც უმეტს შემთხვევაში მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არის საკმარისი.

ქართული საბანკო-საკრედიტო სისტემა განვითარების ახალ ფაზაში შევიდა და საერთაშორისო სტანდარტებს მიუხელოვდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბანკების უმეტესობა თავს არიდებდა გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი და რისკიანი პროექტების დაკრედიტებას. ამიტომაც, უმეტესი კომერციული ბანკების მიერ არ ხორციელდებოდა ფერმერული მეურნეობების დაკრედიტება ბოლო პერიოდამდე (2013 წალმდე).

საქართველოში აგრარული სექტორის მიმართულებით დაფინანსება-დაკრედიტების განვითარებას საფუძველი ჩაეყარა 1996 წლიდან, ევროკავშირის მიერ საქართველოსადმი სასურსათო დახმარების პროგრამის ფარგლებში შემოტანილი პროდუქტების (ხორბალი, ფქვილი) რეალიზაციისა და მონეტიზაციის შედეგად აკუმულირებული სახსრების საფუძველზე “საპარტნიორო ფონდის” შექმნით.

აღნიშნული ფონდი მიზნად ისახავდა აგრარულ სექტორში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერას და ფერმერული მეურნეობებისა და გადამამუშავებელი საწარმოების განვითარებისათვის ხელშეწყობას, მათი დაკრედიტების გზით.<sup>99</sup>

აღნიშნული პროექტის ფარგლებში „საპარტნიორო ფონდი“ ქვეყანაში პირველი პროექტი იყო, რომელმაც კომერციული ბანკების ქსელი ჩართო აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე სესხების გასაცემად. „საპარტნიორო ფონდის“ ახალ ანგარიშებზე დაფუძნებული თანხებიდან პროგრამის შემდგომ ეტაპზე სესხების სახით სულ გაცემული იქნა 39 მლნ. ლარზე მეტი.<sup>100</sup> მოგვიანებით 1999 წელს ფონდის სამართალმემკვიდრე „აგრობიზნეს ბანკი“ გახდა, რომელიც მხოლოდ სოფლის მეურნეობის სფეროს დაფინანსებას უზრუნველყოფდა.

2005 წლის მარტში გაფორმდა ხელშეკრულება "სალფორდსა" და ევროკომისიას შორის, რომლის თანახმადაც, საერთაშორისო საინვესტიციო კომპანია "სალფორდის" წარმომადგენელმა საქართველოში "სალფორდ ჯორჯიამ" მოიძია შესაბამისი ინვესტორი კომპანიები და 2005 წლის ივნისში "საქართველოს აგრობიზნეს ბანკმა" შეიცვალა სახელწოდება და დაერქვა "სტანდარტ ბანკი".<sup>101</sup> იგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით სააქციო საზოგადოებას წარმოადგენდა და დაკრედიტებას ახორციელებს სხვადასხვა სექტორში.

მეცნიერი ირაკლი აგიაშვილი თავის სადისერტაციო ნაშრომში გამოყოფს "საპარტნიორო ფონდის" პროექტის განხორციელების პროცესში გამოვლენილ პრობლემებს ფერმერული მეურნეობების დაკრედიტებასთან დაკავშირებით:

- სესხების გადახდის რისკი და პასუხისმგებლობა მთლიანად კომერციულ ბანკებს დაეკისრათ, რის გამოც ბანკების მიერ ფერმერებისადმი სესხის მიღების წაყენებული მკაცრი ზომები მიუღებელი აღმოჩნდა;
- სესხის მიღებისათვის გირაოში არ მიიღებოდა ფერმერის კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგული. გირაოში მიიღებოდა მხოლოდ სწრაფად ლიკვიდური ქონება დედაქალაქის პრესტიულ უბნებში, რომელიც, რა თქმა უნდა, რეგიონებში მოქმედ ფერმერებს არ გააჩნდათ და ამდენად მათ ვერ შეძლეს სესხის გირაოთი უზრუნველყოფა;

<sup>99</sup> აგიაშვილი ი. ფერმერული მეურნეობების ფორმირების თავისებურებები საქართველოში და მათი როლი მოსახლეობის მარცვლეულით უზრუნველყოფაში. დისერტაცია, თბ., 2006, გვ. 84.

<sup>100</sup> იხ. იქვე.

<sup>101</sup> abg.org.ge/docs/8\_standart\_bank.doc

- ფონდის მიერ დაწესებულ 14%-ს, კომერციულმა ბანკებმა დამატებით დაარიცხეს 10%, რამაც შეადგინა 24%. მართალია, ეს განაკვეთები პროექტის შემდგომ ეტაპზე შემცირდა და წლიური 18-20% შეადგინა, მაგრამ ფერმერისათვის ეს განაკვეთიც წარმოუდგენლად მაღალი იყო;
- კომერციული ბანკები ძირითადად კონცენტრირებული იყო დედაქალაქში. ფილილათა ქსელი ვერ ფარავდა საქართველოს მთლიან მაშტაბებს, რის გამოც შეიქმნა კომუნიკაციის პრობლემები ბანკებსა და ფერმერებს შორის დისტანციის გამო;
- ფერმერებს გაუჭირდათ სათანადო დონეზე ბიზნეს-გეგმების შედგენა-შემუშავება.<sup>102</sup>

ქვეყნის აგრარულ სექტორში ფერმერული მეურნეობების განვითარების მხარდაჭერისა და დახმარების ღონისძიებების განხორციელების შედეგად ამ სფეროში მიღწეული დადებითი ტენდენციების მიუხედავად, ფერმერთა დაფინანსება-დაკრედიტების სისტემა სრულყოფას საჭიროებდა. მეცნიერებსა და სპეციალისტებს ფერმერთა ფინანსური პრობლემების გადასაჭრელად სოფლის მეურნეობის დაკრედიტების დამოუკიდებელი, ძლიერი და ეფექტური მოქმედი შედავათიანი სისტემის შექმნა მიაჩნდათ, ხოლო სახელმწიფოს გრძელვადიანი პერსპექტიული პოლიტიკა მიმართული უნდა ყოფილიყო სუბსიდიებით უზრუნველყოფისაკენ და დაკრედიტების პროგრამაში თანამონაწილეობით. სოფლის მეურნეობის დაკრედიტების შედავათიანი სისტემა კერძო და სახელმწიფო მმართველობის ეფექტურ შერწყმაზე უნდა დაფუძნებულიყო. სწორედ ამას ემსახურება 2013 წლის 27 მარტს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ახალი დაკრედიტების პროგრამა: „შედავათიანი აგროკრედიტის“ პროგრამა, რომელშიც თავდაპირველად 13 კომერციული ბანკი და 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მონაწილეობდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, დარგში მოღვაწე საერთაშორისო საბანკო გიგანტებთან მუშაობა მიმდინარეობდა, რათა ერთობლივი დასკვნა გაკეთებულიყო, აქვს თუ არა პერსპექტივა საქართველოში მხოლოდ აგრობიზნესის დაკრედიტებაზე ორიენტირებული ბანკის არსებობას.

<sup>102</sup> აგიაშვილი ი. ფერმერული მეურნეობების ფორმირების თავისებურებები საქართველოში და მათი როლი მოსახლეობის მარცვლეულით უზრუნველყოფაში. დისერტაცია, თბ., 2006, გვ. 89-90.

მანამდე კი პრემიერ-მინისტრის ინიციატივით მეურნეობის განვითარების 1 მილიარდიანი ფონდის შექმნა განხორციელდა, რომელიც წარმოადგენს მთავარ ინსტრუმენტს საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი “მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტისა” და “შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის” განსახორციელებლად. დღეისათვის ფონდის შემომწირველია ორი კერძო სამართლის იურიდიული პირი: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი და საერთაშორისო საქველმოქმედო “ფონდი ქართუ”.<sup>103</sup>

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) აგრძელებს აგრობიზნესში ჩართული საწარმოების მხარდაჭერას. არაერთხელ გამოყო საკრედიტო ხაზი ფერმერებისა და სხვა სოფლის მეურნეობის ერთეულების დაკრედიტებისათვის. სოფლის მეურნეობის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში (GAFF), მეორე საკრედიტო ხაზი იქნა გამოყოფილ „ვითიბი ბანკ ჯორჯიასთვის“. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა, წვდომის გაზრდა პირველადი და მეორადი აგრობიზნესის დაფინანსებაზე. ამავდროულად, ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდაჭერა. დაკრედიტების მექანიზმი მოიცავს 1 მილიონი EUR EU NIF-ის ტექნიკური თანამშრომლობის მხარდაჭერას, რათა ხელი შეეწყოს რისკმენეჯმენტის პოლიტიკის დანერგვასა და ლირებულების ჯაჭვის განახლებას ფერმების დონეზე ხარისხისა და რენტაბულობის ამაღლების გზით.

ვითიბი ბანკსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს დიდი ხნის პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებს. ეს შეთანხმება სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს და საშუალებას მისცემს ფერმერებს გაზარდონ და განავითარონ საკუთარი ბიზნესი. EBRD-მა საქართველოში საქმიანობის დაწყების დღიდან 2013 წლამდე განახორციელა დაახლოებით 1.72 მილიარდი ევროს ინვესტირება 157-ზე მეტ პროექტში.

თანამედროვე საკრედიტო სისტემა მოიცავს საფინანსო - საკრედიტო ინსტიტუტების სამ ძირითად ჯგუფს: 1) ცენტრალური (ეროვნული) ბანკი; 2) საბანკო სექტორი (კომერციული ბანკები); 3) სპეციალური არასაბანკო საკრედიტო - საფინანსო ინსტიტუტები. უპანასკნელს მიეკუთვნება საკრედიტო კავშირები, იგივე კოოპერატივები, რომელსაც აარსებენ მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფები პროფესიული ან რელიგიური პრინციპების მიხედვით. მათი კაპიტალი იქმნება საპაიო

<sup>103</sup> <http://ge.vtb.ge/about/news/219138/>

შენატანების საფუძველზე განსაკუთრებული სახის აქციების შეძენის ფორმით. რასაც იყენებენ მოკლევადიანი დაკრედიტებისათვის.

საქართველოს კანონში მეწარმეთა შესახებ, მე-60 მუხლში გკითხულობთ - კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.<sup>104</sup>

კოოპერატივებს მიეკუთვნება: 1) სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივები; 2) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები და სხვა. უკანსკნელს, თავისთავად მიეკუთვნება სასოფლო-საკრედიტო კავშირები, რომელთა ძირითად მიზანს მოგების მიღება არ წარმოადგენს და გათვლილია საზოგადოების ძირითადი ამოცანების (ფინანსური ურთიერთდახმარების) შესასრულებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერატივის პარტნიორები, მსგავსად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების პარტნიორებისა, საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ, მოცემული მის უპირატესობას წარმოადგენს ფინანსური უზრუნველყოფის საკითხებში.

საქართველოს კანონში არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება განმარტებულია შემდეგნაირად – საკრედიტო კავშირი – კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული საწარმოა, რომელიც მხოლოდ თავისი წევრებისაგან იღებს ანაბრებს, აძლევს მათ სესხს, ახორციელებს ამ კანონით ნებადართულ საბანკო საქმიანობას და რომლის უმთავრესი მიზანი არ არის მოგების მიღება.<sup>105</sup> კანონის თანახმად საკრედიტო კავშირი უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი საბანკო საქმიანობა: ა) მიიღოს ანაბრები მხოლოდ თავისი წევრებისაგან; ბ) გასცეს სესხები მხოლოდ თავის წევრებზე; გ) განახორციელოს ინვესტიციები კანონის შესაბამისად; დ) გასწიოს ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება, სასესხო ვალდებულებების აღების ჩათვლით.

საკრედიტო კავშირის წევრობა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს. საკრედიტო კავშირის წევრად მიღებული პირი ვალდებულია საკრედიტო კავშირის

<sup>104</sup> საქართველოს კანონი “შეწარმეთა შესახებ”, საქართველოს პარლამენტი, თბ., 28.10.1994, თავი V, მუხლი 60.

<sup>105</sup> საქართველოს კანონი “არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ”, საქართველოს პარლამენტი, თბ., 04.07.2002, თავი I, მუხლი 1.

წესდებით განსაზღვრულ ვადაში და ოდენობით შეიტანოს პაი. საკრედიტო კავშირის ხელმძღვანელ ორგანოთა წევრები, გარდა დაქირავებული აღმასრულებელი დირექტორისა, უნდა იყვნენ იმავე საკრედიტო კავშირის წევრები.

საკრედიტო კავშირი ვალდებულია: ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტორი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად; ბუდალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ბუდალტრული აღრიცხვის წესების მიხედვით. აღნიშნული, ცალსახად, მოითხოვს საკრედიტო კავშირის შემქმნელი პირებისგან ბუდალტრული და ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების ცოდნას. იქიდან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობაში ძირითადად შინამეურნეობები ახორციელებენ საქმიანობას და ხშირ შემთხვევაში, ფერმებს უძღვებიან საკმაოდ მცირე ფინანსური ცოდნითა და გამოცდილებით, აღნიშნული კავშირების შესაბამისი ორგანოს ხელშეწყობის გარეშე ვერ მოხდება. აუცილებელია ამ კუთხით საგანმანათლებლო ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება.

მცირე ფერმერული მეურნეობების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით მათი კოოპერირება წარმოადგენს დღეისდღეისობით ამოსავალ წერტილს ფინანსური უზრუნველყოფის საკითხებში. სწორედ ამიტომ, მსოფლიო ბანკმა სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან ერთად 1995 წელს 6.5 მლნ. დოლარი გამოყო საქართველოში მცირე ფერმერთა სამეურნეო საქმიანობის დასაფინანსებლად და საკრედიტო კავშირების შესაქმნელად. პროექტის ფარგლებში საქართველოში შეიქმნა საკრედიტო კავშირების განვითარების ცენტრი, დაარსდა 150 სასოფლო-საკრედიტო კავშირი. 2000 წლისათვის საქართველოს 11 რეგიონში შექმნილი იყო სასოფლო-საკრედიტო კავშირი 580 ათასი ლარის საერთო კაპიტალით და 7 ათასი კაცის წევრთა საერთო რაოდენობით. მაგალითად, გურიაში 27 სასოფლო-საკრედიტო კავშირი არსებობდა. თუმცა ბევრი მათგანი მაშინვე გაქრა. საკრედიტო კავშირების ხელმძღვანელების უმეტესობამ იმ დროისთვის, ფერმერთა დახმარების ნაცვლად, არამიზნობრივად მოიხმარეს ფინანსები.<sup>106</sup>

ყოველ საკრედიტო კავშირზე გამოყოფილი იყო 5000 ამერიკული დოლარი, საიდანაც 3000 დოლარი აღნიშნული კავშირის რეგისტრაციას თუ ოფისის ხარჯებს უნდა მოხმარებოდა, ხოლო 2000 დოლარი სასოფლო-საკრედიტო კავშირებს უნდა

<sup>106</sup> აგიაშვილი ი. ფერმერული მეურნეობების ფორმირების თავისებურებები საქართველოში და მათი როლი მოსახლეობის მარცვლეულით უზრუნველყოფაში. დისერტაცია, თბ., 2006, გვ. 88.

მიეღოთ, როცა წევრთა საერთო შენატანები მიაღწიევდა 25,000 ლოდარს. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა ეკროგაერთიანების TACIS-ის და RARP-1 პროექტის ფარგლებში 7 რეგიონალური საკრედიტო კავშირი – კახეთის, სამეგრელოს, გურიის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის და აჭარის რეგიონებში.

ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს 1996 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში დაფუძნებული „ხუცუბანი“. აღნიშნული საკრედიტო კავშირის საწყის კაპიტალს 300 ლარი შეადგენდა, 2015 წლის ბოლოს კი განადლებულმა საწესდებო კაპიტალმა 50,800 ლარი შეადგინა. საკრედიტო კავშირის მიზანია მხოლოდ თავისი წევრებისათვის გასცეს ფულადი კრედიტები ნებისმიერი მნიშვნელოვანი მიზნისათვის, რათა ხელი შეუწყოს მათი მეურნეობის განვითარებას და გაუადვილოს მათ თავისუფალი ფულადი სახსრების დაზოგვა და დაგროვება.

საკრედიტო კავშირ „ხუცუბანი“-ს წევრობისათვის საჭიროა წესდებისა და საკრედიტო დებულების გაცნობა, შემდგომ კი განცხადებისა და საპაიო შენატანის 50 ლარის ოდენობით გაკეთება კავშირში. აღნიშნული თანხა ხვდება საკრედიტო კავშირში გახსნილ პირის ინდივიდუალურ საწევრო ანგარიშზე და შესაძლებელია მისი წელიწადში ერთხელ დეკემბრის თვეში გატანა, ან წლის ნებისმიერ დროს გაყიდვა. საკრედიტო კავშირისათვის მიმდინარე ანაბრები და ვადიანი დეპოზიტები სესხად გასაცემი თანხის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

საკრედიტო კავშირი წევრებს საკუთარი სახსრების განთავსებისათვის სთავაზობს მიმდინარე ანაბარს, რომელსაც ერიცხება წლიური 4-დან 11%-მდე. ანაბრის მფლობელს შეუძლია აიღოს სესხი დეპოზიტის პროცენტს + 6% წლიური საპროცენტო განაკვეთით, დეპოზიტის მთლიანი თანხის 80%-ის ფარგლებში. აღნიშნული, თავისთავად, ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთისგან განსხვავდება და საკმაოდ დაბალ პროცენტს წარმოადგენს.

საკრედიტო კავშირი ვადიანი დეპოზიტების 5 სახეს სთავაზობს წევრებს, რომელზეც სხვადსახვა ვადით შეტანის შემთხვევაში ერიცხება წლიური 4-დან 16%-მდე.<sup>107</sup> ანალოგიურად, მიმდინარე ანაბრის ფლობის პირობის მსგავსად, სესხის აღება შესაძლებელია დეპოზიტის პროცენტს + 6% წლიური საპროცენტო განაკვეთით, დეპოზიტის მთლიანი თანხის 80%-ის ფარგლებში. საკრედიტო კომისია სესხს გასცემს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ საქმიანობაზე მყარი სწრაფად რეალიზებადი გირაოს და წევრთა ანაბრების

<sup>107</sup> <http://www.credunion.ge/index.php?do=menu&id=16>

ურთიერთთავდებობის საფუძველზე. 2012 წელს სესხის საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული იყო არაუმეტეს თვეში 3-4%-ისა და შემდეგი პირობებით გასცემდა სესხებს:

**სასესხო პროცენტები:** 1. სასოფლო-სამეურნეო სესხი; 2. სამომხმარებლო სესხი; 3. სამრეწველო სესხი; 4. კომერციული სესხი; 5. საკურორტო სესხი. **სესხის უზრუნველყოფის სახეები:** 1. წევრის ანაბრით უზრუნველყოფილი; 2. გირაოთი უზრუნველყოფილი; 3. იპოთეკური სესხი; 4. კომბინირებულად უზრუნველყოფილი.

დღეისათვის “ხუცუბანი” კლიენტებს სთავაზობს შემდეგი ტიპის სესხებს: 1) ბიზნეს სესხებს; 2) სამომხმარებლო სესხებს; 3) იპოთეკურ სესხებს; 4) საანაბრე სესხებს; 5) სალომბარდე სესხება და 6) ავტო სესხებს.

ბიზნეს სესხით ხორციელდება აგრობიზნესის დაკრედიტება, პირობები კი შემდეგია: სესხის ოდენობა 50,000 ლარამდე; სესხის მაქსიმალური ვადა 60 თვემდე; თვეში 1.5%-დან; თვეში თანაბარი გრაფიკით დაფარვის შემთხვევაში 1,11% საშუალო შეწონილი.

2012 წლის საბალანსო მდგომარეობის მიხედვით მოცემულ საკრედიტო კავშირს გაცემული პქონდა 996,036.84 ლარის ოდენობის სესხი. მოზიდული - 779,174.9 ლარი ანაბრების სახით და მთლიანი აქტივები შეადგენდა 1,178,121.03 ლარს, წმინდა მოგება კი პერიოდის ბოლოს – 75,489.10 ლარს.<sup>108</sup> 2015 წლის მდგომარეობით, აქტივების დირებულება გამოიხატება – 2,187,939.51 ლარით, მოგება 125,705.45 ლარით. გაცემულია 1,890,478.53 ლარის სესხი. დეპოზიტების სახით კი მიღებული – 1,345,577.44 ლარი. თავისთავად, აღნიშნული სასოფლო საკრედიტო-კავშირი წარმოადგენს წარმატებული საკრედიტო-კავშირის მაგალითს და ხაზს უსვამს მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობებისათვის ამ მიმართულებით ფინანსური უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

საქართველოში აღნიშნული მიმართულებით პრობლემა თავად საკრედიტო კავშირის არსის გაგებაშია, დაფინანსებული პროექტების ეფექტიან შესრულებასა და მონიტორინგში, რათა თანხების არამიზნობრივად ხარჯვა არ განხორიციელდეს და, ასევე, ფინანსური ცოდნის ნაკლებობაში. აღნიშნულს კი, თავისთავად, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მხრიდან ერთობლივი ხელშეწყობა ესაჭიროება. პირველი მათგანის შესაძლებლობა გამოიხატება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ კოოპერატივების განვითარების

<sup>108</sup> <http://www.credunion.ge/index.php?do=menu&id=16>

დახმარებაში ტექნიკურ-ინსტიტუციურ და საგანმანათლებლო დონეზე. მეორე მათგანის კი ფინანსური რეგულირებისა და საკრედიტო ინსტიტუტის სიჯანსაღის ხელშეწყობა-მონიტორინგში. თავისთავად, ხელშეწყობის პროგრამა უნდა იყოს გათვლილი რეალური შედეგების მიღწევაზე. ამისათვის კი წარმატებული სასოფლო-საკრედიტო კავშირების გამოცდილება სათანადოდ უნდა შეფასდეს.

### **3.2. აგრობიზნესის დაკრედიტების პროექტები, მათი დანერგვისა და განხორციელების შედეგები**

აუცილებლად უნდა განვიხილოთ დაკრედიტების პროგრამები, რომლებიც შეიმუშავა სახელმწიფომ აგრარული სექტორის განვითარების ხელშეწყობისათვის. ექსპერტები თანხმდებიან, რომ წლების განმავლობაში ბევრ სხვა ფაქტორებთან ერთად აგროსფეროს განუვითარებლობის ერთ-ერთი მიზეზი ფინანსების ნაკლებობა იყო. გასულ წლებში სოფლის მეურნეობაში გაცემული სესხის რაოდენობა საბანკო პორტფელში მხოლოდ 1% შეადგენდა და საპროცენტო განაკვეთი 36%-მდეც აღწევდა.

#### **1. „შედავათიანი აგროკრედიტის პროექტი“**

პროექტი 2013 წლის 27 მარტს დაიწყო და დღესაც გრძელდება. პროექტის მიმდინარეობის პარალელურად, მუდმივად ხორციელდება ახალი კომპონენტების დამუშავება და უკვე არ სებულის სრულყოფა. თავდაპირველად გამოიკვეთა პროექტის სამი კომპონენტი.<sup>109</sup> 2013 წელსვე პროექტის მიმდინარეობის პროცესში საჭიროებიდან გამომდინარე მოხდა პროექტისათვის რამდენიმე კომპონენტის დამატება, პროექტმა იმავე წელს საბოლოო სახით მოიცვა შემდეგი კომპონენტები:

1. უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისთვის - 0%;  
უპროცენტო განვადება მოქმედებდა 6-თვიან პერიოდზე, მაქსიმალური თანხა შეადგენდა 5000 ლარს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უმეტეს ნაწილს აწარმოებენ ფერმერული/გლეხური მეურნეობები. ამგვარი მეურნეობების ტექნიკური აღჭურვა მწირია, ისინი ეფუძნებიან მირითადად ხელის იარაღებს და, იშვიათად, დაქირავებული ტექნიკის გამოყენებას, ასევე, მათ არ აქვთ კრედიტის აღების შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ, მცირე ფერმერებისთვის მსგავსი პრობლემების გადაჭრის კარგ ინსტრუმენტს წარმოადგენდა უპროცენტო სასაქონლო კრედიტი.

აღნიშნული კომპონენტი ითვალისწინებდა სააგენტოს მიერ საფინანსო ინსტიტუტებთან და საწარმოო საშუალებების (სათესლე და სარგავი მასალა, პესტიციდები, გეტპრეპარატები და ა.შ.) მომწოდებლებთან მოლაპარაკების საფუძველზე, ორგანიზაციებსა და მაღაზიებს შორის ხელშეკრულებების გაფორმებას, რომლის თანახმადაც, მაღაზიას უნდა გამოეწერა ფერმერისთვის შესასყიდი პროდუქციის საფასურის ანგარიში (ინვისი), რომელსაც ანაზღაურებდა

<sup>109</sup> <http://moa.gov.ge/?p=2617>

საფინანსო ინსტიტუტი. საფინანსო ინსტიტუტსა და მაღაზიას შორის მოლაპარაკების შედეგად, ფერმერს საშუალება ეძლეოდა, პროდუქციის წარმოების სრული ციკლის განმავლობაში, მაღაზიიდან მისთვის საჭირო საწარმო საშუალებები გამოეტანა.

აღსანიშნავია, რომ მაღაზია მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ფასდაკლებას უკეთებდა. თუ ფერმერი მაღაზიიდან მაგალითად, პირობითად 3000 ლარის დირებულების პროდუქციას გაიტანდა, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მას 2950 ლარს გადაუხდიდა. მათი მოგებას სწორედ ეს 50 ლარი წარმოადგენდა. მაგრამ ფერმერი მაღაზიაში 3000 ლარის პროდუქციას საკუთარი ფულით თუ შეიძენდა, მას ფასდაკლება არ შეეხებოდა.<sup>110</sup>

სეზონის დასრულების შემდეგ ფერმერს უნდა გადაეხადა სასაქონლო კრედიტი საფინანსო ინსტიტუტისთვის, სესხის დამტკიცების მომენტიდან, ფერმერის მიერ მიღებული საქონლის ჯამური ოდენობის შესაბამისად, დამატებითი პროცენტის დარიცხვის გარეშე. ფერმერს აღნიშნული სესხის დასაფარად 6 თვე ეძლეოდა. აღნიშნულ პერიოდში თანხის ვერ დაფარვის შემთხვევაში, მას ემატებოდა თვეში 3%. პირველ ეტაპზე მხოლოდ I კომპონენტში კრედიტებს გასცემდნენ შემდეგი საფინანსო ინსტიტუტები: ვითიბი ბანკი, ბანკი კონსტანტა, მიკროსაფინანსო კრედო, მიკროსაფინანსო კრისტალი და ლიბერთი ბანკი. 2013 წლის სოფლის მეურნეობის ანგარიშის მიხედვით, მოცემულ კომპონენტში ჯამში გაიცა 2,685 სესხი 1106478 ლარის ოდენობით (აქედან კრედოს მიერ გაცემულია ჯამურად 2,371 სესხი საერთო თანხით 894,700 ლარი და ბანკი კონსტანტას მიერ 315 სესხი ჯამური თანხით 212,117 ლარი). როგორც ჩანს მოცემულ კომპონენტში ამ ორი საფინანსო ორგანიზაციის გარდა დანარჩენმა ბანკებმა თავი შეიკავეს ან უარი თქვეს მონაწილეობაზე.<sup>111</sup>

2. შეღავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის - არაუმეტეს 8%-ის (საბრუნავი საშუალებების, მარაგებისა და ნაწილობრივ ძირითადი საშუალებების შესყიდვის დაფინანსება), სესხები გაიცემოდა 5000-დან 100,000 ლარამდე, საბრუნავი საშუალებებისთვის არაუმეტეს 18 თვით, ძირითადი საშუალებებისთვის არაუმეტეს 24 თვით. ბანკების მიერ დამტკიცებულ პროექტზე დარიცხული პროცენტი, 2 ნაწილად იყოფოდა. ბენეფიციარის მიერ გადასახდელი და სააგენტოს მიერ გადასახდელი თანხა. როგორც კი ბენეფიციარი თავის

<sup>110</sup> <http://tspress.ge/ka/site/articles/13901/>

<sup>111</sup> წლიური ანგარიში 2013 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2014, გვ. 8.

ვალდებულებას შეასრულებდა, მეორე დღესვე სააგენტო მის წილ პროცენტს რიცხავდა. კრედიტის ვადა დამოკიდებული იყო მის მიზნობრიობაზე და განისაზღვრებოდა შემდეგნაირად: საბრუნავი საშუალებების დაფინანსება მემკენარეობისათვის არაუმეტეს 12 თვის; საბრუნავი საშუალებების დაფინანსება მეცხოველეობისთვის არაუმეტეს 18 თვით; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საშუალებების დაფინანსება არაუმეტეს 24 თვით.

მხოლოდ II კომპონენტში კრედიტებს გასცემდნენ შემდეგი საფინანსო ინსტიტუტები: ბაზისბანკი, ბანკი რესპუბლიკა, ბანკი ქართუ, ვითიბი ბანკი, თიბისი ბანკი, ბანკი კონსტანტია, კორ სტანდარტ ბანკი, ლიბერთი ბანკი, პროკრედიტ ბანკი, საქართველოს ბანკი და ხალიკ ბანკი. 2013 წლის სოფლის მეურნეობის ანგარიშის მიხედვით, მე-2 კომპონენტში 5,685 ბენეფიციარზე სულ გაცემული იყო 111,873,523 ლარის ოდენობის კრედიტი, აქედან ყველაზე დიდი რაოდენობით სესხები გასცა საქართველოს ბანკმა, სულ 43,568,200 ლარი 1,539 ბენეფიციარზე.<sup>112</sup> მოცემულ კომპონენტს 2013 წლის განმავლობაში შეუერთდნენ პაშა ბანკი და პროგრეს ბანკი. პირველმა მათგანმა გასცა მოცემულ კომპონენტში მხოლოდ ერთი სესხი 100,000 ლარის ოდენობით, ხოლო მეორე მათგანმა - 5 სესხი 161,500 ლარის ოდენობით (იხ. დანართი №18).

3. შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის არაუმეტეს 3%-ით (ძირითადი საშუალებებისა და ტექნოლოგიების დაფინანსება ხანგრძლივი პერიოდით), სესხის მინიმალური თანხა შეადგენდა 30,000 ლოდარს, ხოლო მაქსიმალურ – 600,000 ლოდარს და გაიცემოდა არაუმეტეს 84 თვით. საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებული იყო სესხის მოცელობაზე და არ აღემატებოდა 15%-ს, საიდანაც 12%-ს ფარავდა სააგენტო. მოცემული კომპონენტი ითვალისწინებდა მინიმუმ 60 ახალი საწარმოს შექმნისთვის კრედიტების გამოყოფას და გათვლილი იყო მოსავლის აღების შემდგომი, ნებისმიერი სახის პროდუქციის გადამუშავებელი ინფრასტრუქტურისა და სხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების ფინანსური მხარდაჭერისთვის. რეალურად 2013 წლის 26 ნოემბრისთვის დაფინანსებული იყო ჯამში 305 საწარმო, აქედან კი 53 სტარტაპი ჯამური 27,307,743 ლოდარით. რაც შეეხება 2014 წლის აპრილის მონაცემებს - სესხი მიიღო სულ 482-მა ბენეფიციარმა ჯამური 96,991,211 ლარით.<sup>113</sup>

<sup>112</sup> წლიური ანგარიში 2013 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2014, გვ. 8.

<sup>113</sup> იხ. იქნ, გვ. 7.

2014 წლის აპრილის მონაცემებით, მესამე კომპონენტში დაფინანსებული იყო 70 ახალი საწარმო. ერთ საწარმოზე საშუალოდ გაცემული იყო 300,000 ლარის შედაგათიანი აგროკრედიტი. გაცემული სესხების მიხედვით საქართველოს რეგიონებიდან მოცემულ კომპონენტში ლიდერობდა კახეთი, შემდეგ ქვემო და შიდა ქართლი და ა.შ.

4. შედაგათიანი აგროლიზინგი - არაუმეტეს 3%-ით. კომპონენტი ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოებისთვის მხოლოდ მანქანა-დანადგარების დაფინანსებას 30,000 დოლარიდან 600,000 დოლარამდე 84 თვიანი ვადით. საპროცენტო განაკვეთი არ აღემატებოდა 15%-ს, საიდანაც სააგენტო ფარავდა 12%-ს.

5. შედაგათიანი აგროკრედიტი ყურძნის გადამამუშავებელი კომპანიებისათვის, რომელიც ითვალისწინებდა მედვინეობა-მევენახეობის სექტორისთვის შედაგათიან სესხს მხოლოდ ყურძნის შესასყიდად. ამ ტიპის სესხების მაქსიმალური ვადა შეადგენდა 15 თვეს, სესხის მოცულობა 10 მლნ. ლარს, ხოლო საპროცენტო განაკვეთი 15%-ს, საიდანაც 9%-ს ფარავდა სააგენტო.

6. შედაგათიანი აგროკრედიტი ციტრუსის ექსპორტიორი და გადამამუშავებელი კომპანიებისათვის. სესხის მაქსიმალური თანხა შეადგენდა 10 მლნ. ლარს და გაიცემოდა მაქსიმუმ 4 თვით, საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებული იყო კრედიტის მოცულობაზე და არ აღემატებოდა 15%-ს, აქედან 9%-ს ფარავდა სააგენტო. კომპონენტის მთლიანი ბიუჯეტი 30 მლნ. ლარს შეადგენდა თავდაპირველ ეტაპზე.

7. შედაგათიანი აგროკრედიტი თანმხვედრი გრანტით დაფინანსებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის. აღნიშნული საწარმოების შექმნა გათვალისწინებული იყო ეკონომიკურად ნაკლებად აქტიურ რაიონებში. პროექტი ითვალისწინებდა სესხის მაქსიმალურ 120 თვიან ვადას მაქსიმალური თანხით - 500,000 აშშ დოლარით. საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული იყო 14%-ის ოდენობით, საიდანაც სააგენტო ფარავდა 12%-ს. ერთი განსახილველი პროექტის ღირებულება არ უნდა ყოფილიყო 200,000 აშშ დოლარზე ნაკლები და 1 მლნ. დოლარზე მეტი, საიდანაც დასაშვები იყო მაქსიმუმ 50%-ის ოდენობის საბანკო სესხით ან ლიზინგით დაფინანსება.<sup>114</sup>

აღსანიშნავია ერთი ფაქტორი, რომ მოცემული პროექტი მესეხებელს გარკვეულ წილად გაკოტრების რისკისგან არ იცავს. თუ მეორე კომპონენტში სესხის

<sup>114</sup> წლიური ანგარიში 2013 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2014, გვ. 7.

განაკვეთი 15 პროცენტია, აქედან 12 პროცენტს სოფლის მეურნეობის ფონდი დაფარავს, ხოლო სესხს და დარჩენილ 3 პროცენტს ფერმერი გადაიხდის: ერთი შეხედვით, დაბალი პროცენტია, მაგრამ ეს თანხა ბანკმა ქონების უზრუნველყოფით შეიძლება გასცეს. ხელშეკრულების თანახმად, თანხის გადახდის გრაფიკის დაუცველობის შემთხვევაში, ფონდი პროცენტის დაფინანსებიდან გავა და 15 პროცენტის გადახდა ავტომატურად მსესხებელ ფერმერს მოუწევს. თუ ფერმერს არ გამოუვიდა ბიზნესის აწყობა სათანადო დონეზე, არის საფრთხე, რომ გაკოტრდეს და ქონებაც დაკარგოს.

თუმცა, ეს ერთადერთი პრობლემა არ არის. პრობლემა ისიცაა, რომ კრედიტის გაიაფებით გლეხების სამეწარმეო უნარები არ ამაღლდება, მათ ავტომატურად არ გაუწინდებათ დამატებითი ინფორმაცია ახალ ტექნოლოგიებზე, ახალ ჯიშებზე, ახალ ბაზრებზე. ამიტომ, იაფი კრედიტით ისარგებლებენ ძირითადად ის მწარმოებლები, რომლებიც ბაზარზე ისედაც მუშაობდნენ.

აგროსესხი ყოველთვის პრობლემური და მაღალრისკიანია, ასევე, დამწევებ ფერმერებს უმეტესად არ აქვთ სათანადო დონეზე შედგენილი ბიზნეს-გეგმაც კი. ამის გამო, მცირე ფერმერებთან მუშაობა ფინანსური ინსტიტუტებისათვის ძალიან რთულია. სწორედ დაზღვევის გზით უნდა მოხერხდეს იმ რისკების მინიმიზაცია, რომელიც აგროსესხის აღებას ახლავს თან. აგროდაზღვევის არარსებობის გამო, წინა წლებში ბანკებს ყველაზე მეტი პრობლემა სწორედ ფერმერებთან ურთიერთობისას ექმნებოდათ.

მოცემული პროექტის ფარგლებში „საქართველოს ბანკის“ საკრედიტო პორტფელის მოცულობა 2013 წლის განმავლობაში 30-50 მლნ. ლარამდე განისაზღვრა. ბანკი თავიდანვე ფიქრობდა პორტფელის მოცულობის გაზრდას მომდევნო 4 წლის განმავლობაში 150 მლნ. ლარამდე.

ლიბერთი ბანკის პროექტში წარმოდგენილი იყო 500-ზე მეტი მომსახურების ობიექტით, 100 მობილური სერვის ცენტრით, რომლებიც 400-მდე სოფელს აწვდიან საბანკო მომსახურებას. პროექტში აგრეთვე ჩართულია ბანკის პარტნიორი, საწარმოო საშუალებების (სათესლე და სარგავი მასალა, პესტიციდები და სხვა) 80-მდე მომწოდებელი.

ბანკ „კონსტანტას“ ახალი პროდუქტის შექმნა არ მოუხდა, რადგან ის სოფლის მეურნეობის სექტორში კრედიტებს ისედაც გასცემდა. უბრალოდ მოხდა რამდენიმე პროდუქტის სახეცვლილება. ამ პროექტის დაწყებამდე სამინისტრომ პირველი პროექტი ბოლომდე მიიყვანა, რომელიც მდგომარეობდა მიწების დახვნასა

და დამუშავებაში. შესაბამისად, ბანკი აკრედიტებდა ყველა იმ ფერმერს, ვისზეც დარეგისტრირებული იყო მიწა და სახელმწიფომ პროექტის ფარგლებში ეს მიწა დაუმუშავა. მეორე ფაზის შემთხვევაში სახელმწიფომ ფაქტიურად გარკვეული მოცემულობა შექმნა, რის მიხედვითაც ბანკს მოუწია კრიტერიუმების შემუშავება. კერძოდ, ფერმერს უნდა ჰქონოდა საკუთრებაში მიწა, რომლის დაგირავებაც უნდა მომხდარიყო და სესხის მიზნობრიობას უნდა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნილი მიზნობრიობა, რომელიც სახელმწიფომ დააწესა. მესამე ფაზის შემთხვევაში, მეტი თავისუფლება ჰქონდათ ბანკებს. ამ შემთხვევაში საუბარია მსხვილ თანხებზე. მოცემული ინიციატივის შედეგად დამუშავდება ისეთი ფართობები, რომელიც 10 და 15 წელი არ მუშავდებოდა.

„ქვეისბი ბანკის“ სესხის ადებისას მთავარი კრიტერიუმი აგრობიზნებში მოქმედი ბიზნესი იყო. იქიდან გამომდინარე, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი ბიზნესი და მოითხოვს ძალიან დიდ ცოდნას და გამოცდილებას, ბანკი უპირველესად განიხილავდა მსესხებელის გამოცდილებას სოფლის მეურნეობის სექტორში.

რაც შეეხება „ვი-თი-ბი“ ბანკ ჯორჯიას, იგი შემდეგ პირობებს სთავაზობდა მსესხებლებს შეღავათიანი აგროკრედიტის სახელმწიფო პროგრამის პირველ კომპონენტში - სესხის მაქსიმალური თანხა 5000 ლარი, გაცემის ვადა 1-დან 10 თვემდე, მაქსიმალური საშეღავათო პერიოდი 9 თვე. თუ კი განვადების პერიოდი არ აღემატებოდა 6 თვეს საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 0%-ს. სესხის დანიშნულება საბრუნავი საშუალებების, პესტიციდების, სათესლე მასალისა და სხვათა შესაძენად გამოიყენებოდა და უზრუნველყოფა არ მოითხოვებოდა.

ბანკის პირობები მეორე კომპონენტის<sup>115</sup> ფარგლებში - საბრუნავი საშუალებებისა და მარაგების შესყიდვის დაფინანსება მოკლე ვადით 15%-დან ლიკვიდური ქონების უზრუნველყოფით ხორციელდებოდა. ამასთანავე, სახელმწიფო პროგრამით ხდებოდა გადასახდელი პროცენტის თანადაფინანსება 9%-ის ოდენობით. სესხის მაქსიმალური ოდენობა 100,000 ლარი გაიცემოდა 1-დან 24-თვემდე, 11 თვიანი საშეღავათო პერიოდით. საშეღავათო პერიოდის დაწესება დამოკიდებული იყო კონკრეტული აგროსაქმიანობის სეზონურობაზე და შესაბამისი საშეღავათო თვეების განმავლობაში სესხზე შენატანი მცირდებოდა, ან საერთოდ უქმდებოდა, ხოლო თანხის გადანაწილება ხორციელდებოდა არასაშეღავათო პერიოდზე. მოცემული სესხის უპირატესობას წარმოადგენდა ის, რომ სახელმწიფო პროგრამით ხდებოდა

<sup>115</sup> [http://ge.vtb.ge/smallbusiness/loans/cheap\\_agroloan/271883/](http://ge.vtb.ge/smallbusiness/loans/cheap_agroloan/271883/)

მსესხებლის მიერ გადასახდელი პროცენტის თანადაფინანსება 9%-ის ოდენობით ანუ მსესხებლის წლიური პროცენტი მხოლოდ 6% გამოდიოდა.

მესამე კომპონენტში ვითიბი ბანკი მსესხებელს სთავაზობდა აგრო ინვესტ კრედიტს, რომლითაც შესაძლებელი იყო ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნა და არსებული საწარმოების ტექნოლოგიური გადაიარაღება. სესხის მაქსიმალური თანხა შეადგენდა 600,000 აშშ დოლარს, გაიცემოდა 1-დან 84 თვემდე ვადით, 13%-დან, რომლიდანაც სახელმწიფო პროგრამით ხდებოდა 12%-ის თანადაფინანსება. საშედავათო პერიოდი წარმოადგენდა 11 თვეს და მოითხოვებოდა ლიკვიდური ქონებით უზრუნველყოფა.

აგრარული სექტორის დაკრედიტებაში პირველად ჩაერთო რესპუბლიკა ბანკი, იგი მონაწილეობდა პროგრამის მეორე და მესამე კომპონენტში. ბანკი სესხის მხოლოდ იმ შემთხვევაში გასცემდა, თუ მსესხებელს შესაბამისი უზრუნველყოფა ჰქონდა, ან შავ სიაში არ იყო შეყვანილი. სესხის გაცემის წინა პირობა შემდეგი იყო, როცა გლეხს სესხის უზრუნველყოფა შეეძლო, მას უნდა ჰქონოდა ფერმერული მეურნეობა და ამ მეურნეობის გაძოლის სულ მცირე, ორი წლის გამოცდილება მაინც. ბანკი უზრუნველყოფად იღებდა სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და უძრავ ქონებას.

შედავათიანი აგროკრედიტის პროექტის შედეგად ყველა ბანკი იღებს ისეთსავე სარგებელს, როგორსაც იღებდა პროექტის დაწყებამდე, უბრალოდ ფერმერისთვის ეს წარმოადგენს შედავათიან კრედიტს, რადგან ფერმერის გადასახდელი პროცენტის ნაწილს იხდის სახელმწიფო. მოცემული პროექტი მრავალმხრივია და მიმზიდველია ყველა ბანკისთვის. თუმცა, მსესხებელი ბიზნესის ვერ აწყობისა და კრედიტის ვერ დაფარვის შემთხვევაში კარგავს უზრუნველყოფის სახით ჩადებულ ქონებას. აღნიშნული კარგად უნდა იქნას გააზრებული ფერმერის მიერ სესხის აღებამდე, ასევე, ფინანსური ინსტიტუტის შესაბამისმა წარმომადგენლებმა სწორად უნდა მოახდინო მათი ინფორმირება სესხის თანმდევი შესაძლო უარყოფითი ასპექტების შესახებ.

პროექტის განხორციელებამდე და პროექტის გარეშე ბანკების მიერ შეთავაზებული აგროსესხების პირობები. სახელმწიფო პროგრამის „შედავათიანი აგროკრედიტის“ განხორციელებამდე ზოგიერთი კომერციული ბანკები ისედაც სთავაზობდა მომხმარებელს აგროკრედიტებს, თუმცა გაცილებით უფრო ძვირად. ქეევით განხილულია რამდენიმე ბანკის მსგავსი სახის სესხის პირობები.

**1. საქართველოს ბანკი.** სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ბანკი კლიენტებს სთავაზობდა შემდეგი სახის სესხებს: აგროექსპრეს სესხი,

სტანდარტული აგროსესხი, აგროგანვადება და აგროდაკრედიტების პროგრამა „მხარდაჭერა სოფელს“.<sup>116</sup>

აგროექსპრეს სესხი - სესხის გაცემა ხორციელდება 1 დღეში, მაქსიმალური სასესხო თანხა შეადგენს 17,000 ლარს მაქსიმალური 24 თვიანი ვადით. საპროცენტო განაკვეთი 22%-დან, უზრუნველყოფის გარეშე.

სტანდარტული აგროსესხი - სესხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 500,000 ლარს, გაიცემა მაქსიმუმ 7 წლის ვადით, საპროცენტო განაკვეთი 13%-დან. უზრუნველყოფის სახით შესაძლოა გამოყენებულ იქნას: მოძრავი და უძრავი ქონება.

აგროდაკრედიტების პროგრამა „მხარდაჭერა სოფელს“ - პროგრამის ფარგლებში მსესხებელს საშუალება ეძლევა: გააფართოვოს მეურნეობა; გაზარდოს წარმოება; ააშენოს, გააფართოვოს ან კეთილმოაწყოს საწარმოო შენობა-ნაგებობები; შეიძინოს აგრობიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი მექანიზაცია; გადამამუშავებული წარმოების მოსაწყობად შეიძინოს თანამედროვე მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები და სხვა. სასესხო თანხის მოცულობა განისაზღვრება 200-დან 500,000 აშშ დოლარამდე ან ეკვივალენტი ლარში, მაქსიმუმ 60 თვემდე. საშედავათო პერიოდი და საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ინდივიდუალურად კონკრეტული აგრომეწარმის საქმის მიხედვით.

აგროგანვადება - აგრომეწარმეს საშუალება ეძლევა ისარგებლოს აგროგანვადებით და ბანკის პარტნიორი მომწოდებელი მაღაზიებისაგან შეიძინოს აგროკულტურების სათესლე და სანერგე მასალები, შეამქიმიკატები, სასუქები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სხვა მასალები სპეციალური ფასდაკლებით. სესხის მაქსიმალური მოცულობა 500,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში 10%-იანი საპროცენტო განაკვეთიდან სესხის მიზნობრიობისა და მოცულობის მიხედვით. სესხი გაიცემა 1-დან 12 თვემდე და არ მოითხოვება თანამონაწილეობა.<sup>117</sup>

**2. ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია.** აგრომეწარმეებს სახელმწიფო პროგრამის გარდა სთავაზობს შემდეგი სამი სახის სესხეს: აგრო ექსპრეს სესხი, აგრო სტანდარტული სესხი და დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხი.

აგროექსპრეს სესხი. ბანკი მსესხებელს სთავაზობს დაკრედიტებას რამდენიმე დღეში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებისათვის ან ნებისმიერი სახის დროებითი ფულადი დეფიციტის აღმოსაფხვრელად. სესხის მაქსიმალური თანხა შეადგენს 12,000 ლარს (სესხი გაიცემა ლარში, დოლარსა და ევროში), სესხის

<sup>116</sup> <http://www.sb.ge/Agroinstallment>

<sup>117</sup> ი. იქვე.

გაცემის მაქსიმალური ვადაა 1-დან 24 თვემდე. მაქსიმალური საშეღავათო პერიოდი განისაზღვრება 11 თვემდე კონკრეტული აგროსაქმიანობის სეზონურობიდან გამომდინარე. კლიენტს აუცილებლად უნდა გააჩნდეს მიმდინარე აგროსაქმოანობის მინიმუმ 1 სეზონის გამოცდილება. მოცემული სესხის უპირატესობას წარმოადგენს: თანხის მიღება ქონების დაგირავების გარეშე.

აგროსტანდარული სესხი - სესხის მაქსიმალური თანხაა 500,000 ლარი (გაიცემა ლარში, დოლარსა და ევროში). სესხის ვადა შეადგენს 1-თვიდან 60 თვემდე პერიოდს. შეღავათის მაქსიმალური პერიოდია 11 თვე საქმიანობის სახისა და სეზონურობიდან გამომდინარე. უზრუნველყოფად მოითხოვება ლიკვიდური ქონება.

დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხი - ვითიბი ბანკში ვადიანი ანაბრის ქონის შემთხვევაში შესაძლებლობა ეძლევა აგრომწარმოებელს მიიღოს სესხი მარტივად. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთს + 4%. დეპოზიტები განთავსებული თანხა უნდა აღემატებოდეს მოთხოვნილი კრედიტის თანხას; სესხის ვადა არ უნდა აღემატებოდეს დეპოზიტის ვადას; სესხის უპირატესობას წარმოადგენს: დაფარვის თავისუფალი გრაფიკი; სესხის და დეპოზიტის ავტომატური პროლონგაცია; სესხის გაცემის სიმარტივე მოიცავს მხოლოდ რამდენიმე საათს და საჭიროა მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენა. სესხის მისაღებად შეასაძლოა გამოყენებული იქნას მესამე პირის დეპოზიტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურად შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შექმნა ელექტრონული სასესხო პროგრამა, რომელთანაც დაკავშირებულია პროექტში მონაწილე ყველა ბანკი. პროგრამის მეშვეობით ხდება ყოველდღიური ინფორმაციის განახლება და პროექტში მონაწილე კრედიტორების თანადაფინანსება ავტომატურ რეჟიმში, ასევე მონიტორინგის შედეგების შესახებ ინფორმაციის შეტანა, პროექტის მიმდინარეობის კონტროლი და ანალიზი, საჭირო ანგარიშების მომზადება.

პროექტის უფექტიანი მონიტორინგის წარმოების მიზნით, შეიქმნა საველე და დოკუმენტაციური მონიტორინგის განხორციელების ინსტრუქცია და მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების განმხილველი კომისია. 2014 წლის აპრილის მდგომარეობით, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის საველე მონიტორინგის სამსახურის მიერ შემოწმდა 596 სესხი. მათგან კომისიამ განიხილა 37 შემთხვევა. გამოვლინდა 10 დარღვევა, საიდანაც შვიდ ბენეფიციარს შეუწყდა თანადაფინანსება,

სესხის თანხის არამიზნობრივი გამოყენებისთვის, ხოლო სამ ბენეფიციარს შეუმცირდა სესხის ვადა 18 თვემდე, სესხის მიზნობრიობის შესაბამისად.<sup>118</sup>

დოკუმენტური მონიტორინგისას შემოწმდა 3,202 სესხის სასესხო დოკუმენტაცია, რომლის შედეგად, არ დამდგარა რომელიმე მსესხებლისთვის თანადაფინანსების მოხსნის ან საფინანსო ინსტიტუტის დაჯარიმების საჭიროება. აღინიშნა მხოლოდ ტექნიკური ხასიათის შეცდომები, რომელთა გამოსასწორებლად საფინანსო ინსტიტუტებს ეძლევათ გონივრული ვადა.

პროექტი შემდგომ წლებშიც განხორციელდა და მოხდა მისი დახვეწა და კომპონენტების ცვლილება. დღეისათვის პროექტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- 1) შედავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის;
- 2) შედავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის;
- 3) შედავათიანი აგროლიზინგი;
- 4) აწარმოე საქართველოში.

პირველი მათგანი გაიცემა შემდეგი ქვეკომპონენტების ფარგლებში: 1. ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები; 2. ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ყურძნის შეძენას მოახდენენ სპირტის წარმოების მიზნით; 3. ატმის შემსყიდველი საწარმოები; 4. არასტანდარტული ვაშლის შემსყიდველი საწარმოები; და 5. მანდარინის შემსყიდველი ან/და გადამამუშავებელი საწარმოები.<sup>119</sup>

ძირითადი საშუალებების დაფინანსებისთვის სესხი გაიცემა შემდეგი მიზნობრიობებით: გადამამუშავებელი საწარმოების, ინფრასტრუქტურული საწარმოების, პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და სხვათა დასაფინანსებლად. აგროკრედიტის თანხა ძირითადი საშუალებებისთვის განისაზღვრება 20,000 ლარიდან 1,500,000 ლარის ჩათვლით.

სესხის მოცულობა და საპროცენტო განაკვეთი: 20,000 ლარიდან 150,000 ლარის ჩათვლით, არაუმეტეს 16%-სა; 150,001 ლარიდან 600,000 ლარის ჩათვლით, არაუმეტეს 15%-სა, 600,001 ლარიდან 1,500,000 ლარის ჩათვლით, არაუმეტეს 14%-სა.

სააგენტოს მიერ მაქსიმუმ 66 თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება მოხდება მსესხებლის მიერ გადახდილი თანხის პარალელურად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სესხის ძირითადი თანხის წლიური 11%-ის ოდენობით. პროექტით იკრძალება იმ ბიზნესის დაფინანსება, რომელიც გათვლილია მხოლოდ

<sup>118</sup> წლიური ანგარიში 2013 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2014, გვ. 25.

<sup>119</sup> [http://apma.ge/projects/read/agro\\_credit/7:child](http://apma.ge/projects/read/agro_credit/7:child)

იმპორტირებული ნედლეულის გადამუშავებაზე და არაადგილობრივი შრომითი რესურსების გამოყენებაზე.<sup>120</sup>

ანალოგიურად, აგროლიზინგის კომპონენტით დაფინანსების მოპოვება მხოლოდ იმ საწარმოებს შეუძლიათ, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავებაზე და გამოიყენებენ ადგილობრივ შრომით რესურსებს. კომპონენტი მოიცავს ახალი და არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მანქანა-დანადგარებით აღჭურვის დაფინანსებას. კომპონენტით იკრძალება შემდეგი სახის ლიზინგის დაფინანსება: 1. მიწის ლიზინგი; 2. არსებული სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობების ლიზინგი; 3. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (ტრაქტორის, კომბაინისა და სხვა), ასევე მისაბმელების (გუთნის, სათესის და სხვა) ლიზინგი; 4. სატრანსპორტო, მფრინავი და მცურავი საშუალებების ლიზინგი; და 5. საოფისე ფართის ლიზინგი.

ერთ ბენეფიციარზე ლიზინგის გამცემის ინვესტიციის მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ 20,000 ლარით და არა უმეტეს 1,500,000 ლარით (მათ შორის თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში გაცემული ლიზინგი). ლიზინგის გამცემის მიერ სალიზინგო საზღაურში გათვალისწინებული მომსახურების წლიური სარგებელი არ უნდა აღემატებოდეს ლიზინგის გამცემის ინვესტიციის 21%-ს.<sup>121</sup> სააგენტოს მიზნობრივი თანადაფინანსება განისაზღვრება ლიზინგის გამცემის ინვესტიციის წლიური 12%-ის ოდენობით 66 თვის განმავლობაში, რომელსაც სააგენტო გადაუხდის ლიზინგის მიმღებს მის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკის შესაბამისად, სალიზინგო საზღაურის გადახდის შემდეგ.<sup>122</sup>

## 2. აწარმოე საქართველოში --- აგრონაწილი

2014 წლის ივნისიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ერთობლივი ინიციატივით წამოიწყეს ახალი სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. პროგრამის მიზანია მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე

<sup>120</sup> [http://apma.ge/projects/read/agro\\_credit/8:child](http://apma.ge/projects/read/agro_credit/8:child)

<sup>121</sup> [http://apma.ge/projects/read/agro\\_credit/9:child](http://apma.ge/projects/read/agro_credit/9:child)

<sup>122</sup> ი. იქვე.

ხელმისაწვდომობის გამარტივებისა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მეშვეობით. პროექტის ფარგლებში მეწარმეებს შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ბანკებს კრედიტის დასამტკიცებლად.

სესხის გაცემა აგრობიზნესისთვის შესაძლებელია სხვადასხვა მიზნობრიობით. პროგრამის ფარგლებში არ შეიძლება დაფინანსდეს შემდეგი სახის გადამამუშავებელი საწარმოები: მედვინეობა (ღვინის წარმოება); სპირტისა და ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება. პროგრამა თავიდანვე მოიცავდა სამ კომპონენტს:

**ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა.** თავდაპირველად კომერციული ბანკი ამ პროგრამით და მის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით ახდენდა კრედიტის დამტკიცებას სესხის საპროცენტო განაკვეთის 11%-13%-ის ფარგლებში. აღნიშული პროგრამით საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება შეადგენდა 10%-ს და თანადაფინანსება გულისხმობდა პირველ 24 თვეს.

დაფინანსებული საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: დაფინანსებული სესხით აუცილებელია შეიქმნას მხოლოდ ახალი საწარმო; საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, სანიტარულ და სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს.

ფინანსური დახმარება მოიცავდა: სესხზე მოთხოვნილი გირაოს თანადაფინანსებას სესხის 30%-ის მოცულობით, სესხის გაცემიდან პირველი 2-4 წლის განმავლობაში (არაუმეტეს 600 ათასი აშშ დოლარისა); სესხის მოცულობა არ უნდა ყოფილიყო 600,000 დოლარზე ნაკლები და არ უნდა აღმატებოდა 2,000,000 დოლარს; სესხის მოცულობის არანაკლებ 80% განკუთვნილი უნდა ყოფილიყო ძირითადი საშუალებების შესაძენად; საშეღვათო პერიოდი განსაზღვრული იყო შემდეგნაირად: 24 თვე - ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილ სესხის ნაწილზე; 18 თვე - საბრუნავი საშუალებებისთვის განკუთვნილ სესხის ნაწილზე.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პასუხისმგებელი იყო ფიზიკური ინფრასტრუქტურის გადაცემის კომპონენტზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემას მეწარმისთვის გარკვეული საინვესტიციო გალდებულებით. სახელმწიფო დაინტერესებულ პირს სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად, სთავაზობდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის ნაკვეთს მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე აღნიშნული ქონების ნუსხა გამოქვეყნებული იყო სააგენტოს ვებ-გვერდზე.

ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად უნდა განხორციელებულიყო ინვესტირება თბილისში - შესაბამისი უძრავი ქონების საბაზო დირებულების არანაკლებ ექვსმაგი, ხოლო საქართველოს სხვა ტერიტორიაზე - არანაკლებ ოთხმაგი ოდენობით.

**საკონსულტაციო** მომსახურება. პროგრამა ითვალისწინებდა ბენეფიციარზე განსაზღვრული იყო არაუმეტეს 10 ათასი ლარისა. საკონსულტაციო მომსახურება მოიცავდა შემდეგი დახმარების უზრუნველყოფას: 1) უცხოური და ქართული ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მოძიებაში დახმარება; 2) ხელშეწყობა ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაში; 3) მარკეტინგი, გაყიდვები, ბიზნესის დაგეგმარების ტრეინინგები; 4) საექსპორტო ბაზების მოძიება, საექსპორტო ბაზებზე არსებული მოთხოვნების, სამეწარმეო უნარების, წარმოებაში ხარისხის მენეჯმენტის და სხვა შესაბამისი სტანდარტების დანერგვა;

დღეისათვის პროგრამა შემდეგ პირობებს მოიცავს: პროგრამის ფარგლებში ერთი სესხის/ლიზინგის მოცულობა არ უნდა იყოს 1,500,000 ლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 5 მლნ. ლარს. საშედავათო პერიოდი ძირითად თანხაზე იგივე დარჩა. კომერციული ბანკის მიერ სესხი შეიძლება გაიცეს ფიქსირებული ან ცვლადი საპროცენტი განაკვეთის სახით, რაც განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ❖ 1.5 მლნ. ლარიდან 3 მლნ. ლარამდე - არა უმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს + 6% წლიურად;
- ❖ 3 მლნ. ლარიდან 5 მლნ. ლარამდე - არა უმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს + 5% წლიურად.

ფიქსირებულ განაკვეთში სესხის გაცემისას, სესხის გრაფიკი რჩება უცვლელი სესხის მოქმედების პერიოდში. სააგენტო ახორციელებს პროცენტის თანადაფინანსებას არაუმეტეს წლიური 10%-ის ოდენობით. ლიზინგის საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია არაუმეტეს 13%-ისა და სააგენტო ფარავს პროცენტის წლიურ 12%-ს. თანადაფინანსება ორივე შემთხვევაში ხორციელდება გაცემიდან 24 თვის განმავლობაში.

სააგენტო, ასევე, ახდენს პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ახალი საწარმოებისათვის გაცემული სესხების ძირითადი თანხის მოღიანი მოცულობის

50%-ის (არაუმეტეს 1.5 მლნ. ლარი) მეორად უზრუნველყოფას სესხის/ლიზინგის პირველი ტრანზის გაცემიდან მომდევნო 48 თვის მანძილზე. მეორადი უზრუნველყოფა არ კრიელდება გაცემულ ლიზინგებზე.<sup>123</sup>

### 3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება

პროექტი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი ახალი საწარმოების შექმნით დაინტერესებული კომპანიებისათვის (მათ შორის კოოპერატივებისათვის) ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას. ფინანსური დახმარება ითვალისწინებს შეღავათიან აგროკრედიტს ან ლიზინგს და თანმხვედრ გრანტს, ხოლო ტექნიკური - დახმარებას ბიზნეს-გეგმის შედგენაში, დანადგარების მოძიებასა და შერჩევაში, პერსონალის მომზადებაში და ა.შ. პროექტი ითვალისწინებს ახალი საწარმოების დაფინანსებას სამი წყაროს მეშვეობის: 1) შეღავათიანი გრძელვადიანი საბანკო კრედიტი ან ლიზინგი; 2) კრედიტის თანმხვედრი გრანტი; და 3) ბენეფიციარის თანამონაწილეობა.

თავდაპირველად კრედიტით/ლიზინგით დაფინანსების პირობები შემდეგნაირად იქნა განსაზღვრული: სესხის/ლიზინგის მაქსიმალური მოცულობა 500,000 ლოდარი, ხოლო პარალელური სესხების გაცემის შემთხვევაში სესხების და ლიზინგების ჯამური მოცულობა არ უნდა ყოფილიყო 500,000 ლოდარზე მეტი. სესხის (ლიზინგის) მაქსიმალური ვადა: ძირითადი საშუალებების შესაძენად გაცემულ სესხზე/ლიზინგზე - 120 თვე; საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად გაცემულ სესხზე - 60 თვე. საშეღავათო პერიოდი განისაზღვა: ძირითადი საშუალებების შესაძენად გაცემულ სესხზე/ლიზინგზე: 1) არანაკლებ 12 თვისა - საპროცენტო განაკვეთზე; 2) არანაკლებ 24 თვისა - სესხის ძირითად თანხაზე; საბრუნავი საშუალებების შესაძენად გაცემულ სესხზე: 1) არანაკლებ 12 თვისა - საპროცენტო განაკვეთზე; 2) არანაკლებ 18 თვისა - სესხის ძირითად თანხაზე. სესხი და ლიზინგი დენომინირებული უნდა ყოფილიყო დოლარში და მისი საპროცენტო განაკვეთი უნდა ყოფილიყო არაუმეტეს წლიური 14%-ისა. სააგენტო ახორციელებდა საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას წლიური 12%-ით. დასაფინანსებელი პროექტის ჯამური დირებულება არ უნდა ყოფილიყო 200,000 ლოდარზე ნაკლები და 1 მლნ. ლოდარზე მეტი.

<sup>123</sup> [http://apma.ge/projects/read/produce\\_in\\_georgia/](http://apma.ge/projects/read/produce_in_georgia/)

კრედიტის თანმხვედრი გრანტის გაცემის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სესხის ან ლიზინგის აღება ან პოტენციური ბენეფიციარის მიერ საწარმოს კაპიტალში თანხის შეტანა. გრანტის მოცულობა შეადგენს პროექტის ღირებულების 40%-ს. დაუშვებელია გრანტის გამოყენება: საწარმოს საბრუნავი სახსრების, საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად, მიწისა და შენობანაგებობების შესაძენად. მშენებლობის ან რემონტის მიზნით გამოყენების შემთხვევაში, ბენეფიციარმა უნდა წარადგინოს დეტალური ხარჯთაღრიცხვა, რომელიც გადის შესაბამის ექსპერტიზას.

ბენეფიციარი ვალდებულია საკუთარი თანადაფინანსების სახით საწარმოს კაპიტალში ფულადი სახით შეიტანოს პროექტის ღირებულების 10% და შეუნარჩუნოს საწარმოს პროფილი ამოქმედებიდან 2 წლის განმავლობაში. უკანასკნელი ვალდებულების შესასრულებლად, ბენეფიციარმა, სააგენტოს სასარგებლოდ, იპოთეკით/გირავნობით უნდა დატვირთოს პროექტით დაფინანსებული საწარმოს ძირითადი საშუალებები და აშენებული შენობა-ნაგებობები.<sup>124</sup>

დღეისათვის პროექტმა სახეცვლილება განიცადა და დაფინანსების შემდგენ წყაროებს აერთიანებს: 1) სააგენტოს თანადაფინანსება - პროექტის ჯამური ღირებულების 40%, არაუმეტეს 600,000 ლარისა; 2) შედავათიანი კრედიტი/ლიზინგი - პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50%, მაქსიმუმ 1.5 მლნ. ლარი; 3) ბენეფიციარის საკუთარი თანამონაწილეობა - საწარმოს კაპიტალში ფულადი შენატანი პროექტის ჯამური ღირებულების არანაკლებ 10%-ის ოდენობით.<sup>125</sup>

გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტში შედავათიანი აგროკრედიტის საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა იყოს ფიქსირებული ან მცურავი საპროცენტო განაკვეთი. პირველ შემთხვევაში, საკრედიტო ინსტიტუტის მიერ დგინდება შემდეგნაირად: 20,000 ლარიდან 150,000 ლარის ჩათვლით, არაუმეტეს 16%-სა; 150,001 ლარიდან 600,000 ლარის ჩათვლით, არაუმეტეს 15%-სა; 600,001 ლარიდან 1,500,000 ლარის ჩათვლით, არაუმეტეს 14%-სა.

მცურავი საპროცენტო განაკვეთი საკრედიტო ინსტიტუტის მიერ შემდეგი სახით დგინდება: 20,000 ლარიდან 150,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთი + 8%; 150,001 ლარიდან 600,000 ლარის ჩათვლით რეფინანსირების განაკვეთი + 7%; 600,001 ლარიდან 1,500,000 ლარის

<sup>124</sup> საწარმოს ამოქმედების თარიღი - განისაზღვრება ბენეფიციარის მიერ ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული დაფინანსების, მათ შორის სააგენტოს თანადაფინანსების, საბანკო კრედიტის/ლიზინგის და ბენეფიციარის თანამონაწილეობის ხრულად ათვისების დღით.

<sup>125</sup> <http://apma.ge/projects/read/grant/6:parent>

ჩათვლით რეფინანსირების განაკვეთი + 6%.<sup>126</sup> სააგენტო ახორციელებს არაუმეტეს 66 თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას მსესხებლის მიერ გადახდილი თანხის პარალელურად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სესხის ძირითადი თანხის წლიური 11%-ის ოდენობით.

მოცემული სესხი არ ითვალისწინებს მიწის (მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების) შეძენას, ხოლო შენობა ნაგებობების შეძენა დასაშვებია მხოლოდ სახელმწიფოსგან, სახელმწიფო ან მასთან აფილირებული საწარმოებისგან.<sup>127</sup> პროექტი არ ვრცელდება შემდეგი პროფილის გადამამუშავებელ საწარმოებზე: 1) მედვინეობა; 2) სპირტისა და ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება; 3) ხორბლის წისქვილი. ასევე, ერთ მიზნობრივ რაიონში დასაშვებია არაუმეტეს 3 საწარმოს დაფინანსება პროექტების ჯამური დირებულების მაქსიმუმ 1 მლნ. დოლარით. სპეციალური პირობები ვრცელდება მაღალმთიანი რაიონებში საწარმოებისთვის.


თავისთავად, მისასალმებელია სახელმწიფოს მხრიდან აგროკრედიტების ხელშეწყობის პროექტების განხორციელება, ერთი შეხედვით თვალის გადავლებაც კი იმის საფუძველს იძლევა, რომ განხილულმა დონისძიებებმა წინაპირობა შექმნეს აგროსექტორში მეტი საკრედიტო რესურსის გამოყოფისათვის. მაგრამ, აქ აუცილებლად უნდა შევეხოთ გარკვეული პერიოდის დინამიკაში კომერცული ბანკების მოლიან სასესხო პორტფელში აგროსექტორზე გაცემული სესხების წილსა და პროცენტულ ზრდას 2013 წლიდან სახელმწიფო სტატეგიის ცვლილების შემდგომ (იხ. დანართები №37-38-39-40). 2007-2012 წლებში ლარში გაცემული სესხების პორტფელში აგრარული სექტორის წილი 1.8%-ს არ აღემატებოდა, 2013 წლიდან დაიწყო ზრდა, მაქსიმალურ მაჩვენებელს მიაღწია 2014 წელს 2.8%-ით და ისევ შემცირების ტენდენცია შეინარჩუნა 1-1.5%-ის ფარგლებში. ამის საპირისპიროდ, დოლარში დენომინირებული მოლიანი სასესხო პორტფელის მაჩვენებელში 2008-2009 წლებში 3%-ს უტოლდებოდა, რასაც 2010-2012 წლებში 1%-მდე შემცირება მოჰყვა (იხ. გრაფიკი №6). ზრდა დაიწყო ისევ 2013 წლიდან, 2014-2016 წლებში სტაბილურად 3% შეინარჩუნა. დოლარში დენომინირებული სასესხო პორტფელის სიჭარბე ლართან მიმართებით უარყოფითი ტენდენციის მატარებლად უნდა აღვიქვათ. აგრარული სექტორისთვის სარეალიზაციოდ ძირითადად ადგილობრივი ბაზარი განიხილება,

<sup>126</sup> <http://apma.ge/projects/read/grant/22:child>

<sup>127</sup> სახელმწიფოსთან აფილირებული საწარმო - სახელმწიფო საწარმოს შვილობილი საწარმო ან საწარმო, სადაც სახელმწიფოს თვითმმართველი ერთეულის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ - ები ფლობენ აქციების/წილის 50%-ს.

შესაბამისად, აგრარული სექტორისთვის შემოსავალი ლარში ფიქსირდება, ხოლო სესხის შესაბამისი გადახდების წარმოების შემთხვევაში ფერმერი თუ საწარმო სავალუტო რისკის წინაშე დგება ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ცვლილების სიხშირის გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ 2016 წლის სახელმწიფო პროგრამებში ცვლილება შევიდა სესხების ლარში გამოხატვის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

**გრაფიკი №6. საქართველოში კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების დინამიკა (მლნ. ლარი) 2009-2016 წლებში<sup>128</sup>**




<sup>128</sup> გრაფიკი აგებულია აგტორის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

რაც შეეხება აგრძარული სექტორის მიხედვით გაცემული სესხების მოცულობების ცვლილების დინამიკას, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ყველაზე არასტაბილური მაჩვენებელი. მაგალითად, ლარში გაცემული აგროსესხების ოდენობა 2007-2008 წლებში 13%-ით გაიზარდა, 2008-2009 წლებში 74%-ით შემცირდა (აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ რუსეთ-საქართველოს ომის ფაქტორი), 2010 და 2011 წლებში ზრდის მაჩვენებელმა 88% და 62% შეადგინა, რასაც კვლავ მცირე კლება მოჰყვა. თუმცა, 2013 და 2014 წლებში სახელმწიფო პროგრამის გავლენით ზრდა საკმაოდ მასშტაბური იყო -141% და 138%. 2015 და 2016 წლები 7% და 37%-იანი კლებით გამოირჩევა (**იხ. გრაფიკი №7**).

რაც შეეხება, დოლარის მიხედვით ანალოგიურ მაჩვენებელს, შეიძლება ითქვას, რომ ტენდენცია მსგავსია, ყველაზე მასშტაბური ზრდა დაფიქსირდა 2013 წელს - 165%, რასაც შემდეგ კლება მოჰყვა. ამასთანავე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სხვა სექტორების დაკრედიტების ტენდენციებიც, 2008-2009 წლებში თითქმის ყველა მიმართულებით დაფიქსირდა კლება. თუ დავაკვირდებით ცვლილების ტენდენციის შესაბამის გრაფიკს დარში, დავინახავთ, რომ სოფლის მეურნეობის მიხედვით ცვლილების მაჩვენებელი სხვა სექტორების მაჩვენებლების ანალოგიურ ფორმას იმეორებს. რაც შეეხება დოლარში, აღნიშნულ მაჩვენებლებს ტრენდი თითქმის იდენტურია, მცირედი გადახრების გათვალისწინებით.

თავისთავად, ისმის კითხვა, თუ დავუშვებთ, რომ სახელმწიფო არ ახორციელებს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტს, მაშინ რა იქნებოდა აგროკრედიტის პორტფელის მოცულობა და ცვლილებების დინამიკა? დავუშვათ, აგროსექტორის დაკრედიტების მოცულობა იმეორებს მთლიანი სასესხო პორტფელის ზრდის მაჩვენებელს. კორელაცია ლარში გამოხატულ მთლიან სასესხო პორტფელსა და აგროკრედიტის პორტფელს შორის 0.6-ს შეადგენს, ვერ ვიტყვით, რომ ეს ძალიან მყარი ურთიერთკავშირის გამომხატველი მაჩვენებელია, მაგრამ დაშვებისთვის მაინც გავითვალისწინოთ პირველი მაჩვენებლის პროცენტულ ცვლილებას გამოკლებული 26% (პირველი და მეორე მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი). დაშვების მიხედვით (**იხ. დანართი №40**), სახელმწიფო პროგრამას ნამდვილად ჰქონია გავლენა აგროკრედიტების პორტფელის ზრდის ფორმირებაზე.

გრაფიკი №7. საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების დინამიკა ლარში (მლნ. ლარი) 2009-2016 წლებში<sup>129</sup>



რაც შეეხება საბიუჯეტო ზრდის, აგროკრედიტების პორტფელის ზრდის მაჩვენებლის გავლენას აგრობიზნესის პროდუქტის გამოშვების მაჩვენებელსა და აგროსექტორის მშპ-ში წილს შორის, შეიძლება გავითვალისწინოთ ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი. კორელაცია აბსოლუტურ მაჩვენებლებს შორის საკმაოდ დიდია 0.76-დან 0.98-მდე. მაგრამ, ცვლილების მაჩვენებლებს შორის სოფლის მეურნებობის სამინისტროს ასიგნებებსა და აგრობიზნესის პროდუქციის გამოშვებას შორის კორელაციამ 0.13 შეადგინა, ხოლო აგრობიზნესის პროდუქციის გამოშვების ცვლილების აგროკრედიტის პორტფელის მთლიანი მოცულობის

<sup>129</sup> გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძვლზე.

ცვლილების მაჩვენებელთან - 4.8.<sup>130</sup> პირველი, უდაოდ, საკმაოდ მცირე მაჩვენებელია, რაც, შეიძლება ითქვას, განპირობებულია 2013 წლამდე არსებული არასწორი პოლიტიკის შესაბამისად საბიუჯეტო ასიგნებების არამიზნობრივი გამოყენებით, ასევე, 2013 წლიდან სახელმწიფოს პოლიტიკის მასშტაბურმა ცვლილებამ საგრძნობი ზრდა გამოიწვია აგრობიზნესის პროდუქციის გამოშვების მიმართ ულებით. თუმცა, თუ 2013 წელს ზრდა 14.4% იყო, 2014 წელს 5.5%-ს გაუტოლდა და ზრდის მასშტაბური ეფუქტი მოკლევადიანი იყო.

---

<sup>130</sup> მაჩვენებლებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი გაზომილია ავტორის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.

## თავი 4. აგრარული სექტორის დაზღვევის სპეციფიკა და განვითარების ტენდენციები საქართველოში

### 4.1. აგრარულ სექტორში არსებული რისკები და აგროდაზღვევის არსი

აგრარულ სექტორში არსებული რისკები. აგრარულ სექტორში არსებული სიტუაცია და მასში ჩართული ფერმერების ეკონომიკური მდგომარეობა განიცდის მუდმივ ცვალებადობას რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გამო:

- აგრარული სექტორის მიმართ არსებული პოლიტიკის რეფორმირება, სავაჭრო შეთანხმებების ცვლილება, ბაზრის ლიბერალიზაცია, გლობალიზაცია, ფერმერთათვის გადახდილი დახმარების ან სუბსიდიის ოდენობის ცვლილება; ბოლო წლებში სასურსათო ბაზარი განსაკუთრებულად დია და კონკურენტული გახდა, რამაც განაპირობა ფასების არასტაბილურობა და შემოსავლის ხშირი ცვალებადობა;
- დაუბალანსებელი ურთიერთობები გადამყიდველებს შორის, რომელთაც შეუძლიათ გარკვეული ზემოქმედება მოახდინონ ფასებსა და ფერმერთა გადაწყვეტილებებზე; როდესაც ფასების ცვლილებების განსაზღვრა შეუძლებელია, ფერმერი წარმოების გაზრდისთვის აქტივებში მნიშვნელოვანი ინვესტიციებისგან თავს იკავებს.<sup>131</sup>

ფასების მერყეობის მთავარი მიზეზი ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების მრუდების გადაადგილებაა. იქიდან გამომდინარე, რომ სურსათზე მოთხოვნა-მიწოდებას მოკლევადიან პერიოდში დაბალი საფასო ელასტიკურობა ახასიათებს, ბაზრის მონაწილენი მყისიერად ვერ ცვლიან თავიანთ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს ფასების მერყეობისას. სურსათის წარმოება საკმაოდ დიდ დროსა და საწარმოო ჯაჭვს მოიცავს, ფასების ცვლილებისას კი რეაგირება მიწოდების მხრიდან დაგვიანებულად ხორციელდება საბაზრო წონასწორობის გასათანაბრებლად, რასაც საბაზრო ფასის საკმაოდ დიდი ცვლილება სდევს თან. სხვა ფაქტორებიდან შეიძლება გამოიყოს საგალუტო კურსების, ენერგორესურსებისა და სასუქების ფასების, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება და სხვა.

<sup>131</sup>[http://www.farm-europe.eu/travaux/how-to-tackle-price-and-income-volatility-for-farmers-an-overview-of-international-agricultural-policies-and-instruments/#\\_ftn6](http://www.farm-europe.eu/travaux/how-to-tackle-price-and-income-volatility-for-farmers-an-overview-of-international-agricultural-policies-and-instruments/#_ftn6)

- სანიტარული დონისძიებები და ცხოველთა დაავადებები;
- კლიმატის ცვლილება: ექსტრემალური მეტეოროლოგიური შემთხვევის მოხდენის სიხშირე და ინტენსივობა იზრდება, რაც წარმოადგენს რისკფაქტორს მარცვლოვანი კულტურების წარმოებაში. ხოლო ცხოველთა დაავადების გავრცელება რისკფაქტორია მეცხოველეობისთვის. თუმცა, პირიქითაც ახდენს გავლენას თითოეული რისკფაქტორი, მაგალითად, მავნებლების გავრცელებას შეუძლია საკმაოდ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მეცენარეობის დარგს, ხოლო კლიმატური პირობების ცვლილებას შეუძლია გამოიწვიოს მეცხოველეობის დარგის კვექტიანობის შემცირება, ახდენს რა გავლენას საძოვრების მდგომარეობასა და ცხოველების საკვების ხელმისაწვდომობაზე.<sup>132</sup>

**სოფლის მეურნეობაში რისკების მართვის ინსტრუმენტები.** აგრარულ სექტორში რისკების მართვის რამდენიმე სტრატეგიას განასხვავებენ:<sup>133</sup>

1) ფერმის შიგნით დონისძიებების გატარების სტრატეგიები - **on-farm measures** (პროდუქციის წარმოების დივერსიფიკაცია), მაგალითად, წარმოების შესაბამისი ან უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა, საირიგაციო სისტემაში ინვესტირება და სხვა. თუმცა, მოცემულ გადაწყვეტილებებს ახლავს საერთო რისკის დონის შემცირება, ასევე, საშუალო შემოსავლის შემცირების რისკიც შეიძლება განაპირობოს. დივერსიფიკაციიდან გამომდინარე, წარმოების ერთ ფაქტორზე ან ერთ პროდუქტზე კონცენტრაციის ნაკლებობა ხშირად იწვევს წარმოებული პროდუქციის ხარისხის შემცირებას, ასევე, მენეჯერული გამოცდილების ნაკლებობის პირობებში პროცესების მართვა გაზრდილ დროით და ფულად დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ანალოგიურად, ვერტიკალური ინტეგრაციაც წარმოადგენს ფასის ცვლილების რისკფაქტორის მინიმიზაციის საშუალებას, თუმცა, მოცემულ გადაწყვეტილებასაც ახლავს თან ზევით აღნიშნული პრობლემების გამოწვევის საშიშროება. მესამე ვარიანტად შეგვიძლია განვიხილოთ სტაბილიზაციის ანგარიშები (ე.წ. რეზერვები) თვითდაზღვევის მიზნით, რომელსაც ფერმერი პერიოდულად ინახავს შემოსავლის გარკვეული პროცენტის შესაბამისად.

<sup>132</sup> Agricultural Insurance Schemes - Summary report - EUROPEAN COMMISSION, DIRECTORATE GENERAL, JRC JOINT RESEARCH CENTRE – ISPRA, Institute for the Protection and Security of the Citizen, Agriculture and Fisheries Unit, Italy, 2006, p.23.

<sup>133</sup> იხ. იქვე, გვ. 24.

2) რისკის განაწილების სტრატეგიები - **risk sharing strategies**, როგორიცაა მარკეტინგული კონტრაქტებისა და წარმოების კონტრაქტების გაფორმება, პეჯირება ფიზიკურსების ბაზარზე, ან ურთიერთდახმარების ფონდებში მონაწილეობა და დაზღვევა.

- სტიური ფინანსურებისათვის განკუთვნილი ფონდები - **Calamities funds**. ფონდის რეგულირებასა და ზედამხედველობას ახორცილებს სახელმწიფო და დახმარების უზრუნველყოფა დამოკიდებულია მოხდენილი კატასტროფის ოფიციალურ დეკლარირებაზე. იგი ფუნქციონირებს როგორც მუდმივმოქმედი ფონდი და ფონდიდან თანხის გამოყოფა არ არის წლების მიხედვით შეზღუდული. ფონდი, ზოგიერთ შემთხვევაში, კერძო სექტორიდანაც იღებს დახმარებას ან გარკვეულ საგალდებულო მოსაკრებელს წარმოების ან პრემიის წილიდან.
- ურთიერთდახმარების ფონდები (**Mutual funds**) იმართება პარტნიორების მიერ. თუ ფონდი ორგანიზებულია რეგიონული ნიშნის მიხედვით და ფერმერები თავად აკონტროლებენ მას, მის უპირატესობას წარმოადგენს მორალური რისკისა და არასწორი შერჩევის უარყოფითი ფაქტორების შემცირება. თუმცა, მსგავსი სახით ფორმირებული ფონდის ნაკლოვანებას წარმოადგენს, ის ასპექტი, რომ ხშირ შემთხვევაში ფერმერები ერთდროულად დგებიან ზარალის წინაშე და განიცდიან დანაკარგებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფერმერები ყოველთვის არ არიან სათანადოდ ორგანიზებული იმ დონეზე, რომ უზრუნველყონ ფონდის ეფექტიანი სტრუქტურის ჩამოყალიბება. მოცემული პრობლემის გადაწყვეტის გზას წარმოადგენს გადაზღვევა ან სხვა რეგიონში ფორმირებულ ანალოგიურ ურთიერთდახმარების ფონდთან ან სქემასთან კოოპერაცია, ზარალის წილობრივი გადანაწილების მიზნით.<sup>134</sup>
- დაზღვევა რისკის გაზიარების ყველაზე ცნობილი ინსტრუმენტია. იმისათვის, რომ რისკის დაზღვევა განხორციელდეს, უნდა სრულდებოდეს ორი პირობა ერთდროულად – შესაძლებელი უნდა იყოს “ასიმეტრიული ინფორმაციის” გვერდითი ეფექტების შერბილება ან თავიდან აცილება, ასევე, დაძლეული უნდა იქნეს “სისტემური რისკი” (ბევრი ადამიანის მიერ ერთდროულად ზარალის განცდის რისკი). ბუნებრივი კატასტროფები და ეპიზოოტური დაავადებები საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიისათვის.

<sup>134</sup> Agricultural Insurance Schemes - Summary report - EUROPEAN COMMISSION, DIRECTORATE GENERAL, JRC JOINT RESEARCH CENTRE – ISPRA, Institute for the Protection and Security of the Citizen, Agriculture and Fisheries Unit, Italy, 2006, p. 30.

გადაზღვევის ან სახელმწიფოს მიერ გარანტიის არარსებობის პირობებში, ბუნებრივი და სისტემური რისკების დაზღვევა დაკავშირებულია სადაზღვევო კომპანიის მიერ მაღალი პრემიის დაწესებასთან, რომლის დაფარვას ფერმერთა უმეტესობა ვერ ახერხებს, ასევე, მზღვეველისთვის გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელია შესაბამისი დიდი ოდენობით კაპიტალის დარეზერვება. მოცემული თავისთავად ნიშნავს, რომ ყოვლისმომცველი აგრარული სექტორის დაზღვევის სქემის ფორმირებისათვის აუცილებელია კერძო სექტორის სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მხარდაჭერა, როგორც საკანონმდებლო, ასევე, ფისკალურ დონეზე. თუმცა, თუ სახელმწიფო უზრუნველყოფს არაგეგმიურ გადახდებს სტიქიური მოვლენების შედეგად მიღებული ზარალების დასაფარავად, მოცემული უარყოფითად აისახება აგროდაზღვევის პროდუქტების განვითარებაზე.

შეიძლება ითქვას, რომ რისკენეჯმენტისათვის დაზღვევა საუკეთესო ინსტრუმენტია, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი წარმოების სტაბილურობის გარანტსა და ფაქტორს (**Marković, Jovanović, 2008**).<sup>135</sup>

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, ხშირ შემთხვევაში, დაზღვევა ასიმეტრიული ინფორმაციის გავლენით დაკავშირებულია მორალურ რისკთან (**moral hazard**) და არასწორი შერჩევის საფრთხესთან. მოცემული რისკის თავიდან ასაცილებლად დაზღვევისას გამოიყენება ფრანშიზა, მოცემული წარმოადგენს არაანაზღაურებად წილს მთლიანი სადაზღვევო თანხიდან. ასევე, მოცემული რისკის მინიმიზებისათვის გამოიყენება ბონუს/მალუსის სისტემა. როგორც წესი, მაღალი რისკის მქონე სადაზღვევო პოლისებს გააჩნიათ მაღალი ფრანშიზები. იმ შემთხვევაში თუ პოლისის პირობებში არ არის ფრანშიზა ჩადებული, ფერმერს არ გააჩნია ვალდებულება ზარალის მოხდენისას გარკვეული სადაზღვევო თანხის წილი საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ მოაქციოს, შესაბამისად, მას ნაკლები სტიმული ექმნება წინასწარ შეიმუშავოს პრევენციული ზომები და განახორციელოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის თავიდან ასაცილებლად, ან ზარალის მინიმიზებისათვის. (**Labudović, Todorović, 2011**).<sup>136</sup>

<sup>135</sup> Čolović Vladimir, Mrvić Petrović Nataša - CROP INSURANCE – RISKS AND MODELS OF INSURANCE, Economics of Agriculture 3/2014, Original scientific paper EP 2014 (61) 3 (561-573), Belgrade, 2014, p. 565.

<sup>136</sup> ი. იქვე, გვ. 564.

## აგროდაზღვევის ძირითადი სახეები

აგრარული სექტორის დაზღვევისთვის შემუშავებული სადაზღვევო პროდუქტები ანაზღაურების მეთოდის შესაბამისად რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს. აღნიშნული მეთოდები კი შემდეგია:

- 1) სადაზღვევო თანხის ანაზღაურება მიუწებული ზარალის შესაბამისად;
- 2) სადაზღვევო თანხის ანაზღაურება განისაზღვრება სპეციალური ინდექსების შესაბამისად;
- 3) სადაზღვევო თანხის ანაზღაურების განსაზღვრა დაფუძნებულია რეალიზებულ მოსავალსა და პროდუქტის ფასზე (**Manić, 2012**).<sup>137</sup>

დაზღვევის მახასიათებლები მემცენარეობისა და მეცხოველეობის სექტორში ძირებულად განსხვავებულია.

**მემცენარეობის (კულტურული მცენარეების) დაზღვევა.** მოცემული მიმართულებით ყველაზე გავრცელებული დაზღვევის სახეობაა სეტყვისგან დაზღვევის მომსახურება (ერთი რისკის დაზღვევა **single risk insurance**). ზოგიერთი სადაზღვევო პოლისი სეტყვასთან ერთად ფარავს სხვა მეტეოროლოგიური მოვლენისგან დაზღვევის რისკს, მსგავსი სახით შეთავაზებული მომსახურება თავისი არსით წარმოადგენს კომბინირებული რისკის დაზღვევას (**combined risk insurance**). განვიხილოთ მათი სახეები:

- **მოსავლის დაზღვევა** – ფარავს მოსავლის დანაკარგებს კონკრეტული კულტურისთვის ნებისმიერი მეტეოროლოგიური შემთხვევის დროს. მორალური რისკისა და არასწორი შერჩევის ასპექტების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა დადგინდეს ზარალის გამომწვევი მიზეზი და დაზუსტდეს მეტეოროლოგიური ფაქტორის არსებობა. საზოგადოდ, თუ ფერმერი ერთი სახეობის კულტურის მოყვანაზე მუშაობს, მთლიანად იზღვევა მისი ნაკვეთი.
- **ფერმის მთელი მოსავლის დაზღვევა** – დაკავშირებულია ფერმის მიერ წარმოებულ ყველა კულტურული მცენარის მოსავლის ერთიან დაზღვევასთან, როდესაც ფერმერის საქმიანობა რამდენიმე სხვადასხვა კულტურის მოყვანასთან არის დაკავშირებული. თუ ფერმერმა განიცადა დანაკლისი, ზარალი, ერთი სახეობის კულტურის მოსავლიანობის მიხედვით, სადაზღვევო კომპანია ზარალს არ აანაზღაურებს, თუ ფერმის მთლიანი წარმოების მაჩვენებლის შემცირება გარკვეულ ზღვარს არ ჩამოსცდება.

<sup>137</sup> Čolović Vladimir, Mrvić Petrović Nataša - CROP INSURANCE – RISKS AND MODELS OF INSURANCE, Economics of Agriculture 3/2014, Original scientific paper EP 2014 (61) 3 (561-573), Belgrade, 2014, p. 564.

- **შემოსავლის დაზღვევა** – აერთიანებს მოსავლისა და ფასის დაზღვევას. ფერმერისათვის სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა დამოკიდებულია მისი მთლიანი წარმოების დირებულების გარკვეულ ზღვარს ქვემოთ დაცემასთან. შემოსავლის დაზღვევა, ასევე, მხედველობაში იღებს წარმოების დანახარჯების მოცულობას.
- **ინდექსირებული დაზღვევა** – დაფუძნებულია კონკრეტული სადაზღვევო ტერიტორიისათვის ან რეგიონისათვის მინიჭებული ინდექსის გათვლაზე. მოცემული მიმართულებით შეიძლება განვასხვავოთ დაზღვევის რამდენიმე სახე:
  - 1) ტერიტორიისა და მოსავლიანობის კომბინირებული დაზღვევა ითვალისწინებს ფერმერისათვის კომპენსაციის გადახდას კონკრეტული ტერიტორიისათვის ან ადმინისტრაციული ერთეულისათვის სტატისტიკურად გათვლილი წლიური მოსავლის მაჩვენებლის მიხედვით;<sup>138</sup>
  - 2) ტერიტორიისა და შემოსავლის კომბინირებული დაზღვევა – დაფუძნებულია მოცემული ტერიტორიის მოსავლიანობის გამრავლებით საფასო შკალაზე. თუ მოცემული ტერიტორიისათვის საშუალო მოსავლიანობა/შემოსაგალი გარკვეულ ზღვარს ჩასცდება კონკრეტული წლისთვის, ფერმერები, რომლებიც მოცემულ ტერიტორიაზე ახორციელებენ საქმიანობას და კონკრეტული კულტურა დაზღვეული აქვთ, ექვემდებარებიან ზარალის სრულ ანაზღაურებას;
  - 3) არაპირდაპირი ინდექსირებული დაზღვევა არ ითვალისწინებს საშუალო მოსავლიანობას ან საფასო შკალას კონკრეტული ტერიტორიის ან რეგიონის მიხედვით, მოცემული დაზღვევის მიხედვით განისაზღვრება მეტეოროლოგიური ინდიკატორები და დგება სატელიტური სურათი რისკიანობის დასადგენად.

**საქონლის დაზღვევა.** მესაქონლეობაში ყველაზე გავრცელებული რისკებიდან შეგვიძლია გამოვყოთ სანიტარული რისკები, კლიმატის კატასტროფული გაუარესება, რომელსაც გავლენის მოხდენა შეუძლია ცხოველთა კეთილდღეობაზე და მათი სასიცოცხლო პირობებისთვის ზიანის მომტანია (მაგალითად წყალდიდობა), ასევე, ამინდის პირობები გავლენას ახდენენ სამოვრების მდგომარეობასა და ცხოველთა საკვებით უზრუნველყოფის პირობებზე. ასევე, შეიძლება გამოვყოთ კლიმატური პირობების გარდა სხვა ცვლილებით გამოწვეული ზოგადი რისკები, რომელთაც მნიშვნელოვანი ეფექტის მოხდენა შეუძლიათ ფერმის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

---

<sup>138</sup> Agricultural Insurance Schemes - Summary report - EUROPEAN COMMISSION, DIRECTORATE GENERAL, JRC JOINT RESEARCH CENTRE – ISPRA, Institute for the Protection and Security of the Citizen, Agriculture and Fisheries Unit, Italy, 2006, p. 33.

საქონლის დაავადებების ეპიდემიას მნიშვნელოვანი ზარალი შეუძლია მოუტანოს როგორც ფერმერს, ასევე, სახელმწიფოს და ყველა დაინტერესებულ და მონაწილე პირს მეცხოველეობის წარმოებისა და მიწოდების მთლიან ჯაჭვში. მაგალითად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები, დირექტივების შესაბამისად, ვალდებული არიან მიიღონ გარკვეული ზომები და განსახორციელონ სპეციალური ლონისმიებები დაავადებათა გამოვლენის, კონტროლის, მინიმიზებისა და მართვისათვის. 2007 წლისათვის ევროკავშირმა 193 მილიონი ევროს ბიუჯეტი დაამტკიცა 155 სპეციალური პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც დაკავშირებულია დაავადებათა კონტროლთან.<sup>139</sup>

მეცხოველეობის სექტორში განსხვავებული მიდგომა არსებობს პირდაპირი დანაკარგებისა და ირიბი ზარალის მიმართ. ევროკავშირი და წევრი ქვეყნები დახმარების გაწევისას აქცენტს, უმეტეს წილად, პირდაპირ დანახარჯებზე აკეთებენ, რომელიც დაკავშირებულია სიკვდილიანობასა და ავადობასთან და გამოიხატება განადგურებული/დაღუპული ცხოველის დირებულებაში. ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყანა ევროკავშირის დაფინანსების გარეთ დარჩენილ პირდაპირ დანაკარგებს საკუთარი ბიუჯეტიდან ანაზღაურებს (მაგალითად: დანია, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია). ზოგიერთ ქვეყანას პირდაპირი ზარალის ანაზღაურებისათვის შექმნილი აქვს თანადაფინანსების გარკვეული სისტემა. მოცემულ სისტემაში სავალდებულო მონაწილეობით ჩართულია კერძო სექტორი და ყველა ფერმერი გადასახადების სახით იხდის გარკვეულ თანხას (მაგალითად: ბელგია, გერმანია, საბერძნეთი).

არაპირდაპირი ზარალი დაკავშირებულია ფერმის დაცლასთან და საქმიანობის გარკვეული პერიოდით შეჩერებასთან, მოცემული ფაქტორების ძირითადი გამომწვევია თავად ფერმერი. ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა მოცემული არაპირდაპირი დანაკარგების კომპენსირებას ახდენს დახმარების პროგრამების საფუძველზე (ავსტრია, ირლანდია), ან იმ ცხოველების დირებულების ნამეტის დაფარვას ახორციელებს, რომლებიც იძულებითი პირობით იქნა დახოცილი/დაკლული არაპირდაპირი ზარალის დაფარვის მიზნით. იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო დახმარება არ უცელდება მეცხოველეობის დარგში განცდილი ზარალის მიხედვით, მყარი საფუძველი შეიქმნა კერძო სადაზღვევო სექტორისათვის

<sup>139</sup> Agricultural Insurance Schemes - Summary report - EUROPEAN COMMISSION, DIRECTORATE GENERAL, JRC JOINT RESEARCH CENTRE – ISPRA, Institute for the Protection and Security of the Citizen, Agriculture and Fisheries Unit, Italy, 2006.

სპეციალური სადაზღვევო სქემები შეემუშავებინათ (გერმანია, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს კერძო-საჯარო სექტორის ურთიერთდახმარების სქემები, რომლებშიც სახელმწიფო გამოდის ზოგ შემთხვევაში როგორც მზღვეველი, როგორც გადამზღვევლი ან სადაზღვევო პოლისის მიხედვით განსაზღვრული პრემიის სუბსიდირების ხელშემწყობი.

რისკების მიხედვით რუკისა და აგრო-მეტეოროლოგიური მოდელის შედგენა წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს რისკების წინასწარ განსაზღვრისა და მოსალოდნელი ზარალის მოცულობის მინიმიზებისათვის. შესაძლებელია ქვეყნის რეგიონების გარკვეული ნიშნით დაყოფა სტიქიური მოვლენის მოხდენის სისმირის მიხედვით. მოცემული მოდელი დაფუძნებულია კონკრეტული კულტურის ფიზიოლოგიური მონაცემების, ნიადაგის რუკისა და კლიმატური ცვლილებების მაჩვენებლების ურთიერთკავშირზე. კლიმატურ ცვლილებებზე დაკვირვების მონაცემები იკრიბება წლების განმავლობაში ყოველდღიურად და ჯამდება.

ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარების განსაზღვრისათვის შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მაჩვენებელი:

1. აგროდაზღვევის წილი მთლიან სადაზღვევო სექტორში - **Penetration of insurance;**
2. ზარალის თანაფარდობა - **Loss ratio;**
3. სატარიფო განაკვეთი - **Premium rates;**
4. სუბსიდირების დონე - **Level of subsidies;**
5. სხვადასხვა იურიდიულ-ტექნიკური დეტალი - **Other technicalities.**

ქვეყნებს შორის საკმაოდ დიდია სხვაობა მთლიან სადაზღვევო სექტორში აგროდაზღვევის წილის მიხედვით, თუმცა მხოლოდ მოცემული მაჩვენებელი არ წარმოადგენს საუკეთესო ინდიკატორს აგროდაზღვევის განვითარების დონის შეფასებისათვის. მნიშვნელოვანი მაჩვენებელი ამ კუთხით შეიძლება გამოიყოს მოსავლის დაზღვევის სახით, რადგან ხშირ შემთხვევაში ქვეყნებში მაღალი აგროდაზღვევის წილით, თავად გაფორმებული სადაზღვევო პოლისების უმეტესობა ძირითადად ერთ ინდივიდუალურ რისკს აზღვევენ.

სატარიფო განაკვეთი წარმოადგენს პროცენტს სადაზღვევო თანხიდან, რომლის გადახდასაც ახორციელებს დამზღვევი სადაზღვევო პოლისის შეძენისას. მოცემული განაკვეთი საკმაოდ ვარირებს ქვეყნების მიხედვით, მაგალითად, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში საშუალო მაჩვენებელი 1%-ს შეადგენს, ესაანეთსა

და იტალიაში 6-8%-ია. მოცემული განაკვეთის განსაზღვრაზე მემცნარეობის დაზღვევისას რამდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას:<sup>140</sup>

- რისკის მოხდენის სიხშირე დროისა და ტერიტორიის მიხედვით;
- რისკის ტიპი (სეტყვა, გვალვა) და სადაზღვევო პოლისით დაფარული რისკების რაოდენობა;
- კულტურული მცენარის მგრძნობელობა;
- დაზღვეული ფერმების რაოდენობა;
- ფრანშიზის არსებობა სადაზღვევო პოლისში.

ზარალის თანაფარდობა წარმოადგენს მაჩვენებელს მზღვეველის მიერ დაზღვეულისათვის ანაზღაურებულ თანხასა და გადახდილ პრემიას შორის. სადაზღვევო კომპანიის საქმიანობის სიჯანსაღისათვის მოცემული მაჩვენებელი 1-ზე ნაკლები უნდა იყოს (100%), რათა კომპანიამ შეძლოს აკვიზიციური და ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვა. საშუალოდ, ზარალიანობის ფარდობის მაჩვენებელი აგროდაზღვევის მიმართულებით 60-75% შუალედში მერყეობს, ზოგიერთი გამონაკლისი სისტემის გარდა. მაგალითად, კვიპროსში მოცემული მაჩვენებელი 2005 წლამდე 95%-ს შეადგენდა, ხოლო სლოვენიაში – 148%-ს.<sup>141</sup> მაღალი ფარდობის მაჩვენებლის პირობებში გადაზღვევასა და სახელმწიფოს მიერ ხელშეწყობის პროგრამებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.

ევროკავშირში აგროდაზღვევის სისტემის სტაბილურობისათვის, ქვეყნები სამთავრობო დონეზე საქმაოდ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორცილებენ, მათ შორის არის სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება აგროპოლიტიკის შესაბამისად მთლიანად სექტორისთვის, სუბ-სექტორისთვის ან ფერმერთა გარკვეული კატეგორიისთვის (პოლიტიკის გავრცელება სამიზნე კატეგორიებზე). მაგალითად, საშუალოდ იტალია აგროდაზღვევაზე გადახდილი პრემიების 64%-ის სუბსიდირებას ახდენს, პორტუგალია – 68%-ის, ჩეხეთის რესპუბლიკა მეცხოველეობის დაზღვევაზე 15%-ის, ხოლო, მემცნარეობის დაზღვევაზე 30%-ის, თურქეთი და ლიბია – 50%-ის.

სხვა ფორმალურ მახასიათებლებში შეიძლება გამოიყოს გადაზღვევა, ზღვრები და ფრანშიზა, ბონუს/მალუსის სისტემა, სავალდებულო დაზღვევა, ზარალის ანაზღაურების მექანიზმი. ქვეყნების უმეტესობაში აგროდაზღვევის პოლისების გადაზღვევას ახორციელებენ კერძო კომპანიები, თუმცა გამონაკლისს

<sup>140</sup> Agricultural Insurance Schemes - Summary report - EUROPEAN COMMISSION, DIRECTORATE GENERAL, JRC JOINT RESEARCH CENTRE – ISPRA, Institute for the Protection and Security of the Citizen, Agriculture and Fisheries Unit, Italy, 2006. p. 284.

<sup>141</sup> იხ. იქნ, გვ. 165.

წარმოადგენს, მაგალითად, პორტუგალია, სადაც გადაზღვევას საჯარო სექტორი უდგას სათავეში. აგროდაზღვევაში შეიძლება გამოვყოთ პროპორციული (კვოტებით გადაზღვევა) და არა პროპორციული გადაზღვევა.

რაც შეეხება ფრანშიზებს, მისი მაჩვენებელი აგროდაზღვევის პოლისებში ვარირებს 0%-დან 40%-მდე და ზევით. შეიძლება გარკვეული ასპექტები გამოვყოთ მოცემულ საკითხთან მიმართებით: რაც უფრო მაღალია რისკის დონე, ფრანშიზას ოდენობაც მაღალია; შესაძლებელია ინდივიდუალურ კლიენტზე ფრანშიზის ოდენობის მორგება, მაგალითად, გაზრდა, რათა კლიენტის მიერ გადასახდელი პრემიის მოცულობამ მცირე თანხა შეადგინოს; ახალი სადაზღვევო პოლისების ფრანშიზები, როგორც წესი, საკმაოდ მაღალია (რომელთა მიხედვით სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობა დასაზუსტებელია).

ბონუს/მალუსის სისტემა გულისხმობს სადაზღვევო პოლისების მიხედვით ფასდაკლებებისა და ჯარიმების გამოყენებას სადაზღვევო პრემიების გათვლისას. მოცემული უმეტესად ასიმეტრიული ინფორმაციის უარყოფითი ასპექტების მინიმიზებისათვის გამოიყენება.

### **აგროდაზღვევის სამი მოდელი**

ქვეყანაში მოცემული სახეობის დაზღვევის განვითარებისათვის აუცილებელია არა მარტო სადაზღვევო სექტორის განვითარება, არამედ სახელმწიფოს მიზანმიმართული აგრარული პოლიტიკა, სტრატეგია და, მათ შორის, ინვესტიციების განხორციელების გარკვეული მექანიზმი. შეგვიძლია გამოვყოთ სადაზღვევო მექანიზმის სამი ძირითადი მოდელი:

1. დაზღვევის სისტემა სრულიად იმართება და კონტროლირებადია სახელმწიფოს მიერ – სისტემას ახასიათებს საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო მხარდაჭერა, მოცემულ სისტემაში არსებობს ერთი უნიფიცირებული სადაზღვევო პროდუქტი, რომელსაც ბაზარს სთავაზობს სახელმწიფო მონოპოლიური კომპანია. მოცემულ სისტემაში აგროდაზღვევის წილი საკმაოდ მაღალია ვალდებულებისა და პორტფელის კარგი დივერსიფიკაციის შესაძლებლობიდან გამომდინარე. თუმცა მოცემული სისტემის ნაკლოვანებას წარმოადგენს მაღალი ფისკალური დანახარჯები, ხშირ შემთხვევაში მომსახურების ცედი ხარისხი სერვისის მიმწოდებელი კომპანიის მონოპოლიური მდგომარეობის გამო. მოცემულ სისტემაში მთავარი მამოძრავებელი ძალა სახელმწიფოა;

2. კერძო და სახელმწიფო სექტორის პარტნიორობაზე აგებული სისტემა – სისტემისათვის დამახასიათებელია აგროდაზღვევის საკმაოდ დიდი წილი და კარგად დივერსიფიცირებული რისკების პორტფელი. დიდია კონკურენცია მომსახურების სერვისის ზედამხედველობაზე, ტექნიკური კრიტერიუმი დომინირებს კომერციულ ასპექტზე, სახელმწიფო უზრუნველყოფს და აძლიერებს სისტემის სტაბილურობას. კერძო სექტორი ტექნოლოგიებისა და ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული, ყოველივე ეს კი ფისკალური დანახარჯების ზომიერების ფარგლებშია;<sup>142</sup>

3. წმინდა საბაზო სისტემა – საკმაოდ დაბალია აგროდაზღვევის წილი სექტორში და რისკების დივერსიფიკაციის დონე. კომერციული კრიტერიუმი დომინირებს ტექნიკურ კრიტერიუმზე, საბაზო კონკურენციული ფასის პირობებში ყოველგვარი ფისკალური დანახარჯების გარეშე. მთლიანად სისტემა დამოკიდებულია ბაზარზე არსებული მზღვეველების ინტერესზე ოპერირება განახორციელონ მოცემული დაზღვევის სახეობის მიმართულებით, ასევე, ქვეყანაში არსებულ სახელმწიფო აგრარულ პოლიტიკაზე.<sup>143</sup>

განვიხილოთ სახელმწიფოს მონაწილეობა და ჩარევა აგროდაზღვევის სისტემაში. ისმება კითხვა, თუ რა არის სახელმწიფოს აგრარულ ბაზარზე ჩარევის ლეგიტიმური მიზეზები, ასევე, რა განაპირობებს ბაზრის ალოკაციის არაეფექტურობას. მეცნიერი ჯოზეფ სტიგლიცი ამის რამდენიმე განმაპირობებელ ასპექტს გამოყოფს:

- 1. სასესხო, სადაზღვევო მომსახურებისა და დერივატივების ბაზრების არასრულყოფილება.** ფერმერებს უჭირთ სრულყოფილი სადაზღვევო მომსახურების მიღება გამოშვებასა და საფასო რისკებთან დაკავშირებით. დაზღვევის მსგავსად, აგროკრედიტებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია აგროკრედიტების ბაზრის არასრულყოფილების მიზეზით. იმ შემთხვევაში კი თუ ფერმერი ახერხებს სასესხო კაპიტალის მოპოვებას, ის ან ძალიან ძვირია, დაწესებული მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო, ან ფერმერი, უმეტეს შემთხვევაში, გადახდისუფარო ხდება;<sup>144</sup>
- 2. საზოგადოებრივი საქონელი და გაზრდილი უკუგება.** მოცემული ფაქტორი შესაძლებელია განვიხილოთ იმ მოსაზრების დასაცავად, რომ მთავრობა უნდა

<sup>142</sup> Čolović Vladimir, Mrvić Petrović Nataša - CROP INSURANCE – RISKS AND MODELS OF INSURANCE, Economics of Agriculture 3/2014, Original scientific paper EP 2014 (61) 3 (561-573), Belgrade, 2014, p. 565.

<sup>143</sup> ი. ი. ი. ი.

<sup>144</sup> Stiglitz Joseph E. - Some Theoretical Aspects of Agricultural Policies, The World Bank Research Observer, Oxford University Press Vol. 2, No. 1 (Jan., 1987), p. 43.

აფინანსებდეს საირიგაციო სისტემების მოწყობის პროექტებს. დამბის აშენების შემდგომ, წყლის საირიგაციო გამოყენების ზღვრული დანახარჯები საკმაოდ დაბალია, ხოლო წყლის გამოყენების კონტროლი საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. წყლისა და საირიგაციო სისტემების პროექტირება წარმოადგენს სრულიად საზოგადოებრივ საქონელს. ასევე, წყლის ზედამხედველობისა და მიწოდებისას ყოველთვის სახეზეა ბუნებრივი მონოპოლია, რომელსაც წარმოადგენს უმეტეს შემთხვევაში, სახელმწიფო;

3. **არასრულყოფილი ინფორმაცია.** სახელმწიფოს მიერ ინფორმაციის გავრცელება/მიწოდება შეიძლება განვიხილოთ საზოგადოებრივი საქონლის ჭრილში. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ მონაცემების შეკრება იმის თაობაზე, თუ რეგიონებისა და ტერიტორიული განფენილობის მიხედვით კონკრეტული კულტურული მცენარე სად რა მოსავლიანობით ხასიათდება და ა.შ. და შემდგომ ამ მონაცემების დახარისხება და გავრცელება, შეიძლება განვიხილოთ როგორც საზოგადოებრივი საქონელი. როგორც წესი, მოცემული ინფორმაციის მოპოვება/გავრცელება საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და ვინც ამ ინფორმაციით სარგებლობს სარგებელსაც უფასოდ იღებს;
4. **ექსტერნალიები (გარეგანი ფაქტორები).** ფერმერის მიერ ახალი ტექნოლოგიების წარმატებით მიღება/გამოყენება წარმოადგენს მნიშვნელოვან ინფორმაციასა და წამაქეზებელ ფაქტორს მეზობელი ფერმერისათვის გადადგას ნაბიჯი მოცემული ტექნოლოგიის შესაძენად. ახალი ტექნოლოგიების სუბსიდირების პროექტები სწორედ მოცემული ექსტერნალიის არსებობით არის გამართლებული;
5. **შემოსავლის გადანაწილება.** სახელმწიფოს თავისუფალ აგრარულ ბაზარზე ჩარევის ყველაზე მთავარ მიზეზს წარმოადგენს შემოსავლების გადანაწილების საკითხი. ჩაურევლობის შემთხვევაში, აქტივების დამოუკიდებლად მართვის პირობებში, შემოსავლების გადანაწილება ხშირ შემთხვევაში არ მოდის საზოგადოების ეთიკურ და მორალურ შეხედულებებთან თანხვედრაში. უმეტეს შემთხვევაში ეს დაკავშირებულია საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ ძალიან დაბალი შემოსავლების მიღებასა და სურსათის გაუმართლებლად მცირე ოდენობით მიწოდებასთან.

მოცემული საკითხები ცხადყოფს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტების მნიშვნელობას აგრარულ სექტორში და ასაბუთებს მცირე ფერმერებისათვის შემოსავლის ზრდის, ხოლო ქალაქის მოსახლეობისათვის სურსათის სუბსიდირების პროგრამების აუცილებლობას. მაგრამ, მიუხედავდ

რაციონალური მსჯელობით დასაბუთებული აუცილებლობისა, კავშირი რეალურად განხორციელებულ სახელმწიფო პოლიტიკასა და ზემოთ აღნიშნულ საკითხებს შორის, უმეტესად, ძალიან მცირეა. შედეგად კი, ღონისძიებები, რომლებიც ფერმერთა შემოსავლების გადიდების უზრუნველსაყოფად არის ფორმირებული (მაგალითად, ფასის სტაბილიზაციის პროგრამები), განაპირობებენ ფერმერთა შემოსავლების ცვლილების მაღალ რისკებს, სანაცვლოდ კი სუბსიდირებაზე იხარჯება დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრები. ანალოგიურად, სამთავრობო პროგრამები შესაძლებელია განსაზღვრული იქნა მცირე ფერმერების ხელშესაწყობად, თუმცა ბენეფიტებს დიდი ფერმები იღებდნენ.<sup>145</sup>

რაც შეეხება სადაზღვევო სექტორში სახელმწიფოს ჩარევას, გამოცდილებით დასტურდება, რომ სახელმწიფოს მიერ მხოლოდ პრემიის სუბსიდირება არ წარმოადგენს აგროდაზღვევის განვითარებისა და მოცემული დაზღვევის წილის სექტორში ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორს. ყველაზე წარმატებულ სადაზღვევო მოდელებს წარმოადგენს ის, რომელიც მოიცავს, ყველაფერთან ერთად, სახელმწიფოს აქტიურობას აგრარულ სექტორში პოლიტიკის შემუშავების, ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის განვითარების, რისკის შეფასების გამჭვირვალე მეთოდების დანერგვისა და ექსტენციის ხელშეწყობას.<sup>146</sup>

შეგვიძლია ვთქვათ, რომ აგროდაზღვევაში არ იგულისხმება დაზღვეულის მიერ მოგების მიღება, მაგრამ ის რამდენიმე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს აგრობიზნესის განვითარებისათვის 1) გააჩნია სტაბილიზატორის ფუნქცია; 2) ფერმერს ეხმარება სესხზე ხელმისაწვდომობაში, რადგან დაზღვევის არსებობის შემთხვევაში ფინანსური ინსტიტუტი დარწმუნებულია გაცემული სესხის უკან დაბრუნებაში. 3) ასევე, მოგებაზე ორიენტირებული სადაზღვევო კომპანია დაინტერესებულია რაც შეიძლება ნაკლები სადაზღვევო შემთხვევა მოხდეს და გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს ფერმერებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან, მემკენარეობის საქმიანობის შესაბამისი კლიმატური ზონების მიხედვით წარმართვასა და აგროწარმოების შესაბამისი სტანდარტების დაცვასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული ფაქტორები კი მინიმუმადე ამცირებს დანაკარგების რისკს და დადებითად აისახება მთლიანად აგრობიზნესის საქმიანობაზე.

<sup>145</sup> Stiglitz Joseph E. - Some Theoretical Aspects of Agricultural Policies, The World Bank Research Observer, Oxford University Press Vol. 2, No. 1 (Jan., 1987), p. 44.

<sup>146</sup> Agricultural Insurance as Risk Management Strategy: An overview of Agricultural Insurance Schemes in Europe and the World, The Foreign Policy Initiative BH, Bosnia and Herzegovina, 2014. p. 2.

## **4.2. აგროდაზღვევის პრობლემები და მათი გადაჭრის ძირითადი მიმართულებები საქართველოში**

სოფლის მეურნეობა საკმაოდ რისკიანი სფეროა, თუმცა, საქართველოში სოფლის მეურნეობის დაზღვევა კვლავ განუვითარებელია, რაც ძირითადად განპირობებულია შემდეგი მიზეზებით - მიწების თითქმის 85 პროცენტი ისეთი წვრილი ფერმერების ხელშია, რომლებიც ბუდალტრულ აღრიცხვასაც კი არ აწარმოებენ და არ ესმით დაზღვევის არსი სრულად; შედარებით მსხვილი მეურნეობები კი დაზღვევის სიძვირისა და სადაზღვევო პაკეტების სიმწირის გამო არ აზღვევენ მოსავალს. სწორედ ამიტომ, 2014 წლის სექტემბრიდან სოფლის მეურნეობის სააგენტომ შეიმუშავა და დანერგა აგროდაზღვევის პროექტი, რომელიც დღეისათვის სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას ახორციელებს 50-70%-ის ფარგლებში.<sup>147</sup>

2014 წლამდე საქართველოში მხოლოდ რამდენიმე სადაზღვევო კომპანია სთავაზობდა მომხმარებელს აგროდაზღვევის პროდუქტს, ხოლო თავად აგრარული სექტორის დაზღვევის წილი მთლიან სადაზღვევო სექტორში ძალიან უმნიშვნელო იყო. მოცემული პროდუქტის სიძვირე და დაზღვევის კულტურის დონე გავლენას ახდენდა მოცემული დაზღვევის მოთხოვნის ფორმირებაზე. სადაზღვევო კომპანიებისათვის იგი გარანტირებულად წამგებიანი პროდუქტი გახლდათ და მიღებული ზარალების გადაფარვას სხვა პროდუქტების გაყიდვიდან აკუმულირებული თანხებით ცდილობდნენ.

**აგროდაზღვევის პროდუქტები 2014 წლამდე.** 2014 წლამდე მომხმარებელს აგროდაზღვევის პოლისს რამდენიმე სადაზღვევო კომპანია სთავაზობდა, მაგალითად, “ალდაგი ბისიაი” და “ჯიპიაი ჰოლდინგი”. მომხმარებელთა კატეგორიას ძირითადად წარმოადგენდნენ ცნობილი ღვინის კომპანიები. 2014 წლამდე აგროდაზღვევის პაკეტებიდან სადაზღვევო კომპანიებს მოგება არ მიუღიათ. კლიმატური პირობების გაურესების გამო მოსავალი რამდენჯერმე განადგურდა და სადაზღვევო კომპანიებს უფრო მეტის ანაზღაურება მოუხდათ, ვიდრე ამ მიმართულებით მოზიდული პრემიის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა.

<sup>147</sup> საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 მარტის განკარგულება №524 “აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ”, თბ., 2016, დანართი №1.

საქართველოში მანამდე კერძო სადაზღვევო სისტემა არსებობდა, რომელიც აგრორისკებს სუბსიდირების გარეშე აზღვევდა, თუმცა საქართველოს კერძო სადაზღვევო სისტემის მონაწილეობა აგროსექტორის დაზღვევაში ძალიან მცირე იყო, რაც განპირობებული იყო ქვეყანაში დაზღვევის კულტურის, ასევე, კანონმდებლობის და კონტროლის მექანიზმის დაფიციტით. მოცემული მიმართულებით წინსვლის დასაფიქსირებულად აუცილებელი იყო რისკფაქტორების არეალის, ახალი ტერიტორიების დაფარვისა და აგროდაზღვევის ბაზრის ზრდა, რაც დამოკიდებული იყო თავად სადაზღვევო კომპანიების ჩართულობასა და ინიციატივის გამოჩენაზე. თავისთავად, მოცემული პროცესი მოითხოვდა სახელმწიფოს მიერ აგროდაზღვევაზე კანონის მიღების აუცილებლობას, ასევე, ფერმერების რისკის დაზღვევის ხელშეწყობასა და სუბსიდირების პროგრამის შემუშავებაზე შესაბამისი პასუხისმგებლობის აღებას. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარების და ხელშეწყობის კუთხით სახელმწიფოს როლი საკმაოდ დიდია, რადგან აგროდაზღვევა, განსხვავებით სხვა სადაზღვევო პროდუქტებისგან, ბევრად უფრო რთული და ძვირადღირებული პროდუქტია, რაც განპირობებულია აგროდაზღვევისათვის დამახასიათებელი დიდი ადმინისტრაციული და აკვიზიციური დანახარჯებით, სპეციალური აგროცოდნისა და რისკების შეფასების რთული სისტემის ფორმირების აუცილებლობით. საკმაოდ რთულია რეგიონში მოსავლიანობის განსაზღვრა, ასევე, ბუნებრივი მოვლენების სტატისტიკის შედგენა და სხვა. აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფოს დახმარება აუცილებელია მიწის რუკების შედგენის, ბუნებრივი მოვლენების აღწერის, რეგიონული მოსავლიანობის და საფასო სტატისტიკის განსაზღვრის მიმართულებით. სახელმწიფოს, ასევე, აქვს შესაძლებლობა ფერმერებს დაეხმაროს აგროდაზღვევის არსის გაგებაში საგანმანათლებლო შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარების მეშვეობით და ასევე, სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებით.

2014 წელს ესპანური კომპანიის აგროსეგუროს ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა აგრარული და აგროსადაზღვევო სექტორების მდგომარეობა და ქართველ ექსპერტებთან ერთად შეიმუშავა რეკომენდაციები ქვეყანაში აგროდაზღვევის სტრატეგიის განვითარებისთვის. აღსანიშნავია, ამავე წელს სოფლის მეურნეობის მინისტრმა და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა საქართველოში აგროდაზღვევის პოტენციალისა და შესაძლებლობების კვლევის ჩატარების ფინანსურ შეთანხმებას

მოაწერეს ხელი, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იყო მოცემული საკითხის მოგვარებისაკენ.<sup>148</sup>

სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთავაზებული აგროდაზღვევის პროდუქტები.

**1. ჯიპიაი ჰოლდინგი.** ”ჯიპიაი ჰოლდინგი” 2014 წლამდე აზღვევდა როგორც მარცვლოვან კულტურებს, ისე ვენახებსა და ხეხილს, საქონელსა და ფრინველს. 2012 წელს კომპანიამ 480,000 ლარი აუნაზღაურა ფერმერებსა და გლეხებს - ზარალი გამოწვეული იყო ძირითადად სეტყვით, ძლიერი ქარითა და დატბორვით.

2013 წლის მარტში ჯიპიაი ჰოლდინგმა წარმოადგინა აგროდაზღვევის ახალი პროდუქტი - საქონლის დაზღვევის პოლისი, რომლის დირებულება წელიწადში 30 ლარს შეადგენდა და მისი შეძენა ნებისმიერ გლეხს ან ფერმერს შეეძლო. მოცემული პროდუქტი მოიცავდა შემდეგ რისკებს: საქონლის გარდაცვალება უბედური შემთხვევის ან გარკვეული ავადმყოფობის შედეგად. საქონლის დაზღვევის პოლისი არასამთავრობო ორგანიზაცია ”ელგანასთან” ერთად შემუშავდა ”კრედიტებთან და დაზღვევასთან ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების” პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაფინანსდა „ოქსფამ დიდი ბრიტანეთის მიერ“. რაც შეეხება უშუალოდ კომპანიის მიერ დაზღვეული რისკების ჩამონათვალს, შემდეგია:

- ❖ ხორბლის, ქერისა და სიმინდის მოსავლის დაზღვევა ისეთი შემთხვევისგან, როგორიცაა: ხანძარი, სეტყვა, ყინვა, ძლიერი ქარი, წყალდიდობა და ძლიერი წვიმა.<sup>149</sup> საშუალო მოსავლიანობა, რომელიც ეჭვემდებარება დაზღვევას შემდეგნაირად განისაზღვრება: 1) 3-5 ტ/ჰა სიმინდისათვის; 2) 2-3 ტ/ჸა ხორბლისათვის; 3) 1.8-2.5 ტ/ჸა ქერისათვის. მოსავლის დაზღვევის დირებულება სადაზღვევო თანხის 6%-ს შეადგენდა. ფერმერს შეეძლო დაეზღვია მინიმუმ 5 ჰექტარ მიწაზე მოყვანილი მოსავალი.
- ❖ გაშლისა და ატმის მოსავლის დაზღვევა სეტყვისა და ხანძარისგან. მოსავლიანობა, რომელიც ეჭვემდებარება დაზღვევას: 1) 10 ტ/ჸა ატმისათვის; 2) 15 ტ/ჸა გაშლისათვის.
- ❖ მანდარინის დაზღვევა. მანდარინის დაზღვევის შემთხვევაში მოსავალი დაზღვეულია სეტყვისგან. სადაზღვევო თანხა განისაზღვრება დასაზღვევ ფართობზე მოსალოდნელი საგარაუდო მოსავლის რაოდენობის ლირებულებით. მოსავლის სადაზღვევო ლირებულება არ უნდა აჭარბებდეს: 550 ლარი/ტ

<sup>148</sup> <http://news.ge/ge/page/saqartvelos-soflis-meurneobis-saministro>

<sup>149</sup> [https://www.gpih.ge/gpih/other\\_insurance/Argo/standardpackagedrought.php](https://www.gpih.ge/gpih/other_insurance/Argo/standardpackagedrought.php)

მანდარინისათვის. მოსავლიანობა, რომელიც ექვემდებარება დაზღვევას: 25 ტ/ჰა მანდარინისათვის.

- ❖ **გაზის მოსავლის დაზღვევა.** ვენახების დაზღვევის შემთხვევაში იზღვევა რქაწითელისა და საფერავის ჯგუფის ვენახის მოსავალი სეტყვისა და ხანძარისგან. ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი შეადგენს: 1) 1000 ლარი/ტ რქაწითელისთვის; 2) 1500 ლარი/ტ საფერავისთვის. საშუალო მოსავლიანობა განისაზღვრება შემდგენაირად: 1) რქაწითელი 8–10 ტ/ჰა; 2) საფერავი 6–7 ტ/ჰა.
- ❖ **მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაზღვევა.** დაზღვევას ექვემდებარება 1 წლიდან 10 წლამდე ასაკის პირუტყვი (ძროხა, ხბო, ხარი, კამები). ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი: თითოეულ საქონელზე – 300 ლარი + ხორცის საფასური. დაზღვეული რისკები: საქონლის დაკვლის აუცილებლობის გამომწვევი უბედური შემთხვევა (ხანძარი, მეხის დაცემა, წყალდიდობა, ქარიშხალი); ქირუგიული დაავადებები (მოტეხილობა, დაბეჭილობა, ჭრილობები, თიაქარი); ტრავმული პერიკარდიტი (იწვევს რკინის, ცელოფნის, თოკის და სხვა ნივთების გადაყლაპვა) და სხვა.
- ❖ **თხილის ნარგავების დაზღვევა.** შესაძლებელია თხილის პლანტაციების/ნარგავების დაზღვევა სტიქიური მოვლენებისაგან. ნარგავების შეფასება განხორციელდება საბაზო ლირებულებიდან გამომდინარე.
- ❖ **გარტოფილის დაზღვევა** მოიცავს სეტყვის რისკისგან დაზღვევას.

**2. ალდაგი ბისიათ.** 2012 წელს ”საქართველოს ბანკმა” პარტნიორ კომპანიებთან ერთად სპეციალურად ფერმერებისთვის აგროდაზღვევის პროგრამა დაიწყო. პროექტი ”ალდაგი ბისიასთან” და USAID-ის ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივასთან ერთად ამოქმედდა, რომელიც ფერმერებისთვის საკრედიტო რესურსის მიღების გამარტივებას ითვალისწინებდა. გარდა ამისა, სადაზღვეო პრემიის 90%-ს ”საქართველოს ბანკი” და USAID ერთობლივად აფინანსებდნენ, 10% კი ფერმერს თავად უნდა დაეფარა. დაინტერესებულ პირებს სოფლის მეურნეობის კულტურების ბუნებრივი რისკებისგან სრული დაზღვევა შეეძლოთ. პროექტი სამწლიანი იყო და საერთო ჯამში სოფლის მეურნეობის სექტორში 1.2 მილიონი დოლარის საკრედიტო რესურსის მობილიზებას გულისხმობდა. პროექტის ფარგლებში ფერმერებს, ასევე, კონსულტაციებითა და ტრენინგებით სარგებლობის შესაძლებლობაც ეძლეოდათ.

2012 წელს ალდაგი სადაზღვეო კომპანიის ”იმედი ელის” აქციების 85% წილის მფლობელი გახდა. იმედი ელი აგრორისკების დაზღვევას უკვე 10 წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში ახორციელებდა. საქართველოსთვის ამ მხრივ

ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი კახეთი და მევენახეობა იყო. კომპანიის მიღებულის გულისხმობდა შემდეგს - კომპანია აზლვევდა ყველა იმ კულტურას, რომელიც კონკრეტულ მიწაზე მოდის და ტიპიურია ამ მიწისთვის.

მოცემულ ეტაპზე ალდაგის მიერ მომხმარებელისათვის შეთავაზებული მომსახურების ჩამონათვალს შემდეგი სახე ჰქონდა:<sup>150</sup>

- სიმინდის მოსავლის დაზღვევა შემდეგი რისკების მიხედვით: სუსტისგან, მოყინვისგან, ლიპყინულიანობისგან, გამობერვისგან, დასველებისგან, ყინულის ქერქისგან, მზრალობისგან, სეტყვისგან, ხანგრძლივი წვიმებისგან და სხვა;
- ხორბლის მოსავლის დაზღვევა შემდეგი რისკების მიხედვით: გვალვისგან, სეტყვისგან, მეხის დაცემისგან, მიწისძვრისგან, ზვავისგან, მიწის მოცურებისგან, ხანძრისგან (გარდა ტყის ხანძრისა), კოკისპირული წვიმისგან, სუსტისგან, მცენარეული ნარგავების მიმართ მესამე პირთა არაკანონიერი მოქმედებებისგან;
- მსხვილფეხა რქოსანი საქონლის დაზღვევა სიკვდილისგან, ოუ იგი გამოწვეულია შემდეგი სადაზღვევო შემთხვევებით: ხანძრით, მეხის დაცემით, შტორმით, წყალდიდობით, მიწისძვრით, გვალვის შედეგად დასიცხვით, დახრჩობა-გაგუდვით, მოწამვლით, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობითა და სხვა;

3. სადაზღვევო კომპანია „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“ დაფუძნდა აზერბაიჯანის ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიის „სტანდარტ დაზღვევა“-ს მიერ, რომელიც 11 მილიონი ევროს კაპიტალით, 10 წლიანი წარმატებული ისტორიითა და ძლიერი საერთაშორისო პარტნიორებით, უპრეცედენტო ლიდერია აზერბაიჯანის სადაზღვევო ბაზარზე. მოცემული სადაზღვევო კომპანია მომხმარებელს სთავაზობს შემდეგი სახის დაზღვევას - ხორბლის, სიმინდის და კარტოფილის მოსავლის დაზღვევის პოლისს გაუთვალისწინებელი რისკებისაგან.

4. სადაზღვევო კომპანია “არდი ჯგუფის” ისტორია 2010 წლიდან იწყება. კომპანიამ, დღემდე განხორციელებული ინოვაციური აქტივობებით, შეიძინა ყველაზე სწრაფად განვითარებადი სადაზღვევო კომპანიის სტატუსი. მოცემული სადაზღვევო კომპანია მომხმარებლებს სთავაზობდა შემდეგი კულტურების დაზღვევას: მარცვლოვნები, ვენახი, ვაზი, ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურა, ნაჭუჭოვანი

<sup>150</sup> <http://www.aldagi.ge/ge/skhva-produqtebi>

კულტურები, ციტრუსები, ხილი, სასათბურე მეურნეობები, მრავალწლიანი ნარგავები, მსხვილი და წვრილფეხა ცხოველები, აკვაპულტურები და სხვა.<sup>151</sup>

ზემოთ ჩამოთვლილი კულტურები წელიწადის სხვადასხვა დროს, გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად შესაძლებელი იყო დაქვემდებარებოდა შემდეგი რისკების ზემოქმედებას, რომლებიც ეჭვემდებარებიან დაზღვევას: მეტეოროლოგიური რისკები; ცხოველების ან ფრინველების სხვადასხვა დაავადები; საკვებით მოწამვლა, ეპიდემია ან უბედური შემთხვევები; სხვადასხვა მავნებლების: მწერების, მღრღნელების, სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების გავრცელება; მესამე პირის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედებები და ვანდალიზმი.

### **აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა**

2014 წლის სექტემბრიდან საქართველოში ფერმერებისთვის აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა ამოქმედდა, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა ამ ეტაპზე სეტყვისგან, ჭარბი ნალექისგან, ქარიშხლისგან და საშემოდგომო ყინვისგან მიყენებულ ზარალს ანაზღაურებს. პირველ წელს პროექტის ბიუჯეტი 5 მილიონი ლარით განისაზღვრა. 2014 წელს აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემულია 21 ათასზე მეტი პოლისი, დაზღვეულია 150 მილიონ ლარზე მეტი დირებულების 34 სხვადასხვა კულტურა 19 ათას ჰა. მიწის ფართობზე.

პროექტის მიზანს წარმოადგენს: აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა; სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება.

პროგრამის ფარგლებში, დასაზღვევად მიიღება მხოლოდ ისეთი მიწის ნაკვეთები, რომლებზეც წარდგენილია საკადასტრო კოდი, აზომვითი ნახაზი ან GPS კოორდინატები. სააგენტოს მიერ ერთ დამზღვევზე გადასახდელი სადაზღვევო პრემიის თანადაფინანსების მაქსიმალური თანხა 30,000 ლარია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში კი – 50,000 ლარი.<sup>152</sup> 2015 წელს, სახელმწიფოს

<sup>151</sup> <http://www.ardi.ge>

<sup>152</sup> <http://eugeorgia.info/ka/article/107/agrodazgvevis-saxelmwifo-programashi-5-sadazgvevo-kompania-chaerto/>

გადაწყვეტილებით, პროგრამა მცირედი ცვლილებებით გვლავ ამოქმედდა. აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამის ბიუჯეტი მოცემულ წელს 10 მილიონი ლარით განისაზღვრა. პროგრამის ფარგლებში აგროდაზღვევის სტიმულირების მიზნით სახელმწიფომ დააფინანსა სადაზღვევო პრემიის 70%-დან 90%-მდე.

აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა გეგმით 2014 წლის 30 ნოემბრამდე პერიოდს მოიცავდა. თავდაპირველ ეტაპზე განისაზღვრა პროექტში მონაწილე 5 სადაზღვევო კომპანია, თუმცა პროექტი საწყის ეტაპზე 2014 წელსვე დატოვა ქართუ დაზღვევამ. სადაზღვევო კომპანია "უნისონი" 2015 წლიდან აქტიურად შეუერთდა აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამას<sup>153</sup>, დღეისათვის პროექტში მონაწილეობენ შემდეგი სადაზღვევო კომპანიები: ალდაგი, ჯი პი აი პოლდინგი, აი სი ჯგუფი, არდი ჯგუფი და უნისონი. სამი მათგანი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, 2014 წლამდეც ახორციელებდა ბაზრისთვის აგდროდაზღვევის პროდუქტის შეთავაზებას.

2016 წელს პროექტში განხორციელდა რამდენიმე ცვლილება. ცვლილებების თანახმად ბენეფიციარს შეუძლია დააზღვიოს 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი (მარცვლეული კულტურის შემთხვევაში 15 ჰა-ს მაგივრად 30 ჰა) თითოეული დამზღვევი 60% ნაცვლად მიიღებს 70%-იან თანადაფინანსებას პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე 40-ის ნაცვლად 50%-ს. მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემთხვევაში ან უკვე არსებული საკადასტრო კოდით დაზღვევისას თანადაფინანსება არსებულზე 10%-ით მეტი იქნება. 2016 წლიდან მოქმედებს მინიმალური და მაქსიმალური სადაზღვევო ტარიფები. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის ამაღლებას და მათი მხრიდან სადაზღვევო რისკების სწორად შეფასებას. ასევე, მიმდინარე წელს გაუმჯობესდა და მაქსიმალურად მოერგო მომხმარებლის მოთხოვნებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის და ფრანშიზის გამოქვითვის წესი.<sup>154</sup> აგროდაზღვევის პროექტის ბიუჯეტი, ისევე როგორც 2015 წელს, 2016 წელსაც 10 მილიონ ლარს შეადგენს.<sup>155</sup>

ასევე, ცვლილებები შეეხო სადაზღვევო ტარიფის ზედა ზღვრებს დასაზღვევი კულტურების მიხედვით და კანონში ჩაიდო გარკვეული პუნქტები, რომლის მიხედვითაც სადაზღვევო კომპანიას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის ეკისრება ჯარიმა. პირველ შემთხვევაში, მაგალითად: 1)

<sup>153</sup> [http://unison.ge/index.php?run=home/product&product\\_id=23\\_26](http://unison.ge/index.php?run=home/product&product_id=23_26)

<sup>154</sup> <http://apma.ge/newsletter/projects/read/agroinsurance>

<sup>155</sup> <http://agrokavkaz.ge/axali-ambebi/agrodazghveva-ganakhlebul-proeqts-phermerebi-etsnobian.html>

მარცვლეული კულტურებისთვის გაიზარდა ტარიფი 8%-დან 8.50%-მდე 2) პარკოსანი კულტურებისთვის შემცირდა 8%-დან 7.20%-მდე; 3) ბოსტნეულის კულტურებისთვის შემცირდა 12%-დან 11%-მდე; 4) ბალჩული კულტურებისთვის შემცირდა 16%-დან 13%-მდე; 5) ვაზისთვის 12% შენარჩუნდა; 6) ხეხილისთვის შემცირდა 12%-დან 11%-მდე; 7) კენკროვანი კულტურებისთვის შემცირდა 14%-დან 13%-მდე; 8) კაპლოვანი კუტურებისთვის შემცირდა 8%-დან 7.80%-მდე; 9) სუბტროპიკული კულტურებისთვის შემცირდა 14%-დან 13%-მდე და 10) ციტრუსებისთვის უცვლელად დარჩა 11%.

რაც შეეხება მზღვეველის პასუხისმგებლობას ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებისათვის, შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი პუნქტები: მზღვეველი ვალდებულია ყოველი თვის დასრულებიდან შემდგომი თვის 20 რიცხვამდე წარუდგინოს სააგენტოს ანგარიშგება გაცემული პოლისების შესახებ, ვადის დარღვევის შემთხვევაში სააგენტოს შეუძლია პრემიის გადახდაზე უარი განცხადოს მზღვეველს. დოკუმენტაციაში არასწორი ინფორმაციის მითითებისთვის 100 ლარით დააჯარიმოს, GPS კოორდინატების არასწორად მითითებისთვის თითოეული პოლისზე 50 ლარის ოდენობით, ხოლო პოლისის შესაბამისად დამზღვევის მიერ გადახდილი თანხის დამადასტურებელი საბუთის წარუდგენლობის ან იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში თითოეულ პოლისზე 10,000 ლარის ოდენობით დააჯარიმოს.<sup>156</sup> მოცემული პუნქტების პროექტში დამატება განპირობებული იყო საპილოტე პროგრამის დროს დაშვებული არაერთი ტექნიკური თუ ორგანიზაციული ხარვეზის გამო.

დაზღვევის მოქმედების პერიოდში ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მიმართ მზღვეველის ვალდებულება ძალაში შედის:

- **ერთწლიან კულტურებთან მიმართებაში, თუ სადაზღვევო რისკი მომხდარია მას შემდეგ, რაც ნაკვეთზე ჩატარებულია შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კულტურის აგროწესებითა და აგროვადებით გათვალისწინებული ყველა საჭირო ლონისძიება, სასოფლო-სამეურნეო კულტურის 90% თანაბრად აღმოცენებულია და იმყოფება საკვამებით პერიოდის მიწისზედა ორგანოების (მინიმუმ 10 სმ) განვითარების ფაზაში და მოქმედებს მოსავლის აღებამდე. სანერგე მასალის - ჩითილის დარგის შემთხვევაში ლია გრუნტში გადარგვიდან არა უადრეს 10 კალენდარული დღისა;**

<sup>156</sup> საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 მარტის განკარგულება №524 “აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ”, თბ., 2016, მუხლი 5.

➤ მრავალწლიან კულტურებთან მიმართებაში, თუ სადაზღვევო რისკი მომხდარია მას შემდეგ, რაც: ხილი დაზღვეულ ტერიტორიაზე ხეებზე ნაყოფის 50% მიაღწევს 0.8 სანტიმეტრს დიამეტრში, გარდა ბლისა, ალუბლისა და თხილისა, რომელთა შემთხვევაში დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როდესაც ნაყოფი მიაღწევს 0.4 სმ დიამეტრში; კენკრა – მცენარეს გავლილი აქვს ყვავილობის ფაზა, ნაყოფი ხდება მკვეთრად გარჩევადი და ფორმირებულია ბუჩქებზე; ყურძენი – გამოტანილია მტევანი.<sup>157</sup>

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროექტთან დაკავშირებით სადაზღვევო კომპანია ალგადმა საქართველოს ბანკთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედოსთან“ ერთად მომხმარებლებს გადახდის მოქნილი და მარტივი პირობები შესთავაზა. პროექტის ფარგლებში ვაზის სადაზღვევო პრემიის 50-60% დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ, დარჩენილი თანხის დასაფარად ფერმერს საშუალება ეძლევა უპროცენტოდ მიიღოს თანხა და მოსავლის აღებისას აანაზღაუროს. მოსავლის ან ნერგების ყვავილობის პერიოდში განადგურებისას, ფერმერს სადაზღვევო პრემია უკან სრულად უბრუნდება.<sup>158</sup>

### **აგროდაზღვევის პროექტის შედეგები**

2014 წელს სულ დაზღვეული იქნა 29,514 ნაკვეთი 18,498 ჰა ფართობით, მოზიდულმა პრემიამ ჯამში შეადგინა 12,409,225 ლარი, აქედან სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული იყო 11,637,013 ლარი, დამზღვევთა მიერ გადახდილი იქნა 18,498 ლარი. ყველაზე დიდი ოდენობით ნაკვეთების მიხედვით დაიზღვა ციტრუსოვანი კულტურები 12,391 ნაკვეთი, ხოლო, მოზიდული პრემიის მიხედვით ვაზი ლიდერობდა 5,376,636 ლარით (**იხ. დანართი №42**). რაც შეეხება, ტერიტორიულ გადანაწილებას, ყველაზე დიდი რაოდენობით დაზღვეული ნაკვეთები განლაგებულლი იყო კახეთში 9,863 ნაკვეთი, ყველაზე ნაკლები – თბილისში 1 ნაკვეთი (**იხ. დანართი №41**). სადაზღვევო შემთხვევის მოცვის თვალსაზრისით, დაფიქსირდა სადაზღვევო შემთხვევა – სეტყვა გურიასა და აჭარის რაიონში, საერთო ზარალმა შეადგინა 1,879,298 ლარი 6,879 სადაზღვევო შემთხვევის ფარგლებში (**იხ. დანართი №44**).

ჯამურად 2014-2015 წლებში მოცემული პროექტის ფარგლებში დაზღვეული იყო 40,013 რაოდენობის ნაკვეთი 23,667 ჰა ფართობით, აქედან 2015 წლის მაჩვენებელი

<sup>157</sup> <http://press.mediamall.ge/?id=12169>

<sup>158</sup> <http://credo.ge/ka/465/>

იყო 10,499 ნაკვეთი 5,169 პა ფართობით.<sup>159</sup> გასათვალისწინებელია, რომ 2015 წლის პროექტში ცვლილება შევიდა, რომლის მიხედვითად სახელმწიფო პრემიის 90%-ის ნაცვლად 60%-მდე სუბსიდირებას ახორციელებდა. შედეგად, 2015 წელს 2014 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებამ დაზღვეული მიწის ნაკვეთების მიხედვით შეადგინა 64%, ხოლო საერთო დაზღვეული ფართობის მიხედვით - 72%.

მოზიდულმა პრემიამ მოცემული ორი წლის განმავლობაში შეადგინა 16,031,039 ლარი. 2015 წლის განმავლობაში მაჩვენებელი განისაზღვრა 3,621,814 ლარით, 2014 წლის შედეგებთან შედარებით 71%-ით ნაკლები. რაც შეეხება ანაზღაურებულ ზარალებს, ორი წლის განმავლობაში ჯამურად 14,178,445 ლარით განისაზღვრა (20,026 სადაზღვევო შემთხვევა). ზარალიანობამ 88% შეადგინა, ხოლო, სისტირემ - 51%. დაზღვეული რისკების მიხედვით ყველაზე მეტი სადაზღვევო შემთხვევა დაფიქსირდა სეტყვის მიხედვით - 15,334, მთლიანი ანაზღაურებული თანხით 13,414,317 ლარი (იხ. დანართები №46-47).

ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე შემთხვევა: 1) 2015 წლის ივნისში მარნეულიში სეტყვის შედეგად დაზღვეული 17 პა მიწის ნაკვეთის 75% განადგურდა, მოცემული მიწის ნაკვეთის მიხედვით გადახდილმა პრემიამ 30,344 ლარი შეადგინა. აქედან ფერმერის მიერ გადახდილი იყო 1,785 ლარი. სადაზღვევო კომპანია ალდაგის მიერ ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 232,000 ლარი; 2) ამავე წლის ივლისში სეტყვის შედეგად ყვარელში დაზიანდა მრავალი სავარგული. დაზღვეული 491 მიწის ნაკვეთის მიხედვით ზარალმა 1 მლნ. ლარი შეადგინა; 3) ირაომ გურიასა და აჭარაში სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალის შედეგად 1,937,000 ლარი აანაზღაურა; 4) სადაზღვევო კომპანია უნისონის მიერ 2015 წლის აგვისტოში კახეთში მომხდარი სეტყვის შედეგად მიყენებული ზარალის გამო 112 მიწის ნაკვეთის მიხედვით 242,155 ლარის ზარალი ანაზღაურდა; 5) ჯიპიაი ჰოლდინგმა 2015 წელს სეტყვის შედეგად მიყენებული ზარალი აანაზღაურა ზემო ხოდაშენში - 84,761 ლარი (ჯამურმა გადახდილმა პრემიამ შეადგინა 30,600 ლარი, აქედან დამზღვევის მიერ გადახდილი იყო 1,800 ლარი), ყვარელში აანაზღაურა - 70,875 ლარი (ჯამურმა გადახდილმა პრემიამ შეადგინა 10,200 ლარი, აქედან დამზღვევის მიერ გადახდილი იყო 600 ლარი); 6) სადაზღვევო კომპანია აი სი გრუპმა 2015 წელს სეტყვისა და ქარიშხლის შედეგად მიყენებული ზარალის მიხედვით 557 ფერმერს აუნაზღაურა 971,291 ლარი.

<sup>159</sup> წყარო: საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია.

აგროდაზღვევის წილი მთლიან სადაზღვევო სექტორში ბოლო 2014-2015 წლებში შემდეგნაირად გამოიყურება: 2014 წელს მოზიდული იქნა ჯამურად 302,640,671 ლარის პრემია, აგროდაზღვევის მიხედვით - 12,409,225 ლარი, წილმა კი სექტორში 4.1% შეადგინა, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია იმ ფონზე, როდესაც წინა პერიოდში 1%-ს ვერ სცდებოდა. 2015 წელს მოზიდული იქნა ჯამურად 359,798,773 ლარის პრემია, აქედან აგროდაზღვევაზე - 3,621,814 ლარი, რაც მთლიანად მოზიდული პრემიების 1%-ს წარმოადგენს. მოცემული მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ ფერმერები მზად არ არიან საკუთარი სახსრებით დააზღვიონ საკუთარი მოსავალი, რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია ფინანსური უზრუნველყოფის საკითხებითა და სადაზღვევო კულტურის დაბალი დონით, ხოლო მეორე მხრივ, სადაზღვევო კომპანიების მიმართ არსებული უნდობლობით.

2016 წელს, პროგრამის ფარგლებში დაზღვეულ იქნა 133,499,583 ლარის დირებულების სხვადასხვა კულტურა დაზღვეული 15,472 კა მიწის ფართობით; ჯამში სააგენტოს სუბსიდიის თანხამ შეადგინა 8,304,815 ლარი, ხოლო 2016 წელს დამდგარი ზარალების ასანაზღაურებლად გაცემულია 5,041,811 ლარი.<sup>160</sup>

ასევე, უნდა შევეხოთ მოსავლიანობის საკითხსაც, ბოლო პერიოდში ერთწლოვანი კულტურებიდან (ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, ბაღჩეული) ხორბლის გარდა დანარჩენ კულტურებზე საგრძნობლად შემცირდა გამოშვება, ასევე, ნათესი ფართობის მოცულობა. მრავალწლიან კულტურებში (ხილი, ყურძენი, ციტრუსები), ყურძნის გარდა, დანარჩენ კულტურებშიც მოცემული მაჩვენებლების მიხედვით კლება შეინიშნება. მოცემული ასპექტი, ნამდვილად არასახარბეჭდო ტენდენციაზე მიუთითებს.

აუცილებლად უნდა განვიხილოთ დაზღვეული სტიქიური მოვლენები. სეტყვა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოდის. მისი ინტენსივობა და სიხშირე განსაკუთრებით მაღალია აღმოსავლეთ საქართველოში. ყოველწლიურად აღინიშნება ამ მოვლენის 5-დან 15-მდე შემთხვევა. ნადგურდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 0.7-დან 8.0%-მდე. განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩეოდა 1983, 1987, 1993 და 1997 წლები. ბოლო 10 წელიწადში ქვეყნისათვის სეტყვისაგან მიყენებულმა ზარალმა 130 მლნ. ლარს გადააჭარბა (იხ. დანართი №50).<sup>161</sup> ძლიერი და ხანგრძლივი ქარიშხალი აღინიშნება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მათი სიხშირე და ინტენსივობა განსაკუთრებით მაღალია აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის რეგიონებში.

<sup>160</sup> წლიური ანგარიში 2016 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2017, გვ. 25.

<sup>161</sup> <http://meteo.gov.ge/index.php?pg=sts&id=20>

ამ მოვლენების განმეორებადობის სიხშირე 2-ჯერ გაიზარდა და ყოველ 4-5 წელიწადში ერთხელ მეორდება. ძლიერი ქარიშხლები განსაკუთრებულ ზარალს აყენებს სასოფლო- სამურნეო საგარგულებს, კომუნალურ მეურნეობას, ელექტროგადამცემ ხაზებს, სხვა საინჟინრო ნაგებობებს. 1995-2008 წლებში ამ მოვლენისგან ქვეყნისათვის მიყენებულმა ზარალმა 90 მლნ. ლარს მიაღწია (იხ. დანართი №51).<sup>162</sup>

გვალვა არ არის დაზღვეული მოცემული პროგრამის ფარგლებში, მაგრამ, მისი როგორც მნიშვნელოვანი რისკფაქტორის გათვალისწინებით, აუცილებელია შევეხოთ. გვალვა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აღინიშნება, თუმცა ამ მხრივ გამოირჩევა კახეთი, შიდა და ქვემო ქართლი, ასევე ზემო იმერეთის რეგიონები. ადრეულ პერიოდებში გვალვა 15-20 წელიწადში ერთხელ აღინიშნებოდა, ბოლო დროს ეს მოვლენა 6-7 წელიწადში ერთხელ ხდება. 1995-2008 წლებში ამ მოვლენისგან სოფლის მეურნეობისათვის მიყენებულმა ზარალმა 400 მლნ. ლარს მიაღწია. ნალექიანობის თვალსაზრისით საქართველო კონტრასტული რეგიონია. კავკასიონის, გურია-აჭარის და კოლხეთის დაბლობზე წელიწადში 1000 მმ-ზე მეტი ნალექი მოდის. დანარჩენ რეგიონებში ნალექები ნაკლებია და შეადგენს 300-750 მმ. სწორედ ამიტომაა, რომ გაუდაბნოების პრობლემა, რომლის ძირითად გამომწვვა მიზეზს გვალვა წარმოადგენს აქტუალურია საქართველოსთვის. კლიმატის დათბობის გლობალური პროცესის გაგრძელების შემთხვევაში გაუდაბნოების პროცესი შესაძლოა შეეხოს აღმოსავლეთ საქართველოს ვაკისა და მთისწინეთის არიდულ და სემი-არიდულ ლანდშაფტებს, ასევე, მაღალმთიანეთის სუბ-ალპურ და ალპურ ზონებს. პრევენციული ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში პროცესმა შეიძლება შეუქცევადი ხასიათი მიიღოს, განსაკუთრებით ქვემო ქართლისა და დედოფლისწყაროს რაიონებში. თავისთავად, მოცემული რისკის ჩართვა დაზღვევის პროგრამაში აუცილებელია.

აგროდაზღვევისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასაზღვევი და დაზღვეული მიწის ნაკვეთის ზუსტი კოორდინატების განსაზღვრას. ამისათვის რამდენიმე მეთოდი გამოიყენება: რეესტრის ამონაწერი, სადაც მითითებულია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი, საკადასტრო რუკა და GPS კოორდინატები. ურადღებას გავამახვილებთ უკანასკნელზე, სატელიტური სანავიგაციო სისტემა GPS თავდაპირველად აშშ-ში იყო დამუშავებული სამხედრო მიზნებისთვის

<sup>162</sup> <http://meteo.gov.ge/index.php?pg=sts&id=19>

გამოსაყენებლად. სისტემის სხვა ცნობილი სახელწოდებაა „NAVSTAR“. საზოგადოდ ცნობილი სახელწოდება „GPS“ წარმოადგენს "Global Positioning System"-ის შემოკლებას, რომელიც ითარგმნება, როგორც “გლობალური სანავიგაციო სისტემა”. ეს სახელწოდება სრულად ახასიათებს სისტემის დანიშნულებას – ნავიგაციის უზრუნველყოფა დედამიწის სფეროს მთელ ტერიტორიაზე. არა მარტო ხმელეთზე, არამედ ზღვაზე და ჰაერშიც. „GPS“ სისტემის სანავიგაციო სიგნალების გამოყენებით ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია მისი მიმდინარე ადგილმდებარეობის მაღალი სიზუსტით დადგენა.<sup>163</sup> მოცემული კოორდინატების მონაცემების ფორმატირება სხვადასხვა ხერხით არის შესაძლებელი, შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი მათგანი: 1) გრადუსი, წუთი და წამი - **Degrees, minutes, and seconds (DMS)** - **41°24'12.2"N 2°10'26.5"E, 2) Degrees and decimal minutes (DMM)** - **41 24.2028, 2 10.4418;** 3) **Decimal degrees (DD)** - **41.40338, 2.17403.**<sup>164</sup> კოორდინატის ფორმატირების სხვადასხვა სისტემის გამოყენება და ერთ კონკრეტულ პლატფორმაში/სისტემაში შეტანა, რომელიც მხოლოდ ერთ კონკრეტულ ფორმატზე მორგებული, განაპირობებს არასწორი საბოლოო კოორდინატების ჩვენებას. აგროვაზღვევის საპილოტე პროგრამის დროს სწორედ მსგავსი შეცდომა იქნა დაშვებული, რამაც განაპირობა ბევრ სადაზღვევო პოლისში მითითებული მიწის ნაკვეთის არასწორი კოორდინატების განსაზღვრა. მოცემული შეცდომების რაოდენობის შესამცირებლად, აუცილებელი გახდა პროექტში სადაზღვევო კომპანიებისათვის გარკვეული სანქციების ჩართვა.

**პროექტის პრობლემები და გასატარებელი დონისძიებები.** შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ აგროდაზღვევის პროექტთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც გადაწყვეტას საჭიროებს:

1. საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების სიმცირე, რაც აუცილებელს ხდის GPS კოორდინატების ჩაწერის სისტემის გამოყენებას. მოცემული კი ხშირად დაკავშირებულია GPS კოორდინატების ჩაწერის უზუსტობასთან;
2. სადაზღვევო აგენტის მიერ მისაღები საკომისიო; აგროდაზღვევის პროექტით გათვალისწინებულია აგენტის საკომისიო მაქსიმუმ 20%. საშუალოდ საკომისიო პოლისების მიხედვით ვარირებს 10%-ის ირგვლივ, 20% მაქსიმუმის დაწესებით

<sup>163</sup> <https://sites.google.com/site/mobiluriteqnologiebi/gps>

<sup>164</sup> <http://www.ubergizmo.com/how-to/read-gps-coordinates/>

შესაძლებელია სადაზღვევო აგენტის სტიმულების დამახინჯება და სხვა სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის შემცირება;

3. ფერმერის მიერ გადასახდელი პრემიის წილის გადახდის დამადასტურებელ საბუთთან დაკავშირებული პრობლემები;
4. სადაზღვევო განაცხადის ნომრის დუბლიკაცია;
5. სუბსიდიისათვის განკუთვნილი ბიუჯეტის დროზე ადრე ამოწურვა;
6. გარანტირებული მისაღები სუბსიდირებული პრემიის გავლენით მზღვეველისათვის საბაზრო სტიმულების დამახინჯების დიდი რისკი;
7. ნაკლები ორიენტირება ფერმერთა რისკებთან და დაზღვევასთან დაკავშირებული ცოდნის დონის ზრდაზე;
8. პოლისებში სადაზღვევო პერიოდის არასწორი მითითების სიხშირე;
9. სადაზღვევო პოლისების ძალიან დიდი ზარალიანობა, მაგ., რამდენიმე რეგიონში ზარალიანობის მაჩვენებელმა 100%-ს გადააჭარბა;
10. აუცილებელია მეტეოროლოგიური რუკის შედგენა რეგიონების მიხედვით. უნდა გამოიყოს რეგიონებში რისკფაქტორების სიხშირე და ზარალიანობა;
11. უნდა გამოიყოს კლიმატური ზონების მიხედვით კულტურული მცენარეები, რომლებიც კონკრეტულ ზონას (საქართველოსათვის დამახასიათებელია მსოფლიოში არსებული 14 კლიმატური ზონიდან 11 კლიმატური ზონა) მიესადაგება, ასევე მიწის ნიადაგის ტიპის მიხედვით განისაზღვროს კონკრეტული სასოფლო კულტურისათვის ხელსაყრელი მიწის ტიპი და რეგიონი;
12. მეცხოველეობის დაზღვევის აუცილებლობა. ბოლო წლებში საკმაოდ დიდია პირუტყვის დაცემის მაჩვენებელი (**იხ. დანართი №48**).

### **4.3. ეგროკავშირის გამოცდილება აგრარული სექტორის დაზღვევის მხარდაჭერაში**

მსოფლიოში აგროდაზღვევის საკითხი ყოველთვის მნიშვნლოვანი იყო, თუმცა ბოლო პერიოდში გაფორმებული სადაზღვევო პოლისების რაოდენობა და ანაზღაურებული ზარალების მოცულობა ამას კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს. მაგალითად, 2005 წელს მთელს მსოფლიოში მოზიდული პრემიის მოცულობა 8 მილიარდ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2008 წლისთვის მოცემული მაჩვენებელი 18.5 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. 2011 წლისათვის მოცემულმა მაჩვენებელმა 23.5 მლრდ. დოლარი შეადგინა,<sup>165</sup> 2014 წელს კი – 31 მლრდ. დოლარს გაუტოლდა.<sup>166</sup>

2005 წლიდან 2011 წლამდე აგროდაზღვევის მიმართულებით მოზიდული პრემიების წლიურმა ზრდამ 20% შეადგინა, სექტორის დაზღვევის წილმა მთლიან სადაზღვევო სექტორში - 0.83%, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ კუთხით აშშ-ს გააჩნია (2014 წლისათვის 6.49%). ქვეყნებისა და ოეგიონების მიხედვით მოზიდული პრემიების ჭრილში აშშ და კანადა ლიდერობენ 55%-ით, მათ მოსდევს აზიის ქვეყნები 22%-ით და მესამე ადგილზეა ევროპის ქვეყნები 18%-იანი წილით. განსხვავებული სურათია განვითარებული და განვითარებადი ბაზრების ჭრილშიც, თუ 2005 წელს განვითარებად ბაზრებზე ფორმირებული პრემიების ოდენობა 1 მლრდ. დოლარი იყო, 2011 წლისათვის 5 მლრდ. დოლარი შეადგინა. 2025 წლისათვის განვითარებულ ბაზრებზე აგროდაზღვევის მიმართულებით მოზიდული პრემიების მოცულობის 19 მლრდ. დოლარამდე გაზრდას ვარაუდობენ. რაც შეეხება აგროდაზღვევის სტრუქტურას, 90% შეადგინა მემცნარეობის მიმართულებით განხორციელებულმა დაზღვევამ, დანარჩენი 10% გადანაწილდა აგროდაზღვევის სხვა სახეობებზე.<sup>167</sup>

მსოფლიოში გავრცელებულია აგროდაზღვევის რამდენიმე ძირითადი სქემა (**იხ. დანართი №58**): 1) სისტემა, რომელშიც სახელმწიფო სადაზღვევო მომსახურების მიმწოდებელია და ფლობს ბაზარზე მონოპოლიას (კანადა – 10 ოეგიონული სადაზღვევო კომპანია მხარდაჭერილია ფედერალური მთავრობის მიერ; კვიპროსი – ერთი სამთავრობო სადაზღვევო კომპანია, რომელიც ექვემდებარება სასოფლო-სამეურნეო სამინისტროს); 2) თავისუფალი ბაზარი სახელმწიფოს მონაწილეობისა

<sup>165</sup> <http://www.artemis.bm/blog/2013/01/17/emerging-market-agricultural-insurance-premiums-set-to-grow-fourfold-by-2025/>

<sup>166</sup> <http://www.theactuary.com/features/2015/03/new-frontiers-in-agriculture/>

<sup>167</sup> Čolović Vladimir, Mrvić Petrović Nataša - CROP INSURANCE – RISKS AND MODELS OF INSURANCE, Economics of Agriculture 3/2014, Original scientific paper EP 2014 (61) 3 (561-573), Belgrade, 2014, p. 563.

და ჩარევის გარეშე (ავსტრალია – 15 სადაზღვევო კომპანია დომინირებს ბაზარზე; არგენტინა – 29 კერძო კომპანია სთავაზობს მომხმარებელს აგროდაზღვევის პოლის); 3) კერძო და საჯარო სექტორის პარტნიორობაზე დაფუძნებული სისტემა – აქ რამდენიმე ვარიაცია გამოიყოფა ქვეყნების მიხედვით: а) ნაციონალური სადაზღვევო კომპანია ახორციელებს პარტნიორობას წამყვან კომერციულ სადაზღვევო კომპანიასთან (ესპანეთი – აგროსეგუროს ფონდი), б) დია სადაზღვევო ბაზარი, რომელშიც თავისუფლად ოპერირებენ კერძო სადაზღვევო კომპანიები, ხელისუფლება მხოლოდ პრემიის სუბსიდირებასა და სამთავრობო აგრარული პოლიტიკის ფორმირებას ახორციელებს (პორტუგალია: 15 სადაზღვევო კომპანიის მონაწილეობით; აშშ - 15 კერძო სადაზღვევო კომპანიის მონაწილეობა ბაზარზე), გ) დია ბაზარი, რომელზეც თავისუფლად ახორციელებენ საქმიანობას კერძო სადაზღვევო კომპანიები, ხოლო სახელმწიფოს როლი და ზედამხედველობა ძალიან მინიმალურია, მისი აქტიურობა მხოლოდ მცირე ოდენობით პრემიის სუბსიდირებაში გამოიხატება (საფრანგეთი, იტალია, ბრაზილია).

თავისთავად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოცემული მიმართულებით ევროკავშირში არსებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროკავშირში 1962 წელს შემუშავებულ იქნა საყოველთაო აგრარული პოლიტიკა - common agricultural policy (CAP).

2009 წელს ევროკავშირმა საერთო აგრარულ პოლიტიკაში ჩართო რისკის მართვის ინსტრუმენტები, თუმცა შედეგი არც ისე ცალსახაა. მოცემული ინსტრუმენტი განეკუთვნებოდა პირველ სვეტს. 2013 წელს მოცემული ინსტრუმენტების სახეცვლილება მოხდა 2014-2020 წლების პოლიტიკის მიზნებისათვის, მან პირველი სვეტიდან მეორე სვეტში გადაინაცვლა. ძირითადი განსხვავება ამ ორ სვეტში, გარდა შინაარსობრივი ასპექტისა, დაფინანსების კუთხით მდგომარეობს შემდეგში, პირველი სვეტის შესაბამისი დონისძიებები და ინსტრუმენტები სრულად ფინანსდება ევროკავშირის ბიუჯეტიდან, ხოლო, მეორე სვეტის დონისძიებების დაფინანსებაში CAP – ის ბიუჯეტთან ერთად ერთგება ევროკავშირის დონეზე სხვა მიზნობრივი ფონდები და კონკრეტული წევრი სახელმწიფოს ბიუჯეტი.

მოცემული პოლიტიკით განსაზღვრული ძირითადი ინსტრუმენტები შემდეგი სახისაა:

- ფერმერებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა მეცნიერებისა და მემკენარეობის დაზღვევის პრემიების სუბსიდირებისათვის. რისკები

დაკავშირებული უნდა იყოს კლიმატური პირობების ცვლილებებთან და ცხოველთა დაავადებების გავრცელებასთან;

- ფინანსური დახმარება ურთიერთახმარების ფონდებისათვის (**mutual funds**), რომლებიც განცემთვილია ფერმერთათვის კომპენსაციის გასაცემად საწარმო ზარალის განცდისას სხვადასხვა კლიმატური და გარემო პირობების ცვლილების გავლენით;
- შემოსავლის სტაბილიზაციის ინსტრუმენტები (**Income Stabilisation Tool (IST)**), გულისხმობს ფინანსური დახმარების მობილიზებას იმ ფერმერთათვის, რომლებიც განიცდიან შემოსავლების დიდ დანაკარგს (იგულისხმება, რომ ზარალი საშუალო წლიური შემოსავლის 30% აჭარბებს).<sup>168</sup>

მოცემული ინსტრუმენტების განაწილებას კი ქვეყნების მიხედვით შემდგა სახე აქვს: ჯამურად დაფინანსება გაცემულია 633,850 ფერმაზე, მათ შორის 206,635 ფერმისთვის მოხდა პრემიის სუბსიდირება, 418,000 ფერმამ ურთიერთდახმარების ფონდებთან დაკავშირებით დაფინანსება მიიღო, ხოლო 10,450 ფერმამ ისარგებლა შემოსავლის სტაბილიზაციის ინსტრუმეტებით. რაც შეეხება ქვეყნების ჭრილს ამ კუთხით, ყველაზე დიდი რაოდენობით სარგებელი მიიღეს ფრანგმა ფერმერებმა (495,000 ფერმა). უმეტეს ქვეყანაში ყველაზე დიდი მოთხოვნით სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება სარგებლობს, გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით. საფრანგეთში 495,000 ფერმერიდან პრემიის სუბსიდია მიიღო 97,000 ფერმერმა, როცა დანარჩენმა 398,000 ფერმერმა ურთიერთდახმარების ფონდებით ისარგებლა (**იხ. დანართი №55**).

როგორც აღვნიშნეთ, მეორე სვეტიდან დაფინანსების მიღება გულისხმობს თანხის გამოყოფას, როგორც ევროპავშირის ბიუჯეტიდან, ასევე, წევრი სახელმწიფოს ბიუჯეტიდან. მხოლოდ ევროპავშირის ბიუჯეტიდან რისკმენეჯმენტის ინსტრუმენტზე დაიხარჯა 1,703,604,478 ევრო, ჯამურად კი 2,699,300,000 ევრო. პროპორციულად თანხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრემიის სუბსიდირება - 2,212,500,000 ევრო (82%);
- ურთიერთდახმარების ფონდები - 357,000,000 ევრო (13%);
- შემოსავლების სტაბილურობის ინსტრუმენტი - 129,800,000 ევრო (5%) (**იხ. დანართი №56**).

<sup>168</sup>[http://www.farm-europe.eu/travaux/how-to-tackle-price-and-income-volatility-for-farmers-an-overview-of-international-agricultural-policies-and-instruments/#\\_ftn6](http://www.farm-europe.eu/travaux/how-to-tackle-price-and-income-volatility-for-farmers-an-overview-of-international-agricultural-policies-and-instruments/#_ftn6)

ევროკავშირის პრემიის სუბსიდირება მოცემული პროგრამით ხორციელდება 8 ქვეყანაში და 4 რეგიონში, დანარჩენი ორი ინსტრუმენტის გამოყენება მხოლოდ 3 ქვეყანაში არის შესაძლებელი. მოცემული ინსტრუმენტების სრულად დანერგვა უნდა მოხდეს 2018 წლის ბოლომდე. აგროდაზღვევის და რისკმენეჯმენტისადმი ასეთი დამოკიდებულება და ინსტრუმენტების დანერგვა/ათვისების ნები ტემპები ნაწილობრივ განპირობებულია ევროკავშირის მანამდე არსებული პოლიტიკით, რომელიც მიმართული იყო პირდაპირ გადახდებზე და ორიენტირებული იყო საფასო სუბსიდირებაზე (ფერმერი ნაკლებად განიცდიდა საფასო მერყეობას გარანტირებული სუბსიდის გადახდის პირობებში, ნაკლები ინტერესი და სტიმული გააჩნდა რისკის მართვის ინსტრუმენტების გამოყენებისათვის).

რაც შეეხება სადაზღვევო პროდუქტებს აგროდაზღვევის მიმართულებით, უნდა გამოიყოს სასოფლო კულტურის ერთი რისკის მიხედვით დაზღვევა. მოცემული დაზღვევა ევროკავშირის ნახევარზე მეტ ქვეყანაში საბაზო პრინციპებით არის გავრცელებული, სახელმწიფოს მიერ არ ხორციელდება პრემიის სუბსიდირება (ბელგია, დანია, ფინეთი, გერმანია და სხვა). დანარჩენ ქვეყნებში მოცემული პოლისის მიმართულებით სახელმწიფოა ჩართული და ახორციელებს პრემიის ნაწილობრივ სუბსიდირებას (იტალია, ლატვია, პოლონეთი, პორტუგალია, ესპანეთი და სხვა). მოცემული დაზღვევის სახეობა კვიპროსში სავალდებულოა. ძირითადად, მოცემული დაზღვევა სეტყვასთან დაკავშირებულ რისკებს ითვალისწინებს.

კომბინირებული დაზღვევა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში სახელმწიფოს მიერ არის ხელშეწყობილი და სუბსიდირებული (ავსტრია, ჩეხეთის რესპუბლიკა, იტალია, ესპანეთი, რუმინეთი, პორტუგალია და სლოვაკეთი), ბულგარეთში, საფრანგეთსა და სლოვენიაში, მაგალითად, სახელმწიფო მოცემული დაზღვევის პრემიის სუბსიდირებას არ ახორციელებს. კვიპროსში, ისევე როგორც ინდივიდუალური ერთი რისკის პოლისის დაზღვევა, სახელმწიფოს მიერ სავალდებულოდ არის გამოცხადებული და სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას თავად ახორციელებს. საბერძნეთს, ამ მხრივ ყველაზე განსხვავებული სისტემა აქვს ევროპაში, აქ ფუნქციონირებს ჰიბრიდული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს აგროდაზღვევის ნაწილობრივ სავალდებულობას და ნაწილობრივ სახელმწიფოს მიერ პრემიის სუბსიდირებას. საბერძნეთის მოცემულ სისტემასთან დაკავშირებით ევროკავშირმა 2010 წელს გამოძიება დაიწყო. ევროკომისიამ ეჭვებეჭვ დააყენა საბერძნეთის

აგრარული დაზღვევის ორგანიზაციის<sup>169</sup> (ELGA)-ს მიერ 2008, 2009 წლებში გაცემული სადაზღვევო კომპენსაციების სისტორე.

მოსავლის დაზღვევის პოლისი ფარავს მოსავლის დანაკარგებს, რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერ ბუნებრივ მოვლენასთან (კატასტროფასთან). იგი ევროპის იმ რამდენიმე ქვეყანაშია გავრცელებული, სადაც სახელმწიფო აქტიურად არის ჩართული აგროდაზღვევის სისტემის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის, ეს ქვეყნებია: ავსტრია, საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი და ესპანეთი.

შემოსავლის დაზღვევის პოლისი ევროპაში ჯერ არ არის განვითარებული (მოცემული დაზღვევის სახეობა გავრცელებულია აშშ-ში). მოცემული დაზღვევა აერთიანებს მოსავლიანობასა და ფასს, მხედველობაში იღებს წარმოების დანახარჯებს. ფერმერი იღებს ზარალის კომპენსაციას, რომელიც გამოწვეულია მისი პროდუქციის ფასის გარკვეულ დონეზე დაბლა დაცემით (ისტორიული რაკურსი გაითვალისწინება ამ ზღვრის დაწესებისას).

ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე განვითარებული, დახვეწილი და ფერმერებზე მორგებული აგროდაზღვევის სისტემა ესპანეთს გააჩნია. ესპანეთის ცენტრალური და რეგიონული მთავრობა ნაწილობრივ ფარავს სადაზღვევო პოლისის პრემიის 20%-დან 60%-მდე. სისტემა აგებულია სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის ინსტიტუციურ შეთანხმებაზე, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი ფერმერთა გაერთიანებები. მოცემული სისტემა ესპანეთში 1978 წელს შეიქმნა და მოცემული პერიოდის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა დაზღვეული ტერიტორიებისა და კულტურების სახეობების რაოდენობა. ესპანეთი (კასტილიის გარდა) პრემიის სუბსიდირებისათვის ჯერჯერობით არ იყენებს ევროპავშირის მიერ გამოყოფილ თანხებს.

საფრანგეთს, იტალიასა და ავსტრიასაც საკმაოდ განვითარებული სადაზღვევო სისტემა გააჩნიათ. თუმცა, მიუხედავად ბაზარზე არსებული დაზღვევის სხვადასხვა სახეებისა, ზოგიერთი მათგანი დიდი მოთხოვნით არ სარგებლობს, მოცემული განპირობებულია დაბალი სადაზღვევო ლიმიტებით და, მიუხედავად სახელმწიფოს ხელშეწყობისა, ხშირ შემთხვევაში მაღალი სატარიფო განაკვეთით.

ფერმერებისათვის ერთი რისკისა და კომბინირებული რისკის დაზღვევის პროდუქტია შეთავაზებული ბულგარეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, უნგრეთში, პოლონეთში, სლოვენიაში, სლოვაკეთსა და შვედეთში. მოცემული პოლისები

<sup>169</sup> [http://europa.eu/rapid/press-release\\_IP-10-60\\_en.htm](http://europa.eu/rapid/press-release_IP-10-60_en.htm)

ძირითადად სეტყვისგან დაზღვევას ფარავს. ბელგიაში, გერმანიაში, პოლანდიასა და დიდ ბრიტანეთში სახელმწიფო საერთოდ არ ერევა აგროდაზღვევის სისტემაში (იხ. დანართი №57). ბაზარზე კი ძირითადად დომინირებს ერთი რისკისგან დაზღვევის პოლისი (სეტყვისგან დაზღვევის პოლისი).

პოლონეთში 2005 წელს აგროდაზღვევის ახალი საკანონმდებლო აქტი მიღეს, რომლის მიხედვითაც ფერმერი, რომელიც ევროკავშირის პირდაპირ დაფინანსებას იღებს (direct payment), ვალდებულია დააზღვიოს ნათესი ფართობის მინიმუმ ნახევარი ერთ რისკაქტორზე მაინც, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმა თითო პექტარზე 2 ევროს შეადგენს. პრემიის სუბსიდირებას ახორციელებს სახელმწიფო 65%-ით, 2016 წლამდე სუბსიდია 50%-ს შეადგენდა. სადაზღვევო ტარიფის მაქსიმალურ სიდიდედ დაწესებულია 6%. მოცემულმა მიდგომამ დაზღვეული მიწის ფართობებისა და გაფორმებული სადაზღვევო პოლისების რაოდენობა გაზარდა: 2006 წელს მემცენარეობის მიმართულებით გაფორმებული სადაზღვევო პოლისების რაოდენობა 10,738 შეადგენდა დაზღვეული 311,740 ჰა მიწის ფართობით, 2008 წელს პოლისების რაოდენობა 87,150-მდე გაიზარდა (დაზღვეული 1,832,036 ჰა მიწის ფართობი), 2013 წელს კი – 151,101 პოლისამდე (დაზღვეული 3,398,812 ჰა მიწის ფართობი).<sup>170</sup> რაც შეეხება მეცხოველეობის დარგს, სურათი არც ისე სახარბიელოა, 2006 წელს გაფორმებული პოლისების რაოდენობა 318-ს შეადგენდა, 2008 წელს – 220-ს, ხოლო, 2013 წელს –სულ 307 პოლისს. მოცემული ძირითადად დაზღვევის ამ სახეობისადმი ნაკლები ყურადღებისა და სუბსიდირების არარსებობის მიზეზით არის განპირობებული.

<sup>170</sup>[https://www.wur.nl/upload\\_mm/8/8/a/bbf25350-6dd8-47ed-a63a-333bc6576d97\\_Sulewski\\_Agricultural\\_insurance\\_Poland.pdf](https://www.wur.nl/upload_mm/8/8/a/bbf25350-6dd8-47ed-a63a-333bc6576d97_Sulewski_Agricultural_insurance_Poland.pdf)

## **თავი 5. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისა და ფუნქციონირების საკანონმდებლო ასპექტები**

### **5.1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სპეციფიკა და მნიშვნელობა აგრობიზნესის ხელშეწყობისათვის**

კოოპერატივები წარმოიშვნენ მე-19 საუკუნეში რთულ ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში, როდესაც ფერმერებმა თანდათან გააცნობიერეს, რომ ძალებისა და ფინანსების გაერთიანებით, მათ შეეძლოთ ბაზარზე უკეთესად წვდომა. დღეისათვის კოოპერატივებს გააჩნიათ ორმაგი როლი, ერთის მხრივ ისინი ინდივიდუალური ადამიანების გაერთიანებას წარმოადგენენ და, მეორე მხრივ, ეკონომიკური წარმონაქმნები არიან.

კოოპერატივების საქმიანობა დაფუძნებულია, უპირველესყოვლისა, დემოკრატიულობის, გამჭვირვალეობისა და სოლიდარობის პრინციპებზე. აღნიშნული გაერთიანებები პირდაპირ და არაპირდაპირ წარმოადგენენ საკმაოდ მსხვილ დამსაქმებლებსა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობ წყაროს. ევროკავშირი 2020 წლისათვის საკუთარი სტრატეგიის განსახორციელებლად კოოპერატივებზე ამყარებს იმედებს და დღეისათვის ევროკავშირის ფერმების 40%-ს სწორედაც, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები წარმოადგენენ.<sup>171</sup>

შეიძლება გამოყოფო კოოპერატივების სურსათის მიწოდების ჯაჭვში წარმატების მთავარი ფაქტორები: 1) სურსათის მიწოდების ჯაჭვში კოოპერატივის მიერ დაკავებული პოზიცია; 2) შიდა მმართველობის სისტემა და 3) ინსტიტუციური გარემო. პირველი მათგანი დაკავშირებულია კონკურენტული უპირატესობის მოპოვებასთან მის პარტნიორებთან (მწარმოებლები, ბითუმად და საცალოდ მოვაჭრები) ურთიერთობის პროცესში წარმოქმნილი შესაძლებლობით. ასევე, ეს დაკავშირებულია კოოპერატივის მიერ არჩეულ სტრატეგიაზე, რომელსაც უნდა მისდიოს. შიდა მართვის სისტემა გულისხმობს ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და როლების გადათამაშებას შიდა მმართველ დონეებს შორის (უმაღლესი კრება, სამეთვალყურეო საბჭო თუ დირექტორთა საბჭო და სხვა).

<sup>171</sup> DEVELOPMENT OF AGRICULTURAL COOPERATIVES IN THE EU 2014, European agri-cooperatives (Cogeca), Brussels, 2015, p. 15.

ინსტიტუციური გარემო აერთიანებს სოციო-კულტურულ, პოლიტ-ეკონომიკურ და სამართლებრივ ასპექტებს, რომელსაც შესაძლებლობა აქვს ხელი შეუწყოს კოოპერატივების განვითარებას, ასევე, უკუფერი გამოიწვიოს მათი შესაძლებლობების რეალიზების საქმეში. წარსულ გამოცდილებას საკმაოდ გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია კოოპერატივების წარმატების მიღწევაში. თუ კონკრეტულ ქვეყანაში ისტორია კოოპერატივების საქმიანობის დადგებით მხარეებს იცნობს და მის განვითარებას დადებითად ახასიათებს, ეს დამატებითი ფაქტორია ახალი კოოპერატივების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის და შემდგომში ეფექტიანი ოპერირებისათვის. სამართლებრივ მხარეს, რომელიც საკანონმდებლო დონეზე საგადასახადო და კონკურენციის კანონებს მოიცავს, ასევე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობაში.<sup>172</sup>

კოოპერატივების მაღალი წილი, გარკვეულ სექტორში, განაპირობებს პროდუქტები მაღალ ფასებს და ამცირებს საფასო მერყეობას. აღნიშნული ფაქტორით პრეფერენციებს იღებენ ის ფერმებიც, რომლებიც არ არიან კოოპერირებაში ჩართულნი, თუმცა, ბაზარზე მოთამაშებებს წარმოადგენენ.<sup>173</sup>

გამოყოფენ კოოპერატივების სამ ძირითად პრინციპს: 1) წევრის მიერ კოოპერატივის მფლობელობა; 2) წევრის მიერ კოოპერატივის კონტროლი; 3) წევრის სარგებლიანობა კოოპერატივით სარგებლობისას. ფერმერებისთვის კოოპერატივში გაწევრიანება დაკავშირებულია შემდეგ მოტივებთან: მაკომპაქნირებელი ძალა, მასშტაბის ეკონომიკურობა, რისკის გაზიარება, ტრანზაქციული ხარჯების შემცირება, ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ბაზარზე წვდომა, პროდუქტის ინოვაციურობა/ხარისხის კონტროლი.<sup>174</sup>

კოოპერატივებში ფერმერების მიერ მართვა დემოკრატიულ პრინციპზეა დამყარებული, თითო წილი ფერმერს თითო ხმის უფლებას აძლევს, თუმცა, მართვის სადავეები მაინც გარკვეულ პირებზე უნდა გადანაწილდეს და შეიქმნას გარკვეული მართვის მოდელი. განისაზღვროს დირექტორებისა და მენეჯმენტის წარმომადგენლები, ვინც სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე იქნებიან პასუხისმგებელნი. პრაქტიკულად, დიდ კოოპერატივებში ერთ ინდივიდიუალურ წევრს აქვს ძალიან მცირე ძალა, შესაბამისად, მცირე წილების გაერთიანებით არჩეული

<sup>172</sup> Support for Farmers' Cooperatives, European Commission, DG Agriculture and Rural Development, Netherlands, 2012, p. 4.

<sup>173</sup> Support for Farmers' Cooperatives, Final Report - European Commission, Netherlands, November 2012, p. 9.

<sup>174</sup> ი. იქვე.

დირექტორთა საბჭო წარმოადგენს მათ ინტერესებს. დირექტორები და მენეჯერები შეიძლება თავად წევრებისგან იქნას არჩეული, ასევე, ევროკავშირის ბევრ კოოპერატივში გამოცდილების საფუძველზე გარედან მოწვეულ სპეციალისტს ანდობენ კოოპერაციის სტრატეგიული განვითარების გამღვივნებას. თავისთავად, საქმიანობის გაძლოლის საქმეში პროფესიონალების მოწვევა დადებითად აისახება კოოპერატივების შედეგებზე.

აგრარულ სექტორში გავრცელებულია მეორე დონის კოოპერატივების ჩამოყალიბების გამოცდილება, აღნიშნული წარმოადგენს პირველი დონის კოოპერატივების მიერ მეორე დონის კოოპერატივის შექმნას. თუმცა, კოოპერატივის ჩამოყალიბების მოცემული ფედერაციული მოდელი ხშირად განიხილება მოძველებულად. რამდენიმე ემპირიულმა კვლევამ აჩვენა, რომ არსებობს საერთაშორისო ტენდენცია ფედერალური კოოპერატივების რესტრუქტურიზაციის მიმართ, ერთჯერადი კოოპერატივების სახით. სხვა შემთხვევებში ფედერალური კოოპერატივები საქმიანობას ახორციელებენ თავის მეპატრონეების საქმიანობის ადგილიდან შორს. ევროკავშირში ბევრი ფედერალური კოოპერატივი ჩამოყალიბდა, რომელიც მნიშვნელოვან მომსახურებას უწევს, როგორც პირველი დონის ფერმერ წევრს, ასევე, პირველი დონის კოოპერატივ წევრსაც. როდესაც ადგილობრივი ან რეგიონალური კოოპერატივი იმდენად დიდი არაა, რომ თავად განახორციელოს მნიშვნელოვანი ინვესტიციები წარმოებასა და მარკეტინგში, უმჯობესია თანამშრომლობა დაიწყოს სხვა კოოპერატივებთან მეორე დონის ფედერალური სტრუქტურის მეშვეობით. აღნიშნული გაცილებით უფრო ეფექტურია მასშტაბის ეკონომიკის გავლენით. თუმცა, როდესაც პირველი დონის კოოპერატივები იზრდებიან, ზღვარი მეორად და პირველად კოოპერატივებს შორის ხშირად იშლება. ასეთ შემთხვევაში, ფედერალური სტრუქტურები უნიტარულ მოდელებად ყალიბდებიან და წევრებს შორის იწყება ძალაუფლების გადანაწილება/გადათამაშება.<sup>175</sup>

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, თუ საქართველოს კანონით “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის“ შესახებ არ არის დადგენილი.

<sup>175</sup> Support for Farmers' Cooperatives, Final Report - European Commission, Netherlands, November 2012, p. 73.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ეს არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კოოპერატივის სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და რომელსაც მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნული კანონი მიზნად ისახავს შემდეგი საკითხების შესრულებას:

- ა) საკომლო (საოჯახო) მეურნეობების განვითარება, მათი კოოპერირება და სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერება;
- ბ) სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების ხელშეწყობა;
- გ) სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა;
- დ) სოფლად სიღარიბის აღმოფხვრა;
- ე) სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება;
- ვ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის გაზრდა, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება და რენტაბელობის ამაღლება, ეროვნული ეკონომიკის განვითარება;
- ზ) ბიოლოგიური მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა.<sup>176</sup>

კანონის თანახმად, კოოპერატივის მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

- ა) ნებაყოფლობითი წევრობა;
- ბ) დემოკრატიული მართვა;
- გ) წევრთა (მეპაიეთა) ეკონომიკური მონაწილეობა;
- და დ) სოციალური პასუხისმგებლობა, სამართლიანობა და ურთიერთდახმარება.

თავისთავად, ნებაყოფლობითობის პრინციპს აქ დამატებითი განმარტებები არ დასჭირდება, რაც შეეხება დანარჩენ თრ პრინციპს, პირველი გულისხმობს: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრების თანაბარ შესაძლებლობას, მართონ და აკონტროლონ კოოპერატივის საქმიანობა, რისთვისაც კოოპერატივის თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით; ხოლო მეორე - მეპაიეთა ეკონომიკური მონაწილეობა გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა (მეპაიეთა) მონაწილეობას ამ კოოპერატივის მიერ განხორციელებულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ეკონომიკური მონაწილეობა, თავისთავად, განისაზღვრება მეპაიის მიერ სასაქონლო ბრუნვაში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ფარგლებში წარმოებული/მიწოდებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ან/და გაწეული მომსახურების ღირებულების ხედრითი წილით.

<sup>176</sup> საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, ქუთაისი, 12.07.2013, მუხლი 2.

კოოპერატივის ფულადი რესურსები განისაზღვრება საპაიო ფონდით, რომელიც წარმოადგენს – პაის ფულად ერთეულში გამოხატულ ჯამურ ლირებულებას, რომლის ოდენობასა და განკარგვის წესს განსაზღვრავს საერთო კრება. შესაბამისად, პაი – საპაიო ფონდში განხორციელებული საპაიო შენატანია, რომელიც შეიძლება დავაჯგუფოთ დამატებით საპაიო შენატანად და ასოცირებული წევრის შენატანად. საპაიო შენატანი შეიძლება იყოს განხორციელებული როგორც ფულით, ასევე, ფულად ლირებულებაში გამოხატული ქონებით. დამატებითი საპაიო შენატანი კოოპერატივის საჭიროებიდან გამომდინარე, საპაიო ფონდში მეპაიის სურვილით განხორციელებული დამატებითი შენატანია, რომელიც მეპაიეს აძლევს ამ კანონითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით დამატებითი დივიდენდის მიღების უფლებას. ხოლო, უშუალოდ საპაიო შენატანი წევრის სავალდებულო შენატანს წარმოაგენს.<sup>177</sup>

აქვე, კოოპერატივთან მიმართებით უნდა დავაჯგუფოთ პირთა კავშირულთიერთობა და მათი სახეები. უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან მეპაიე და ასოცირებული წევრი. პირველი მათგანი წარმოადგენს პირს, რომელიც იზიარებს შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის პრინციპებს, უშუალოდ მონაწილეობს მის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ფლობს საპაიო შენატანს. ხოლო, რაც შეეხება ასოცირებული წევრს, იგი იზიარებს შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის პრინციპებს და შეიძლება უშუალოდ არ მონაწილეობდეს მის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, მაგრამ საპაიო ფონდში განხორციელებული აქვს ასოცირებული წევრის შენატანი. უკანასკნელი კი წარმოადგენს კოოპერატივის საჭიროებიდან გამომდინარე განხორციელებულ შენატანს.

2013-2016 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კოოპერაციის ხელშეწყობის მიზნით გადადგა გარკვეული ნაბიჯები:

2013-2014 წლები. 2013 წლიდან დაიწყო ხელისუფლების მხრიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის პროცესი. 2014 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მიენიჭა 464 სუბიექტს; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანებული იყო 3450 მეპაიე (აქედან 783

<sup>177</sup> საქართველოს კანონი “სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ”, საქართველოს პარლამენტი, ქუთაისი, 12.07.2013, მუხლი 3.

მდედრობითი სქესის წარმომადგენელი). სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში მობილიზებული კაპიტალის მოცულობამ შეადგინა 7 666 559,5 ლარი. ამავე წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, 72 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივზე გადანაწილდა 207 მოტობლოკის კომპლექტი და 139 ხელის სათესი.<sup>178</sup>

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამას“ ახორციელებს, რაც მოიცავს კოოპერატივებისათვის მცირებაბარიტიანი აგროტექნიკის შეღავათიან ფასად, 900 ლარად (ლირებულების 24%) გადაცემას.

2015 წელს სტატუსი 853 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს მიენიჭა და ჯამში რეგისტრირებული იყო სულ 1251 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი.<sup>179</sup> ამავე წელს, მონიტორინგის გეგმის ფარგლებში 207 კოოპერატივი შემოწმდა და 72 მათგანზე გაიცა რეკომენდაცია ხარვეზების გამოსასწორებლად, ხოლო 68 კოოპერატივს შეუწყდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი.

მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში დევნილებისა და ეკომიგრანტების მიერ შექმნილ, ასევე მაღალმთიან, სასაზღვრო და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში რეგისტრირებულ კოოპერატივებს თითო კომპლექტის შესყიდვისას დამატებით გადაეცემათ 1 ხელის სათესი 1 ლარად. ასევე, ამაწლის საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 460 კოოპერატივის განაცხადი დაკმაყოფილდა 1170 აგროკომპლექტით და 55 ხელის სათესით უზრუნველსაყოფად.<sup>180</sup>

2016 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მიენიჭა 484 კოოპერატივს. „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში, 2016 წელს 207 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი დაკმაყოფილდა 265 აგროკომპლექტით.<sup>181</sup>

„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, 164 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადაეცა 13,936 სკა, 28 კოოპერატივს 28 ერთეული თაფლის საწური (ციბრუტი), ასევე 27-მა კოოპერატივმა მიიღო ჯამურად 61 400 ლიტრის მოცულობის თაფლის შესანახი

<sup>178</sup> წლიური ანგარიში 2014 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2015, გვ. 42.

<sup>179</sup> წლიური ანგარიში 2015 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2016, გვ. 44.

<sup>180</sup> ი. იქვე, გვ. 45.

<sup>181</sup> წლიური ანგარიში 2016 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2017, გვ. 40.

აგზები. ასევე, „რმის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, 2016 წელს აშენდა და პროგრამით გათვალისწინებული აღჭურვილობით დაკომპლექტდა 9 საწარმო, მათ შორის: 2 სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 4 სამცხე-ჯავახეთში, 2 ქვემო ქართლში და ერთი კახეთში.<sup>182</sup>

აქვე უნდა შევეხოთ, კოოპერატივის სტატუსის მინიჭების საკითხესაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას შესაბამისი განაცხადის საფუძველზე იღებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, იურიდიული პირის მონაცემები სააგენტოს შექმნას ელექტრონულ რეესტრში და გასცემს შესაბამის მოწმობას. სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირის საქმიანობის მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგები იურიდიული პირისთვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველია.

2013 წლიდან დღემდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი შეწყვეტილი აქვს 353 კოოპერატივს, რაც რეგისტრირებული კოოპერატივების 19%-ია, რაც არც ისე მცირე მაჩვენებელია. დღეისათვის რეგისტრირებულია 1538 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათ შორის რეგიონების მიხედვით რაღენობრივ განაწილებას შემდეგი სახე აქვს:

- კახეთი - 155; ქვემო ქართლი - 187; მცხეთა-მთიანეთი - 85; შიდა ქართლი - 98;
- სამეგრელო - ზემო სვანეთი - 127; გურია - 53; აჭარა - 153; სამცხე-ჯავახეთი - 360; იმერეთი - 134; რაჭა-ლეჩხემი - 134; და თბილისი - 52.<sup>183</sup>

კოოპერატივების დაფუძნების გამარტივებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს საკუთარ ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს წესდების ტიპური ფორმა. ფორმა წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს მეპაიეთათვის და შესავსებია მხოლოდ გარკვეული პუნქტები. აღნიშნული წესდება მოიცავს როგორც ზოგად დებულებებს, ასევე, მართვისა და წევრთა უფლებების განაწილების საკითხებს. აქვე უნდა შევეხოთ მე-9 მუხლს, რომელიც განიხილავს “წევრთა ნებაყოფლობით გასვლას”. აღნიშნულ ნაწილში ვკითხულობთ, რომ კოოპერატივის წევრი უფლებამოსილია გავიდეს კოოპერატივის წევრობიდან და დაიბრუნოს კუთვნილი პაი. განცხადება კოოპერატივიდან გასვლისა და პაის

<sup>182</sup> წლიური ანგარიში 2016 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2017, გვ. 41.

<sup>183</sup> <http://acda.gov.ge/index.php/geo/static/118>

დაბრუნების თაობაზე გადაეცემა კოპერატივის გამგეობას კოპერატივიდან გასვლამდე არანაკლებ 12 თვით ადრე. გამგეობის მიერ წევრის კოპერატივიდან გასვლის თაობაზე განცხადება მიიღება ამ პირის წევრად მიღებიდან არანაკლებ 2 წლის შემდეგ. კოპერატივიდან გასვლისას წევრთან საბოლოო ანგარიშსწორება ხდება გასვლის დღისათვის ბალანსის საფუძველზე. კოპერატივიდან გასვლისას წევრს მის მიერ კოპერატივში პაის სახით შეტანილი უძრავი და/ან მოძრავი ქონება და სხვა კუთვნილი აქტივები გადაეცემა გასვლიდან 6 თვის განმავლობაში.<sup>184</sup>

თავისთავად, ჩვენ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გარკვეულ პრობლემას ვხედავთ, რა ხდება მაშინ როდესაც წევრს, მეპაიეს გასვლა სურს და კოპერატივის ძირითადი საქმიანობაა მრავალწლიანი ნარგავები, საჩითილე მეურნეობა, მიღებული მოსავლის გადამამუშავებელი ქარხანა ან სამაცივრე მეურნეობა. ხოლო წევრობის დატოვების მსურველს პაის სახით შეტანილი აქვს საკუთრებაში არსებული მიწა, რომელზეც მოხდა აღნიშნული საქმიანობების განხორციელება? რა ქმედით დონისძიებებს უნდა მიმართოს ამ შემთხვევაში კოპერატივმა, როდესაც 12 თვიანი ვადა აქვს კოპერატივიდან გასვლის მსურველი მეპაიესათვის კუთვნილი მიწის დასაბრუნებლად. სანაცვლოდ უნდა შესთავაზოს მიწის დირებულების თანხა თუ შეწყვიტოს საქმიანობა?

გამოსავალი ამ შემთხვევაში წინასწარ ხელშეკრულების ან შეთანხმების გაფორმება წარმოადგენს კოპერატივსა და უძრავი ქონების მფლობელ მეიპაიეს შორის, რომლითაც წინასწარ განისაზღვრება კოპერატივიდან გასვლის შემთხვევაში უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხი. არსებობს მეორე პრობლემაც - იმ შემთხვევაში თუ კოპერატივს საკუთრებაში/სარგებლობაში გააჩნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ან სხვა ქონება - შესაბამისი დოკუმენტი უნდა გააჩნდეს, რომლითაც დასტურდება სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ან/და ქონებაზე საკუთრების/სარგებლობის უფლება; თუმცა საქართველოში მიწების უმეტესობა არ არის საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული, მოცემული წარმოადგენს გარკვეულ პრობლემას მეპაიეთათვის და კოპერატივებისათვის. ხშირ შემთხვევაში მიწის კონკრეტული ნაკვეთის პრივატიზების საკითხი დავის საგანს წარმოადგენს ფაქტიურ და ფიქტიურ მფლობელებს შორის, როდესაც დიდი ხნით გამოუყენებელი მიწის სხვა პირების მიერ საკუთრებაში დარეგისტრირება ხორციელდება და რეალურ მფლობელს

<sup>184</sup> სასოფლო-სამეურნეო კოპერატივის წესდება (ტიპური ფორმა I), სხივ - სასოფლო-სამეურნეო კოპერატივების განვითარების სააგენტო, თავი II, მუხლი 9.

ეკარგება მიწის განკარგვის უფლება. აღნიშნული მიწის პრივატიზების რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადასაწყვეტი საკითხია.

პრობლემას წარმოადგენს, ასევე, კოოპერატივის მიერ ფინანსური უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების სირთულე. როდესაც კოოპერატივი მცირე ზომისაა და რამდენიმე წევრი მეპაიისაგან შედგება, ხშირ შემთხვევაში დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიებაზე გადაწყვეტილების თაობაზე კონსესუსი შეიძლება ვერ შედეგს, წევრთა გარკვეული ნაწილის სკეპტიკური დამოკიდებულების ან სიფრთხილის მიზეზების გამო. გარკვეულწილად, წევრები ფინანსური ცოდნისა ნაკლებობისა და გათვლების რაობის არსის არცოდნის გამო არ არიან მზად განსაზღვრონ დამატებითი ფინანსური რესურსის (აგროსესხის) მოზიდვა/მიღების დადებითი და უარყოფით ასპექტები. ასევე, თუ კი გადაწყვეტილება კრედიტის აღების სასარგებლოდ მიიღება შესაბამისი გათვლებისა და მსჯელობის გარეშე, როდესაც არ არის განსაზღვრული დაფინანსების შედეგად განხორციელებული საწარმოო გაფართოების შესაბამისი უკუგება, მიღებული კრედიტის დაფარვის პროგნოზი და დეფოლტის რისკის შექმნის შესაძლებლობა, აღნიშნული ფაქტორი კოოპერატივს გაკოტრებისა და ფინანსური სიმნელის (დევერიჯის) საქმაოდ დიდი რისკის წინაშე აყენებს.

## 5.2. საგადასახადო და საკანონმდებლო ბაზა

აუცილებლად უნდა შევეხოთ საგადასახადო და საკანონმდებლო საკითხებს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით საგადასახადო მიზნებისათვის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა განისაზღვრება, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 41-ით გათვალისწინებული საქმიანობა. სოფლის მეურნეობის პროდუქცია განიხილება, როგორც სასოფლო – სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული პროდუქტი. ამასთანავე, სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებად (სასაქონლო კოდის შეცვლად) არ ითვლება ბიოლოგიური ტრანსფორმაციის შედეგად სასაქონლო კოდის შეცვლა, აგრეთვე ბიოლოგიური აქტივიდან ნაყოფის მიღება (პროდუქციის მოცილება ან ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტა). ბიოლოგიური აქტივიში კი იგულისხმება ცხოველი ან მცენარე.<sup>185</sup>

USAID-ისთვის მომზადებულ საკონსულტაციო დოკუმენტში „საჯარო გადაწყვეტილება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის მოგების გადასახადისგან გათავისუფლების წესების შესახებ“ შპს დელოიტ კონსალტინგი განიხილავს საკითხს განიხილება თუ არა სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფუთვა-ბრენდირება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობად საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სსკ-)ის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის. გადაწყვეტილება უარყოფითი პასუხისაა და დასაბუთებაც აქვს თანდართული, რომელიც ბასს 41-ის განმარტებიდან გამომდინარე არის მოყვანილი.

ბასს 41 განმარტავს, რომ აღნიშნული სტანდარტი გამოიყენება „სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიმართ, რომელიც წარმოადგენს საწარმოს ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებულ პროდუქციას, მხოლოდ ნაყოფის მიღების მომენტისათვის. შემდგომ, გამოიყენება ბასს 2 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ან ბუღალტრული აღრიცხვის სხვა შესაბამისი სტანდარტი.“ ბასს 41 განსაზღვრავს, რომ აღნიშნული სტანდარტი „არ ეხება სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებას მისი ნაყოფად მიღების შემდეგ; მაგალითად, ყურძნის გადამუშავება ღვინოდ ღვინის მწარმოებლის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ამგვარი

<sup>185</sup> საქართველოს კანონი ”საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, თბ., 17.09.2010, თავი II, მუხლი 8.

გადამუშავება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ლოგიკური და ბუნებრივი გაგრძელება იყოს და მიმდინარე მოვლენებს შესაძლოა მსგავსება პქონდეს ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციასთან, წინამდებარე სტანდარტით განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა არ მოიცავს ამგვარ გადამუშავებას.“

აღნიშნულიდან გამომდინარე, ის ოპერაციები, რომელიც ხორციელდება მოსავლის მიღების შემდეგ, მათ შორის, პროდუქციის შეფუთვა-ბრენდირება, არ ექცევა ბასს-ის 41-ე სტანდარტით რეგულირებად საქმიანობაში და, შესაბამისად, არ თავისუფლდება მოგების გადასახადისგან სსკ-ის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის.<sup>186</sup>

საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ კი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას შემდეგნაირად განსაზღვრავს - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ან მიწასთან დაკავშირებულ ქონებაზე განხორციელებული ყველა სახის სამეურნეო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული მომსახურება, რომლებიც მოიცავს მცენარეული და ცხოველური (მათ შორის, ფრინველის, თევზის, აბრეშუმის ჭიის, ფუტკრის და სხვა) პროდუქტების წარმოებას, გადამუშავებას, დაფასოებას, შეფუთვას, შენახვას, გადაზიდვასა და რეალიზაციას.<sup>187</sup> თავისთავად, აქ გარკვეულ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე საგადასახადო კონინმდებლობის საკითხებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განსაზღვრისათვის.

**საგადასახადო კოდექსის თანახმად საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლებულია:**

1. 2018 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200,000 ლარს;

<sup>186</sup> საჯარო გადაწყვეტილება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის მოგების გადასახადისგან გათავისუფლების წესების შესახებ. შპს დელოიტ კონსალტინგი. GOOVERNING FOR GROWTH (G4G) IN GEORGIA, ობ., 2015, გვ. 4.

<sup>187</sup> საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, ქუთაისი, 12.07.2013, მუხლი 3.

2. 2018 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ ამ საქმიანობის ფარგლებში გაცემული ხელფასი, თუ დამქირავებლის მიერ ამ საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200,000 ლარს.

შემოსავლების სამსახურის სიტუაციურ სახელმძღვანელოში №1507 მოყვანილია რამდენიმე სიტუაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: I) საწარმო ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, პყავს დაქირავებული თანამშრომლები და მათ განიხილავს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ პირებად. I. ვარიანტში კალენდარული წლის განმავლობაში მოსალოდნელი ერთობლივი შემოსავალი არ აჭარბებს 200,000 ლარს, ამიტომ საწარმო თანამშრომლებზე გადახდილ ხელფასს არ ბეგრავს საშემოსავლო გადასახადით. II. ვარიანტით, მოსალოდნელი ერთობლივი შემოსავალი აჭარბებდა 200,000 ლარს, ამიტომ საწარმომ დაბეგრა გადახდილი ხელფასების შესაბამისად საშემოსავლო გადასახადით. III. ვარიანტით კალენდარული წლის განმავლობაში მოსალოდნელი ერთობლივი შემოსავალი არ აჭარბებს 200,000 ლარს, ამიტომ საწარმო თანამშრომლებზე გადახდილ ხელფასს არ ბეგრავს საშემოსავლო გადასახადით. საანგარიშო წლის დასრულებისას პირველ ორ ვარიანტში საპირისპირო სურათი შეიქმნა, ხოლო მესამე ვარიანტში რეალურად გამართლდა მოლოდინი. აქედან გამომდინარე მესამე ვარიანტში საწარმოს ქმედება არ წარმოადგენს სამართალდარღვევას, ხოლო პირველ ორ ვარიანტში მეწარმეს შეუძლია ისარგებლოს სსკ-ის 82-ე მუხლის „ც“ ქვეპუნქტით დადგენილი შედავათით - დაკორექტიროს შესაბამისი პერიოდის დეპლარაცია და თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი დაბეგროს საშემოსავლო გადასახადით.

### **საგადასახადო კოდექსის თანახმად მოგების გადასახადისგან განთავისუფლებულია:**

2018 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება ან მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ „დ“ ქვეპუნქტებით, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული შემოსავალი

200,000 ლარს არ აღემატება; ანალოგიურად, იგივე ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე შემოსავლის მიხედვით შეზღუდვის გარეშე და ასევე, მაღალმთიანი დასახლების საწარმოზე შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით).<sup>188</sup>

საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლი განსაზღვრავს მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტს, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: а) განაწილებული მოგება; ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; დ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი. მოგების გადასახადისგან ზევით აღნიშნული საწარმოები განთავისუფლებული არიან “ბ” და “დ” ქვეპუნქტებით განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით.

ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების მიზნებისათვის მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება იმავე ნაწილების შესაბამისად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად. ხოლო მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი.

ამის საპირისპიროდ, საწარმო რომელიც არ არის გათავისუფლებული მოგების გადასახადისაგან და იბეგრება ჩვეულებრივად 15%-იანი განაკვეთით მოგების განაწილებისას საგადასახადო კოდექსის 98<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად განაწილებულ მოგებას წარმოადგენს მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება. ყურადღებას გავამახვილებთ ამავე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომელის თანახმადაც მოგების განაწილებად ითვლება: გ) საწარმოს მიერ საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან. ასეთ შემთხვევაში განაწილებული მოგების ოდენობა შეადგენს: 1) გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ/მისაღებ შემოსავალს შორის სხვაობას, თუ გარიგების საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ/მისაღებ შემოსავალს; 2) გარიგების შედეგად გაწეულ

<sup>188</sup> საქართველოს კანონი ”საქართველოს საგადასახადო კოდექსი”, საქართველოს პარლამენტი, თბ., 17.09.2010, თავი XI, მუხლი 82.

ხარჯსა და გარიგების საბაზო ფასს შორის სხვაობას, თუ გარიგების შედეგად გაწეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზო ფასს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, სასოფლო-სამეურნეო საწარმო, ან მაღალმთლიან რეგიონში ფუნქციონირებად საწარმო განთავისუფლებულია საგადასახადო კოდექსის ჩვენს მიერ ხსენებული საშემოსავლო და მოგების გადასახადის გადახდისაგან გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გამოდის მათი პარტნიორი საწარმოები/შემსყიდველი მეწარმე პირები, რომლებიც არ არიან განთავისუფლებული მოგების გადასახადისგან დაიბეგრებიან პროდუქტის საბაზო ფასისგან განსხვავებული ფასით შეძენის შემთხვევაში გამოვლენილი სხვაობის მიხედვით და ჩაეთვლებათ როგორც მოგების განაწილებად. მოცემული, თავისთავად, წარმოადგენს აღნიშნული კანონის უარყოფით ასპექტს, რადგან ის შემსყიდველ იურიდულ პირებს მოგებისა და საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლებული საწარმოებისგან პროდუქტისა და მომსახურების მიღებისგან თავის შეკავების სტიმულს აძლევს თანმდევი საგადასახადო რისკების მიზეზით. მეორე მხრივ, საბაზო ფასის დაფიქსირება აუცილებელს ხდის დამოუკიდებელი შემფასებლის მომსახურების ჩართვას აღნიშნული გარიგებების წარმოებისას, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული და კვლავ უარყოფით ტენდენციებს განაპირობებს.

საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლი განსაზღვრავს საამორტიზაციო ანარიცხებსა და გამოქვითვებს ძირითადი საშუალებების მიხედვით. აღნიშნულ მუხლში ცალსახადაა განსაზღვრული შემდეგი: ამორტიზაცია არ ერიცხება მიწას, ამასთანავე, 1000 ლარამდე ღირებულების ძირითად საშუალებას და ბიოლოგიურ აქტივებს. 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალება მთლიანად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშო წელს, როდესაც იგი ექსპლუატაციაში გადაეცა, ხოლო ბიოლოგიურ აქტივზე გაწეული ხარჯი გამოიქვითება იმ საანგარიშო წელს, როდესაც იგი ფაქტობრივად იქნა გაწეული.

ასევე, ორგანიზაციის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. თუ ბიოლოგიურ აქტივზე გაწეული ხარჯი იმავე საანგარიშო წელს იქნება გამოქვითული, როდესაც მოხდა მისი ფაქტობრივად გაწევა, მაშინ საანგარიშო წელს მოხდება დასაბეგრი მოგების შემცირება და შემდგომ პერიოდზე გადასახადის გადავადება.

თუმცა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისათვის ერთობლივ შემოსავალში ასახვას არ ექვემდებარება 2018 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივსა და მის წევრთა (მეპაიეთა) შორის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება ან/და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. მაგრამ, აღნიშნული არ ეხება სხვა სამართლებრივი ფორმის მქონდე სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებს.

საგადასახადო კოდექსის მე-18 თავი შეეხება შემოსავლების დაბეგვრას გადახდის წყაროსთან. აღნიშნული თავის 130-ე მუხლი განსაზღვრავს დივიდენდების დაბეგვრას გადახდის წყაროსთან. ამავე მუხლის 4<sup>1</sup> თანახმად 2018 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრის მიერ ამ კოოპერატივისაგან მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იძეგრება და დივიდენდების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

23-ე თავი შეეხება დღგ-ისგან გათავისუფლების მარეგულირებელი წესებსა და გადასახადისაგან გათავისუფლებას. აღნიშნული თავის 167-ე მუხლის 1-ლი პუნქტი განსაზღვრავს შემდეგს: დღგ-ისგან გათავისუფლება არსებობს ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე. ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლებით გულისხმობს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას (არ იძეგრება) და გამოიყენება ჩათვლის უფლება. ხოლო, ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლების გარეშე გულისხმობს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას (არ იძეგრება) და არ გამოიყენება ჩათვლის უფლება.

ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნუსხის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების იმპორტი.<sup>189</sup> აღნიშნულ შემთხვევაში, პირი რომელიც წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელს და ახდენს ზემოთ ნახსენები ნუსხის შესაბამისი საქონლის იმპორტთან ერთად სხვა სახის საქმიანობას, ხოლო მის საქმიანობასთან დაკავშირებით სწევს ისეთ საერთო-ადმინისტრაციულ ხარჯებს, რომელთა მიხედვით შესაძლებლობა აქვს მიიღოს დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურა, დღგ-ის თანხას ვერ ჩაითვლის სრულად და უნდა აღიაროს ხარჯად საერთო ბრუნვაში ზემოთ

<sup>189</sup> საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის დადგენილება №173 “სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების ნუსხის დამტკიცების შესახებ”, თბ., 2011, მუხლი 2.

აღნიშნული ნუსხის შესაბამისი საქონლის რეალიზაციის წილის მიხედვით.  
აღნიშნული კი ზარდის მის ხარჯებს.

ასევე, ჩათვლის უფლებით დღგ-ის გადასახადისგან განთავისუფლებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 0102 21, 0103 10 000 00, 0104 10 100 00, 0104 20 100 00, 0105 11, 0511 10 000 00, 0602 10, 2503 00, 2803 00, 3101 00 000, 3103–3105 (მექანიკური ნარევისა), 3808 91, 3808 92 და 3808 93 კოდებში მითითებული საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი. აღნიშნული სასაქონლო კოდების ჯგუფი მოიცავს: 1) 0102 21 - ცოცხალი: წმინდა ჯიშიანი სანაშენე შინაური მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 2) 0103 10 000 00 – წმინდა ჯიშიანი სანაშენე ლორი, 3) 0104 10 100 00/2010000 – წმინდა ჯიშიანი სანაშინე ცხვარი და ოხა, 4) 0105 11 – შინაური ქათამი ცოცხალი, 5) 0511 10 000 00 – ხარის სპერმა, 6) 0602 10 – ცოცხალი ვაზი (ფეხვებით), 7) 2503 00 - გოგირდი ყველა სახის (სუბლიმირებული, დალექილი და კოლოიდური გოგირდის გარდა), 8) 2803 00 - ნახშირბადი (მურები და ნახშირბადის დანარჩენი ფორმები სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი), 9) 3103 - სასუქები მინერალური ან ქიმიური, ფოსფოროვანი, 10) 3104 - სასუქები მინერალური ან ქიმიური, კალიუმიანი, 11) 3105 - სასუქები მინერალური ან ქიმიური, ორი ან სამი მკვებავი ელემენტის: აზოტის, ფოსფორის და კალიუმის შემცველობით; დანარჩენი სასუქები; ამ ჯგუფის საქონელი აბებად ან ანალოგიურ ფორმებში ან საფუთავებში ბრუტო-მასით არა უმეტეს 10 კგ-ისა, 12) 3808 91 – ინსექტიციდები, 13) 3808 92 – ფუნგიციდები, 14) 3808 93 - ჰერბიციდები, აღმოცენების საწინააღმდეგო საშუალებები და ზრდის რეგულატორები მცენარეებისათვის.

ჩათვლის უფლებით, ასევე, გათავისუფლებულია საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის (გარდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 0407 00 190 00 და 0407 00 300 00 კოდებში მითითებული საქონლისა (კვერცხისა) და 0207 11 სუბპოზიციაში მითითებული საქონლისა (შინაური ქათამი აუქნელი, ახალი ან გაციებული)) მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე).

ზემოთ აღნიშნულ ყველა საქონელი და სასაქონლო ჯგუფი ექვემდებარება სერტიფიკატის/ნებართვის გაცემას ან რეგისტრაციას, რომელსაც ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო. აკრძალულია იმ ჰესტიციდების იმპორტი (გარდა "სურსათის/ცხოველის საკვების უნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის" 50-ე მუხლით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა), რომლებიც არ არის შეტანილი

პესტიციდების სახელმწიფო კატალოგში. აქვე გამოვყოთ ის ნებართვები და სერტიფიკატები, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის იმპორტ/ექსპორტთან:

## ნებართვები

საქართველოს მთავრობის № 426 დადგენილების თანახმად ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტისა და იმპორტის ნებართვისა და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოებია სურსათის ეროვნული სააგენტო ან შემოსავლების სამსახური. სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი ხორციელდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.<sup>190</sup>

აღნიშნულ შემთხვევაში გაიცემა 2 სახის ნებართვა: 1. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე; 2. ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტზე.

ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციაა ესაა ყველა სახის ცხოველი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტები და ნედლეული, ცხოველთა საკვები (საკვებდანამატები), ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატები.

ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციაა აერთიანებს ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებულ პროდუქციას, მასალასა და ობიექტს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საკარანტინო ორგანიზმების გავრცელება. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვა გაიცემა 1 თვის გადით.<sup>191</sup> ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტისათვის ნებართვა გაიცემა მაქსიმუმ 6 თვის გადით.

<sup>190</sup> საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბერის დადგენილება № 426 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანქბართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“, თბ., 2010, მუხლი 4.

<sup>191</sup> <http://nfa.gov.ge/ge/informacia/nebartvebis-shesaxeb>

## **სერტიფიკატები**

საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის აღება შესაძლებელია საბაჟო დეპარტამენტის არასატარიფო კონტროლის სამმართველოში, ასევე, საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულებსა და ქვედანაყოფებში. განსხვავდება სერტიფიკატების სახეც:

1. საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი - ფორმა „A“ გაიცემა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან განსაზღვრული სახის ქართული წარმოშობის საქონლის „პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის“ მომნიშვნელობის ქვეყნებში (ევროპავშირი, შვეიცარია, ნორვეგია, კანადა, იაპონია, აშშ) ექსპორტის დროს.
2. საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი CT-1 გაიცემა ქართული წარმოშობის საქონლის დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტისას;
3. საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი - EUR.1 გაიცემა ქართული წარმოშობის საქონლის ევროპავშირში ექსპორტისას „ერთის მხრივ, ევროპავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“ 2014 წლის 27 ივნისის ასოცირების შესახებ შეთანხმების I ოქმის შესაბამისად. ასევე, ქართული წარმოშობის საქონლის თურქეთის რესპუბლიკაში ექსპორტისას „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2007 წლის 21 ნოემბრის შეთანხმების II ოქმის შესაბამისად.
4. არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი გაიცემა საქონლის ექსპორტისას ყველა იმ ქვეყანაში, სადაც არ მოქმედებს პრეფერენცია, ასევე, შეღავათების მომნიშვნელობის ქვეყნებში საქონლის ექსპორტისას, როდესაც პროდუქცია ვერ აკმაყოფილებს პრეფერენციული წარმოშობის კრიტერიუმებს. გარდა ამისა, არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი გაიცემა სხვა ქვეყანაში წარმოშობილი პროდუქციის საქართველოდან ექსპორტის დროსაც (საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე).

**ექსპორტის დროს გამოსაყენებელი გეტერინარული სერტიფიკატები**  
სერტიფიკატს გასცემს სურსათის ეროვნული სააგენტო ეპონომიკური კონტროლის ზონებში შემოსავლების სამსახური, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სერტიფიკატის გაცემისათვის აუცილებელია ცხოველების კარანტინში განთავსება და ნიმუშების აღება ანალიზისათვის.

საქართველოდან ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის შემთხვევაში გაიცემა შემდეგი ვეტერინარული სერტიფიკატები: 1) საქართველოდან ექსპორტირებულ საკლავ, სანაშენე და სხვა ცხოველებზე, ფრინველებზე, ფუტკარზე და ამანათ ნაყარზე (ფუტკრის ხელოვნურად შექმნილი ახალი ოჯახი); 2) საქართველოდან ექსპორტირებული შინაური და გარეული ცხოველების ხორცსა და ხორცპროდუქტებზე; 3) საქართველოდან ექსპორტირებულ რძესა და რძის პროდუქტებზე; 4) საქართველოდან ექსპორტირებულ ცხოველური წარმოშობის ნედლეულზე და სხვა. ვეტერინარული სერტიფიკატი არ გაიცემა: თუ ტვირთი არ პასუხობს იმპორტიორი ქვეყნის ვეტერინარულ მოთხოვნებს, თუ განმცხადებელს სურსათთან დაკავშირებულ საქმიანობაში კრიტიკული შეუსაბამობის გამო შეჩერებული აქვს საწარმოო პროცესი.<sup>192</sup> ცოცხალი ცხოველების ექსპორტის შემთხვევაში, გამცემ ორგანოს წარედგინება ცხოველთა მარშრუტის გეგმა და განაცხადი დამატებით უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ცოცხალი ცხოველების წარმომავლობის ადგილის შესახებ, მათი სახეობის, სქესის, ჯიშის, ასაკის, წონისა და საიდენტიფიკაციო ნიშნების შესახებ; კარანტინის ადგილის შესახებ (იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნის უზრუნველყოფის შემთხვევაში).

### ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი

სერტიფიკატს გასცემს სურსათის ეროვნული სააგენტო, ეკონომიკურ ზონებში შემოსავლების სამსახური, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სერტიფიკატის გაცემისათვის აუცილებელია ნიმუშის აღება ანალიზისათვის და დამუშავება. სერტიფიკატი გაიცემა ფიტოსანიტარიული პროცედურების განხორციელების საფუძველზე, რაც მოიცავს საქონლის თანმხლები დოკუმენტების შემოწმებას, ინფორმაციის მოძიებას საქონლის წარმოების ადგილზე ადრე ჩატარებული შემოწმებების შესახებ, საქონლის ვიზუალურ შემოწმებას, ეჭვის შემთხვევაში ნიმუშების აღებას ანალიზისათვის - თუ ტვირთი არ პასუხობს იმპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებს და თუ განმცხადებელს სურსათთან დაკავშირებულ საქმიანობაში კრიტიკული შეუსაბამობის გამო შეჩერებული აქვს საწარმოო პროცესი.<sup>193</sup>

<sup>192</sup> [http://www.rs.ge/Default.aspx?sec\\_id=5027&lang=1#](http://www.rs.ge/Default.aspx?sec_id=5027&lang=1#)

<sup>193</sup> [http://www.rs.ge/Default.aspx?sec\\_id=5031&lang=1#](http://www.rs.ge/Default.aspx?sec_id=5031&lang=1#)

## ქონების გადასახადი

ქონების გადასახადის გადამხდელია: რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია, არარეზიდენტი საწარმო და გ) ფიზიკური პირი: მის საკუთრებაში არსებულ უძრავ და მოძრავ ქონებაზე, არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებულ ქონებაზე; ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე.

მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწებზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთები დიფერენცირებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის კატეგორიების მიხედვით და დგინდება 1 პექტარზე გაანგარიშებით, ლარში. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით განვითარება გადასახადის განაკვეთი, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ ნაწილით დადგენილი წლიური საბაზისო განაკვეთის 150 პროცენტს.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთები კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გაიანგარიშება შემდეგი წესით: ა) გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე 0.24 ლარის ოდენობით; ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით, შესაბამისი საბაზისო განაკვეთი მრავლდება ტერიტორიულ კოეფიციენტზე. ამასთანავე, ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს 1.5-ზე მეტი.

თავისთავად, მნიშვნელოვანია აღნიშნული გადასახადისგან გათავისუფლებული კატეგორიები, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია გამოვყოთ გარკვეული ტენდენციები:

- 1) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის ნაყოფიერი ფენაც სანახევროდ ან მეტადაა დაზიანებული სტიქიის შედეგად. ასევე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზედაც მისაღები მოსავლის ნახევარზე მეტი განადგურდა სტიქიის ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგად, რაც შესაბამისი ცნობით; რაც დასტურდება შესაბამისი ცნობით. აღნიშნულ შემთხვევაში, მოცემული გათავისუფლება დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან სტიქიით მიყენებული ზიანი ყოველწლიურად იზრდება და

ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმატებისთვის. დამატებით მსგავსი შეღავათი მეწარმისთვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას წარმოადგენს;

**2)** ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახალასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, – მიღებიდან 5 წლის განმავლობაში. ასევე, ნასოფლარის ტერიტორიაზე, აგრეთვე განსახლების სახელმწიფო დონისძიებათა შესაბამისად დასახლებულ მოქალაქეთა ოჯახები ამ ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე – დასახლებიდან 5 წლის განმავლობაში. აღნიშნული ორივე პუნქტი დადგებითად იმოქმედებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაწყების მსურველებზე წახალისების კუთხით.

**3)** 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტარამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. აღნიშნული შეღავათი ვრცელდება აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ წევრებისაგან (მეპაიებისაგან) ამ ქონების შენატანის (პაის) სახით მიღების შემთხვევებშიც;

**4)** მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი;

**5)** ბიოლოგიური აქტივი;

**6)** სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, აგრეთვე, ასეთ პირზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება, რომლებსაც ეს პირი ამავე საქმიანობაში იყენებს;

**7)** 2018 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ქონება (გარდა მიწისა) და ამავე საქმიანობისათვის მასზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება;

**8)** მაღალმთიანი დასახლების საწარმოს საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე ქონება – შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში.

ზემოთ აღნიშნულ შეღავათებს დადებითი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობის კუთხით - საგადასახადო ხარჯების შემცირების თვალსაზრისით. ამასთანავე, იმ შეღავათების მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია 2018 წლის 1-ლ იანვრამდე, უნდა გაგრძელდეს

დამატებით მინიმუმ 2 წლის ვადით, რადგან კოოპერატივების ჩამოყალიბების ხელშეწყობის პროგრამები ჯერ კიდევ საწყის და გარდამავალ ეტაპზეა, კოოპერატივები კი ჯერ არ არიან მზად გადასახადების გადახდის თვალსაზრისით.

### **საგადასახადო კოდექსის სხვა რეგულაციები**

ტაქს.ინფო განიხილავს მიწის მიწოდებისას, რომელზეც დამაგრებულია ბიოლოგიური აქტივი, დღგ-ით დაბეგვრის საკითხებს და მოჰყავს შესაბამისი მაგალითები. დღგ-ს დაბეგვრის მიზნებისათვის უნდა მოხდეს მთლიან სარეალიზაციო ღირებულებაში ბიოლოგიური აქტივისა და მიწის ღირებულებების ცალ-ცალკე გამიჯვნა და ბიოლოგიური აქტივის მიწოდება დაიბეგროს დღგ-ით (საგ.კოდ. §160.ა. და §161.1.ა.).<sup>194</sup>

მაგალითი 1: კომპანია №1 კომპანიი №2-ს მიაწოდა 2 ჰა. მიწის ნაკვეთი მასზე გაშენებული კივის ბადით, თუმცა ნასყიდობის ხელშეკრულებაში ნასყიდობის საგნის ღირებულება (ჯამში 200,000 ლარი) ცალ-ცალკე არ განსაზღვრულა. აუდიტორული შეფასებით რეალიზებული მიწის საბაზო ფასი შეადგენს 50,000 ლარს, ხოლო მასზე განლაგებული ბადის 150,000 ლარს. მოცემულ ოპერაციაზე საწარმოს მიერ ბიუჯეტში გადასახდელი დღგ იქნება კივის ბადის მიწოდებაზე გაანგარიშებული დღგ-ს თანხა – 22,881.36 ლარი ( $150,000 * 18\% / 118\%$ ), რადგან მიწის მიწოდება გათავისუფლებულია (ჩათვლის უფლების გარეშე) დღგ-ით დაბეგვრისაგან (საგ.კოდ. §168.1.ქ.). როდესაც ბიოლოგიური აქტივთან ერთად ხდება ნაყოფის (მოსავლის) მიწოდება, რომელიც არ არის მოცილებული ბიოლოგიურ აქტივს, ამ შემთხვევაში დღგის დაბეგვრის მიზნებისათვის ცალკე უნდა გაიმიჯნოს მოუცილებელი ნაყოფის ღირებულება.

მაგალითი 2: საწარმო №1-მა საწარმო №2-ს მიაწოდა მიწის ნაკვეთი მასზე გაშენებული ვენახით. ვენახი საქონლის მიწოდებისას მოუკრევული იყო, გადაწყდა, გარიგები ღირებულებაში მისაღები ყურძნის ღირებულების გათვალისწინეა. მოცემულ შემთხვევაში დღგ-ით დაბეგვრის მიზნებისათვის გარიგების საგნის საერთო ღირებულებიდან ცალ-ცალკე უნდა გაიმიჯნოს მიწის, ვენახისა და ყურძნის ღირებულება. მიწისა და ყურძნის მიწოდება დღგ-ით დაბეგვრას არ დაექვემდებარება (საგ.კოდ. §168.1.ქ; §168.4.ვ.), ხოლო ვენახის მიწოდება დაიბეგრება დღგ-ით (საგ.კოდ. §160.ა. და §161.1.ა.).<sup>195</sup>

<sup>194</sup> [http://taxinfo.ge/index.php?option=com\\_content&task=view&id=8890&Itemid=105](http://taxinfo.ge/index.php?option=com_content&task=view&id=8890&Itemid=105)

<sup>195</sup> ი. იქვე.

აღნიშნული საკითხები, ხშირ შემთხვევაში, არ არის ერთმანეთისგან გამიჯნული და ბასს 41-ის მიხედვით აღრიცხვა-შეფასება არ ხორციელდება ცალკე ბიოლოგიური აქტივისა და ცალკე მიწისა, რომელზეც არის გაშენებული კონკრეტული აქტივი ბიოლოგიური ნაყოფით. რაც საგადასახადო მიზნებისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელია და წარმოადგენს პრობლემას.

საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან თავისუფლდება: ფიზიკური პირი, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და ახდენს პირად ან საოჯახო მეურნეობაში მიღებული სოფლის-მეურნეობის პროდუქციის ან მისგან წარმოებული საქონლის რეალიზაციას, – საქმიანობის ამ ნაწილში; ასევე, აქვე უნდა აღინიშნოს რომ, “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. ასევე, სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა; სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოებები შეიძლება არსებობდეს ამ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმით, თუ მოხდება მათი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია. რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არაწევრი ხუთი პირი მაინც.<sup>196</sup> შესაბამისად, საოჯახო სასოფლო-მეურნეობა არ არის ვალდებული დარეგისტრირდეს მეწარმე პირად.

ასევე, სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 10 000 ლარს, - იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. აღნიშნული მიმართულებით არ ექვემდებარება დაჯარიმებას პირი საქართველოში წარმოებული

<sup>196</sup> საქართველოს კანონი ”მეწარმეთა შესახებ”, საქართველოს პარლამენტი, თბ., 28.10.1994, თავი I, მუხლი 1.

სოფლის-მეურნეობის პირველადი პროდუქციის ტრანსპორტირებისას ან მიწოდებისას.

ზემოთ აღნიშნულ ორ შემთხვევაში პრობლემას გხედავთ შემდეგი მიმართულებით. მყიდველი რომელიც ეწევა მაგალითად, სარესტორნო საქმიანობას და შესყიდვას ახორციელებს 1) საოჯახო მეურნეობისგან, რომელიც არ იყენებს სალარო აპარატს, ასევე, არ წარმოადგენს შესყიდველის მიერ გადახდის დამადასტურებელ სხვა საბუთს (მაგალითად, ჩდგ-ის); 2) სოფლის-მეურნეობის პირველადი პროდუქციის შესყიდვას პირისგან, რომელმაც არ გამოუწერა სასაქონლო ზედნადები, ვერ მოახერხებს აღნიშნული მიმართულებით უსაბუთო შესყიდვის მიხედვით გაწეული ხარჯების დადასტურებას და გამოქვითვას. შესაბამისად, მსგავს მეწარმეებს (სარესტორნო ბიზნესის მფლობელებს) ზემოაღნიშნულ პირებთან მსგავსი გარიგების განხორციელების ნაკლები სტიმული აქვთ საგადასახადო მიზნებისთვის. გამოსავალი ამ შემთხვევაში არის რესტორნის მიერ გამყიდველთან შესყიდვის აქტების გაფორმება, რომლითაც მოხდება შესაბამისი მიწოდებისა და გადახდის დადასტურება, მაგრამ, იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული საქონელი უნდა დაბეგრილიყო მაგალითად, დღგ-თი ან გამყიდველი პირი საშემოსავლოთი, დეკლარირება და გადასახადის გადახდა მოუწევს შემსყიდველ მეწარმეებზე და, კვლავაც, მათოვის ნაკლები სტიმულია იქონიონ მსგავს პირებთან გარიგებების დადების სურვილი. მოცემული უარყოფითად ზემოქმედებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელ საოჯახო მეურნეობებსა და მცირე მეწარმეებზე გაყიდვების თვალსაზრისით.

### 5.3. ეგროკავშირის წევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მიმართულებით

ეგროკავშირში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები საკმაოდ მნიშვნელოვანი სოციო-ეკონომიკური დატვირთვის მატარებელია მთლიანად ეკონომიკისათვის. ასევე, საშუალოდ ეგროკავშირის წევრებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები მართავენ ფერმების მიწოდების, მარკეტინგისა და წარმოების პროცესების 40%-ს.<sup>197</sup>

სურსათის მიწოდების ჯაჭვში მომლაპარაკებელ/კონტრაქტორ მხარეებს შორის საბაზრო ძალაუფლებისა და პოზიციების არსებულმა დისბალანსმა პოლიტიკის შემქმნელების საკმაოდ დიდი უურადღება მიიპყრო და მრავალმხრივი განხილვების საგანი გახდა. ეგროკომისია მომხრეა გააადვილოს სექტორის რესტრუქტურიზაცია ნებაყოფლობითი სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების ორგანიზაციების შექმნის ხელშეწყობით. ეგროკავშირის წევრ ქვეყნებში ფერმერთა კოოპერატივები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სურსათის მიწოდების ჯაჭვში დამატებითი დირებულების საკმაოდ მაღალი წილის შექმნის თვალსაზრისით.<sup>198</sup>

ყველა წევრ ქვეყანას საკუთარი ტრადიცია და გამოცდილება გააჩნია კოოპერატივებთან მიმართებით, რაც საკმაოდ განსხვავდება. ზოგიერთ ქვეყანაში კოოპერატივები პირდაპირ დაკავშირებულია მე-19 საუკუნის ბოლოს აგრარული სექტორის დიდი ტრანსფორმაციის დროს განპირობებულ საბაზრო წარუმატებლობასა და ჩავარდნასთან (დანია, ნიდერლანდები), ასევე, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვასთან (ფინეთი), როცა ზოგიერთ ქვეყანაში კოოპერატივი პოლიტიკურად არაჯანსაღ წარმონაქმნს წარმოადგენდა, კერძო ორგანიზაციულ პრინციპებზე არ იყო აგებული და სოციალისტური დაგეგმვის მთავარ ინსტრუმენტად განიხილებოდა (ეგროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები). შესაბამისად, სხვადასხვა რეგიონსა და ქვეყანაში კოოპერატივის დანიშნულება ყოველთვის სხვაგვარად იყო აღქმული.<sup>199</sup>

აღნიშნული საკითხის განხილვისას, ასევე, მნიშვნელოვანია ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში: ბულგარეთში, პოლონეთსა და რუმინეთში არსებულ

<sup>197</sup> DEVELOPMENT OF AGRICULTURAL COOPERATIVES IN THE EU 2014, European agri-cooperatives (Cogeca), Brussels, 2015, p. 15.

<sup>198</sup> Support for Farmers' Cooperatives, Final Report - European Commission, Netherlands, November 2012, p. 7.

<sup>199</sup> ი. იქვე, გვ. 10.

საკითხთან დაკავშირებით არსებული ვითარება და გამოცდილება. თუ კი გადავხედავთ ევროკავშირში კოოპერატივების სიდიდეს წლიური ბრუნვის მიხედვით, დავინახავთ, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს მსხვილი წლიური ბრუნვით საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავთ ბაზარზე რაოდენობრივად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თუ შევადარებთ საბანკო სექტორში ან სადაზღვევო სექტორში ჩამოყალიბებული კოოპერატივების წლიურ ბრუნვას საშუალოდ 2-3-ჯერ ჩამორჩება. მსხვილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საშუალო წლიური ბრუნვა დაახლოებით 5 მილიარდ ევროს შეადგენს (იხ. დანართი №62).

რაც შეეხება, ეკონომიკის სექტორების მიხედვით კოოპერატივების განაწილებას რაოდენობის მიხედვით, პირველ რიგში განვიხილოთ ზოგადი რაოდენობრივი მაჩვენებლები, შემდეგ კი ეკონომიკის სხვა სექტორებთან მიმართებით პოზიციები განვსაზღვროთ. 2015 წელს აგრარულ სექტორში სულ 51 392 კოოპერატივი საქმიანობდა, წევრთა 9.5 მლნ-ზე მეტი რაოდენობით, რომელთა ჯამური წლიური ბრუნვა 347 მილიარდ ევროს შეადგენდა, ხოლო დასაქმებული პყავდა 675 ათასზე მეტი ადამიანი.<sup>200</sup> რაც შეეხება უშუალოდ სექტორში პოზიციების გადანაწილებას რაოდენობის მიხედვით, პირველ ადგილზეა მრეწველობისა და მომსახურების სექტორში დაფუძნებული კოოპერატივები 61,964 (36.60%), მეორე ადგილზეა აგრარულ სექტორში დაფუძნებული კოოპერატივები 51,392 (30.36%). აღნიშნულს კი მოსდევს ბინათმშენებლობის სექტორი 37,570 ერთეულით (22.19%). მოცემული პროცენტული მაჩვენებელი ხაზს უსვამს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მნიშვნელობას აგრარულ სექტორში (იხ. დანართი №63).

წევრების რაოდენობის მიხედვით, სექტორებში კოოპერატივების გადანაწილებას შემდეგი სახე აქვს: პირველ ადგილზეა საბანკო სექტორი 43.63%-ით (60,440,105 წევრით), მეორე ადგილზეა სამომხმარებლო სექტორი 27%-ით, რასაც მოსდევს სადაზღვევო სექტორი 12.07%-ით. რაც შეეხება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, ამ მაჩვენებლის მიხედვით მეხუთე ადგილი უჭირავს 6.93%-ით (იხ. დანართი №64).

დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით აგრარულ სექტორში არსებულ კოოპერატივებს ევროპაში უჭირავს მეხუთე ადგილი 14.16%-ით. პირველ ადგილზეა მრეწველობისა და მომსახურების სექტორი 27.53%-ით (1,313,696 დასაქმებულით) (იხ. დანართი №65).

<sup>200</sup> The power of Cooperation, Cooperatives Europe key figures 2015, Cooperatives Europe, April 2016, p. 25.

წლიური ბრუნვის მიხედვით პირველ ადგილზეა აგრარული სექტორი 39.34%-ული წილით, ჯამში რაოდენობრივი მაჩვენებლით 347 მილიარდი ევროთი. მას მოჰყვება საცალო სექტორი 30%-ით, რაოდენობრივი მაჩვენებლით 264 მილიარდი ევროთი<sup>201</sup> (იხ. დანართი №66). შეიძლება ითქვას, რომ კოოპერატივების მიხედვით აგრარული სექტორი საკმაოდ მნიშვნელოვანი ასპექტების მატარებელია. კოოპერატივების ხელშეწყობით აგრარული სექტორი საკმაოდ მაღალ წლიურ ბრუნვას იდებს სხვა სექტორის კოოპერატივებთან შედარებით. მოცემული განპირობებულია, ევროკავშირის ზოგიერთ წევრ ქვეყანაში და ზოგადად ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო სექტორის დიდი მნიშვნელობისა და განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობით. ასევე, კოოპერატივების ხელშეწყობით უშუალოდ აგრარულ სექტორში. აღნიშნულ სექტორში დაფუძნებული კოოპერატივები ბევრ წევრ ქვეყანაში მრავალი პრეფერენციითა და საგადასახადო შედავათებით სარგებლობს.

კოოპერატივების საბაზრო წილი ზოგიერთ სექტორში საკმაოდ მაღალია, ხოლო ზოგიერში კი პირიქით. მოცემული უმეტესწილად განპირობებულია პროდუქციისა და წარმოების პროცესის ძირითადი მახასიათებლებით. სარძეო, ხილისა და ბოსტნეულის მიმართულებით კოოპერატივებს მნიშვნელოვანი საბაზრო წილი უჭირავთ პროდუქტის მაღაფუქებადობის მიზეზით (რაც დაკავშირებულია აღნიშნული პროდუქტებით ვაჭრობის მაღალ ტრანზაქციულ დანახარჯებთან). ისეთ სექტორებში, რომლებიც მოიცავს მეცხვარეობას, მედორეობასა და მესაქონლეობას, საქონლის მიწოდება ხშირ შემთხვევაში ხორციელდება წინასწარ გაფორმებული კონტრაქტების მიხედვით, ბითუმად მოვაჭრეთათვის ან არაკოოპერირებული სასაკლაოებისათვის (იხ. დანართი №67).

კოოპერატივების საბაზრო წილი ევროკავშირის ზოგიერთ წევრ ქვეყანაში 50%-საც სცდება (ფინეთი, შვედეთი, დანია, ირლანდია, საფრანგეთი). მოცემულის საპირისპიროდ, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი ვარირებს 25-50%-ის ფარგლებში. საბერძნეთში კი 25%-ზე დაბალიც კია (იხ. დანართი №68).

რაც შეეხება აგრარული მიმართულების მიხედვით კოოპერატივების განაწილებას, მას შემედგი სახე აქვს: ყველაზე მაღალი 40%-ზე მეტია მერძევეობაში, მეღვინეობასა და მეხილეობა-მებოსტნეობაში, ყველაზე დაბალი კი 10%-ზე ნაკლები მეცხვარეობაში. ჯამურად სექტორში 40% კოოპერატივების ხელშია (იხ. დანართი

<sup>201</sup> The power of Cooperation, Cooperatives Europe key figures 2015, Cooperatives Europe, April 2016, p. 23.

№71). აგრარულ კოპერატივებს საკმაოდ სწრაფი ზრდა ახასიათებთ, იმ ხელშეწყობის პირობებიდან და საკანონმდებლო/საგადასახადო გარემოს გაუმჯობესებიდან გამომდინარე, რასაც ევროკავშირის და კონკრეტული წევრი ქვეყნის პოლიტიკის შემქმნელები ახორციელებენ.

კოპერატივების ნამდვილად მარგინალურ როლს, ევროკავშირის ზოგიერთ წევრ ქვეყანაში, საკმაოდ მნიშვნელოვანი სოციალური წინაპირობები გააჩნია (განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის წევრები, რომლებიც ევროკავშირს 2004 წლიდან შეუერთდნენ). თვითორგანიზაციისა და კომუნიკაციის, კავშირულთიერთობების დაბალი დონე წარმოადგენს არა მარტო კოპერატივების განვითარების ბარიერს, არამედ აქტუალურ და არსებულ სოციალურ-საზოგადოებრივ მახასიათებელს. სიტუაცია ევროკავშირის ახალ წევრ, ყოფილ სოციალისტურ, ქვეყნებში საკმაოდ განსხვავდება და კონტრასტულია, რაც განაპირობა ისტორიულმა წინაპირობებმა, მიწის კოლექტივიზაციის რეფორმებმა, კოლექტივიზაციის შემდგომმა ტრანსფორმაციულმა კანონმდებლობამ, კოპერაციის ტრადიციებმა, პოლიტიკის მიმართულებებმა და სოციო-კულტურულმა კონტექსტმა. საბოლოო ჯამში, კომუნისტური მემკვიდრეობა კვლავაც არსებობს, რაც გამოიხატება ნდობის ნაკლებობაში კოპერაციის ხელშეშლის მიმართულებით. მოცემული მიმართულებით მთავარი გასაღები კოპერატივში ძლიერი ლიდერის ყოლაა, თუმცა რესურსის სახით მსგავსი კადრი ხშირად არ მოიპოვება, რაც წარმოადგენს რეალურ დაბრკოლებას შემდგომი თანამშრომლობის განვითარებისთვის.<sup>202</sup>

კვლევების თანახმად, თანამშრომლობის მნიშვნელოვან დადებით მხარეებს წარმოადგენს, მაგალითად, მონოპოლიურ ბაზრებზე კონკურენტული პოზიციის მოპოვებისა და ძლიერ საერთაშორისო კონგლომერატებთან კონკურენცის გაწევის შესაძლებლობა (პოლონეთი); ბაზარზე წვდომის შესაძლებებლობა მცირე მეწარმეებისათვის (ბულგარეთი); სამუშაო ბაზარსა და მიწის ბაზარს შორის კავშირულთიერთობების ჩამოყალიბება (ბულგარეთი) და სხვა. დღევანდებლ პირობებში კოპერაცია ბიზნესზე ორიენტირებულია და სრულიად განსხვავდება სოციალისტური ფრთის ქვეშ მართული სისტემისგან. გამონაკლისს წარმოადგენს ბულგარეთის შემთხვევა.

<sup>202</sup> Support for Farmers' Cooperatives, Final Report - European Commission, Netherlands, November 2012, p. 12.

კოოპერატივების დაბეგვრისადმი არსებული მიღებული მიღებული წინაპირობაა მათი განვითარებისათვის. ბევრ წევრ ქვეყანაში კოოპერატივის წევრი ფერმისგან მიღებული პროდუქტის გაყიდვისას წარმოქმნილი შემოსავალი ექვემდებარება მხოლოდ ფერმის დონეზე დაბეგვრას (ერთჯერადად დაბეგვრის პრინციპი). მოგება, რომელიც ფორმირდება არაწევრი ფერმის პროდუქციის რეალიზაციის შედეგად, ექვემდებარება კოოპერატივის დონეზე დაბეგვრას. ზოგიერთ წევრ ქვეყანაში კოოპერატივების მოგება არ იძეგრება თუ ისინი მათ რეინვესტირებას ახდენენ (განათლებასა და გრძელვადიან განვითარებაში).

ფერმერებს, რომლებსაც სურთ მწარმოებელთა ორგანიზაციის, ვაჭრობის ასოციაციის ან კოოპერატივის შექმნა აუცილებლად უნდა მიაქციონ კურადღება ლიდერობისა და ადამიანური კაპიტალის საკითხებს. ეს მოითხოვს სოციალურ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ უნარ-ჩვევებსა და რესურსებს, შესაბამისი დროის გამოყოფასა და ორგანიზაციის აშენების ეფექტუალურობას. ერთ-ერთი მთავარი ძალა აქ პროფესიონალიზმია, საუკეთესო სტრატეგიისა და ბიზნესზე ორიენტირებული მოდელის შექმნისათვის, რომელიც საკმაო მოცულობით დამატებით დირებულებას შექმნის საწარმოო ჯაჭვში. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და მწარმოებელთა ორგანიზაციები დადებით ექსტერნალიებს ქმნიან, აწარმოებენ რა საზოგადოებრივ ან ნახევრად-საზოგადოებრივ პროდუქტს. აღნიშნული თავისთავად მოითხოვს პოლიტიკის შემქმნელების კურადღებას და გარკვეული დონისძიებების გატარებას (კოოპერატივების შესახებ კანონმდებლობის შემუშავება, საგადასახადო გარემოს გაუმჯობესება, სუფთა კონკურენციის ხელშეწყობა, ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო დონეზე ხელშეწყობა და სხვა). ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკა აღიარებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მნიშვნელოვან როლს სოფლის მეურნეობის სფეროში, შესაბამისად, ახორციელებს მათ მხარდაჭერას რამდენიმე დონისძიებით.

1958 წელს დაფუძნდა ფერმერების წარმომადგენლობითი ორგანიზაცია COPA (პროფესიული სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების საზოგადოება), 1959 წელს კი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გენერალური კომიტეტი COGECA. პირველ საზოგადოებაში თავიდან შეგიდა 6 წევრი. დღეისათვის, გაფართოების შედეგად, ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოდან ჰყავს წევრები. მეორე ორგანიზაცია კი აერთიანებს 22 000 ფერმერულ კოოპერატივს, მთელი ევროპის მასშტაბით.<sup>203</sup>

<sup>203</sup> DEVELOPMENT OF AGRICULTURAL COOPERATIVES IN THE EU 2014, European agri-cooperatives (Cogeca), Brussels, 2015, p. 6.

## ბულგარეთი

ბულგარეთს კოოპერატივების არსებობის საკმაოდ დიდი ტრადიცია და ისტორია გააჩნია, თუმცა აღნიშნული ფაქტორი არ გახდა საკმარისი მიზეზი იმისა, რომ სახელმწიფო და კოლექტიური ფერმერული მეურნეობების გაუქმების შემდგომ შეცვლილიყო და დახვეწილიყო წარმოების სტრუქტურა. კოლექტივიზაციის შემდგომ, ბულგარეთში გატარდა მიწის პრივატიზაციის რეფორმა, რამაც გამოიწვია მიწების საკმაოდ მცირე ნაწილებად ფრაგმენტაცია. მოცემულმა განაპირობა ორდონიანი/ორმაგი სასოფლო-სამეურნეო სექტორის ფორმირება: მრავალი ნახევრად-თვითუზნენველმყოფელი ფერმა, რომელსაც ძირითადად პენსიონერები უძღვებოდნენ და ასევე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომლებიც აერთიანებდნენ დაურეგისტირებელ მიწებსა და აქტივების მფლობელებს. აღნიშნული კოოპერატივები ბევრი მიწის მფლობელისგან იჯარით იღებდნენ მიწას, ახორციელებდნენ მიწების გაერთიანებასა და უწევდნენ მომსახურებას მცირე მეწარმეებს, მათ შორის ბაზართან წვდომის გაიოლების მიმართულებით.<sup>204</sup> 90-იანი წლების შემდგომ, ბულგარეთში არასტაბილურმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, მრავალჯერადად განხორციელებულმა რეფორმებმა განაპირობა სასოფლო რეგიონებში სიტუაციის მუდმივი გაუარესება – მოსახლეობისა და ფერმერების გადარიბება.

ბულგარეთი ევროკავშირს 2007 წელს შეურთდა, რამაც არა მარტო კოოპერატივების განვითარებას შეუწყო ხელი, არამედ დამცავი ბადე და გაჭირვებიდან თავის დასაღწევი საშუალება შექმნა დარიბი მოსახლეობისათვის. ერთიანი აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი – პირდაპირი გადახდები გადამწყვეტ როლს ასრულებს აგრარული კოოპერატივების ცხოველმყოფელობის შენარჩუნებისათვის, სხვა შემთხვევაში ისინი გაქრებოდნენ ან მათი ჩანაცვლება მოხდებოდა კერძო ინვესტორების მიერ.<sup>205</sup>

აგრარული სექტორის სტატისტიკური მაჩვენებლები 2003-2010 წლებში საკმაოდ შეიცვალა: პოლდინგების რაოდენობა შემცირდა 44.4%-ით (320 ათასი), დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი გაიზარდა 24.5%-ით (3.6 მლნ. ჰა), დასაქმებულთა რაოდენობა აგრარულ სექტორში 45.2%-ით (738 ათასი) შემცირდა, საქონლის სულადობა 29.4% (1.1 მლნ.) შემცირდა, საშუალო დამუშავებული მიწის ფართობი ერთ პოლდინგზე გაანგარიშებით გაიზარდა 123.9%.

<sup>204</sup> Support for Farmers' Cooperatives, Final Report - European Commission, Netherlands, November 2012, p. 35.

<sup>205</sup> იხ. იქვე, გვ. 97.

ით (9.8 ჰა). აღნიშნული მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე 29.2%-ით (0.48 ჰა) გაიზარდა. ბულგარეთში აგრარული სექტორის წარმოება ევროკავშირის მთლიან წარმოებაში 2013 წელს 0.9%-ს იკავებდა (3,349.7 მლნ. ევრო). ბულგარეთის უპირატესობა შიდა სტრუქტურაში მიმართულია მემცენარეობაზე. მთელი აგრარული სექტორის 69.6% შეადგენს მემცენარეობას, ხოლო დანარჩენი 30.4% მეცხოველეობას. ევროკავშირში ბულგარეთის წილი მემცენარეობაში 1.1%-ია, ხოლო მეცხოველეობა 0.6%-ს წარმოადგენს.<sup>206</sup>

ბულგარეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ნაკლებად მონაწილეობენ მიწოდების ჯაჭვში გერტიკალური ინტეგრაციის კუთხით, უპირატესობას ჰორიზონტალურ ინტეგრაციას ანიჭებენ აგრარული სექტორის რამდენიმე მიმართულებით. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს მეცენახეობა, სადაც კოოპერატივები ვენახებთან ერთად საკუთარ დვინის მწარმოებელ საწარმოებს ფლობენ. ბულგარული კოოპერატივების სტრატეგია არაა გათვლილი სასაქონლო ჯაჭვში პოზიციების დაკავებით მიიღოს კონკურენტული უპირატესობა.

ბულგარეთში პირველადი კოოპერატივები არსებობენ ლოკალურ დონეზე. ხოლო მეორადი კოოპერატივები არსებობენ რეგიონალურ დონეზე, რომლებიც ახორციელებენ წევრებისთვის შემდეგი დახმარების შეთავაზებას: აუდიტი, კონსალტინგი, წევრების ინტერესების გაცხადება რეგიონალურ დონეზე და სხვა. გამონაკლისს წარმოადგენდა წლების წინ დაფუძნებული კოოპერატივი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რეგიონალური ასოციაცია ვარნაში, რომელიც ახორციელებდა წევრთათვის წარმოებისათვის საჭირო მარაგებით მომარაგებას, თუმცა აღნიშნულმა არ გაამართლა, რადგან კოოპერატივის გაკოტრება გამოიწვია. პირველადი კოოპერატივები უმეტესად ერთვებიან მეორად კოოპერაციაში. თუმცა ზოგიერთი მცირე კოოპერატივი პირდაპირ ხდება მესამე დონის/უმაღლესი დონის კოოპერატივის წევრი, რადგან მეორადი კოოპერატივი მათ რეგიონში არ არის დაფუძნებული. 2011 წლისთვის რეგიონალური ასოციაციების რაოდენობამ 195-ს მიაღწია.

უმაღლესი დონის კოოპერატივები წარმოდგენილია ნაციონალურ დონეზე (მწარმოებელთა კოოპერატივების ნაციონალური ასოციაცია ბულგარეთში), საკუთარ წევრებს (პირველი და მეორე დონის კოოპერატივებს) სთავაზობს არაეკონომიკურ სერვისებს: აუდიტი, კონსალტინგი, ლობირება ნაციონალურ დონეზე და სხვა.

<sup>206</sup> DEVELOPMENT OF AGRICULTURAL COOPERATIVES IN THE EU 2014, European agri-cooperatives (Cogeca), Brussels, 2015, p. 59.

საკანონმდებლო დონეზე კოოპერატივების საქმიანობა რეგულირდება კოოპერატივების შესახებ ნაციონალური კანონის თანახმად, ცალკე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის არ არის განსაზღვრული საკანონმდებლო აქტი. ასევე, არც კაპიტალის ან წევრთა მინიმალური რაოდენობა არ არის დადგენილი კანონმდებლობით.

ბულგარეთში ყველა სექტორში სულ 1932 კოოპერატიული წარმონაქმნია 149,528 წევრით, 24,007 დასაქმებულითა და წლიური 513 მილიონიანი ბრუნვით. აქედან, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობა 900 შეადგენს (47%).<sup>207</sup>

### პოლონეთი

პოლონეთის აგრარული სექტორი ნაკლებად განიცდიდა სოციალისტური გეგმიური ეკონომიკის ზეგავლენას, ვიდრე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები. ოჯახური ფერმერული მეურნეობები შენარჩუნდნენ (გამონაკლისია ყოფილი გერმანიის ტერიტორიები) და კოოპერატივებმა მოახერხეს კოოპერირების პრინციპებზე აგებული საქმიანობების განხორციელება, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ზეგავლენისა. ტრანსფორმაციის პერიოდში მსხვილი კოოპერატივების უმეტესობა პირველად აგრარულ სექტორში დაიშალნენ ან მოხდა მათი გარდაქმნა კერძო ინვესტორების საკუთრებაში არსებულ ფერმებად. დანარჩენებმა კი დაკარგეს საკუთარი წევრები და კოლაფსი განიცადეს. ამჟამად, კოოპერატივებს ცუდი იმიჯი აქვთ, როგორც მოძველებულ სტრუქტურებს. თუმცადა, დღესდღეობით კოოპერატივები მსხვილი საბაზრო წილის მფლობელები არიან (70%-ზე მეტი) მხოლოდ რძის ინდუსტრიაში. კოოპერატივებში შიდა მმართველობის სისტემა ექსპერტების მიერ პრობლემურადაა მიჩნეული. ძველი ჩვევები სოციალისტური წარსულისგან კვლავაც რჩება. ბევრ კოოპერატივში, ახალგაზრდები არ იღებენ მონაწილეობას საბჭოს ან მენეჯმენტის მართვის მიმართულებით და არ უჭირავთ აღმასრულებელი პოზიციები. გაბატონებული კორპორატიული კულტურა ამ ორგანიზაციებში გადარჩენის პოზიციას იკავებს და არ წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის შემტევ მამოძრავებელ ძალას. შედეგად, გადამწყვეტი, გრძელვადიანი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება მუდმივად ფერხდება. ახალი კოოპერატივები და ისინი, რომლებიც რძის წარმოებაში ოპერირებენ, მუდმივად თანამშრომლობენ პროფესიონალებთან და საკუთარ საქმიანობაში მეტად არიან

<sup>207</sup> Cooperatives Europe -The power of Cooperation, Cooperatives Europe key figures 2015, April 2016, p. 46.

ბიზნესზე ორიენტირებულია. პოლონეთის 2004 წელს ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, შეთავაზებულ იქნა უფრო მეტი სუბსიდირებისა და ფინანსური უზრუნველყოფის სქემა, შედეგად, ახალი ჯგუფები გამოჩნდნენ, რომლებიც უმეტესად სუბსიდიის მიღებაზე იყვნენ ორიენტირებულია.<sup>208</sup>

პოლონეთში კოოპერატივების საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად აუცილებელ წინაპირობას ნდობაზე დამყარებული ლიდერობა წარმოადგენდა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, განვითარება პოლონეთში სოციალისტური თარგის მიხედვით გრძელდებოდა. თუმცა, კოლექტივიზაცია მწვავე წინააღმდეგობას შეეჯახა პოლონელი ფერმერების მხრიდან და რამდენიმე წლის შემდეგ უშედეგოდ დასრულდა. ოჯახური ფერმერული მეურნეობის სისტემა ექვემდებარება ცენტრალურ დაგეგმვას, რომელიც არ იძლეოდა საშუალებას მომხდარიყო დინამიური შრომის, დანახარჯების, პროდუქტისა და ფაქტორების ბაზრების ინსტიტუციონალიზაციას. შესაბამისად, სოციალისტური ეპოქის დროს პოლონეთში ოჯახური მეურნეობის სტრუქტურა მეტ-ნაკლებად გაფინანსდი იყო. 1990 წლისათვის პოლონეთის სამუშაო ძალის 25% კვლავ აგრარულ სექტორში იყო დასაქმებული.

როგორც აღინიშნა, პოლონეთში ყველაზე კრიტიკულ მომენტს კოოპერატივების საქმიანობაში ლიდერის როლი წარმოადგენს. ნათელია, რომ პოლონეთში გამოვლენილი ლიდერები ითავსებენ რამდენიმე სხვადასხვა როლს, მაგალითად, ადგილობრივი სოციალური ლიდერის, გამგეობის თავმჯდომარისა და მენეჯერის როლებს. პოლონური გამოცდილება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კოოპერატივის პროფესიონალი ორგანიზაციონი უნდა იყოს არა ის ვინც არის ფერმერი და კოოპერატივის წევრი, არამედ წარმოადგენს კოოპერატივის აუტსაიდერს და გამოირჩევა კარგი განათლებით, პროფესიული უნარითა და საკმარისი მოტივაციით, რომელიც უზრუნველყოფილია ადგვატური ანაზღაურებით. თუმცა ეს აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი პირობა, რადგან კოოპერატივების ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკური დონისძიებებით, რომელიც დამყარებულია და გათვლილია საშუალოვადიან მხარდაჭერაზე.<sup>209</sup>

პოლონეთი ევროკავშირს 2004 წელს შეერთდა, მისი წილი ევროკავშირის მთლიან გამოშეებაში 2013 წელს შეადგენდა 5.8%-ს (22 მლნ. ევრო). ცალ-ცალკე მემცნებელების მიმართულებით პოლონეთს ევროკავშირის 5.8% ეკავა, ხოლო

<sup>208</sup> Support for Farmers' Cooperatives, Final Report - European Commission, Netherlands, November 2012, p. 34.

<sup>209</sup> იხ. იქვე, გვ. 91.

მეცხოველეობას 6.5%. დამატებითი ღირებულების შექმნის პუთხით პოლონეთმა ევროკავშირში 5.6%-ი შექმნა (8,806.9 მლნ. ევრო).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობის დინამიკის თვალსაზრისით, პოლონეთში შემდეგი სურათი იყო 1989-2009 წლებში: 1989 წელი – 8133, 2000 – 4741, 2007 – 3840, 2009 – 2931. ფაქტია, რაოდენობა 10 წლიან ჭრილში თანდათანობით განახევრდა, მაგრამ აღნიშნულმა განაპირობა თავად კოოპერატივების ეფექტიანობის ზრდა. პოლონეთში 9,552 კოოპერატიული ერთეულია რეგისტრირებულია, 8 მილიონი წევრით, 300 ათასი დასაქმებულით (აქედან 170 ათასი ქალია). აღნიშნული კოოპერატივების წლიური ბრუნვა 14.5 მილიარდი ევროა. კოოპერატივებში, რაოდენობრივ ჭრილში, მეორე ადგილზეა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები (2,991 ერთეული), წლიური 7.1 მილიარდიანი (ევრო) ბრუნვით. წევრების 317 ათასიანი, ხოლო დასაქმებულთა 88 ათასიანი რაოდენობით.<sup>210</sup>

**საკანონმდებლო გარემო.** პოლონეთში აღნიშნული კოოპერატივები რეგულირდებიან აქტით სოციალური კოოპერატივების შესახებ, ევროკავშირის აქტით ევროპული კოოპერატივების საზოგადოების შესახებ. ძირითადი საკანონმდებლო აქტით, რომელიც ეხება ყველა ტიპის კოოპერატივებს და, ასევე, აქტით, რომელიც შეეხება საკრედიტო ინსტიტუტების რეგულაციებსა და სხვა. აგრარულ სექტორში საკონონმდებლო დონეზე განსაზღვრულია წევრების მინიმალური აუცილებელი რაოდენობა - 5 წევრი. მინიმალური კაპიტალი განისაზღვრება ერთი პაის ოდენობით, რომელსაც კონკრეტული კოოპერატივის საერთო კრება დაადგენს.

**მმართველობისადმი მიღება.** ერთი წევრის მიერ ერთი ხმის უფლება მოქმედებს ისეთ კოოპერატივებში, რომელთა წევრები ფიზიკურ პირებს წარმოადგენენ. გავრცელებულია ორდონიანი სისტემა, რომელიც შედგება: საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატისაგან.

## რუმინეთი

რუმინეთი ოდესდაც მარცვლეულის პუთხით ევროპაში ყველაზე უხემოსავლიან მხარედ განიხილებოდა, დღესდღეობით კი პროდუქციის წმინდა იმპორტიორია. სასოფლო-სამეურნეო ასოციაციების პრივატიზაციისა და 2004 წელს მიღებული კანონის თანახმად შესაძლებელი გახდა სასოფლო-სამეურნეო

<sup>210</sup> DEVELOPMENT OF AGRICULTURAL COOPERATIVES IN THE EU 2014, European agri-cooperatives (Cogeca), Brussels, 2015, p. 86.

კოოპერატივების დაფუძნება. ასოციაციები უმეტესწილად სოციალისტური კოოპერატივების შთამომავლებსა და გზის გამგრძელებლებს წარმოადგენენ, შესაბამისად, მათი ბეჭია ნელ-ნელა ბაზრიდან გაქრობა. რაც შეეხება კოოპერატივებს, მათი რიცხვიც ბოლო პერიოდში საგრძნობლად მცირდება – 2005 წლიდან 108 ერთეული 2010 წელს 68 კოოპერატივამდე შემცირდა. ყველა მათგანი საქმიანობას ფერმერულ მეურნეობებში წარმოების მხრივ ახორციელებდა და არა მარკეტინგის განვითარების მიმართულებით. ასევე, რუმინეთში 150 მწარმოებელი ორგანიზაცია და მწარმოებელთა გაერთიანებაა, ძირითადად ხილისა და ბოსტნეულის მიმართულებით. ბოლო პერიოდში თანხდათანობით იზრდება სასოფლო-კოოპერატივების მიმართ დაინტერესება, მათთვის დაწესებული საგადასახადო გამონაკლისებისა და შედავათების გამო. ასევე, ევროპულ ფონდებზე ხელმისაწვდომობის გაადვილების კუთხით, არსებული პრეფერენციების გავლენით.<sup>211</sup>

რუმინეთის ისტორია დიდი ხანია იცნობს კოოპერატივებს, ჯერ კიდევ 1889 წლიდან, კოოპერატივების განვითარებამ პიკს მიაღწია 1989 წლის რევოლუციამდე, თუმცა მათთვის დამახასიათებელი ელემენტები და პრინციპები განსხვავდებოდა დასავლური გამოცდილებისგან. 1989 წლის შემდგომ მოიშალა აგრარულ სექტორში ინფრასტრუქტურა. არარსებობდა ერთიანი გავნითარების სტრატეგია, რამაც უკუქცევის პროცესი გამოიწვია. პროგრესი დაიწყო 2004 წლის საკანონმდებლო აქტის შემუშავებით, რომელიც ნამდვილი ევროპული კოოპერატივების ძირითად პრინციპებს ემყარებოდა. თუმცა, რუმინეთს სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, წინ საკმაოდ გრძელი გზა აქვს გასავლელი, მას ამ მხრივ ჯერ კიდევ მცირე ნაბიჯები აქვს გადადგმული.

რუმინეთში კოოპერატივების დაფინანსების პრობლემაა. ბანკიდან დაფინანსება საკმაოდ პრობლემატურია. ისინი ბანკების მიერ აღიქმებიან ჩვეულებრივ, როგორც სხვა იურიდიულ პირები. მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

რუმინეთი ევროკავშირს 2007 წელს შეუერთდა, აგრარული სექტორის სტატისტიკური მაჩვენებლები 2003-2010 წლებში მცირდით შეიცვალა: ჰოლდინგების რაოდენობა შემცირდა 14%-ით (3,859,040), დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი გაიზარდა 4.5%-ით (13 მლნ. ჰა.), დასაქმებულთა რაოდენობა აგრარულ სექტორში შემცირდა 19.4%-ით (7 მლნ.), საქონლის სულადობა 24.9% (5.4

<sup>211</sup> Support for Farmers' Cooperatives, Final Report - European Commission, Netherlands, November 2012. p. 35.

მლ6.) შემცირდა, საშუალო დამუშავებული მიწის ფარდობი ერთ პოლდინგზე გაანგარიშებით გაიზარდა 11%-ით (3.4 ჰა.). აღნიშნული მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე 3.1%-ით (0.62 ჰა.) შემცირდა.

რუმინეთის აგრარული სექტორის გამოშვებას ევროკავშირის მთლიან გამოშვებაში 4.4% უჭირავს (16,525.9 მლნ. ევრო). ძირითადი დატვირთვა მოდის მემცენარეობის მიმართულებაზე 75%, დანარჩენს მეცხოველეობა იკავებს 25%-ს. ევროკავშირის დონეზე პირველს უკავია 6%, ხოლო მეორეს 2.4%. დამატებით დირებულებაში რუმინეთის წილი 5%-ია.

რუმინეთში კოოპერატივების რაოდენობა შეადგენს 1,688 ერთეულს, 674 ათასი წევრით. აღნიშნული კოოპერატივების მიერ დასაქმებულია 15 ათასი ადამიანი, ხოლო, წლიური ბრუნვა 302 მილიონ ევროს შეადგენს. აღნიშნულ კოოპერატივებში 68 არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, წლიური 204 მილიონი ევროს ბრუნვით.<sup>212</sup>

**საკანონმდებლო გარემო.** რუმინეთში აღნიშნული კოოპერატივები რეგულირდებიან კანონით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, კანონით რომელიც შეეხება საკრედიტო კოოპერატივებისა და საკრედიტო ინსტიტუტების რეგულაციებს, ასევე, კანონი, რომელიც არეგულირებს წარმოებისა და მომსახურების კოოპერატივების, ასევე, სამომხმარებლო და საცალო კოოპერატივების საქმიანობას. აგრარულ სექტორში საკონონმდებლო დონეზე განსაზღვრულია წევრების მინიმალური აუცილებელი რაოდენობა - 5 წევრი. მინიმალური კაპიტალი პირველი დონის კოოპერატივებისთვის განსაზღვრულია 114 ევრო, ხოლო მეორე დონის კოოპერატივებისთვის 2,275 ევრო.

ასევე, განსაზღვრულია პირველი და მეორე დონის კოოპერატივების დეფინიციები. პირველი დონის კოოპერატივი აერთიანებს ფიზიკურ პირებს ან ინდენტურმეებს, ხოლო მეორე დონის კოოპერატივის წევრი იურიდიული პირებისგან შედგება.

**მმართველობისადმი მიღება.** ერთი წევრის მიერ ერთი ხმის უფლება, გავრცელებულია ორდონიანი სისტემა: საერთო კრება და ადმინისტრაციული ბორდი.

საბოლოოდ შეგვიძლია გთქვათ, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ფერმერთა კოოპერატივები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სურსათის მიწოდების ჯაჭვში დამატებითი ღირებულების საკმაოდ მაღალი წილის შექმნის თვალსაზრისით.

<sup>212</sup> Cooperatives Europe -The power of Cooperation, Cooperatives Europe key figures 2015, April 2016, p. 92.

აგრარული სექტორის ზოგიერთ მიმართულებაში კოპერატივები საკმაოდ მძლავრი საბაზრო ძალის მქონე ერთეულებს წარმოადგენენ და მთელი ბაზრის წილის 40% უკავიათ. თავისთავად, ევროკავშირის წევრ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ყველაზე სუსტი რგოლი ამ მიმართულებით კოპერატივის სწორ მართვასთან დაკავშირებით არსებული გამოცდილებაა, რაც საქართველომაც უნდა გაითვალისწინოს. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში უმეტესწილად პრობლემა იქმნება კომუნისტური რეჟიმის მემკვიდრეობიდან გამომდინარე არასწორი მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბების ტენდენციის, შესაბამისი ლიდერის არყოლის და ნდობის ნაკლებობის გამო. გამოსავალი, ხშირ შემთხვევაში, კოპერატივისგან დამოუკიდებელი პროფესიონალი კადრის დაქირავებაა, რომელიც კოპერატივისთვის ბიზნესზე ორიენტირებულ სწორად გათვლილ სტრატეგიას შეიმუშავებს და მისი საქმიანობა და მოტივაცია სრულად იქნება დამოკიდებული კოპერატივის წარმატების შესაბამისად ფორმირებულ ანაზღაურებაზე.

## დასკვნები და რეკომენდაციები

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში 2013 წლამდე საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი მთავრობას მიტოვებული პქონდა, რასაც თან სდევდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის უწყვეტი შემცირება, აღნიშნული გამოიხატებოდა ნათესი მიწის ფართობების შემცირებით და სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების დაცემით, ასევე, იმპორტზე დამოკიდებულების ზრდით. 2013 წელს შემუშავდა სახელმწიფოს ახალი სტრატეგია აგრარული პოლიტიკის მიმართულებით და მრავალი ახალი საკანონმდებლო ინიციატივა იქნა წარმოდგენილი. ამასთან ერთად, ამავე წელს ბიუჯეტით სოფლის მეურნეობის დაფინანსება 61.8%-ით გაიზრდა. სახელმწიფოს ახალმა მიდგომამ ნამდვილად დადებითად იმოქმედა აგრარულ სექტორში მეტი საკრედიტო რესურსის მოზიდვის, აგროდაზღვევის ხელშეწყობის, ეკონომიკურის შესაბამისი სტანდარტების დანერგვისა და გამოშვების ზრდის კუთხით. თუმცა, აღნიშნული მიმართულებით პკლავაც ბევრი საკითხი რჩება, რასაც სათანადო მიდგომა და შესაბამისი დროული ღონისძიებებით რეაგირება ესაჭიროება, სახელდობრ:

1. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ეკროკავშირის გამოცდილების გაზიარება აგრარული სტრატეგიის განხორციელებისას. აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ეკროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკის სისუსტე – “საბაზო პრინციპების იგნორება”. მასშტაბის ეკონომიკისა და პროდუქციის რაოდენობის მიხედვით სუბსიდირებამ გამოიწვია ბაზარზე მიწოდების სიჭარბის ფორმირება და შეიქმნა ე.წ. “სურსათის მთები”. ანალოგიურად, სურსათის ექსპორტი გაიზარდა მას შემდეგ, როდესაც შემცირდა სურსათის ექსპორტის პირდაპირი სუბსიდირება; მოცემული ცხადპყოფს, რომ აუცილებელია სამოქმედო გეგმის შესაბამის მომენტში დროული ცვლილება და სიტუაციასთან ადაპტირება საბაზო ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად;

2. მიუხედავად ინტეგრაციისა, ეკროპის დასავლურ ნაწილსა და აღმოსავლეთ ეკროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა აგრარული სექტორის განვითარების კუთხით. აღმოსავლეთ ეკროპის ქვეყნებმა ნამდვილად დიდი წარმატებით დაძლიერ ბევრი წინააღმდეგობა, რაც საქართველოსთვის ასე ნაცნობია. თუმცა, სხვაობა ძველ და ახალ წევრებს შორის პკლავ რჩება დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთების რაოდენობის, პროდუქტიულობის,

განხორციელებული ინვესტიციებისა და ტექნოლოგიური გადაიარაღების კუთხით, რაც ძირითადად განპირობებულია სექტორის დაფინანსების დისპროპორციებით. თუ გავითვალისწინებთ EU15-ისა და EU13-ის ფერმერების საწყის ათვლის წერტილს, ახალი წევრი ქვეყნების აგრარული სექტორი არამომგებიან პირობებში იმყოფება. მიუხედავად ზრდის დიდი პოტენციალისა, დაფინანსების სიმცირე ძველ წევრ ქვეყნებთან შედარებით ზრდის იმ მასშტაბებს ვერ აღწევს, რაც შესაძლებელია ჩამორჩენილობის გასათანაბრებლად. მოცემული საქართველოსთვის გასათვალისწინებელი პირობაა სახელმწიფოს მიერ სექტორის ფინანსური უზრუნველყოფის აუცილებლობისა და ევროკავშირში შემდგომი ინტეგრაციის სურვილიდან გამომდინარე;

3. საქართველოში აგრარულ სექტორთან მიმართებით შემდგომი კვლევებისა და განვითარების სურათის უკეთ დანახვის მიზნით, ასევე საერთო სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების, დანერგვისა და შედეგების შეფასებისათვის, აუცილებელია ევროკავშირის მიერ შემუშავებული სპეციალური ინდიკატორების დანერგვა და გამოყენება (საუბარია ევროკავშირის CAP პოლიტიკის მთავარ 45 ინდიკატორზე). მოცემული ასევე გაადვილებს საქართველოს ამ სექტორში განვითარების ტენდენციების ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაჩვენებლებთან ურთიერთშედარებას;

4. აქევ აუცილებელია შეგეხოთ კონგრგენციის ფაქტორს, როგორც კვლევამ აჩვენა დიდია EU13-ის კონგერგენცია EU15-თან მიახლოების. განსხვავება სხვადასხვა ქვეყნის მიერ მოცემული სხვაობის დაფარვის პერიოდებს შორის საკმაოდ გარიოებს 8-33 წლებში. თუკი საქართველოს დღევანდელ პოზიციას განვიხილავთ ბულგარეთთან მიმართებით, პერიოდი ერთი-ორად გაიზრდება და შესაძლოა EU15-თან მიმართებით სხვაობის დასაფარად საკმაო დროც კი დასჭირდეს. მოცემული თავისთავად ეხება აგრარული სექტორის ევროკავშირის ბაზართან ჰარმონიზაციის თემატიკასაც. ამ ეტაპზე აუცილებელი ნაბიჯების გადადგმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია;

5. აგროკრედიტების მიღების მსურველთა ნაწილი სახელმწიფოს პროგრამის „შედაგათიანი აგროკრედიტის“ ფარგლებში სესხს როგორც საჩუქარს ისე აღიქვამს, ამიტომ ხშირია საფინანსო ინსტიტუტების მიერ ფერმერთა დიდი ნაწილისთვის დაფინანსებაზე უარის თქმა. რეგიონებში განათლების პრობლემაა, ფერმერებს ბიზნესმენად ჩამოყალიბებისათვის საჭირო ცოდნა არ გააჩნიათ. ისინი, უმეტესად, ვერ ახერხებენ საკრედიტო რესურსის მოპოვებისათვის საჭირო გათვლების

წარმოებას, ბიზნეს-გეგმის შედგენასა და, ასევე, შემოსავლების შესაბამის აღრიცხვას. ამ შემთხვევაში ბანკებისათვის იზრდება სესხის არ დაბრუნების რისკი და უარს აცხადებენ მსგავსი პროექტების დაფინანსებაზე;

6. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნების დაკრედიტებაში ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი არის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიშორე საბანკო და საფინანსო მომსახურების წერტილებიდან. რაც ნამდვილად შეიძლება გახდეს პრობლემა ბევრი სოფლად მცხოვრები ფერმერისათვის. ბანკების სიშორე აგრომეწარმეებისაგან შეიძლება ჩავთვალოთ დროის ფაქტორად, რადგან დღეისათვის საბანკო სფერო საკმაოდ სწრაფად იზრდება და ფართოვდება მისი არეალი. უამრავი ბანკი ინტენსიურად მუშაობს საკუთარი ფილიალთა ქსელის გაფართოებაზე, შესაბამისად, მოცემული პრობლემა გადაჭრას ექვემდებარება სულ მოკლე დროში;

7. როგორც აღნიშნეთ, უმეტეს შემთხვევაში დაბალია ფერმერთა ფინანსური და ტექნოლოგიური ცოდნის დონე, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოთ მათ როგორც ბიზნეს-გეგმების, ასევე, ფინანსური დოკუმენტაციის მომზადებაში, რაც კრედიტის მიღებაში მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. თანამედროვე აგროტექნოლოგიური პროცესებისა და აგრორისკების მართვის არასრულყოფილი ცოდნა აგრობიზნესის განვითარებაზე უარყოფითი ზეგავლენის მატარებელია. ცოდნის მხრივ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვა პირობებთან ერთად, EU13-სა და EU15-ში ფერმერთა და დასაქმებულთა ცოდნის დონეს შორის სხვაობა სექტორის პროდუქტიულობას შორის დიდ დისპონირების განაპირობებს. არსებობს რამდენიმე საკონსულტაციო ჯგუფი და ორგანიზაცია, რომლებიც ამ კუთხით მუშაობენ (მაგალითად „სფა ეკო-ფერმა“), თუმცა მათ ხელთ არსებული რესურსები არასაკმარისია და არ არის მზად მასობრივი კონსულტაციებისათვის. აუცილებელია ჩამოყალიბდეს თანამედროვე ტექნოლოგიების კუთხით აგრარული ცოდნის ცენტრალური ბირთვი. მაგალითად, ევროკავშირი დღეისათვის სწორედ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სწავლება-დანერგვაზე ამახვილებს ურადღებას, რაც საშუალებას იძლება მიიღწეს მაქსიმალური შედეგი მცირე რესურსების პირობებში (Horizon 2020 - ის ინოვაციებისა და კვლევების ბიუჯეტიდან 2014-2020 წლებისათვის სოფლის მეურნეობის მიმართულებით გათვალისწინებულია 4 მილიარდი ევრო);

8. თავისთავად, მისასალმებელია სახელმწიფოს მხრიდან აგროკრედიტების ხელშეწყობის პროექტების განხორციელება, ერთი შეხედვით თვალის გადავლებაც

კი იმის საფუძველს იძლევა, რომ განხილულმა ღონისძიებებმა წინაპირობა შექმნეს აგროსექტორში მეტი საკრედიტო ოესურსის გამოყოფისათვის. გაიზარდა კომერციული ბანკების მიერ გაცემული აგროსესხების პორტფელი. რაც შეეხება აგრარული სექტორის მიხედვით გაცემული სესხების მოცულობების ცვლილების დინამიკას, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ყველაზე არასტაბილური მაჩვენებელი. ასევე, 2013 წლიდან სახელმწიფოს პოლიტიკის მასშტაბურმა ცვლილებამ და დაკრედიტების პროგრამებმა საგრძნობი ზრდა გამოიწვია აგრობიზნესის პროდუქციის გამოშვების მიმართულებით. თუმცა, თუ 2013 წელს ზრდა 14.4% იყო, 2014 წელს 5.5%-ს გაუტოლდა და ზრდის მასშტაბური ეფექტი მოკლევადიანი იყო.

აგრარულის სექტორის მიხედვით დოლარში დენომინირებული სასესხო პორტფელის სიჭარბე ლართან მიმართებით უარყოფითი ტენდენციის მატარებლად უნდა აღვიქვათ. აგრარული სექტორისთვის სარეალიზაციოდ ძირითადად ადგილობრივი ბაზარი განიხილება, შესაბამისად, აგრარული სექტორისთვის შემოსავალი ლარში ფიქსირდება, ხოლო სესხის შესაბამისი გადახდების წარმოების შემთხვევაში ფერმერი თუ საწარმო სავალუტო რისკის წინაშე დგება ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ცვლილების სიხშირის გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ 2016 წლის სახელმწიფო პროგრამებში ცვლილება შევიდა სესხების ლარში გამოხატვის აუცილებლობასთან დაკავშირებით;

9. მიზანშეწონილი იქნება, თუ დაუყოვნებლივ დაიწყება მზადება მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ ფერმერთა საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და ჩართვისათვის ამ პროცესებში, რომლებიც აგრარული საქმიანობის თანამონაწილეებიც იქნებიან და რომლებთანაც ფერმერებს გაცილებით კორპორატიული ურთიერთობები ექნებათ, მაგალითად სასოფლო-საკრედიტო კავშირების სახით (მაგალითად, „ხუცუბანი“). ასეთმა ორგანიზაციებმა დაკრედიტების პროცესში თანდათან უნდა ჩაანაცვლონ ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;

10. ბევრ ფერმერს უჭირს აგროსესხის საგარანტიო უზრუნველყოფის მოძიება, რის გამოც მისი ბიზნესისათვის საჭირო რაოდენობის კრედიტს ვერ იღებს. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც არის, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწას საქართველოში დაბალი ფასი აქვს, ასევე, დაურეგისტრირებელი მიწის პრობლემები. ამ შემთხვევაში გამოსავალი მიწის იჯარით გაცემის ხელშეწყობა და მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის სათანადო დონეზე განხორციელებაა;

11. დიდია იმის ალბათობა, რომ “შეღავათიანი აგროკრედიტის” მესამე კომპონენტში მონაწილე მსხვილი კრედიტის მსურველი აგროსამრეწველო კომპლექსის მეწარმეების ყველაზე დიდი პრობლემა იქნება ადგილობრივ ბაზარზე დამკვიდრება, ან საექსპორტო ბაზრების მოძიება. მაღალი კონკურენციისა და მონოპოლიებისაგან ბაზრის დაუცველობის გამო, ბევრი თავს აარიდებს კრედიტის აღებას, რადგანაც დიდია გაკოტრების რისკი. კრედიტის აღებამდე კი კრედიტოფიცრებმა კარგად უნდა განუმარტონ, თუ რა რისკებზე მიღიან;

12. გარდა ამისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსავლის დროული აღების, შენახვისა და რეალიზაციის პრობლემების გადაჭრა. თუ ადგილობრივი წარმოების პროდუქციის თვითდირებულება ისევ იმაზე მეტი ადმოჩნდება, ვიდრე იმპორტირებული პროდუქციის საცალო ფასი, ნაკლებად მსყიდველობითუნარიანი მოსახლეობა ისევ იაფფასიან იმპორტირებულ პროდუქციას შეიძენს. ადგილობრივი წარმოების პროდუქტი კი კვლავ არ გაიყიდება და ამდენი ძალისხმევაც წყალში ჩაიყრება. როგორც მოხდა ატმის მოსავალთან დაკავშირებით, როცა რეალიზაციის პრობლემების გამო ფერმერებმა ვერ შეძლეს მიღებული მოსავლის 10 თეთრადაც გაფიდვა. ეს არის იმის მაგალითი, რომ ქვეყანაში აუცილებელია სასოფლო ნედლეულის გადამამუშავებელი ქარხნების არსებობა, სხვაგვარად სასოფლო ნედლეულის წარმოების ზრდა არ არის მხოლოდ წარმატების საწინდარი. მოცემულმა შეიძლება უკუპროცესიც კი გამოიწვიოს.

13. ლიზინგის სფეროს განუვითარებლობა. აგრარულ სექტორში ლიზინგის გამოყენება უდაბდ დადებითად იმოქმედებს აგრომეწარმეების საქმიანობაზე. აღნიშნულ საკითხზე მუშაობა წარმატებით განხორციელდა და მოხდა მოცემული კომპონენტის „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში“ ჩართვა, თუმცა, სახელმწიფო პროექტების მიხედვით დადებული სალიზინგო ხელშეკრულებების რაოდენობა ჯერ კიდევ მცირეა;

14. თავდაპირველად, ყველაზე უფრო მასობრივი იაფი აგროკრედიტების პროგრამაში პირველი კომპონენტი იყო - 5000 ლარამდე უპროცენტო განვადება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შესაძენად, რადგანაც იგივე საქმიანობის განსახორციელებლად წინა წლებში ფერმერებს 24-36%-იანი სესხის აღება უხდებოდათ. შემდგომ ეტაპზე პროექტიდან ამოღებულია აღნიშნული კომპონენტი და დაფინანსების პროექტები ძირითადად მსხვილი საწარმოებისა და ფერმერული მეურნეობების სასარგებლოდ არის მოდიფიცირებული. იქიდან გამომდინარე, რომ აგრარულ სექტორში მეურნეობათა 80%-ზე მეტი მცირე საოჯახო მეურნეობაა,

აღნიშნული ფაქტორი მცირე მეურნეობებს ვერ მოიცავს. ამ შემთხვევაში გამოსავალი კოპერაცია და გამსხვილების შემდგომ შესაბამისი კრედიტის მოპოვება.

15. ცალსახაა, რომ აგრარული სექტორის გამოშვების მაჩვენებელსა და საბიუჯეტო დაფინანსების ოდენობას შორის მჭიდრო კორელაცია არსებობს, რაც დასტურდება ჩვენს მიერ განხილული რეგრესიული მოდელის ანალიზის მეშვეობითაც. აღნიშნული  $\hat{y} = 1892.5 + 5.311x$  მოდელის მიხედვით,  $\alpha$  პარმეტრი გამოხატავს შედეგობრივი  $\hat{y}$  ის მნიშვნელობას, როდესაც  $x = 0$ , ანუ როდესაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბიუჯეტო დაფინანსება 0-ის ტოლია, აგრარული სექტორის გამოშვება 1892.5 მლნ ლარს შეადგენს. აღნიშნული განპირობებული, თავისთავად, სხვა ფაქტორებით რომელიც ამხსნელ ცვლადზე ზემოქმედებენ, როგორიც შეიძლება იყოს საინვესტიციო გარემო, კერძო ბიზნესის დაინტერესება აღნიშნულ სექტორში თუ სხვა. რაც შეეხება  $b$  პარამეტრს, იგი გამოხატავს შედეგობრივი ცვლადის მოსალოდნელი მნიშვნელობის ნაზრდს  $x$ -ის ერთი ერთეულით ცვლილებისას. შედეგად კი, მოდელით შეგვიძლია განვსაზღვროთ - საბიუჯეტო დაფინანსების ერთი მილიონი ლარით გაზრდა, სოფლის მეურნეობის მთლიანი გამოშვების 5.311 მილიონიან ზრდას იწვევს და დადგებით ურთიერთკავშირში იმყოფება. თუმცა, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება საბიუჯეტო დაფინანსების ზრდისას საბიუჯეტო პროგრამებს შორის სახსრების გადანაწილების საკითხს – დაფინანსება აუცილებლად უნდა იქნას მიმართული გრძელვადიან აქტივებზე, ცოდნასა და ტექნოლოგიაზე. აღნიშნული პროპორციის დაბალანსების შემთხვევაში შესაძლებელია  $b$  პარამეტრის მაჩვენებლის ზრდა და საბიუჯეტო სახსრების ერთი ერთეულით გაზრდის შემთხვევაში საშედეგო მაჩვენებლის (სოფლის მეურნეობის გამოშვება) მოსალოდნელი ნაზრდი გაცილებით მეტი იქნება.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ 2014-2015 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გარკვეულ ქვეპროგრამებზე გამოყოფილი სახსრების ათვისება სრულად ვერ განხორციელდა, თუმცა, 2016 წელს აღნიშნული პროგრამებისთვის ასიგნებების ზრდა დაიგეგმა. მაგალითად, 2016 წელს პკლავ გეგმის შესრულებლობის გამო მთავრობამ მოახდინა საბიუჯეტო ასიგნებების ცვლილება - „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებების“ ფარგლებში დარჩენილი 13 მლნ. ლარი მიმართული იქნა „შედავათიანი აგროკრედიტების“ ქვეპროგრამაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან ყურადღება მიექცეს

წლის განმავლობაში ქვეპროგრამებს შორის საბიუჯეტო სახსრების განაწილების საკითხს და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მხედველობაში იქნას მიღებული გასული წლების გამოცდილება, რათა მსგავს ხარვეზებს ადგილი არ ჰქონდეს და მოხდეს გრძელვადიან ზრდაზე ორიენტირება;

16. სადაზღვევო კომპანიებისათვის აგრარული სექტორის დაზღვევა ძალიან სარისკო და ზარალიანია. უდავოა, რომ სახელმწიფოს თანამონაწილეობამ ხელი შეუწყო ამ მხრივ საქმის დაძვრას. თუმცა თავდაპირველ ეტაპზე პროგრამა ბევრი ორგანიზაციული და ტექნიკური პრობლემის წინაშე დადგა, რაც მოუმზადებლობით იყო გამოწვეული. აუცილებელია ამ კუთხით როგორც სააგენტოს, ასევე სადაზღვევო კომპანიების შეთანხმებული მუშაობა;

17. აუცილებელია ეპროკავშირში არსებული ერთიანი რისკმენეჯმენტის სისტემის შეფასება (სისტემა აერთიანებს სადაზღვევო პრემიის სუბსიდირების, ურთიერთდახმარების ფონდებისა და შემოსავლების სტაბილურობის ხელშემწყობისტრუმენტებს) და საქართველოსათვის განხილვის დღის წესრიგში დაყენება;

18. აგროდაზღვევის საკითხის განხილვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ფერმერთა დაზღვევისადმი დამოკიდებულება და მათი გადახდისუნარიანობა. ერთია ნდობა სადაზღვევო კომპანიისადმი და სურვილი გქონდეს დაზღვევა, მეორე, რამდენად არის ამის ფინანსური შესაძლებლობა. თავისთავად, სახელმწიფოს მიერ დაზღვევის პრემიის სუბსიდირების პროექტი წინ გადადგმული ნაბიჯია, როგორც სადაზღვევო სექტორის განვითარების, ასევე, აგრარული სექტორის ფინანსური სიმყარის შექმნის კუთხით. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ აგროდაზღვევის საპილოტე პროექტის ნაჩეარევად ჩატარების ფაქტორსა და განხორციელების პროცესში ორივე მხარის (სააგენტო და სადაზღვევო კომპანიები) მიერ დაშვებულ შეცდომებს, თავდაპირველ ეტაპზე, ამას უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეეძლო ფერმერთა სტიმულებსა და მზადყოფნის განწყობაზე, განმეორებით ჩართულიყვნენ პროექტში, ასევე, სადაზღვევო კულტურის დონის ამაღლების კუთხით იმ ეფექტის მატარებელი არ აღმოჩნდა, რაც მოსალოდნელი იყო გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში. თუ გადავხედავთ 2014 წლისა და 2015 წლის მონაცემების ურთიერთშედარებას, ტენდენცია ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა. 2014 წელს აგროდაზღვევის წილი მთლიან სადაზღვევო სექტორში 4%-მდე გაიზარდა, 2015 წელს კი – მხოლოდ 1% შეადგინა;

19. ძალიან ბევრი სამუშაო აქვთ სადაზღვევო კომპანიებს მარკეტინგული თვალსაზრისით. ცალსახაა, რომ არა მარტო გარკვეული კომპანიისა და სადაზღვევო

პროდუქტის (აგროდაზღვევის) ცნობადობა წარმოადგენს პრობლემას, არამედ თავად დაზღვევის მნიშვნელობა და აუცილებლობა გაურკვეველი ფერმერებისთვის. საგანმანათლებლო კუთხით მუშაობა არა მარტო სადაზღვევო კომპანიების პრეროგატივაა, არამედ სახელმწიფოს ქმედითი ლონიძიებებითაც უნდა იყოს განმტკიცებული;

20. ტენდენცია შეინიშნება სადაზღვევო ბაზარზე მხოლოდ რამდენიმე სახის პროდუქტით ოპერირების. აუცილებელია მომხმარებელთა მოთხოვნილებების სიღრმისეული კვლევა და გათვალისწინება პროდუქტის შემდგომი დახვეწის ან სრულიად ახლის შეთავაზების მიზნით. კარგი იქნება, თუკი სადაზღვევო კომპანიები მოახერხებენ ინოვაციური პროდუქტების შეთავაზებას სწორად შერჩეული მარკეტინგული კომუნიკაციების საშუალებით. აგროდაზღვევასთან მიმართებით მათ შეუძლიათ დასავლური გამოცდილების გაზიარება, თუნდაც სიახლის კუთხით: ინდექსირებული დაზღვევა წარმოადგენს სადაზღვევო ბაზარზე შეთავაზებულ ინოვაციას, რომელიც დაფუძნებულია ფასისა და აქტუარული გათვლების თანწყობაზე, კონკრეტული რეგიონისთვის მინიჭებული ინდექსისათვის. მოცემული სადაზღვევო პროდუქტი მოიცავს სატელიტური რუკის გამოყენებით რეგიონებისთვის დამახასიათებელი მეტეოროლოგიური რისკფაქტორების განსაზღვრას და მათვის შესაბამისი ინდექსის მინიჭებას. პროდუქტი საფასო შკალის დიფერენცირების საშუალებას იძლევა თითოეული რეგიონისთვის რისკფაქტორების დონის მიხედვით. სტიქიური მოვლენების პროგნოზირებისა და რისკფაქტორების სრული სურათის შესაქმნელად, აუცილებელია მუდმივი და მყარი თანამშრომლობის ჩამოყალიბება გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან. თანამშრომლობის პირობებში შესაძლებელია სადაზღვევო რისკფაქტორების მიხედვით რუკების შედგენა რეტროსპექტული და საპროგნოზო ანალიზისათვის. მისასალმებელი იქნება აგროდაზღვევის საინფორმაციო პლატფორმის ფორმირება, რომელიც გააერთიანებს სისტემაში ჩართული კონტრაგენტებისგან მიღებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირებს ანალიზისთვის საჭირო საინფორმაციო მასალით. ასევე, პროგრამაში ინტეგრირებული მონაცემთა ბაზის მეშვეობით მოხდება რისკების განსაზღვრა და სატარიფო ბაზის შედგენა;

21. აგროდაზღვევისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასაზღვევი და დაზღვეული მიწის ნაკვეთის ზუსტი კოორდინატების განსაზღვრას. ამისათვის რამდენიმე მეთოდი გამოიყენება: რეესტრის ამონაწერი, სადაც მითითებულია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი და აღნიშნულია საკადასტრო რუკა და GPS

კოორდინატები. საქართველოში საჯარო რეესტრირებული მიწის ნაკვეთების სიმცირე დაზღვევისას აუცილებელს ხდის GPS კოორდინატების ჩაწერის სისტემის გამოყენებას. კოორდინატის ფორმატირების სხვადასხვა სისტემის (**DMS**), (**DMM**), (**DD**)) გამოყენება და ერთ კონკრეტულ პლატფორმაში/სისტემაში შეტანა, რომელიც მხოლოდ ერთ კონკრეტულ ფორმატზეა მორგებული, განაპირობებს არასწორი საბოლოო კოორდინატების ჩვენებას. შედეგად, სადაზღვევო კომპანიას დაზღვეული აქვს პოლისში მითითებული მიწის ნაკვეთისგან განსხვავებული ნაკვეთი. აღნიშნულ შემთხვევაში გამოსავალი GOOGLE MAP-თან ავტომატურ რეკიმში წვდომის განხორციელება წარმოადგენს და შესაბამისი კოორდინატების მითითებით მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გადამოწმების მარტივი შესაძლებლობის გამოყენება. მოცემული აუცილებლად უნდა იყოს ინტეგრირებული პოლისის შესაბამის სააღრიცხვო პროგრამაში;

22. თანდათანობით აუცილებელია მეცნოველეობის დარგის დაზღვევაზე ფიქრი, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რაოდენობის წლიური ზრდა 3%-ს შეადგენს, ხოლო დაცემის პროცენტული მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელთან მიმართებით 3%-დან 30%-მდე მერყეობს. საკმაოდ დიდი ცვალებადობა ახასიათებს და თავისთავად საჭიროებს ფერმერი ამ კუთხით დახმარებას. მაგალითად, სახელმწიფო პროგრამაში ჯი პი აი პოლდინგის მიერ შემუშავებული პროდუქტის “მსხვილფეხა რქოსანი საქონლის დაზღვევის” ჩართვა თავდაპირველ ეტაპზე წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. სადაზღვევო პრემია 30 ლარს შეადგენს წლიურად და ანაზღაურებს საკმაოდ ბევრი რისკის შედეგად მიღებულ ზარალს;

23. აგროდაზღვევის პროექტით გათვალისწინებულია აგენტის საკომისიო მაქსიმუმ 20%. საშუალოდ საკომისიო პოლისების მიხედვით ვარირებს 10%-ის ირგვლივ, 20% მაქსიმუმის დაწესებით შესაძლებელია სადაზღვევო აგენტის სტიმულების დამახინჯება და სხვა სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის შემცირება. ანალოგიურად, მთლიანად სადაზღვევო კომპანიისათვის გარანტირებული მისაღები სუბსიდირებული პრემიის გავლენით საბაზრო სტიმულების დამახინჯების რისკიც საკმაოდ დიდია;

24. უნდა გამოიყოს კლიმატური ზონების მიხედვით კულტურული მცენარეები, რომლებიც კონკრეტულ ზონას (საქართველოსათვის დამახასიათებელია მსოფლიოში არსებული 14 კლიმატური ზონიდან 11 კლიმატური ზონა) მიესადაგება, ასევე მიწის ნიადაგის ტიპის მიხედვით განისაზღვროს კონკრეტული სასოფლო კულტურისათვის ხელსაყრელი მიწის ტიპი და რეგიონი. კლიმატური ზონების

მიხედვით მცენარის ზრდის ფიზიოლოგიური და კებებატიური სურათი განსხვავდება. მოცემული საშუალებას იძლევა კონკრეტულ მცენარესთან მიმართებით შემცირდეს კლიმატური პირობებით განსაზღვრული რისკფაქტორები და ხელი შეეწყოს მეტი მოსავლის მიღებას. არსებული ნიუანსის ჩართვა სადაზღვევო პოლისში გარკვეული რისკფაქტორების მიხედვით სადაზღვევო პოლისის ფასის დაწევის საშუალებას იძლევა;

25. ევროკავშირის აგროდაზღვევის სისტემის განხილვისას, აუცილებელია ევროკავშირის გადახდისუნარიანობის რეგულაციების განხილვა და თანდათანობით მიახლოება. ევროკავშირი 2016 წლის 1-ლი იანვრიდან გადავიდა Solvency II-ზე, რომელიც ახალ რეგულაციებს მოიცავს და ითვალისწინებს მინიმალური კაპიტალისა და მინიმალური სარეზერვო ფონდების ზრდას, ასევე ზედამხედველობასა და რისკების შესაბამისი მარჯების დაწესებას. საქართველოს სადაზღვევო სექტორი ამ რეგულაციებთან მიმართებით ჯერ კიდევ შორს იმყოფება. მინიმალური კაპიტალის სულ მცირე 2 მლნ. ლარი (არასიცოცხლის დაზღვევისთვის - 2015 წლის ცვლილება) ძალიან შორს არის მინიმალური სარეზერვო ფონდის - 3 მლნ. ევროსგან. აუცილებელია წინასწარ დროში გაწერილი გეგმა მინიმალური კაპიტალის თანდათანობით ზრდისთვის, რაც ასევე წინასწარ გაცხადებული იქნება სადაზღვევო კომპანიებისათვის წინასწარ თადარიგის დასაჭერად. მოცემული საკითხის გადაწყვეტა აუცილებელია, ერთის მხრივ, ევროკავშირის სტანდარტების დაცვის საჭიროებისათვის, მეორეს მხრივ, სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობისა და ფინანსური სტაბილურობის დონის ასამაღლებლად. რაც შეეხება გადახდისუნარიანობის მარჯის გათვლის ბაზისს, 2016 წლის ივნისიდან “დაზღვევის შესახებ” კანონში ცვლილება შევიდა და განისაზღვრა გადახდისუნარიანობის მარჯის გათვლის ბაზისი, რომელიც მიესადაგება ევროკავშირის 2009 წლის 2009/138/EC დირექტივის მოთხოვნებს, მოცემული საკითხის გადაწყვეტა ნამდვილად დადებითად უნდა შეფასდეს;

26. სადაზღვევო სექტორის აქტივები ნელი ტემპით იზრდება, ძალიან დაბალია კაპიტალიზაციის დონე და მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციები. მოცემული კი სხვა ზემოთ აღნიშნულ ფაქტორთან ერთად ცხადყოფს ერთს - ფინანსური მენეჯმენტის სისუსტესა და რისკების არასწორი შეფასების მაღალ მაჩვენებელს. ამ კუთხით ძალიან ბევრია გასაკეთებელი თავად კომპანიებისა და სახელმწიფოს მხრიდან. სახელმწიფოს ფუნქცია ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო მიმართულებით მაღალი სტანდარტების დაწესებას მოითხოვს და სადაზღვევო და

აქტუარული საქმიანობის მიმართულებით მაღალი დონის სპეციალისტების მომზადების ხელშეწყობასა და ლიცენზირებაში გამოიხატება;

27. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან დაკავშირებით ჩვენ გარკვეულ პრობლემას ვხედავთ, მეპაიის მიერ კოოპერატივის დატოვების შემთხვევაში თუ მას კოოპერატივში პაის სახით შეტანილი აქვს უძრავი ქონება/მიწა, ხოლო კოოპერატივის ძირითადი საქმიანობა სწორედ ამ ქონების/მიწის მეშვეობით ხორციელდება. როგორც წესი, კოოპერატივს წევრისთვის გასვლის გადაწყვეტილებიდან 12 თვიანი ვადაა აქვს ქონების უკან დაბრუნებისთვის. მაგრამ, აღნიშნული თავისთავად კოოპერატივის საქმიანობის შეფერხებას გამოიწვევს მიწის შემთხვევაში. გამოსავალი ამ შემთხვევაში წინასწარ ხელშეკრულების ან შეთანხმების გაფორმება წარმოადგენს კოოპერატივსა და უძრავი ქონების მფლობელ მეპაიეს შორის, რომლითაც წინასწარ განისაზღვრება კოოპერატივიდან გასვლის შემთხვევაში უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხი, თუნდაც ქონების შესაბამისი ღირებულების ფულადი ფორმით ანაზღაურება.

არსებობს მეორე პრობლემაც - იმ შემთხვევაში თუ კოოპერატივს საკუთრებაში/სარგებლობაში გააჩნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ან სხვა ქონება - შესაბამისი დოკუმენტი უნდა გააჩნდეს, რომლითაც დასტურდება სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ან/და ქონებაზე საკუთრების/სარგებლობის უფლება. თუმცა, საქართველოში მიწების უმეტესობა არ არის საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული, მოცემული წარმოადგენს გარკვეულ პრობლემას მეპაიეთათვის და კოოპერატივებისათვის. ხშირ შემთხვევაში მიწის კონკრეტული ნაკვეთის რეგისტრაციის საკითხი დავის საგანს წარმოადგენს ფაქტიურ და ფიქტიურ მფლობელებს შორის, როდესაც დიდი ხნით გამოუყენებელი მიწის სხვა პირების მიერ საკუთრებაში დარეგისტრირება ხორციელდება და რეალურ მფლობელს ეკარგება მიწის განკარგვის უფლება. აღნიშნული მიწის რეგისტრაციის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადასაწყვეტი საკითხია;

28. პრობლემას წარმოადგენს, ასევე, კოოპერატივის მიერ ფინანსური უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების სირთულე-როდესაც კოოპერატივი მცირე ზომისაა და რამდენიმე წევრი მეპაიისაგან შედგება, ხშირ შემთხვევაში დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიებაზე გადაწყვეტილების თაობაზე კონსესუსი შეიძლება ვერ შედგეს, წევრთა გარკვეული ნაწილის სკეპტიკური დამოკიდებულების ან სიფრთხილის მიზეზების გამო. გარკვეულწილად, წევრები ფინანსური ცოდნის ნაკლებობისა და გათვლების არსის არცოდნის გამო

არ არიან მზად განსაზღვრონ დამატებითი ფინანსური რესურსის (აგროსესხის) მოზიდვა/მიღების დადებითი და უარყოფით ასპექტები. ასევე, თუ კი გადაწყვეტილება კრედიტის აღების სასარგებლოდ მიიღება შესაბამისი გათვლებისა და მსჯელობის გარეშე, როდესაც არ არის განსაზღვრული დაფინანსების შედეგად განსახორციელებული საწარმოო გაფართოების შესაბამისი უცუგება, მიღებული კრედიტის დაფარვის პროგნოზი და დეფოლტის რისკის შექმნის შესაძლებლობა, აღნიშნული ფაქტორი კოოპერატივს გაკოტრებისა და ფინანსური სიძნელის საკმაოდ დიდი რისკის წინაშე აყენებს;

29. გასათვალისწინებელია ეკროპავშირის წევრ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში არსებული გამოცდილება კოოპერატივის სწორ მართვასთან დაკავშირებით. ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში უმეტესწილად პრობლემა იქმნება კომუნისტური რეჟიმის მემკვიდრეობიდან გამომდინარე არასწორი მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბების ტენდენციის, შესაბამისი ლიდერის არყოლის და ნდობის ნაკლებობის გამო. გამოსავალი, ხშირ შემთხვევაში, კოოპერატივისგან დამოუკიდებელი პროფესიონალი კადრის დაქირავებაა, რომელიც კოოპერატივისთვის ბიზნესზე ორიენტირებულ სწორად გათვლილ სტრატეგიას შეიმუშავებს და მისი საქმიანობა და მოტივაცია სრულად იქნება დამოკიდებული კოოპერატივის წარმატების შესაბამისად ფორმირებულ ანაზღაურებაზე.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ კვლავაც ბევრი დონისძიებაა გასატარებელი, რათა მოხერხდეს საქართველოში აგროსექტორის ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმის განვითარების პროცესის ხელისშემსლელი ფაქტორებისა და რისკების მინიმიზაცია. საჭიროა აგრარული ბაზრის დარეგულირება, ჯანსაღი, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც ადგილობრივ პრაქტიკაზე, გამოცდილებაზე და სამართლიანი ვაჭრობის საერთაშორისო პრინციპებზე იქნება დაფუძნებული. აუცილებელია ამ ყველა საკითხისადმი კომპლექსური მიღვომა და ერთიან ჭრილში გადაწყვეტა.

## გამოყენებული დიტერატურა

### I. კანონები და ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კანონი ”საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ”, საქართველოს პარლამენტი, ქუთაისი, 14.12.2016;
2. საქართველოს კანონი ”საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ”, საქართველოს პარლამენტი, ქუთაისი, 12.12.2014;
3. საქართველოს კანონი ”სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ”, საქართველოს პარლამენტი, ქუთაისი, 12.07.2013;
4. საქართველოს კანონი ”საქართველოს საგადასახადო კოდექსი”, საქართველოს პარლამენტი, თბ., 17.09.2010;
5. საქართველოს კანონი ”არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ”, საქართველოს პარლამენტი, თბ., 04.07.2002;
6. საქართველოს კანონი ”დაზღვევის შესახებ“ - საქართველოს პარლამენტი, თბ., 02.05.1997;
7. საქართველოს კანონი ”სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ - საქართველოს პარლამენტი, თბ., 22.03.1996;
8. საქართველოს კანონი ”მეწარმეთა შესახებ”, საქართველოს პარლამენტი, თბ., 28.10.1994;
9. საქართველოს კანონი ”ნიადაგის დაცვის შესახებ“ - საქართველოს პარლამენტი, თბ., 12.05.1994;
10. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 დეკემბერის განკარგულება №2610 ”შედავათიანი აგროკრედიტის დასაფინანსებლად გასატარებელი დონისძიების შესახებ”, თბ., 2016;
11. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 მარტის განკარგულება №524 ”აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ”, თბ., 2016;
12. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის განკარგულება №306 ”აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ”, თბ., 2015;
13. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 აგვისტოს განკარგულება №1462 ”აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ”, თბ., 2014;

14. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის დადგენილება №173 „სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათეხი და სარგავი მასალების ნუსხის დამტკიცების შესახებ”, თბ., 2011;
15. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბერის დადგენილება № 426 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ”, თბ., 2010;
16. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 16 სექტემბრის ბრძანება №15 „სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისას მზღვეველის მიერ გადახდისუნარიანობის მარჯის გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ”, თბ., 2016;
17. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2015 წლის 20 აპრილის ბრძანება №04 „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ”, თბ., 2015;
18. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის ბრძანება №05 „მზღვეველისათვის ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობაში აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის შემოღების თაობაზე, თბ., 2013;
19. წლიური ანგარიში 2016 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2017;
20. წლიური ანგარიში 2015 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2016;
21. წლიური ანგარიში 2014 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2015;
22. წლიური ანგარიში 2013 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2014;
23. ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ეგროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ეგროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ცხრა თვის ანგარიში, თბ., 2016;

24. ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, თბ., 2016;
25. ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, თბ., 2015;
26. დასკვნა „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, თბ., 2016;
27. მოხსენება საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, თბ., 2015;
28. „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გზამკვდევი (ხშირად დასმული კითხვები), თებერვალი 2014 - <http://www.parliament.ge/uploads/other/22/22585.pdf>;
29. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდება (ტიპური ფორმა I), სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო.

## **II. სამეცნიერო შრომები, მონოგრაფიები და სტატიები**

30. აგიაშვილი ი. ფერმერული მეურნეობების ფორმირების თავისებურებები საქართველოში და მათი როლი მოსახლეობის მარცვლეულით უზრუნველყოფაში. დისერტაცია, თბ., 2006;
31. აგრობიზნესი, საოჯახო ბიზნესის შესაძლებლობები. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. სახელმძღვანელო „ქალი და ბიზნესი“, თბ., 2009;
32. ავბეწვაშვილი თ. მევენახეობის დარგის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის საკითხები საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში. დისერტაცია, თბ., 2003;
33. ბაიდაური დ. სახელმწიფო მხარდაჭერის მირითადი პრიორიტეტები საქართველოს აგრარულ სექტორში. დისერტაცია, თბ., 2006;

34. ბერიძე ზ. ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოს აგრარულ სექტორში. დისერტაცია, თბ., 2011;
35. გაბაიძე გ. მეურნეობის ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ფუნქციონირებისა და მართვის სრულყოფის გზები აგრარულ სექტორში (აჭარის არ-ის მაგალითზე). დისერტაცია, თბ., 2008;
36. გაგვიშვილი ლ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგრადი განვითარების რეზერვები (იმერეთის მაგალითზე). დისერტაცია, თბ., 2006;
37. გეგენავა ლ., ლაჭუეპიანი თ., შოშიაშვილი ლ. საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი ორიენტირები ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფისთვის. უკრ. “ბიზნესი და კანონმდებლობა”, თბ., ივნისი 2010, №18;
38. ვადაჭკორია მ., ლაჭუეპიანი თ. აგრარული წარმოება და საქართველო. უკრ. “ბიზნესი და კანონმდებლობა”, თბ., მაისი 2010, №17;
39. მახარაშვილი ჯ. აგრობიზნესის რესურსული პოტენციალის ეფექტური გამოყენების პრობლემები და ამაღლების გზები საგარეუბნო მეურნეობების მაგალითზე. დისერტაცია, თბ., 2011;
40. საჭკაუშვილი ნ. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მათი დაძლევის გზები და განვითარების პერსპექტივები (მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ეკონომიკის აგრარული სექტორის მაგალითზე). დისერტაცია, თბ., 2013;
41. საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. ფონდი “ლიბერალური აკადემია თბილისი”, თბ., 2012;
42. საჯარო გადაწყვეტილება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის მოგების გადასახადისგან გათავისუფლების წესების შესახებ. შპს დელოიტ კონსალტინგი. GOOVERNING FOR GROWTH (G4G) IN GEORGIA, თბ., 2015;
43. სოფლის მეურნეობის პროფილის სახელმწიფო საწარმოების მიმართ არსებული პოლიტიკა ბალტიისპირეთის ქვეყნებში. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), თბ., 2014;
44. სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოები და მათი როლი დარგის განვითარებაში. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), თბ., 2014;
45. Agricultural Insurance as Risk Management Strategy: An overview of Agricultural Insurance Schemes in Europe and the World, The Foreign Policy Initiative BH, Bosnia and Herzegovina, 2014;

46. Agricultural Insurance Schemes - Summary report - EUROPEAN COMMISSION, DIRECTORATE GENERAL, JRC JOINT RESEARCH CENTRE – ISPRA, Institute for the Protection and Security of the Citizen, Agriculture and Fisheries Unit, Italy, 2006;
47. „Amending Council Directive 73/239/EEC as regards the solvency margin requirements for non-life insurance undertakings“ DIRECTIVE 2002/13/EC - European Commission, Brussels, 2002;
48. CAP CONTEXT INDICATORS – 2015 update, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2015;
49. CAP CONTEXT INDICATORS 2014-2020 13. EMPLOYMENT BY ECONOMIC ACTIVITY, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2015;
50. CAP CONTEXT INDICATORS 2014-2020 28. GROSS FIXED CAPITAL FORMATION IN AGRICULTURE, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2015;
51. CAP CONTEXT INDICATORS 2014-2020 9. POVERTY RATE, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2015;
52. Čolović Vladimir, Mrvić Petrović Nataša - CROP INSURANCE – RISKS AND MODELS OF INSURANCE, Economics of Agriculture 3/2014, Original scientific paper EP 2014 (61) 3 (561-573), Belgrade, 2014;
53. COMMUNICATION FROM THE COMMISSION EUROPE 2020 A strategy for smart, sustainable and inclusive growth, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2010;
54. DEVELOPMENT OF AGRICULTURAL COOPERATIVES IN THE EU 2014, European agri-cooperatives (Cogeca) - Brussels, 2015;
55. EU agriculture spending – Focused on results, European Commission, Brussels, 2015
56. INDICATORS IN THE RURAL DEVELOPMENT REPORT 2013, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2013;
57. Neves Marcos F. - The Future of Food Business The Facts, The Impacts and The Acts, (2nd Edition), New Jersey, 2014;
58. Rapacki Ryszard and Próchnia Mariusz - The EU Enlargement and Economic Growth In the CEE New Member Countries, European Commission, Brussels, 2009;
59. Rostow Walt W. - The Stages of Economic Growth: A Non - Communist Manifesto, Third Edition, Cambridge University Press, 1990;
60. RUTTAN VERNON W. – Lectures on Technical and Institutional Change In Agricultural Development with comments by Syed Nawab Haider Naqvi, PAKISTAN INSTITUTE OF DEVELOPMENT ECONOMICS, ISLAMABAD, 1987;
61. Ruttan Vernon W. - Growth Stage Theories and Agricultural Development Policy, THE ECONOMIC WEEKLY, Vol. 17, Issue No. 32, 07 Aug, 1965;

62. Stiglitz Joseph E. - Some Theoretical Aspects of Agricultural Policies, The World Bank Research Observer, Oxford University Press Vol. 2, No. 1 (Jan., 1987);
63. Support for Farmers' Cooperatives, European Commission, DG Agriculture and Rural Development, Netherlands, 2012;
64. Support for Farmers' Cooperatives, Final Report - European Commission, Netherlands, November 2012;
65. THE EUROPEAN UNION EXPLAINED A partnership between Europe and farmers Agriculture - "The EU's common agricultural policy (CAP): for our food, for our countryside, for our environment", EUROPEAN COMMISSION, Publications Office of the European Union, Luxembourg, 2014;
66. The power of Cooperation, Cooperatives Europe key figures 2015, Cooperatives Europe, April 2016;
67. Working Paper No. 2010/36 The (Evolving) Role of Agriculture in Poverty Reduction An Empirical Perspective, UNU World Institute for Development Economics Research (UNU-WIDER) and United Nations University, Helsinki, April 2010.

### III. გებ-გვერდები

68. <http://www.kyagr.com/marketing/agritourism.html>;
69. [http://europa.eu/rapid/press-release\\_IP-10-60\\_en.htm](http://europa.eu/rapid/press-release_IP-10-60_en.htm);
70. <http://www.moma gri.org/UK/focus-on-issues/The-current-debate-on-agricultural-insurance-181.html>;
71. [http://www.pia.ge/show\\_news.php?id=21890&lang=geo](http://www.pia.ge/show_news.php?id=21890&lang=geo);
72. <https://sites.google.com/site/mobiluriteqnologiebi/gps>;
73. [http://www.farm-europe.eu/travaux/how-to-tackle-price-and-income-volatility-for-farmers-an-overview-of-international-agricultural-policies-and-instruments/#\\_ftn6](http://www.farm-europe.eu/travaux/how-to-tackle-price-and-income-volatility-for-farmers-an-overview-of-international-agricultural-policies-and-instruments/#_ftn6);
74. <http://news.ge/ge/page/saqartvelos-soflis-meurnebis-saministro>;
75. [https://www.gpih.ge/gpih/other\\_insurance/Argo/standardpackagedrought.php](https://www.gpih.ge/gpih/other_insurance/Argo/standardpackagedrought.php);
76. <http://www.aldagi.ge/ge/skhva-produqtеби>;
77. <http://www.ardi.ge>;
78. <http://eugeorgia.info/ka/article/107/agrodazgvevis-saxelmwifo-programashi-5-sadazgvevokompania-chaerto/>;
79. [http://unison.ge/index.php?run=home/product&product\\_id=23\\_26](http://unison.ge/index.php?run=home/product&product_id=23_26);
80. <http://apma.ge/newsletter/projects/read/agroinsurance>;
81. <http://agrokavkaz.ge/axali-ambebi/agrodazghveva-ganakhlebul-proeqts-phermerebi-etsnobian.html>;

82. <http://press.mediamall.ge/?id=12169;>
83. [http://credo.ge/ka/465/;](http://credo.ge/ka/465/)
84. [http://meteo.gov.ge/index.php?pg=sts&id=20;](http://meteo.gov.ge/index.php?pg=sts&id=20)
85. [https://sites.google.com/site/mobiluriteqnologiebi/gps;](https://sites.google.com/site/mobiluriteqnologiebi/gps)
86. <http://www.ubergizmo.com/how-to/read-gps-coordinates/>;
87. <http://www.theactuary.com/features/2015/03/new-frontiers-in-agriculture/>;
88. <http://www.artemis.bm/blog/2013/01/17/emerging-market-agricultural-insurance-premiums-set-to-grow-fourfold-by-2025/>;
89. [http://europa.eu/rapid/press-release\\_IP-10-60\\_en.htm](http://europa.eu/rapid/press-release_IP-10-60_en.htm);
90. [http://www.internationalinsuranceforum.com/prop/wp-content/uploads/2014/10/20\\_Marijana-SARAMANDIC.pdf](http://www.internationalinsuranceforum.com/prop/wp-content/uploads/2014/10/20_Marijana-SARAMANDIC.pdf);
91. [https://www.wur.nl/upload\\_mm/8/8/a/bbf25350-6dd8-47ed-a63a-333bc6576d97\\_Sulewski\\_Agricultural\\_insurance\\_Poland.pdf](https://www.wur.nl/upload_mm/8/8/a/bbf25350-6dd8-47ed-a63a-333bc6576d97_Sulewski_Agricultural_insurance_Poland.pdf);
92. [https://www.wur.nl/upload\\_mm/e/d/3/4a72a043-5f19-4542-960b-db9b75b851c6\\_Plotka%20Reconciling%20weather%20and%20insurance%20data%20SCOR.pdf](https://www.wur.nl/upload_mm/e/d/3/4a72a043-5f19-4542-960b-db9b75b851c6_Plotka%20Reconciling%20weather%20and%20insurance%20data%20SCOR.pdf)
93. <http://www.kya.gr.com/marketing/agritourism.html>;
94. [http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/Georgia\\_Assesment\\_FINAL\\_GEO\\_GEO.pdf](http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/Georgia_Assesment_FINAL_GEO_GEO.pdf);
95. <http://moa.gov.ge>;
96. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2237341>;
97. [http://apma.ge/projects/read/agro\\_credit](http://apma.ge/projects/read/agro_credit)
98. <http://eugeorgia.info/ka>;
99. <http://www.sb.ge>;
100. [http://ec.europa.eu/agriculture/statistics/factsheets/pdf/eu\\_en.pdf](http://ec.europa.eu/agriculture/statistics/factsheets/pdf/eu_en.pdf);
101. [http://ec.europa.eu/agriculture/policy-perspectives/policy-briefs/05\\_en.pdf](http://ec.europa.eu/agriculture/policy-perspectives/policy-briefs/05_en.pdf);
102. [http://ec.europa.eu/agriculture/cap-indicators/context/2015/indicator-table\\_en.pdf](http://ec.europa.eu/agriculture/cap-indicators/context/2015/indicator-table_en.pdf);
103. [www.libertybank.ge](http://www.libertybank.ge);
104. <http://nplg.gov.ge>;
105. <http://geostat.ge>;
106. <http://www.bankconstanta.ge>;
107. <http://tspress.ge>;
108. <http://www.cartubank.ge>;
109. <http://www.bpn.ge>;
110. <http://www.ambebi.ge>;
111. <http://reportiori.ge>;

112. <http://news.ge>;
113. <http://mediacafe.ge/>;
114. <http://www.epn.ge>;
115. <http://www.fund.ge>;
116. <http://elawjournal.wordpress.com>;
117. <http://strategy.ge/>;
118. <http://georgianamerica.com/>;
119. <http://rs.ge>;
120. <http://temo-axaliblogi.blogspot.com/2011/11/blog-post.html>;
121. [www.standard-insurance.ge](http://www.standard-insurance.ge);
122. <http://ge.vtb.com.ge>;
123. <http://acda.gov.ge/>;
124. <http://taxinfo.ge>;
125. <https://cohesiondata.ec.europa.eu/overview>;
126. <http://europa.eu/youreurope/business/funding-grants/access-to-finance/>;
127. <http://www.rda.org.ge>.


## დანართი

### დანართი №1. საქართველოს ტერიტორიის კლიმატურ ზონებად დაყოფა<sup>213</sup>

I. ალაზნის ვაკის მეცნიერებისა და მეთამბაქეობის ზონა (ახმეტის, ლაგოდეხის, ყვარლის, თელავისა და გურჯაანის რ-ბი)
II. გარე კახეთის ზეგნის მარცვლეულ-მეცნოველეობის ზონა (საგარეჯოს, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რ-ბი)
III. დედაქალაქის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონა (მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისისა და თეთრიწყაროს რ-ბი)
IV. აღმოსავლეთ კავკასიონის მთის მეცნოველეობის ზონა (თიანეთის, დუშეთის, ყაზბეგის, ახალგორისა და ჯავის რ-ბი)
V. შიდა ქართლის დაბლობის მეხილეობის ზონა (კასპის, გორის, ქარელის, ხაშურისა და ცხინვალის რ-ბი)
VI. ჯავახეთის მთიანეთის მეცნოველეობის ზონა (წალკის, დმანისის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის რ-ბი)
VII. სამცხე-თრიალეთის მეცნოველეობის და მეხილეობის ზონა (ბორჯომის, ახალციხის, ასპინძისა და აღიგენის რ-ბი)
VIII. იმერეთის მაღლობისა და რაჭა-ლეჩხუმის ქვაბურის მეცნიერების ზონა (თერჯოლის, ზესტაფონის, ჭიათურის, საჩხერის, ხარაგაულის, ბაღდადის, განის, ცაგერისა და ამბროლაურის რ-ბი)
IX. დასავლეთ კავკასიონის მთის მეცნოველეობის ზონა (ონის, ლენტეხისა და მესტიის რ-ბი)
X. კოლხეთის დაბლობისა და აფხაზეთის სუბტროპიკული კულტურების ზონა
XI. ზემო აჭარის მეთამბაქოეობა-მეცნოველეობის ზონა (ხულოს, შუახევისა და ქედის რ-ბი)

<sup>213</sup> ცხრილი აგებულია ავტორის მიერ, წყარო: <http://temo-axaliblogi.blogspot.com/2011/11/blog-post.html>

დანართი №2. საქართველოს მოსახლეობის სასურსათო ხარჯების წილი მთლიან  
სამომხმარებლო ხარჯებში (%)<sup>214</sup>



<sup>214</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დანართი №3. პირდაპირი უცხოური ინგესტიციების დინამიკა საქართველოში 2007-2015 წლებში<sup>215</sup>

წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016*
მლნ. აშშ დოლარი	2,014.8	1,564.0	658.4	814.5	1117.2	912	941.9	1,758.4	1,564.5	1,645.4


დანართი №4. სურსათის წილი საქართველოს მთლიან იმპორტსა და ექსპორტში 2011-2016 წლებში<sup>216</sup>

წელი	2011	2012	2013	2014	2015	2016
მთლიანი ექსპორტი (მლნ. აშშ დოლარი)	2,186.7	2,376.2	2,909.5	2,860.7	2,204.70	2,113.7
სურსათის ექსპორტი (მლნ. აშშ დოლარი)	194.6	209.4	327.3	299.4	280.1	305.3
სურსათის წილი მთლიან ექსპორტში (%)	8.90%	8.81%	11.25%	10.47%	12.70%	14.4%
მთლიანი იმპორტი (მლნ. აშშ დოლარი)	7,038.4	8,036.9	8,011.6	8,593.3	7,281.3	7,235.8
სურსათის იმპორტი (მლნ. აშშ დოლარი)	978.8	1,039.3	1,037.1	1,011.6	863.3	835.4
სურსათის წილი მთლიან იმპორტში (%)	13.90%	12.93%	12.94%	11.77%	11.90%	11.50%

<sup>215</sup> წყარო: <http://geostat.ge/index.php?lang=geo>


<sup>216</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დანართი №5. საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა  
სექტორების მიხედვით მლნ. დოლარი 2007-2016 წლებში<sup>217</sup>




<sup>217</sup> გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძვლზე.

დანართი №6. საქართველოში სურსათის მიხედვით სხვადასხვა მაჩვენებელი (წარმოება, იმპორტი, მარაგი, სასურსათო მოხმარება, ექსპორტი და სხვა, ათასი ტონა) 2007-2016 წლებში<sup>218</sup>




<sup>218</sup> გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძვლზე.

დანართი №7. საქართველოში სურსათის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები 2007-2016 წლებში<sup>219</sup>




<sup>219</sup> გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძვლზე.

დანართი №8. სურსათის წილი და ზრდის მაჩვენებელი საქართველოს მთლიანი იმპორტსა და ექსპორტში 2011-2016 წლებში<sup>220</sup>



დანართი №9. საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება  
სოფლის მეურნეობაში 2007-2016 წლებში<sup>221</sup>




<sup>221</sup> გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

**დანართი №10. პროგრამით გათვალისწინებული საქართველოს საბიუჯეტო გეგმის  
საკასო შესრულება 2015 წლის მიხედვით მლნ. ლარი<sup>222</sup>**

ორგანიზაც. კოდი	პროგრამის დასახელება	9 თვის დაზუსტებული გეგმა	8 თვის შესრულება	8 თვის საკასო შესრულების წილი 9 თვის დაზუსტებულ გეგმაში (%)
37 01 06	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები	2,102	1,127	53.60%
37 01 12	აგროსექტორის ხელშეწყობა/განვითარება	12,844	4,955	38.60%
37 04 02	საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სემურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშები და პოპილაციები აღდგენა- გაუმჯობესება და გენეტიკური ბანკის შექმნა	398	78	19.50%
37 04 03	ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნება, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიოაგროწარმოების ინვაციური ტექნოლოგიების.	1,309	700	53.50%

<sup>222</sup> წყარო: მოხსენება საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, თბ., 2015.

დანართი №11. საქართველოში ინგესტიციები ფიქსირებულ აქტივებში ეკონომიკური  
საქმიანობის სახეების მიხედვით (მლნ. ლარი)<sup>223</sup>




<sup>223</sup> გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მონაცემების საფუძველზე.

დანართი №12. საქართველოდან ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით 2010-2016 წლებში (მლნ. ლოდარი)<sup>224</sup>




<sup>224</sup> გრაფიკი აგებულია აგრძელის აგრძელების მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მონაცემების საფუძვლზე.

დანართი №13. საქართველოდან ექსპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით 2010-2016 წლებში (მლნ. ლოდარი)<sup>225</sup>




<sup>225</sup> გრაფიკი აგებულია აგრძორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მონაცემების საფუძვლზე.

დანართი №14. საქართველოდან იმპორტი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით 2010-2016 წლებში (მლნ. ლოდარი)<sup>226</sup>



<sup>226</sup> გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მონაცემების საფუძვლზე.

დანართი №15. საქართველოში “შეღავათიანი აგროკულტის პროექტის” ფარგლებში შექმნილი ახალი საწარმოები რეგიონების მიხედვით 2013-2014 წლებში (ლარი)<sup>227</sup>




<sup>227</sup> წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დანართი №16. საქართველოში “შეღავათიანი აგროკრედიტის” პროექტის პირველ სამ კომპონენტში გაცემული კრედიტების რაოდენობა და მოცულობა 2013-2014 წლებში<sup>228</sup>

თარიღი	I კომპონენტი ლარი	II კომპონენტი ლარი	III კომპონენტი			ჯამში (ლარი)	
27.3.13	<b>36 მლნ. ლარი</b>						
<b>14.4.13</b>	100	400 000	21	601 400	2	660 000 ლარი	1 661 400 (123 სესხი)
<b>20.5.13</b>	1,666	811,731	1,041	21,066,377	54 (18 ახალი)	8,356,735 \$	
<b>10.9.13</b>	2,685	1,106,478	2,439	48,433,133	200	25,591,932 \$	94,103,126 (5,343 სესხი)
<b>1.10.13</b>	2,685	1,106,478	3,213	63,567,973	245	31,737,671 \$	117,5 მლნ (6,166 სესხი)
<b>26.11.13</b>	2,685	1,106,478	4,332	86,151,313	305 (53 ახალი)	37,307,743 \$	202,548,735 (7,371 სესხი)
<b>4.4.14</b>	4,309	1,837,478	9,258	168,644,280	482 (70 ახალი)	96,991,211 ლ	318,000,000 (14,100 სესხი)

<sup>228</sup> წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დანართი №17. საქართველოში “შეღავათიანი აგროკულტის პროექტის” სხვადასხვა კომპონენტში გაცემული კრედიტების რაოდენობა და მოცულობა ლარში 2013-2014 წლებში<sup>229</sup>




<sup>229</sup> წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დანართი №18. საქართველოში “შეღავათიანი აგროკრედიტის” პროექტის პირველი სამი კომპონენტის მიხედვით საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხები 2013-2014 წლებში<sup>230</sup>

ბანკი	I კომპონენტი		II კომპონენტი		III კომპონენტი	
	თანხა	რაოდ.	თანხა	რაოდ.	თანხა	რაოდ.
ვითიბი			17,452,000	1,157	5,155,065	35
პროკრედიტი			24,275,398	1,425	7,919,250	75
ბაზისბანკი			469,000	11	1,982,000	7
კრედო	894,700	2,371				
კონსტანტა	212,117	315	11,269,900	655	4,088,303	105
საქართველოს ბანკი			43,568,200	1,539	7,864,591	67
ლიბერთი			10,409,550	773	685,000	4
კორსტანდარტი			448,000	11	130,000	3
ხალიკ ბანკი					600,000	1
პროგრესბანკი			161,500	5	100,496	2
კრისტალი						
რესპუბლიკა			2,106,200	77	2,666,780	21
თიბისი			717,500	14	7,423,430	28
პაშა ბანკი			100,000	1	600,000	1
ქართუ ბანკი			896,275	17	3,628,367	17
ჯამი	1,106,817	2,686	111,873,523	5,685	42,843,282	366

<sup>230</sup> წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დანართი №19. საქართველოში აგრობიზნესის პროდუქციის გამოშვების დინამიკა 2009-2015 წლებში (მლნ. ლარი).<sup>231</sup>



დანართი №20. დონორი ორგანიზაციების პროექტები საქართველოში<sup>232</sup>

დონორი	პროექტი	მდ. ეპრ	ტიპი	ხანგრძლივობა
აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო	ს/მ მექანიზაციის პროექტი	4	გრანტი	2009/2012
აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო	ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები	15	გრანტი	2011/2015
აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო	ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა	10	გრანტი	2010/2014
აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი	ცხოველთა ჯანმრთელობის პროგრამა	1	გრანტი	2008/2012
შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობა	საბაზო კავშირები სიღარიბის წინააღმდეგ	7	გრანტი	2008/2014

<sup>231</sup> წყარო: წლიური ანგარიში 2013 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბ., 2014.

<sup>232</sup> წყარო: [http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/Georgia\\_Assessment\\_FINAL\\_GEO\\_GEO.pdf](http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/Georgia_Assessment_FINAL_GEO_GEO.pdf)

მსოფლიო ბანკი	კახეთის რეგიონული განვითარება	45	სესხი	2012/2015
ევროპის რეგიონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	სოფლის მეურნეობის კრედიტის საშუალებები -ბანკები	40	სესხი	2011/2013
რეგიონსტრუქციის საკრედიტო ბანკი	სოფლის მეურნეობის საკრედიტო საშუალებები - MFIs	9	სესხი	2011/2013
დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო	შერჩეული დირებულების ქსელის მხარდაჭერა	9	გრანტი	2012/2015

დანართი №21. დონორი ორგანიზაციების პროექტები საქართველოში<sup>233</sup>

სტრატეგიული პრიორიტეტები	მირითადი დონორები
კონკურენტულობის გაუმჯობესება კერძო სექტორის განვითარების მეშვეობით	EU, EBRD, USAID, KFW, SDC
სოფლის მეურნეობაში ჩართული ინსტიტუტების საქმიანობის გაუმჯობესება	EU, UNDP, FAO
სურსათის უსაფრთხოება	EU, FAO
სურსათის დირებულების ქსელის მხარდაჭერა	USAID, UNDP, DANIDA
სასოფლო ინფრასტრუქტურის განვითარება	Government, WB, USAID


<sup>233</sup> წყარო: [http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/Georgia\\_Assesment\\_FINAL\\_GEO\\_GEO.pdf](http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/Georgia_Assesment_FINAL_GEO_GEO.pdf)

დანართი №22. ეკონომიკური სასოფლო სივრცის მნიშვნელობა 2010 წელი  
(დასაქმება, მოსახლეობა, მთლიანი დამატებული დირებულება - GVA (%))<sup>234</sup>


ქვეყანა	მოსახლეობა %			GVA %			დასაქმება %		
	სასოფლო ხელმისამართი	მუსალებური ხელმისამართი	ურბანული ხელმისამართი	სასოფლო ხელმისამართი	მუსალებური ხელმისამართი	ურბანული ხელმისამართი	სასოფლო ხელმისამართი	მუსალებური ხელმისამართი	ურბანული ხელმისამართი
ბელგია	8.7	23.8	67.5	5.5	19.3	75.1	6.7	20.7	72.5
ბულგარეთი	38.5	45.0	16.5	24.5	35.4	40.2	32.5	42.0	25.5
ჩეხეთის რესპუბლიკა	33.1	43.2	23.8	27.2	36.6	36.2	31.1	40.2	28.7
დანია	29.5	48.9	21.5	24.9	43.9	31.3	27.1	45.5	27.3
გერმანია	16.5	42.2	41.4	13.8	36.9	49.3	15.2	40.3	44.5
ესტონეთი	48.1	12.6	39.3	32.0	8.3	59.7	43.2	10.5	46.3
ირლანდია	73.0	-	27.0	57.8	-	42.2	66.3	-	33.7
საბერძნეთი	42.8	10.6	46.7	34.2	8.8	56.9	41.4	10.2	48.4
ესპანეთი	7.4	33.5	59.1	6.5	30.9	62.4	7.0	31.9	61.1
საფრანგეთი	29.9	35.2	35.0	22.7	29.9	47.3	27.7	32.3	40.0
იტალია	20.3	43.1	36.5	6.8.	6.8.	6.8.	19.1	42.8	38.1
ლატვია	37.9	13.3	48.7	22.6	10.3	66.9	36.2	13.3	50.5
ლიტვა	43.1	31.3	25.5	30.2	31.3	38.5	39.9	31.5	28.6
ლუქსემბურგი	-	100.0	-	-	100.0	-	-	100.0	-
უნგრეთი	46.9	35.9	17.2	34.1	28.0	37.9	39.3	28.9	31.8
პოლანდია	0.6	27.2	72.2	0.7	25.0	74.3	0.6	25.0	74.3
ავსტრია	44.8	20.7	34.4	35.3	24.0	40.6	39.6	24.2	36.2
პოლონეთი	36.0	35.7	28.3	26.0	32.3	41.6	33.5	33.4	33.1
პორტუგალია	34.3	17.0	48.7	28.1	13.5	58.2	33.0	16.5	50.4
რუმინეთი	45.6	43.8	10.5	32.7	42.1	25.1	41.8	46.2	12.0
სლოვენია	43.9	56.1	-	36.3	63.7	-	39.6	60.4	-
სლოვაკეთი	50.3	38.2	11.5	39.7	32.5	27.8	43.9	36.7	19.4
ფინეთი	41.0	30.6	28.4	34.4	26.9	38.7	38.3	29.0	32.6
შვედეთი	16.4	62.0	21.6	14.7	55.7	29.7	15.5	59.1	25.4
დიდი ბრიტანეთი	2.9	23.4	73.5	1.9	20.1	78.0	2.8	23.8	73.4
EU-27	22.6	35.1	42.3	15.6	30.0	54.4	20.6	33.9	45.4
EU-15	18.1	34.1	47.7	14.3	29.5	56.2	16.7	33.0	50.2
EU-N12	39.8	38.8	21.3	28.7	35.4	35.9	36.0	37.5	26.5

<sup>234</sup> წერტილი: INDICATORS IN THE RURAL DEVELOPMENT REPORT 2013, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2013.

დანართი №23. ევროკავშირში სასოფლო სივრცის მნიშვნელობა EU27-ში 2010 წელი (დასაქმება, ტერიტორია, მოსახლეობა, მთლიანი დამატებული ღირებულება (%))<sup>235</sup>




დანართი №24. ევროკავშირში სასოფლო სივრცის მნიშვნელობა EU15-ში 2010 წელი (დასაქმება, ტერიტორია, მოსახლეობა, მთლიანი დამატებული ღირებულება (%))<sup>236</sup>




<sup>235</sup> წყარო: INDICATORS IN THE RURAL DEVELOPMENT REPORT 2013, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2013.

<sup>236</sup> წყარო: INDICATORS IN THE RURAL DEVELOPMENT REPORT 2013, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2013.

დანართი №25. ევროკავშირში სასოფლო სივრცის მნიშვნელობა EU12-ში 2010 წელი (დასაქმება, ტერიტორია, მოსახლეობა, მთლიანი დამატებული ღირებულება (%))<sup>237</sup>




დანართი №26. ევროკავშირში შრომის პროდუქტიულობა (ევრო/პერსონა) 2014 წელი<sup>238</sup>



<sup>237</sup> წყარო: INDICATORS IN THE RURAL DEVELOPMENT REPORT 2013, EUROPEAN COMMISSION, Brussels, 2013.

<sup>238</sup> წყარო: [http://ec.europa.eu/agriculture/cap-indicators/context/2015/indicator-table\\_en.pdf](http://ec.europa.eu/agriculture/cap-indicators/context/2015/indicator-table_en.pdf)

დანართი №27. საერთო ფაქტორების პროდუქტიულობის ცვლილება აგრარულ სექტორში (%) ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 2012-2014 წლებში<sup>239</sup>




დანართი №28. ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის რეფორმის მიხედვით 2014-2020 წლებში გათვლილი დაფინანსების სტრუქტურა (მილიარდი ევრო)<sup>240</sup>

მიმართულება	2014-2020 წლების ზღვარი (მიმდინარე ფასებში)	2014-2020 წლების ზღვარი (2011 წლის ფასებში)
სგეტი 1	312.74	277.85
სგეტი 2	95.58	84.94
მთლიანად CAP -ის ბიუჯეტი	408.31	362.79

<sup>239</sup> Βιβλίο: [http://ec.europa.eu/agriculture/cap-indicators/context/2015/indicator-table\\_en.pdf](http://ec.europa.eu/agriculture/cap-indicators/context/2015/indicator-table_en.pdf)

<sup>240</sup> Για περισσότερες πληρωμές: [http://ec.europa.eu/agriculture/policy-perspectives/policy-briefs/05\\_en.pdf](http://ec.europa.eu/agriculture/policy-perspectives/policy-briefs/05_en.pdf)

დანართი №29. ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკის შესაბამისი ხარჯების სტრუქტურა და განაწილება 2009-2014 წლებში<sup>241</sup>




<sup>241</sup> წყარო: [http://ec.europa.eu/agriculture/statistics/factsheets/pdf/eu\\_en.pdf](http://ec.europa.eu/agriculture/statistics/factsheets/pdf/eu_en.pdf)

დანართი №30. ევროპავშირის ქვეყნებს შორის CAP-ის დაფინანსების განაწილების  
სტრუქტურა 2014 წელს (1000 ევრო)<sup>242</sup>

ქვეყანა	პირდაპირი გადახდები	საბაზრო დონისძიებები	სოფლის განვითარება	სულ
ბელგია	552 451	53 303	40 856	646 609
ბულგარეთი	578 641	23 451	0	602 092
ჩეხეთის რესპუბლიკა	878 679	14 131	0	892 809
დანია	916 928	9 114	90 288	1 016 331
გერმანია	5 101 256	95 870	664 602	5 861 727
ესტონეთი	99 062	1 245	103 626	203 933
ირლანდია	1 227 717	6 744	0	1 234 461
საბერძნეთი	2 246 414	45 232	0	2 291 646
საფრანგეთი	7 779 692	551 831	4 353	8 335 876
ესპანეთი	5 106 397	474 169	0	5 580 566
ხორვატია	93 202	3 247	0	96 449
იტალია	3 902 241	603 595	0	4 505 837
პიპრალი	51 668	5 330	0	56 998
ლატვია	143 760	4 014	138 327	286 101
ლიტვა	374 109	4 080	230 393	608 582
ლუქსემბურგი	33 088	298	0	33 386
უნგრეთი	1 284 695	52 241	0	1 336 936
მალტა	5 273	296	0	5 569
პოლანდია	805 800	33 845	87 118	926 763
ავსტრია	695 527	22 061	557 807	1 275 395
პოლონეთი	2 982 334	225 398	1 569 518	4 777 250
პორტუგალია	634 797	100 405	577 031	1 312 233
რუმინეთი	1 259 561	74 988	0	1 334 549
სლოვენია	140 204	6 271	118 678	265 153
სლოვაკეთი	371 547	7 951	271 155	650 653
ფინეთი	519 427	5 257	335 441	860 125
შვედეთი	679 485	13 343	0	692 828
დიდი ბრიტანეთი	3 195 725	39 471	475 532	3 710 728
EU-28	41 659 679	2 478 675	5 264 723	49 403 077


<sup>242</sup> წერტილი: [http://ec.europa.eu/agriculture/statistics/factsheets/pdf/eu\\_en.pdf](http://ec.europa.eu/agriculture/statistics/factsheets/pdf/eu_en.pdf)

დანართი №31. ევროპაგშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკის შესაბამისი ხარჯების განაწილება ქვეყნებს შორის (მლნ. ევრო) 2014 წელს<sup>243</sup>




<sup>243</sup> წყარო: [http://ec.europa.eu/agriculture/statistics/factsheets/pdf/eu\\_en.pdf](http://ec.europa.eu/agriculture/statistics/factsheets/pdf/eu_en.pdf)

დანართი №32. ევროკავშირის დაახლოვების პოლიტიკის შესაბამისი ხარჯების განაწილება ქვეყნებს შორის (ევრო) 2014-2020 წლებში<sup>244</sup>



<sup>244</sup> წყარო: <https://cohesiondata.ec.europa.eu/overview>

დანართი №33. ევროპაგშირში დაფინანსების განაწილების სქემა<sup>245</sup>




<sup>245</sup> წყარო: <http://europa.eu/youreurope/business/funding-grants/access-to-finance/>

დანართი №34. ევროკავშირში აგრარული სექტორის მიმართულებით ფიქსირებულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები 2013 წელს<sup>246</sup>

ქვეყანა	ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციის მოცულობა (მლნ. ევრო)	ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების წილი მთლიან დამატებულ დირებულებაში (%)
ბელგია	1,115	41.4
ბულგარეთი	174	10.3
ჩეხეთის რესპუბლიკა	677	21.3
დანია	1,377	48.9
გერმანია	7,945	41.7
ესტონეთი	227	38.5
ირლანდია	726	26.6
საბერძნეთი	985	16.6
საფრანგეთი	12,271	37
ესპანეთი	4,219	17.5
სორვატია	191	11.9
იტალია	8,412	28
პკიპროსი	10	2.5
ლატვია	288	28.3
ლიტვა	603	50.3
ლუქსემბურგი	163	116.8
უნგრეთი	819	20.8
მალტა	8	9.8
პოლანდია	4,825	54.3
ავსტრია	2,085	47.8
პოლონეთი	1,087	8.3
პორტუგალია	857	24.5
რუმინეთი	1,310	16.4
სლოვანია	225	25.4
სლოვაკეთი	138	7.1
ფინეთი	1,128	24
შვედეთი	1,076	19.3
დიდი ბრიტანეთი	5,040	46.6
EU-28	57,983	30.1
EU-15	52,226	39.4
EU-13	5,757	19.3

<sup>246</sup> წყარო: [http://ec.europa.eu/agriculture/cap-indicators/context/2015/c8\\_en.pdf](http://ec.europa.eu/agriculture/cap-indicators/context/2015/c8_en.pdf)

დანართი №35. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის დინამიკა წლების მიხედვით ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში<sup>247</sup>




დანართი №36. ევროკავშირის წევრი ქვეყნების EU15-თან კონვერგენციის წლები<sup>248</sup>

ქვეყანა	EU15-თან კონვერგენციის პერიოდი (წელი 2008 წლიდან)
ბულგარეთი	<b>30.4</b>
ჩეხეთის რესპუბლიკა	<b>18.8</b>
ესტონეთი	<b>11.1</b>
უნგრეთი	<b>28.1</b>
ლატვია	<b>13.6</b>
ლიტვა	<b>13.1</b>
პოლონეთი	<b>25.5</b>
რუმინეთი	<b>19.9</b>
სლოვაქეთი	<b>13</b>
სლოვენია	<b>7.9</b>

<sup>247</sup> გრაფიკი შედგენილია მსოფლიო ბანკის 2016 წლის მონაცემების მიხედვით.


<sup>248</sup> წყარო: Rapacki Ryszard and Próchnia Mariusz - The EU Enlargement and Economic Growth In the CEE New Member Countries, European Commission, Brussels, 2009.

დანართი №37. საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების დინამიკა ლარში (მლნ. ლარი) 2007-2016 წლებში<sup>249</sup>




<sup>249</sup> გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

დანართი №38. საქართველოში კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების დინამიკა სხვადასხვა საქმიანობის მიხედვით (მლნ. ლარი) 2007-2016 წლებში<sup>250</sup>




<sup>250</sup> გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

დანართი №39. საქართველოში აგრარული სექტორის სხვადასხვა მაჩვენებელი მდნ.  
ლარი 2007-2015 წლებში<sup>251</sup>



<sup>251</sup> გრაფიკი აგებულია აგტორის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

დანართი №40. საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები “შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის” მოქმედების დროს და მის გარეშე მღნ. ლარში (დაშვების საფუძველზე) 2007-2016 წლებში<sup>252</sup>



<sup>252</sup> გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

დანართი №41. საქართველოში “აგროდაზღვევის პროექტის” ფარგლებში გაცემული პოლისები<sup>253</sup>

2015 წლის მონაცემები						
რეგიონი	პოლისი	სუბსიდი თანხა	დაზღვევის მიერ გადახდილი თანხა	ლიმიტი	ფართობი	
აჭარა	4,113	471,536	261,265	8,626,494	1,251	
გურია	560	55,909	28,887	1,098,025	213	
იმერეთი	88	2,950	2,627	75,467	32	
კახეთი	1,339	655,453	605,577	13,665,234	1,675	
მცხეთა-მთიანეთი	21	7,303	4,089	143,180	35	
სამცხე-ჯავახეთი	535	431,483	287,747	8,499,532	688	
სამეგრელო	558	109,500	72,969	2,787,064	490	
ქვემო ქართლი	106	50,660	33,855	1,010,065	133	
შიდა ქართლი	314	216,834	145,654	4,313,724	427	
<b>სულ</b>	<b>7,634</b>	<b>2,001,628</b>	<b>1,442,672</b>	<b>40,218,786</b>	<b>4,944</b>	

დანართი №42. საქართველოში “აგროდაზღვევის პროექტის” მონაცემები კულტურების მიხედვით<sup>254</sup>

2014-2015 წლები		
კულტურა	ლიმიტი (ლარი)	ფართობი (ჰა)
ბაღჩეული კულტურები	7,206,022	792
ბოსტნეული კულტურები	15,304,774	1,177
ვაზი	71,575,496	6,527
კაკლოვანი კულტურები	21,121,029	3,269
კენკროვანი კულტურები	666,793	96
მარცვლეული კულტურები	7,842,618	4,925
პარკოსანი კულტურები	322,023	198
სუბტროპიკული კულტურები	553,269	51
ციტრუსი	37,744,327	4,521
ხეხილი	31,006,695	2,111
<b>ჯამური მონაცემები</b>	<b>193,343,048</b>	<b>23,667</b>

<sup>253</sup> წყარო: წლიური ანგარიში 2015 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ობ., 2016.

<sup>254</sup> წყარო: წლიური ანგარიში 2015 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ობ., 2016.

დანართი №43. საქართველოში “აგროდაზღვევის პროექტის” ფარგლებში 2014 წელს გაცემული პოლისები<sup>255</sup>

დაზღვეული რისკი: სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა ციტრუსოვანი კულტურებისთვის				
კულტურა	დაზღვეული ნაკვეთების რაოდენობა	მოზიდული პრემია (ლარი)	სააგენტოს მიერ გადახდილი პრემია (ლარი)	დაზღვეული ფართობი ჰა
ციტრუსი	12,391	2,433,866	2,290,621	3,190
ვაზი	7,353	5,376,636	5,059,132	5,731
კაკლოვანი კულტურები	5,797	1,175,582	1,085,057	2,707
ხეხილი	2,762	2,278,802	2,143,958	1,836
მარცვლეული კულტურები	562	430,819	396,168	4,151
ბოსტნეული კულტურები	347	374,669	352,433	363
კენკროვანი კულტურები	147	93,881	82,963	140
ბალჩეული კულტურები	104	186,898	171,688	185
სუბტროპიკ. კულტურები	31	43,963	41,784	45
პარკოსანი კულტურები	20	14,309	13,208	150
ჯამი	29,514	12,409,225	11,637,013	18,498

დანართი №44. საქართველოში სადაზღვევო შემთხვევა – სეტყვა 2014 წლის მიხედვით<sup>256</sup>

სადაზღვევო შემთხვევა – სეტყვა			
კულტურის ქვე სახეობა	სადაზღვევო შემთხვევების რაოდენობა	ზარალის რაოდენობა	დასეტყვილი ფართობი ჰა
მანდარინი	6,849	1,878,895	1,914.71
ლიმონი	10	4,03.2	1.15
ჯამი	6,859	1,879,298	1,915.87

რეგიონი	სადაზღვევო შემთხვევების რაოდენობა	ზარალის ოდენობა	დასეტყვილი ფართობი ჰა
აჭარა	5,836	1,555,656	1,571.59
გურია	1,023	323,642	344.28
ჯამი	6,859	1,879,298	1,915.87


<sup>255</sup> წერო: საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია.

<sup>256</sup> წერო: საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია.

დანართი №45. საქართველოში “აგროდაზღვევის პროექტის” ფარგლებში 2014 წელს გაცემული პოლისები<sup>257</sup>

დაზღვეული რისკი: სექტემბერი, ჭარბი ნალექი. ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა ციტრუსოვანი კულტურებისთვის			
რეგიონი	დაზღვეული ნაკვეთების რაოდენობა	მოზიდული პრემია (ლარი)	დაზღვეული ფართობი ჰა
კახეთი	8,863	7,218,180	9,469
აჭარა	9,037	1,673,030	2,523
გურია	7,575	1,453,837	2,274
სამეგრელო	1,554	440,469	1,032
შიდა ქართლი	1,044	1,042,503	1,306
ქვემო ქართლი	415	534,943	1,828
იმერეთი	15	6,021	11
რაჭა-ლეჩხემი	6	10,736	21
მცხეთა-მთიანეთი	4	29,057	33
თბილისი	1	450	0.22
ჯამი	29,514	12,409,225	18,497.7


დანართი №46. საქართველოში აგროდაზღვევის ზარალიანობა და ზარალების სიხშირე (%) 2014-2015 წლებში<sup>258</sup>




<sup>257</sup> წერო: საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია.

<sup>258</sup> წერო: საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია.

დანართი №47. საქართველოში ანაზღაურებული ზარალების რაოდენობა და ოდენობა (ლარი) 2014-2015 წლებში<sup>259</sup>




დანართი №48. საქართველოში პირუტყვის დაცემა (ათასი სული) 2008-2015 წლებში<sup>260</sup>



<sup>259</sup> წყარო: საქართველოს სადაზღვეო კომპანიათა ასოციაცია.

<sup>260</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დანართი №49. 1995-2012 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხული სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების პროცენტული განაწილება<sup>261</sup>



<sup>261</sup> წყარო: გარემოს ეროვნული სააგენტო.


დანართი №50. საქართველოში სეტყვიან დღეთა მაქსიმალური რაოდენობა<sup>262</sup>

### საქართველოში სეტყვიან დღეთა მაქსიმალური რიცხვი წელიწადში



დანართი №51. საქართველოში ტერიტორიის დარაიონება ქარის მაქსიმალური სიჩქარეების მიხედვით<sup>263</sup>

### საქართველოს ტერიტორიის დარაიონება ქარის მაქსიმალური სიჩქარეების მიხედვით (I-VIII რაიონები, ქარის სიჩქარის გრადაციები მ/წმ-ში)



<sup>262</sup> წყარო: გარემოს ეროვნული სააგენტო.


<sup>263</sup> წყარო: გარემოს ეროვნული სააგენტო.

დანართი №52. საქართველოში მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის სტრუქტურა და საშუალო სიდიდე<sup>264</sup>

მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის სტრუქტურა და საშუალო სიდიდე (2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)				
მაჩვენებელი	ზომის ერთეული	შეელა კატეგორიის მეურნეობა	შინამეურნეობები	იურიდიული პირები
მეურნეობების რაოდენობა სასოფლო-სამეურნეობა მიწით	ათასი ერთეული	574.1	571.9	2.2
სასოფლო-სამეურნეო მიწა	ათასი ჸა	787.7	681.1	106.6
სახნავი	ათასი ჸა	377.4	322.7	54.8
მრავალწლოვანი ნარგავები	ათასი ჸა	109.6	92.6	17
სათიბები და საძოვრები	ათასი ჸა	300	265.2	34.8
საობურები	ათასი ჸა	0.7	0.6	0.1
სასოფლო-სამეურნეო მიწის საშუალო ფართობი*	ჸა	1.4	1.2	49.2

\*საშუალო ფართობი გაიანგარიშება სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის შეფარდებით იმ მეურნეობების რაოდენობასთან, რომელთაც სარგებლობაში აქვთ სასოფლო-სამეურნეო მიწა. მეურნეობების უდიდესი ნაწილი მცირემიწიანია. კერძოდ, მეურნეობების სამ მეოთხედზე მეტს (77.1%) სარგებლობაში აქვს 1 ჸა-ზე ნაკლები სასოფლო-სამეურნეო მიწა და მათზე სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების 21.5% მოდის.

დანართი №53. საქართველოში მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის სტრუქტურა ცალკეული კულტურების მიხედვით<sup>265</sup>



<sup>264</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

<sup>265</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დანართი №54. საქართველოში მეურნეობების სარგებლობაში არსებული  
მრავალწლოვანი ნარგავების სტრუქტურა<sup>266</sup>

მეურნეობების სარგებლობაში არსებული მრავალწლოვანი ნარგავების სტრუქტურა (2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)			
მაჩვენებელი	ფართობი (ათასი ჰა)	მეურნეობების რაოდენობა (ათასი ერთეული)	საშუალო ფართობი (ჰა)
მრავალწლოვანი ნარგავები, სულ	109.6	272	0.4
მათ შორის:			
ხეხილის ბაზები	59.4	157.6	0.4
ვენახები	33	123.5	0.3
ციტრუსის პლანტაციები	7.4	37.4	0.2
ჩაის პლანტაციები	4.6	6.6	0.7
სხვა მრავალწლოვანი ნარგავები	5.1	31	0.2

<sup>266</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დანართი №55. ევროკავშირის რისკმენეჯმენტის ინსტრუმენტებით მოსარგებლე ფერმერულ ფერმერების რაოდენობა<sup>267</sup>

ეგროპის რისკმენეჯმენტის ინტრუმენტებით მოსარგებლე ფერმერულ მეურნეობათა რაოდენობა				
რეგიონი/ქმედი	პრემიის სუბსიდია	ურთ.დახმარების ფონდები	შემოსავლის სტაბილიზაციის ინსტრუმენტი	სულ
ბელგია/ფლანდრია	1300	0	0	1300
ესპანეთი/კასტილია	0	0	950	950
საფრანგეთი	97000	398000	0	495000
ხორვატია	8300	0	0	8300
უნგრეთი	10500	0	4500	15000
იტალია	80000	5000	5000	90000
ლიტვა	1450	0	0	1450
ლატვია	4000	0	0	4000
მალტა	1500	0	0	1500
ნიდერლანდები	1300	0	0	1300
პორტუგალია/კონტინენტური ნაწილი	785	0	0	785
პორტუგალია/მადეირა	350	0	0	350
პორტუგალია/აზორის კუნძულები	150	0	0	150
რუმინეთი	0	15000	0	15000
<b>სულ</b>	<b>206635</b>	<b>418000</b>	<b>10450</b>	<b>635085</b>

<sup>267</sup> წყარო: [http://www.farm-europe.eu/travaux/how-to-tackle-price-and-income-volatility-for-farmers-an-overview-of-international-agricultural-policies-and-instruments/#\\_ftn6](http://www.farm-europe.eu/travaux/how-to-tackle-price-and-income-volatility-for-farmers-an-overview-of-international-agricultural-policies-and-instruments/#_ftn6)

**დანართი №56. ევროკავშირის რისკმენეჯმენტის ინსტრუმენტები<sup>268</sup>**

მთლიანი ხარჯი ევროპის რისკმენეჯმენტის ინსტრუმენტების მიხედვით (EAFRD + ნაციონალური ბიუჯეტი - ევრო)			
რეგიონი/ქვეყანა	პრემიის სუბსიდია	ურთიდასმარების ფონდები	შემოსავლის სტაბილიზაციის ინსტრუმენტი
ბელგია/ფლანდრია	5,000,000	-	-
ესპანეთი/კასტილია	-	-	14,000,000
საფრანგეთი	540,750,000	60,000,000	-
ხორვატია	56,600,000	-	-
უნგრეთი	76,540,000	-	18,800,000
იტალია	1,396,800,000	97,000,000	97,000,000
ლიტვა	17,460,000	-	-
ლატვია	10,000,000	-	-
მალტა	2,500,000	-	-
ნიდერლანდები	54,000,000	-	-
პორტუგალია/კონტინენტური ნაწილი	49,700,000	-	-
პორტუგალია/მადეირა	800,000	-	-
პორტუგალია/აზორის კუბი	2,350,000	-	-
რუმინეთი	-	200,000,000	-
<b>სულ</b>	<b>2,212,500,000</b>	<b>357,000,000</b>	<b>129,800,000</b>

**დანართი №57. აგროდაზღვევის სქემები ევროკავშირის ქვეყნებში<sup>269</sup>**

აგრარული სექტორის სადაზღვევო სქემები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში			
ქვეყანა	ერთი რისკის დაზღვევა	რისკების კომბინირებული დაზღვევა	განმარტება
აგსტრია	PS	PS	P - მხოლოდ კერძო სექტორი
ბელგია	P		სუბსიდირების გარეშე
ბულგარეთი	P	P	
კვიპროსი	GC	GC	PS - კერძო სექტორი,
ჩეხეთის რესპუბლიკა	PS	PS	ნაწილობრივ სუბსიდირება
ფინეთი	P	P	
გერმანია	P		G - საჯარო სექტორი
საბერძნეთი	G	GC/GS/G	
უნგრეთი	P	P	GS - საჯარო
იტალია	PS	PS	სექტორი, ნაწილობრივ სუბსიდირებული
რუმინეთი	PS	PS	

<sup>268</sup> წყარო: [http://www.farm-europe.eu/travaux/how-to-tackle-price-and-income-volatility-for-farmers-an-overview-of-international-agricultural-policies-and-instruments/#\\_ftn6](http://www.farm-europe.eu/travaux/how-to-tackle-price-and-income-volatility-for-farmers-an-overview-of-international-agricultural-policies-and-instruments/#_ftn6)

<sup>269</sup> წყარო: Agricultural Insurance as Risk Management Strategy: An overview of Agricultural Insurance Schemes in Europe and the World, The Foreign Policy Initiative BH, Bosnia and Herzegovina , 2014.


სლოვენია	PS	P	GC - საჯარო სექტორი, საგადამუშავო დაზღვევა
ესპანეთი	PS	PS	
შვედეთი	P	P	

დანართი №58. აგროდაზღვევის მსოფლიოში გავრცელებული სქემები<sup>270</sup>

აგრარული დაზღვევის სისტემები		
სადაზღვევო სქემის ტიპი	მახასიათებლები	მაგალითი
დაზღვევა საჯარო სექტორის მიერ	სახელმწიფო სადაზღვევო მომსახურების მიმწოდებელია და ფლობს ბაზარზე მონოპოლიას	1) კანადა 2) კვიპროსი
კერძო სადაზღვევო სისტემა სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე	კერძო სადაზღვევო სისტემა	1) ავსტრია 2) არგენტინა
კერძო-საჯარო სექტორის პარტნიორობის შედეგად შექმნილი სისტემა	ნაციონალური სადაზღვევო კომპანია პარტნიორობს წამყვან კერძო სადაზღვევო კომპანიასთან	1) აგროესტუროს ფონდი ესპანეთში
	დია სადაზღვევო ბაზარი კერძო სადაზღვევო კომპანიებით. სახელმწიფო კონტროლს უწევს სადაზღვევო პრემიის გათვლის წესებსა და ქმნის პოლიტიკას	1) პორტუგალია 2) აშშ
კერძო-საჯარო სექტორის პარტნიორობის შედეგად შექმნილი სისტემა	დია სადაზღვევო ბაზარი კერძო სადაზღვევო კომპანიებით. სახელმწიფოს მიერ დაბალი კონტროლის დონე, ახორციელებს მცირე ოდენობით სუბსიდირებას	1) მექსიკა 2) ბრაზილია


<sup>270</sup> წყარო: Agricultural Insurance as Risk Management Strategy: An overview of Agricultural Insurance Schemes in Europe and the World, The Foreign Policy Initiative BH, Bosnia and Herzegovina , 2014.

დანართი №59. კერძო და საჯარო სექტორის პარტნიორობაზე აგებული სადაზღვევო სისტემა<sup>271</sup>




<sup>271</sup> წყარო: [http://www.internationalinsuranceforum.com/prop/wp-content/uploads/2014/10/20\\_Marijuana-SARAMANDIC.pdf](http://www.internationalinsuranceforum.com/prop/wp-content/uploads/2014/10/20_Marijuana-SARAMANDIC.pdf)

დანართი №60. აგროდაზღვეების სპეციალური პროგრამის ინტერფეისი - მეტეოროლოგიური მოვლენების შესაბამისი რისკის დონის დათვლისათვის<sup>272</sup>



<sup>272</sup> წყობა: [https://www.wur.nl/upload\\_mm/e/d/3/4a72a043-5f19-4542-960b-db9b75b851c6\\_Plotka%20Reconciling%20weather%20and%20insurance%20data%20SCOR.pdf](https://www.wur.nl/upload_mm/e/d/3/4a72a043-5f19-4542-960b-db9b75b851c6_Plotka%20Reconciling%20weather%20and%20insurance%20data%20SCOR.pdf)

დანართი №61. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობის  
მიხედვით რეგიონების დაყოფა 2015 წელი<sup>273</sup>




<sup>273</sup> წყარო: წლიური ანგარიში 2015 – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ობ., 2016.

დანართი №62. ევროპის უმსხვილესი კოოპერატივები წლიური ბრუნვის მიხედვით  
(მილიარდი ევრო) 2015 წელი<sup>274</sup>


კოოპერატივი	ტიპი	ქვეყანა	ბრუნვა (მილიარდი ევრო)
Rewe	საცალო	გერმანია	51
Edeka	საცალო	გერმანია	47.2
ACDLEC-E.leclerc	საცალო	საფრანგეთი	44.035
Groupe Credit Agricole	საბანკო	საფრანგეთი	30.24
Systeme U	საცალო	საფრანგეთი	23.51
Groupe BPCE	საბანკო	საფრანგეთი	23.3
Achmea	სადაზღვევო	ნიდერლანდები	20
Jhon Lewis Partnership PLC	სამომხმარებლო	დიდი ბრიტანეთი	15.52
Groupe Credit Mutuel	საბანკო	საფრანგეთი	15.41
Co-operative Group Limited	სამომხმარებლო	დიდი ბრიტანეთი	15.34
BayWa	სოფლის-მეურნეობა/განახლებადი ენერგია	გერმანია	15.2
Coop Italia	სამომხმარებლო	იტალია	13.5
Rabobank Groep	საბანკო	ნიდერლანდები	12.9
FrieslandCompina	სოფლის-მეურნეობა	ნიდერლანდები	11.3
Cooperatie VGZ	სადაზღვევო	ნიდერლანდები	10.9
Astera	სოფლის-მეურნეობა	საფრანგეთი	8.39
Hispacoop	სამომხმარებლო	ესპანეთი	7.9
Agravis	სოფლის-მეურნეობა	გერმანია	7.4
SOK-group	სამომხმარებლო	ფინეთი	7.29
Coop Denmark	სამომხმარებლო	დანია	7.2
Grupo Eroski	სამომხმარებლო	ესპანეთი	5.88
Menzis	სადაზღვევო	ნიდერლანდები	5.8
In Vivo	სოფლის-მეურნეობა	საფრანგეთი	5.67
Sodiola Group	სოფლის-მეურნეობა	საფრანგეთი	5.43
DMK	სოფლის-მეურნეობა	გერმანია	5.3
Mesta Group	სოფლის-მეურნეობა	ფინეთი	4.97
NOWEDA	ფარმაცია	გერმანია	4.9
Tereos	სოფლის-მეურნეობა	საფრანგეთი	4.7
Terrea	სოფლის-მეურნეობა	საფრანგეთი	4.68
KF	სამომხმარებლო	შვედეთი	4.04

<sup>274</sup> წყარო: Cooperatives Europe -The power of Cooperation, Cooperatives Europe key figures 2015, April 2016.

დანართი №63. ეგროპის ეკონომიკურ სექტორებში კოოპერატივების რაოდენობრივი გადანაწილების პროცენტული წილი 2015 წელი<sup>275</sup>




დანართი №64. ეგროპის ეკონომიკურ სექტორებში კოოპერატივების პროცენტული გადანაწილება წევრების რაოდენობის მიხედვით 2015 წელი<sup>276</sup>




<sup>275</sup> წყარო: Cooperatives Europe -The power of Cooperation, Cooperatives Europe key figures 2015, April 2016.

<sup>276</sup> წყარო: Cooperatives Europe -The power of Cooperation, Cooperatives Europe key figures 2015, April 2016.

დანართი №65. ევროპის ეკონომიკურ სექტორებში კოოპერატივების პროცენტული გადანაწილება დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით 2015 წელი<sup>277</sup>




დანართი №66. ევროპის ეკონომიკურ სექტორებში კოოპერატივების პროცენტული გადანაწილება წლიური ბრუნვის მიხედვით 2015 წელი<sup>278</sup>




<sup>277</sup> წყარო: Cooperatives Europe -The power of Cooperation, Cooperatives Europe key figures 2015, April 2016.

<sup>278</sup> წყარო: Cooperatives Europe -The power of Cooperation, Cooperatives Europe key figures 2015, April 2016.

დანართი №67. ევროკაგშირის აგრარულ სექტორში კოოპერატივების პროცენტული გადანაწილება პროდუქტების მიხედვით 2010 წელი<sup>279</sup>



დანართი №68. ევროკაგშირის წევრ ქვეყნებში კოოპერატივების წილი ბაზარზე 2010<sup>280</sup>



<sup>279</sup> წყარო: Cooperatives Europe -The power of Cooperation, Cooperatives Europe key figures 2015, April 2016.

<sup>280</sup> წყარო: DEVELOPMENT OF AGRICULTURAL COOPERATIVES IN THE EU 2014, European agri-cooperatives (Cogeca), Brussels, 2015.

დანართი №69. ევროკავშირის აგრარულ სექტორში კოოპერატივების რაოდენობა  
წევრი ქვეყნების მიხედვით 2010<sup>281</sup>

ევროკავშირის წევრი ქვეყანა	კოოპერატივების მთლიანი რაოდენობა	წევრების რაოდენობა	წლიური ბრუნვა (მლნ. ევრო)
ბელგია	301	:	3,257
ბულგარეთი	900	:	:
ჩეხეთის რესპუბლიკა	548	524	1,327
დანია	28	45,710	25,009
გერმანია	2,400	1,440,600	67,502
ესტონეთი	9	2,036	512
ირლანდია	75	201,684	14,149
საბერძნეთი	550	690,000	711
ესპანეთი	3,844	1,179,323	25,696
საფრანგეთი	2,400	858,000	84,350
ხორვატია	613	10,734	167
იტალია	5,834	863,323	34,362
კვიპროსი	14	24,917	62
ლატვია	49	:	1,111
ლიტვა	402	12,900	714
ლუქსემბურგი	55	:	:
უნგრეთი	1,116	31,544	1,058
მალტა	18	1,815	204
ნიდერლანდები	73	121,552	33,200
ავსტრია	217	306,300	8,475
პოლონეთი	136	:	15,311
პორტუგალია	735	:	2,437
რუმინეთი	68	:	204
სლოვაკია	368	16,539	705
სლოვაკეთი	597	:	1,151
ფინეთი	35	170,776	13,225
შვედეთი	25	160,350	7,438
გაერთიანებული სამეფო	200	138,021	4,686
<b>სულ</b>	<b>21,610</b>	<b>6,276,648</b>	<b>347,023</b>


<sup>281</sup> წყარო: DEVELOPMENT OF AGRICULTURAL COOPERATIVES IN THE EU 2014, European agri-cooperatives (Cogeca), Brussels, 2015.

დანართი №70. კოოპერატივებისთვის დამახასიათებელი პრობლემები<sup>282</sup>


კოოპერატივის ტიპი	წარმატების კრიტიკული ფაქტორი	დამახასიათებელი პრობლემა
განვითარებადი კოოპერატივები	უკარის უფასებიანობა; ბაზრის შექმნა	ლიდერის ნდობა
სავაჭრო კოოპერატივები	საბაზრო ძალაუფლება	წევრების ვალდებულებები
რეგიონალური ნიშის კოოპერატივები	ნოუ-ჰაუს აღგილობრივ ბაზარზე გამოყენება	კაპიტალისა და ფინანსების პროფესიონალური მართვა
სპეციალიზებული პროცესების კოოპერატივები	ღირებულების უფასებიანობა	კაპიტალისა და ფინანსების პროფესიონალური მართვა
მსხვილი სასოფლო-სამუშაოების კოოპერატივები	ბრენდისა და ღირებულების შექმნა მიწოდების ჯაჭვში ძალაუფლებისთვის	ოპტიმალური პიბრიდული ფორმა წევრების ჩართულობისთვის

<sup>282</sup> წერო: Support for Farmers' Cooperatives, Final Report - European Commission, Netherlands, November 2012.

დანართი №71. ევროკავშირში აგრარული სექტორის მიმართულებების მიხედვით კოოპერატივების პროცენტული წილი ბაზარზე 2010 წელს<sup>283</sup>



დანართი №72. ევროკავშირში 2003-2013 წლებში წამყვანი 100 აგრარული კოოპერატივის ზრდის მაჩვენებლები წლიური ბრუნვის მიხედვით (მდ. ევრო)<sup>284</sup>



<sup>283</sup> წყარო: DEVELOPMENT OF AGRICULTURAL COOPERATIVES IN THE EU 2014, European agri-cooperatives (Cogeca), Brussels, 2015.

<sup>284</sup> წყარო: DEVELOPMENT OF AGRICULTURAL COOPERATIVES IN THE EU 2014, European agri-cooperatives (Cogeca), Brussels, 2015.